K 245337
3
ეროვნული ბიბლიოთეკა



# მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ

F78922
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიც ვაგნერი

# საქართველოს შესახებ

გერმანული ტექსტი თარგმნა,
შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო
გია გელაშვილმა

გამომცემლობა „არტანუჯი“
თბილისი
2002

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინამდებარე წიგნი მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს გააცნოს ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – მორიც ვაგნერის ცნობები XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს შესახებ.

1843-1846 წლებში ვაგნერი იმყოფებოდა შავიზღვისპირა ქვეყნებში, კავკასიაში, ქურთისტანსა და სპარსეთში. ამ მოგზაურობის შედეგია მისი წიგნი „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიონის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში" (ლაიფციგი, 1850). ვაგნერის ეს თხზულება წარმოადგენს საინტერესო წყაროს იმდროინდელი საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მასში გადმოცემული ამბები და ფაქტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმის გამოც, რომ ავტორი, როგორც დაკვირვებული მეცნიერი, მათი თვითმხილველი და უშუალო მოწმეა.

Im vorliegenden Buch sind die Nachrichten des deutschen Reisenden des XIX Jahrhunderts Moriz Wagner über Georgien dargestellt.

In Jahren 1843-1846 reiste er durch Schwarzmeerländer, Kaukasus, Armenien und Persien. Als Ergebniss dieser Reise entstand sein Buch *Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseits des Kaukasus* (Leipzig 1850).

Sein Werk ist eine wichtige Quelle für Erforschung der georgischen Geschichte der ersten Hälfte des XIX. Jh. Seine Nachrichten sind vom besonderen Wert da er als ein ernster Wissenschaftler die beschriebenen Ereignisse selbst erlebte.

K 245337
3

ISBN 99928-940-1-6

© გია გელაშვილი

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2002.

სპებ-2000
მემკვიდრეობის

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................5

წინასიტყვაობა ....................................................................................9

თავი I. ყირიმიდან საქართველოსკენ. ტრანსკავკასიის დედაქალაქი და მისი ღირსშესანიშნაობები ..........................................11

თავი II. ხალხი და მათი ცხოვრება ტფილისში. ქართველი და სომეხი ქალები. სომხური ქორწილი. აღდგომის დღესასწაული. მომღერლები და ზღაპრების მთქმელი. სიღარიბე. გულითადი საუბრები ტფილისში...........................................................32

თავი III. ახალშენი ნოი-ტიფლისი (ახალ-ტფილისი). ფრანგი ვეტერანი და მისი ოჯახი. გერმანული კოლონიები ტრანსკავკასიაში. სეპარატისტთა საქმიანობა ..........................60

თავი IV. სამების დღე ტფილისში. გერმანული ახალშენის ელიზაბეტტალის მონახულება. რელიგიური ერეტიკოსები. გამგზავრება კატარინენფელდში. ეპიზოდი სპარსეთ-რუსეთის ომიდან. სეპარატისტების ბედი ..........................................70

თავი V. წყნარი ცხოვრება კატარინენფელდში. ერთი სოფლის ამბავი აღმოსავლეთში. ერთი გერმანული ოჯახის ბედი ქურთებთან. შვაბი მოახალშენეების დახასიათებისათვის. ზოგადი შენიშვნები კავკასიონის იქითა მხარეს არსებული გერმანული კოლონიების მდგომარეობის შესახებ ....................88

თავი VI. ბუნების მკვლევარის ნომადური ცხოვრება. მოგზაურობა ტფილისიდან იმერეთისკენ. მცხეთა. ქართველ მეფეთა ძველი რეზიდენცია. გორი. ძველი გამოქვაბული ქალაქი. ქუთაისი. კათოლიკური მონასტერი და მისიები ტრანსკავკასიაში ...............105

თავი VIII. ფრანგები სპარსეთიდან. მოგზაურობა იმერეთსა და სამეგრელოში. კოლხეთის ბუნების სიმშვენიერე. ცურვა ფაზისზე. მეგრული ოჯახის სურათი. პირველყოფილი ცხოვრება კოლხეთში ....120

თავი IX. რედუტ-კალე. სავაჭრო ურთიერთობანი. ხობის მონასტრის მონაზვნულება. ზუგდიდი, დადიანების რეზიდენცია. მარტვილის მონასტერი. კოლხური მდინარეების ლანდშაფტის სილამაზე. ექსკურსია ფაზისის შესართავისკენ. ღამისთევა მეთევზის ქოხში. ფოთის ციხე ....133

თავი X. კოლხური გახსენებანი. სამეგრელოს დღევანდელი მდგომარეობა. ცურვით გამგზავრება ლაზისტანისკენ. ბათუმში შეჩერება. ლაზი ხალხი და იქაური ხეობათა მთავრები (ბელადები). უკანასკნელი თვალის შევლება კავკასიაზე ....151

რეზიუმე (გერმანულ ენაზე) ....166

საძიებლები ....168

პირთა ....168
გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა ....173
საგნობრივი ....181

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესავალი

ცნობილი გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი მორიც ვაგნერი ცხოვრობდა 1813-1887 წლებში. ვაგნერის ბიოგრაფიული მონაცემები ჩვენ ამჟამად მოგვყავს ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონიდან. ისინი ძირითადად მის სამოგზაურო ცხოვრებას ეხება.

1836, 1837, 1838 წლებში ვაგნერი იმყოფებოდა ალჟირში. 1841 წელს ლაიფციგში გამოსცა ალჟირში მოგზაურობის შედეგები. დაბრუნებისთანავე ხელი მიჰყო გეოლოგიის შესწავლას.

1843-46 წლებში ვაგნერმა მოიარა შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნები, კავკასია, სომხეთი, ქურთისტანი და სპარსეთი. მნიშვნელოვანი საბუნებისმეტყველო-ისტორიული კოლექცია, რაც მან იქიდან წამოიღო, ინახება ვენის, მიუნხენისა და პარიზის მუზეუმებში, ხოლო თავისი მოგზაურობანი აღწერა შემდეგ შრომებში: 1) „კავკასია და კაზაკთა ქვეყანა“[1] (ორ ტომად, ლაიფციგი, 1847 წ.); 2) „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში“[2] (ლაიფციგი, 1850 წ.); 3) „მოგზაურობა არარატისკენ და მაღალმთიან სომხეთში“[3] (შტუტგარტი, 1850 წ.); 4) „მოგზაურობა სპარსეთსა და ქურთების ქვეყანაში“[4] (ორ ტომად, ლაიფციგი, 1852 წ.).

1852-55 წლებში ვაგნერმა შერცერთან ერთად მოიარა ამერიკის დიდი ნაწილი, რასაც უძღვნა შრომები: „მოგზაურობა

---

[1] "Der Kaukasus und das Land der Kasaken"

[2] "Reise nach Kolchis und nach den deutschen Colonien jenseits des Kaukasus"

[3] "Reise nach dem Ararat und dem Hochlande Armeniens"

[4] "Reise nach Persien und dem Lande der Kurden"

ჩრდილოეთ ამერიკაში"[5] (სამ ტომად, ლაიფციგი, 1854 წ.) და „კოსტა-რიკის რესპუბლიკა"[6] (ლაიფციგი 1856 წ.).

1857 და 1858 წლებში ვანგერმა იმოგზაურა პანამის მთიანქვეყნებში; 1859 წელს კი ინახულა ანდების აღმოსავლეთი ოლქები ეკვადორში. კოლექციები ჩააბარა მიუნხენის მუზეუმს, ხოლო შედეგები გამოაქვეყნა ბერლინის სამეცნიერო ბიულეტენებში.

ამის შემდეგ ვაგნერი დაინიშნა მიწათ და ხალხთმცოდნეობის საპატიო პროფესორად მიუნხენის უნივერსიტეტში და მიუნხენშივე აირჩიეს აკადემიის წევრად. 1870 წელს მან გამოსცა დიდი ნაშრომი „საბუნებისმეტყველო მოგზაურობა ტროპიკულ ამერიკაში"[7] (შტუტგარტი, 1870 წ.). ამის შემდეგ ვაგნერი მუშაობდა მხოლოდ დარვინის თეორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, აქვს მის ნაშრომებს „კავკასია და კაზაკთა ქვეყანა" (ლაიფციგი, 1847 წ.) და „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში" (ლაიფციგი, 1850 წ.).

დასამუშავებელ თემად ჩვენ ავიღეთ მორიც ვანგერის მეორე ნაშრომი, რადგან საქართველოს შესახებ ძირითადი ცნობები მასშია გადმოცემული. წიგნი შედგება წინასიტყვაობისა და ათი თავისაგან; სულ 259 გვერდი. მას ახლავს „დანართები ტრანსკავკასიის ხალხთმცოდნეობისა და ბუნების იტორიის შესახებ"[8] (გვერდები 263-341).

ჩვენ ვთარგმნეთ ამ წიგნში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ.

როგორც თარგმანიდან დავინახავთ, ავტორის მიზანია შეავსოს ის ხარვეზი, რაც მის წინამორბედ მოგზაურთა ნაშრომებს გააჩნიათ, რაზედაც მათ ყურადღება არ გაუმახვილებიათ. მართლაც წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ვაგნერმა ერთგვარად სხვა

---

[5] "Reise in Nordamerika"
[6] "Die Republik Costa-Rica"
[7] "Naturwissenschaftliche Reisen in tropischen Amerika"
[8] "Mit Beiträgen zur Völkerkunde und Naturgeschichte Transkaukasiens"

თვალი შეავლო აქაურობას და ზოგი რამ მართლაც განსხვავებულად წარმოგვიდგინა.

წიგნის პირველი და მეორე თავები ძირითადად ეხება თბილისის აღწერას, მის ცხოვრებას. აქ დაწვრილებითაა წარმოჩენილი ქალაქის გარეგანი სახე, მისი ქუჩები, მოედნები, სახლები, ბაზრები, აბანოები, ეკლესიები, სასახლეები, ბაღები.

ვაგნერი ვრცლად ეხება ქალაქის მოსახლეობას, მის ეროვნულ შემადგენლობას, სხვადასხვა ეროვნებათა ბუნება-საქმიანობას, ჩაცმა-დახურვას, საცხოვრებლებს, შეძლებას, ადარებს მათ ერთმანეთს. იგი ახასიათებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მათ დამოკიდებულებას რუსულ მმართველობასთან.

დიდ ადგილს უთმობს ვაგნერი ქართველ ქალთა აღწერას, რაც განსხვავებულია სხვა მოგზაურთა სტანდარტებისაგან.

წიგნში საკმაო ადგილი ეთმობა სარწმუნოებასა და ღვთისმსახურებას. ვაგნერი აქაც გვთავაზობს თავის დაკვირვებებსა და დასკვნებს, რომლებიც ძირითადად სავსებით მისაღებია. მოგზაური ეხება სწავლა-განათლების საქმეს თბილისში.

ვაგნერს არ ავიწყდება ეთნოგრაფიული მასალის მოწოდებაც, რომლის ერთერთ საინტერესო მაგალითსაც წარმოადგენს სომხური ქორწილის აღწერა.

ძალზე საინტერესოა ვაგნერის მიერ აღწერილ-დახასიათებული სხვადასხვა ისტორიული პირები; იქნებიან ესენი მთავარმართებლები, გენერლები, თუ რიგითი მოქალაქეები ან გერმანელი კოლონისტები.

გვსურს დავძინოთ, რომ ვაგნერი, როგორც გერმანელი, საკმაო კრიტიკის თვალით უყურებს რუსული მთავრობის საქმიანობას კავკასიასა თუ თბილისში და თავის წინადადებებსაც კი გვთავაზობს უკეთესი სურვილებით; თუმცა ზოგჯერ რუსული გავლენის სიკეთესაც არ ივიწყებს.

წიგნის III-V თავებში აღწერილია საქართველოში არსებული გერმანული კოლონიების დაარსების ისტორია და მათი თანამედროვე მდგომარეობა; მათი სამეურნეო თუ სულიერი ცხოვრება, ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

VI თავში გადმოცემულია მისი მოგზაურობა თბილისიდან ქუთაისისკენ. ვაგნერი გვაძლევს ქუთაისის საინტერესო სურათს; ეხება კაპუცინელთა მოღვაწეობას საქართველოში, მათ როლს ადგილობრივი მოსახლეობის განათლების საქმეში და ა.შ.

წიგნის VIII-IX თავები ეხება ვაგნერის მოგზაურობას იმერეთსა და სამეგრელოში. ვრცლად აღწერს რედუტ-კალეს, ეხება მის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკაში, რუსულ საბაჟო კანონებს; ფოთის ციხეს, მის ისტორიას და მნიშვნელობას რუსული მთავრობისათვის; ზუგდიდს და დადიანთა რეზიდენციას.

X თავი დათმობილი აქვს სამეგრელოს სოციალური სურათის გადმოცემას, აგრეთვე მის მოგზაურობას ლაზეთში. აგვიწერს ბათუმის ნავსადგურს და გვთავაზობს ლაზების ზოგად დახასიათებას.

აშკარად ჩანს, რომ ვაგნერმა საფუძვლიანად შეისწავლა მისი წინამორბედი მოგზაურების შრომები, ძველ ბერძენ თუ სხვა ისტორიკოსთა ცნობები.

რა თქმა უნდა, ვაგნერისეულ დასკვნებს სჭირდება კრიტიკული თვალით შეხედვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს არის უაღრესად ყურადსაღები წყარო საქართველოს XIX საუკუნის 40-იანი წლების ისტორიის შესასწავლად.

რადგან ჩვენ ცალკე შრომად უნდა წარმოვადგინოთ XIX ს-ის გერმანელ მოგზაურთა ცნობების შეჯერება-ანალიზი, ამჟამად წინამდებარე გამოცემაში დავკმაყოფილდით მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით და მკითხველს განსასჯელად მივაწოდეთ თვით წყარო.

**გია გელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

კავკასიის ქვეყნებისა და ხალხთა შესახებ ჩვენ იმდენი აღწერილობითი და სამეცნიერო ნაშრომი გაგვაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა არსებული მასალით შემოზღუდვა და არა მათი განვრცობა და მრავალსიტყვაობა. წინამდებარე წიგნის ავტორმა არ მიბაძა თანამედროვე მრავალრიცხოვან მოგზაურებს მასალის დაგროვებაში. თუკი ვინმე მოისურვებდა ტრანსკავკასიის შესახებ შეგროვებული ჩანაწერების გადამუშავებას, არაფერს გამოტოვებდა რაც მოხსენების ღირსია (სტატისტიკა, ეთნოგრაფია, პოლიტიკა, ისტორია, ბუნება, სიძველეები), ხოლო ამასთან ბეჯითი წინამორბედების ნაშრომებისა და პეტერბურგის აკადემიის ბიულეტენებში გაბნეულ ცნობებს გაძარცვავდა, ასეთი პიროვნებისათვის არ იქნებოდა ძნელი ამოცანა, წარმოედგინა ექვსტომიანი კომპილაცია კავკასიონის იქითა მხარეს მდებარე რუსული პროვინციების შესახებ; აგრეთვე განეცხადებინა სამართლიანი პრეტენზია მრავალფეროვან დამსახურებაზე და შეგროვებული მასალის რაოდენობით მკითხველის ინტერესი დაეთრგუნა. სამოგზაურო ლიტერატურისა და წიგნით ვაჭრობის დღევანდელი მდგომარეობა, მე მგონია, სასწრაფოდ მოითხოვს საწინააღმდეგო გზას. ვფიქრობ, აღმოსავლეთის შესახებ დაბეჭდილი დაკვირვებებისა და აღწერების მარაგი იმდენია, რომ ყოველი კეთილსინდისიერი მოგზაური, რომელსაც სძულს ზედმეტი კაზმულობა და ნამდვილად პატივს სცემს ხალხთა ისტორიას, წიგნით საქმიანობის დემონს არ გააცოცხლებს და მოერიდება იმის ვრცელ გამეორებას, რაც სხვას უკვე დაუწერია; იგი მკაცრად შეამოწმებს წინამორბედთა დაკვირვებების სისწორეს და საყოველთაოდ ცნობილი ამბებით მკითხველს აღარ შეაწუხებს.

წინამდებარე ნაშრომს არ აქვს პრეტენზია რომ წარმოადგენს გეორგიისა (ქართლის?) და კოლხეთის ყოვლისმომცველ, მრავალმხრივ ან ამომწურავ აღწერას. ავტორის ერთადერთი მიზანია, გადმოსცეს ზოგი ცნობა ამ ქვეყნების შესახებ, შეავსოს ზოგი სიცარიელე მათი მდგომარეობის ცოდნის შესახებ, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო დაბრკოლებათა გარეშე ამ სურათის სწორი ასახვა; ავტორის მიზანია მხოლოდ ის ვითარება წარმოაჩინოს, რომლებსაც სხვა მოგზაურებმა ნაკლები ყურადღება მიაქციეს. ჩემი აზრით სამი გარემოებაა, რომლებიც სათანადო აღწერას იმსახურებენ: ხალხის ცხოვრება ტფილისში; გერმანული კოლონიების მდგომარეობა; ბუნებრივი ხასიათი და პირველყოფილი ცხოვრება კავკასიონის იქითა მხარის ქვეყნებში, რომელიც არავის შეუძლია გაიგოს (შეიცნოს) და აღწეროს, თუ ბუნების მკვლევარივით, ან მონადირესავით თავის სახეტიალო კარავს ამ ტყეთა და მთათა მარტოობაში არ დასცემს (გაშლის). ესაა სამი მთავარი მასალა, რომლებსაც ეყრდნობა ამ წიგნის სამოგზაურო სურათების აღწერილობითი ნაწილი.

დამატებაში მოცემულია რამდენიმე მეცნიერული წერილი, რომლებიც სწავლულებს და ნახევრად სწავლულებს აღუძრავენ ინტერესს და რომლებიც ისე უნდა იქნეს განხილული, როგორც პონტოს სანაპირო ქვეყნების შესახებ, იქაურ ბუნების ისტორიაზე მომავალი, უფრო დიდი ნაშრომის მაუწყებელი.

დოქტ. **მორიც ვაგნერი**

მიუნხენი, 1850 წლის მარტი

# თავი I

## ყირიმიდან საქართველოსკენ — ტრანსკავკასიის დედაქალაქი და მისი ღირსშესანიშნაობები

არგოს მგზავრებს, ხმლითა და ლირით შეიარაღებულ იმ მამაც გმირებს, რომლებიც უძველეს წარსულში ქარიშხლიანი შავი ზღვით მიადგნენ ტრანსკავკასიის ჯადოსნურ ქვეყანას..., ისეთი ხარბი თვალით არ შეუხედიათ თავისი თამამი მოგზაურობის სასრული მხარისათვის, როგორც ახალი დროის რუსული ფოსტის ორმა მგზავრმა — ამ წიგნის ავტორმა და მისმა უნგრელმა თანამგზავრმა...[1] ჭკვიანმა ნორდმანმა, მეცნიერმა სტივენმა, მამაცმა გენერალმა რაევსკიმ და სხვა განათლებულმა რუსებმა, რომლებიც ტრანსკავკასიის ქვეყნებში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ, თავიანთი ნაამბობითა და აღწერებით იქაურობა უფრო გამაცნეს, ვიდრე გერმანიაში ამ მხარეთა შესახებ წაკითხულმა ძველმა და თანამედროვე წიგნებმა. მაჩვენეს აგრეთვე ბუნების მკვლევარის სცოვიჩის (Szowich) პირადი წერილები, რომელიც თავდავიწყებით იყო შეყვარებული კოლხეთის მომაჯადოებელ ტყიურ სამყაროში! როცა მოხუცმა სტივენმა სიმფეროპოლში თავისი მშვენიერი კოლექციები მაჩვენა და რუკაზე ყველა ადგილი აღმინიშნა, სადაც მას ახალგაზრდობისას თავისი ენტომოლოგიური ექსკურსიები მოუწყია და თავისი ჰერბარიუმი მრავალი იშვიათობებით გაუმდიდრებია, მეც არანაკლებ ხარბმა სურვილმა შემიპყრო იმ ბერძენი საწმისის მაძიებლების მსგავსად, რომლებიც მიუხედავად საზარელი ხიფათისა და მაცდუნებელი სირინოზების სიმღერებისა, შეუჩერებლად მიიჭაროდნენ იდუმალების ქვეყნისკენ... დაძაბულობა და მოუთმენლობა არ გვასვენებდა

[1] აქ და სხვაგანაც ვტოვებთ ზოგ, ჩვენთვის უინტერესო წინადადებებს და მათ მრავალწერტილით აღვნიშნავთ, ამასთან ძირითად აზრს არ ვარღვევთ — გ. გ.

თავრიდის კაპუას ზამთრის ბინაშიც და ერთ სუსხიან თებერვლის დღეს გამოვეჩქარეთ ქერჩის გავლით კაზაკთა ქვეყნის იქითა მხარისკენ...

მარტის ღრუბლიანი დღე იდგა, როცა ჩვენ მივადექით საქართველოს. მაშინ მე საკმარისად არ ვიცნობდი ტრანსკავკასიის ჰავის საოცრებას, სადაც ერთიდაიგივე განედზე, სიმაღლის უმნიშვნელო ცვლილებისას (სულ რაღაც 300 მეტრზე) ბუნების ხასიათისა და ლანდშაფტის ასეთი შესამჩნევი სხვაობაა. როცა მივუახლოვდით მტკვრის ხეობას, რომელიც არ ეკუთვნის კოლხეთს, ჩემმა ახალგაზრდა თანამგზავრმა (ჩემსავით გაოცებულმა) იკითხა: სადაა მშვენიერი გაზაფხული, ყვავილოვანი სამოსი, უღრუბლო ცის ჰაეროვანი გამჭვირვალე თაღი, ასე დაუღლელად ნაქები კავკასიელი მომღერლების მიერ..? ამ პოეტური ბუნების საოცრებათაგან არავითარი კვალი! ბნელი ჰორიზონტი, სუსხიანი ქარი, რომელიც ყურებში გვისტვენდა, როგორც თავრიდის სტეპების ბორა; ტყეები უფოთლოდ, მდელოები ბალახისა და ყვავილების გარეშე, რაც ენაცვლებოდა შიშველ კლდოვან მთებს — ასეთი იყო პირველი, მშვენებას მოკლებული სურათი საქართველოში ჩვენი შემოსვლისას! როცა მცხეთის სამხრეთით ტყეები სულ უფრო შემცირდა, მთები გაშიშვლდნენ, ხოლო ტფილისის შემოგარენში უსიხარულოდ შემოგვეგება ზამთრის სურათი მარტის თოვლით, ჩემმა ახალგაზრდა თანმხლებმა ამოიოხრა: „დაგვეცადა სიმფეროპოლში გაზაფხულისთვის! იქ ისე თბილა, მშრალად და კეთილმოწყობილად ვიყავით! რაც შეეხება ენტომოლოგიასა და ბოტანიკას, მეშინია, რომ მათ შესვენების დღეები დაუდგება".

ჩემი უგუნებო უნგრელის მოთქმა მიჩუმდა, როცა ბინდში მივაღწიეთ ტფილისის გარეუბანს და წინასწარ ვიგრძენით აუწერელი გავლენა იმ ფერადი მხატვრობისა, რაც მხოლოდ მეორე დილას უნდა წარმოგვდგომოდა მთელი სიმშვენიერით. ამ წუთს საჭირო იყო მხოლოდ ჭერი, მშრალი სათავსი ყოველგვარი ზანდუკებისა და ყუთებისათვის, რაც აღმოსავლეთში მოგზაურობისას ასეთი საწვალებელია, ხოლო ბუნების მკვლევარისათვის კი აუცილებელი. ჩემი სარეკომენდაციო წერილები ტფილისში ეგზავნებოდა წარჩინებულ რუს ბატონებს (მმართველებს), რომელთაც არ უნდა გაძნელებოდათ ბინის მოცემა. რუსული სასტუმრო უცხოებით იყო დაკავებული. სხვა მოგზაურები, მათ შორის პატივცემული შვეიცარიელი დიუბუა, იმყოფებოდნენ

ბ-ნ **ზალცმანთან,** მდიდარ გერმანელ მოახალშენესთან, რომელსაც ტფილისის გარეუბანში, რიყეზე (Sand-ქვიშა) რამოდენიმე მშვენიერი სახლი ჰქონდა. სწორედ მასზე გამაფრთხილა მე ყირიმში ერთმა მეგობარმა „ზალცმანი ინტრიგანია, გამძრომი, ორდენებზე მონადირე. ჩინი რომ მიიღოს, საითკენაცაა მთელი მისი პატივმოყვარეობა მიმართული, მზადაა იმსახუროს საიდუმლო პოლიციაში. მას არ აქვს გერმანული გული; მისი ყოველი სისხლის წვეთი გარუსებულია". მას რომ მოვრიდებოდი იმდენჯერ გამაფრთხილეს დაბეჯითებით, რომ განმაწყეს უცნობი ადამიანის წინააღმდეგ და ჩემი პრინციპის საპირისპიროდ უნდო გამხადეს.

რუსული სასტუმროს ახლოს, სადაც ჩემი ეტლი გაჩერდა, კოხტა, მართალია ძველმანებში, მაგრამ ყოველთის მხატვრულად მორთულ ქართველებსა და სომხებს შორის თვალში მომხვდა მძიმე აღნაგობის კაცი, რომლის ტანი ტიკს წააგავდა, ან კრაზანას; იგი თავისი დაუდევარი ჩასაცმელით მაგონებდა თანამემამულეს. ამ კაცის მსუქან, ფლეგმატურ, კეთილ სახეში შევიცანი სამხრეთ გერმანელი. ეს კაცი იყო პატივდებული ხარატი, დაბადებული ვიურტემბერგის პატარა ქალაქში; იგი უკვე ოც წელზე მეტია ცხოვრობდა აღმოსავლეთში რუსეთის მფარველობის ქვეშ. როგორც ერთადერთმა ევროპელმა ხარატმა ტფილისში, მან თავისი ხელობისათვის (ფუფუნების საგნებზე) მონოპოლია მოიპოვა — ამზადებდა საშუალო ხარისხის ძვირ საქონელს. ხის, რქისა და სპილოს ძვლისაგან დამზადებული მშვენიერი საგნების გარდა, მან გამოჩარხა აგრეთვე ნაკლებ ლამაზი სახეები ექვსი ქერა ბავშვისა, რომლებიც სხეულის სიმრგვალით, ჯანმრთელობის მფრქვევი სახის ფერით, მადითა და ფლეგმატურობით ისე გავდნენ მსუქან ხარატს, როგორც ბოსელში გოჭები მამა-ღორს. ამ კარგ კაცს შევჩივლე ჩემი გასაჭირი; თავისი ოჯახის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, დამთანხმდა ოთახი დაეთმო ჩემთვის და ჩემი უნგრელისათვის, როგორც შინაურებისთვის (ალბათ სწორედ ოჯახის წევრთა ამ სიმრავლის გამო აკლდა ნაღდი ფული).

იმავე საღამოს, როგორც კი მოვეწყვეთ, როცა ყველაფერი დავალაგეთ, წვერიანი ფოსტალიონი (მეეტლე) ფულითა და შნაპსით დავასაჩუქრეთ, ჩვენი საკუთარი კუჭი კი ფლავითა (Pilaf) და ქაბაბით (Kewab) მოვამაგრეთ, გავედით მარტის თოვლიან საფარზე

ტრანსკავკასიის დედაქალაქში სასეირნოდ. კაცს, რომელიც საკმაო ხნითაა ნამყოფი აღმოსავლეთში და უნახავს მისი ასობით ქალაქი, აღმოსავლეთის გარეგნული გამოვლინებისადმი, მისი ჭრელი, მდიდრული ჩაცმულობისადმი, ხალხის სილამაზისა და მათი გარეგნული ფორმების სიმშვენიერისადმი ცნობისმოყვარე ინტერესი ოდნავ მოუდუნდება; მაგრამ აქ მაინც იმდენია სანახავი და უცხო — ნახევრად სპარსული, ნახევრად აღმოსავლურ-ქრისტიანული ხალხის ხასიათში, მის მოყვანილობაში, ჩაცმასა და ჩვევებში — და ყოველივე ეს ჩემთვისაც იმდენად ახალი იყო, რომ მე ისევე თვალებდაჭყეტილი შევცქეროდი, როგორც ჩემი წინამორბედნი, რომელთაც აღმოსავლური სანახაობანი ალბათ ჩემზე ნაკლები ნახეს. ღამის დადგომამ ჩვენს პირველ ცნობისმოყვარე გასეირნებას უეცრად დაუსახა მიზანი.

ტფილისს ჯერ სრულებით არ აქვს გაზის განათება, რაც მისი კლდოვანი პანორამის გრანდიოზულ სურათს და მოსახლეობის თეატრალურ ზიზილ-პიპილებს ისეთ ჯადოსნურ შუქზე გვიჩვენებდა, რაც (შუქი-გ.გ.) პარიზისა და ვენეციის ქუჩებისა და მოედნების ღამის ცხოვრებას უფრო მეტი ბრწყინვალებით, უფრო ზღაპრულად წარმოგვიდგენს, ვიდრე დღისით. ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ასეთი ეფექტური სიახლის შეტანას თავის აღმოსავლეთის პროვინციებში რუსთაგან უფრო ადრე უნდა ელოდონ, ვიდრე სამართლიანი, განათლებული და მოუსყიდველი მმართველობის დაწესებულებების შექმნას. გაზის განათებისათვის საჭიროა მხოლოდ საკმაო თანხა ვერცხლის მანეთებში, რომლის გასაცემადაც ფუფუნების მოყვარე რუსი დიდებულები ნაკლებ გაჯიუტდებიან. ინტელიგენციის შეგნებულობა, ჰუმანურობის, პატრიოტიზმისა და ღირსების გრძნობის ცეცხლი რომ დაანთო რუსი მოხელეების (ჩინოვნიკების) გულებსა და თავებში, ამისთვის ზემოდან მომდინარე ძალა და კეთილი სურვილები არ კმარა, მაშინაც, თუ ეს უკანასკნელი უაღრესად მაღალი ხარისხითაა წარმოჩენილი, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

მეორე დილას ცას ჯერაც მთლიანად არ ჰქონდა მოხსნილი თავისი მღვრიე-ნაცრისფერი მოსასხამი, რომ მზემ, როგორც აღმოსავლეთის ნამდვილმა დედოფალმა რამოდენიმეჯერ ლამაზად გამოანათა ბოლქვად შეკრებილი ღრუბლების ნაპრალებიდან. მე ავედი ახლოს მდებარე კლდეებსა და ბორცვებზე, რათა მომეძებნა სასურველი ადგილი

ქალაქზე გადმოსახედად. ასეთი ადგილები ტფილისის შემოგარენში საკმაოდ მრავლადაა; მე მაინც ყველაზე მისაღებად ჩავთვალე– მერგელოვანი ფიქალისგან შემდგარი გორაკი, რომელიც აღმართულია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ახალ ქალაქში, ე.წ. რიყის (Sand) თავზე. ამ გორაკს აგვირგვინებს ყვითლად შეღებილი სვეტებიანი ყაზარმა. აქედან საქართველოს დედაქალაქს ისევე სრულყოფილად სწვდება თვალი, როგორც წმ. პიეტრო დი მონტარიოდან მსოფლიო ქალაქ რომს...თავისი ამფითეატრისებურად შეფენილი სახლები, ციხეები, ეკლესიები, სამლოცველოები და სასახლეები, ასევე მძლავრი მდინარე (მისი წყალი არც ლაჟვარდოვანი ცისფერია, არც ზურმუხტოვანი მწვანე, არამედ არაესთეტიკური ტალახისფერი), რომელიც სწრაფი დინებით კვეთს ქალაქს. ყოველივე ეს ისეთ სახეს აძლევს ტფილისს, რომლისთვისაც ლანდშაფტების მხატვარი არ დაინანებს რამდენიმე ასეული მილი გამოიაროს. საქართველოს დედაქალაქი ქვაბშია მოქცეული, მაღალი, შიშველი და თითქოს ციცაბი მთების მიერ, რომლებიც აღმოსავლეთით მტკვარს უტოვებენ საკმაო ვიწრო გასასვლელს; ჩრდილოეთით კი ფართედაა გაშლილი და წარმოგვიჩენს კავკასიონის მაღალი ალპური ქედის დიდებულ შორეულ ხედს. თამამად წამომართულა ამ ქედის შუაგულში აქლემის კუზის ფორმის მძლავრი ყაზბეგი, როგორც გოლიათი ყინულის დევებს შორის, რომლებიც თავისი უზარმაზარი თოვლის ტვირთით ღრუბლების სამყაროში აზიდულან. ქალაქის ამფითეატრი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ჯერ თანდათან, შემდეგ უფრო შვეულად ადის მაღლა. წინა მხარეს, მდინარის მარცხენა ნაპირზე ვრცელდება ნაწილობრივ გერმანელი ხელოსნებით დასახლებული წინაქალაქი — ავლაბარი, რომელიც სავსეა საზიდრებით, სავაჭრო ფუთებით და მორებით (ამათგან ტივებს კრავენ). მტკვრის იქითა მხარეს წყნარად შეფენილან ძველი ქალაქის სახლები. ბევრ საცხოვრებელს ნაცვლად ხის სახურავისა აქვს ტერასები, რომლებზეც ბალახი იზრდება.

ხანდახან შეამჩნევ მოსასხამშემოხვეული ქართველი ქალის დიდებულ ფიგურას, რომელიც რომაელი ქურუმ ქალების ქანდაკებას ჰგავს... ქალაქს დაბალ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ახალი საზოგადოებრივი და კერძო სახლები ქმნიან მწყობრ ფასადს. სახურავები ხშირად შეღებილია, ჩვეულებრივ მწვანედ და წითლად; თვით სახლების

ფერი — ჩალისფერი ყვითელი, ჩანს, რუსებისთვის ყველაზე საყვარელია. რამდენადაც ეს მკაფიო ფერი ახლოდან ნაკლებად მოსაწონია, იმდენად შორიდან ლამაზად და სასიამოვნოდ ბრწყინავს, განსაკუთრებით იქ, სადაც თანამედროვე რუსული შენობები დგანან სომხურ და ქართულ უშნო ყავისფერ სახლებს შორის. ყველაზე დიდი და წარმოსადეგი ამ ახალ შენობათაგან, რა თქმა უნდა, ყაზარმებია. ისეთ დიდ სალდათურ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, ჯარისკაცთა სახლები ყველაზე მეტადაა საჭირო, რათა შეინარჩუნონ გაბატონებული სისტემა; მათი ნათელი, ერთგვაროვანი კედლები ყველგანაა აზიდული, სადაც კი რუსული არწივი იბუდებს, იმაზე უფრო ადრეც კი, ვიდრე თალოვანი გუმბათები ბერძნულ-რუსული სალვთო სახლებისა (ეკლესიებისა), რომელთა მღვდლები, ხიშტებისა და ბიუროკრატიის შემდგომ, ამ რუსული სისტემის სოლიდურ საყრდენს წარმოადგენენ. რუსი გენერალ-გუბერნატორის სახლი, რომელიც დგას ძველი ქართველი მეფის სასახლის ადგილას, არ გამოირჩევა ფუფუნებით (მდიდრულობით), რაც შეეფერებოდა იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელიც შეუზღუდავად ფლობს ისეთ სივრცეს, რომელიც გერმანიასა და საფრანგეთს ერთად აღებულს აღემატება. ძველი შენობებიდან ეკლესიები გამოირჩევიან სიდიდითა და, უფრო მეტად საოცარი, ვიდრე მხატვრული ფორმებით. გუმბათები არაა თალოვანი, არამედ კონუსისებრად წაწვეტებული — დამახასიათებელი სომხურ-ქართული სამშენებლო სტილისათვის. ირგვლივ მდგომ დაბალ სახლებზე ზეაღმართულნი მბრძანებლურად, ეს გუმბათები გვანან კოშკებს; ჭრელი ფერები, რომლითაც ისინია შეღებილი, არანაკლებ უწყობენ ხელს უცხო და იშვიათ (და არა არქიტექტონურად მშვენიერ) ქვის ფიგურებს, რომ თვალში ნათლად მოხვდნენ.

რაც უფრო მაღლა ადის დასახლება სოლოლაკის მთის ფერდზე, მით უფრო დიდებულია დეკორაცია ნაგებობათა ფორმების მრავალფეროვნებით.

ციხეები და ყაზარმები, ეკლესიები და სამლოცველოები, ბაზარი და ქარვასლა — ყოველივე თავისი გამორჩეული სიდიდით, ასევე ქალაქის დიდი ნაწილის ამფითეატრისებური განლაგება განსაკუთრებულ წარმტაც ზემოქმედებას ახდენენ.

როდესაც ძველი მსოფლიოს ქალაქებს, განთქმულთ თავისი მშვენიერი მდებარეობით, როგორიცაა კონსტატინოპოლი, გენუა, ნეაპოლი,

ბრუსა, პრაღა, ზალცბურგი, ალჟირი და ა.შ., სადაც დიდი თუ მცირე ხნით მიცხოვრია, ვადარებ ქართული დედაქალაქის სურათს, ტფილისს არ ჩავაყენებდი ბოლო რიგში. ტფილისს აკლია კონსტანტინოპოლისეული შეუდარებელი პანორამის მრავალფეროვნება.., არ აქვს ნეაპოლისეული მომაჯადოებელი ყურე-ნაპირი თავისი ცეცხლისმფრქვევი მთით.., არ აქვს აგრეთვე ბრუსასებრი ოლიმპიური სიმდიდრე მცენარეულისა და დიდებული კოშკების სიუხვე; სამაგიეროდ თავისი კლდეთა სარტყლის სერიოზული სიმშვენიერე, უცხო, ჭრელი მრავალფეროვნება აღმოსავლური და ევროპული შენობებისა, რომლებიც ველური მთის მდინარის მაღალ ნაპირებს ამშვენებენ, ასევე საკმაოდ მომაჯადოებელი ხედები — დეკორაციის დიდებული ბრწყინვალებით აჭარბებს საუცხოო პრაღას, რომელიც ერთგვარად ჰგავს ტფილისს და გერმანიის სახელმწიფოს ქალაქებს შორის ტოლი არ ჰყავს.

სანამ ამ ზედაპირული მიმოხილვიდან (რომელიც როგორც ჩემი პირველი ექსკურსიის შთაბეჭდილება, ისე შევიტანე დღიურში) გადავალ ქალაქისა და მისი მოსახლეობის უფრო დაწვრილებით აღწერაზე, აღვნიშნავ, რომ მე იქ უფრო ხანგრძლივად დავრჩი, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა რომელიმე მხარეში. ტფილისში დავიდე ჩემი მთავარი ბინა, ავირჩიე ის ჩემი სამეცნიერო მონაპოვარის (კოლექციის) საწყობად, ჩემი სხვადასხვა მოგზაურობების საწყის პუნქტად, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, კავკასიონსა და არმენიის ძველ ვულკანურ მასივებს შორის მისი მოსახერხებელი ცენტრალური მდებარეობის გამო, საიდანაც შემეძლო ექსკურსიების მოწყობა ყოველი მხრივ. სულ რამდენიმე დღეში ჩავა კაცი ტფილისიდან არარატის მთებამდე, ბაქოს მუდმივ ცეცხლამდე აფშერონის ნახევარკუნძულზე, ოსეთის ალპებამდე და შავ ზღვაზე მდებარე კოლხურ სამოთხემდე. ამას გარდა, საფოსტო კავშირის, სამეცნიერო კოლექციების ტრანსპორტირების და განათლებულ ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით მსგავსი უპირატესობა არცერთ პუნქტს არ აქვს. ამიტომ გადავწყვიტე მთელი ზაფხული აქ გავჩერებულიყავი და ცხოველების, მცენარეებისა და ნამარხის შეგროვებისათვის საჭირო მძიმე სამუშაო ჩემს ახალგაზრდა თანმხლებთან ერთად გამენაწილებინა, რომელსაც სურდა თავისი ექსკურსიების სხვა მიმართულებით მოწყობა.



K 245337 ³
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ-გუბერნატორი ბ-ნი **ფონ ნაიდჰარდტი,**[2] რომლისთვისაც უნდა გადამეცა ოფიციალური სარეკომენდაციო წერილები, ისეთი სითბოთი შემხვდა, როგორის ნებასაც აძლევდა მას მისი რუს-გერმანელის ძველი ინსტრუქტორის მშრალი და პედანტური ხასიათი. ის იყო პატიოსანი, პირდაპირი ადამიანი, სრულებით შეუბღალავი რეპუტაციის, სამართლიანი და მკაცრი, დაჯილდოებული პრაქტიკული ნიჭით, ამასთან არცთუ გამორჩეული ჭკუის, არ ჰქონდა უმაღლესი პოლიტიკური განათლება, არ იყო შორსმჭვრეტელი, ადამიანთა მცოდნე; იგი არ იყო **ერმოლოვის**[3] მსგავსი დიდებული პიროვნება, მაგრამ ჯობდა თავის ორივე უშუალო წინამორბედს — **როზენსა**[4] და **გოლოვინს**[5]. ბ-ნი ნაიდჰარდტი, რამდენჯერაც კი შევხვდი, ყოველთვის მეგობრულ მონაწილეობას იღებდა ჩემ საქმიანობაში და სიამოვნებით მისრულებდა მოკრძალებული სურვილების უმრავლესობას. მისგან მე მივიღე შემდგომი რეკომენდაციები (დარიგებანი); ასევე ჩემს განკარგულებაში რამოდენიმე კაზაკი მომცა მომსახურედ და თანმხლებად. მე არ მაქვს არავითარი საბაბი, დავიჩივლო მისი მხრიით უყურადღებობაზე, ასევე არ მაქვს საფუძველი აშკარად ვიმსჯელო ადამიანზე, რომელიც დღეს მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაღაა[6].

გენერალ-გუბერნატორმა დაავალა ბ-ნ **ფრიდრიხ ფონ კოცებუსა** და **სომეხ აბოვიანს** ჩემი ტფილისში ყოფნის მანძილზე დამხმარებოდნენ საქმითა და სიტყვით. ამას გარდა, პირველივე დღეებში გავიცანი ძალზე სასიამოვნო თანამემამულენი, კარის ექიმი (ლეიბ-მედიკი) დრ. **ნოტი** და ბ-ნი **ჰაკე** ჰამბურგიდან, რომელიც, როგორც ბ-ნ ფონ ნაიდჰარდტის მრავალრიცხოვანი შვილების აღმზრდელი, მის ოჯახში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. გენერლები ფონ კოცებუ და **ესპეხო** (Espejo), დონელ კაზაკთა გენერალი, სამოქალაქო გუბერნატორი, ფრანგი კონსული უარს არ მეუბნებოდნენ თავაზიან დახმარებაზე. ამგვარად, მე ყველა უფლება მქონდა, მოხარული ვყოფილიყავი აქაური მიღებით. დღისით დავსეირნობდი ქალაქში და

---

[2] გენერალ-ადიუტანტი ნაიდჰარდტი კავკასიის მთავარმართებელი და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი იყო 1842-1844 წლებში.
[3] ერმოლოვი კავკასიის მთავარსარდალი და მთავარმართებელია 1816-27 წწ.
[4] ბარონი როზენი მთავარმართებელი და მთავარსარდალია 1831-37 წლებში.
[5] გოლოვინი მთავარმართებელი და მთავარსარდალია 1837-42 წლებში.
[6] ნაიდჰარდტი გარდაიცვალა 1845 წელს.

მის შემოგარენში, ხშირად მარტო, ზოგჯერ კი სომეხი აბოვიანის თანხლებით, რომელიც გერმანულს თავისი მშობლიური ენასავით ფლობდა. მადლობელი ვარ ყველა ზემოჩამოთვლილი პიროვნებისა, არა მხოლოდ მეგობრული პატივისცემის, არამედ მრავალჯერადი რჩევა-დარიგებისათვის; განსაკუთრებით მადლობელი კი — ბ-ნი აბოვიანის, რომელმაც საშუალება მომცა სხვადასხვა ეროვნებათა შვილებს გავცნობოდი. თუ მე აქ რაიმეს ვრცლად ვსაუბრობ ტფილისსა და მის მოსახლეობაზე, ეს უნდა მაპატიოს ამ ქალაქის დიდმა პოლიტიკურმა და გეოგრაფიულმა მნიშვნელობამ. ცხადზე უცხადესია, რომ მისი უფრო დიდი როლი მომავალშია (ვიდრე ეს წარსულში ჰქონდა): აქედან წარიმართება რუსული არწივის წარმატებითი ლაშქრობა სპარსეთისა და აზიური თურქეთის დასაპყრობად.

ტფილისი თავის წარმომავლობას უმადლის განთქმულ თერმულ წყაროებს; ისინი დიდი რაოდენობით ამოდიან მიწიდან მთის ნაკადულის — წავკისის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც შიგ ქალაქში ერთვის მტკვარს. როგორც ცნობილია, აღმოსავლელებს ასეთი ბუნებრივი თბილი წყაროებისადმი აქვთ მეტი სიყვარული და უფრო მტკიცე რწმენა მათი სამკურნალო ძალისადმი, ვიდრე ევროპიელებს. ამ წყაროების გამო დაერქვა ადგილს „ტფილის" (აქედან დღევანდელი სახელიც), რომელიც თავდაპირველად ალბათ მხოლოდ სამიკიტნოებისა და აბანოებისგან შედგებოდა. ქრისტეს აქეთ 380 წლამდე ტფილისი იყო უმნიშვნელო სოფელი. ამ ხანებში სპარსელმა გუბერნატორმა ვარაზ ბაკურმა დაიმორჩილა ზოგიერთი ქართული საგვარეულო და მტკვრის ხეობამდე შემოიჭრა; მან, გაოცებულმა ამ წყაროთა რომანტიული მდებარეობით, იქ ააშენა მტკიცე სასახლე (სიმაგრე). სამოცდაათი წლის შემდეგ ქართველმა მბრძანებელმა ვახტანგ გორგასლანმა თვით ქალაქი დააარსა და დაყო სამ ნაწილად: **კალა** (Kalissi) — გამაგრებული ქალაქი, **ტფილისი** — ქალაქის ნაწილი, სადაც აბანოები იყო, და **ისანი** (Nissani), დღევანდელი გარეუბანი (წინაქალაქი). ამასთან, ქართველი მეფის სახლი ძველ რეზიდენციაში — მცხეთაში დარჩა 499 წლამდე, როცა მეფე დაჩიმ — ვახტანგის ვაჟმა — თავისი საჯდომი ტფილისში გადმოიტანა. შემდგომი 13 საუკუნის მანძილზე ამ ქალაქის ბედი მრავალჯერ შეიცვალა — იყო ბრწყინვალეც და უბედურიც, აყვავებულიც და აოხრებულიც. სპარსელთა,

თათართა, თურქთა ჯარები, ველური ლეკური ბანდები ხშირად ესხმოდნენ მას თავს, ხელთ იგდებდნენ, ძარცვავდნენ და ანგრევდნენ. დიდმა დამპყრობელმა თემურმა ქალაქი თავისი მეომრების რისხვის ანაბარა დატოვა. უფრო საშინელი იყო მისი ბედი 1795 წელს, როცა საზიზღარმა ბარბაროსმა აღა-მაჰმად ხანმა სპარსელების, ქურთებისა და თათრების მეშვეობით ხელთ იგდო ქართველ მეფეთა ქალაქი და ცეცხლითა და მახვილით ნაცრად აქცია მისი უდიდესი ნაწილი. რუსთა ტფილისში დამკვიდრების შემდეგ იგი, მართალია, დაცულია შემოსევათაგან და დაისვენა და დამშვენდა, მაგრამ დამღუპველი რუსული საბაჟო კანონები მოსახლეობის კეთილდღეობას კიბოსავით ვნებს, რომლის შედეგებიც მას ძალას აცლის და კლავს (ახმობს).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აღმოსავლური და ევროპული შენობები (არქიტექტურა) ქალაქს აძლევს მალზე მრავალფეროვან იერს. ცნობილია, რომ აღმოსავლელებს უყვართ ვიწრო და ჩრდილიანი ქუჩები, რუსებს კი პირიქით. ეს კონტრასტები ტფილისში ბევრგან გვხვდება. ყველგან, სადაც რუს მშენებლებს უღვაწიათ, არის სივრცე, ჰაერი, მზე და თავისუფალი ხედი; ხოლო, სადაც კი ძველი შენობები ხელუხლებლად დარჩა, ქუჩები და მოედნები ვიწროა და ბნელი, თუმცა არც იმდენად, როგორც ეს მუსულმანურ ქალაქებშია. ქუჩათაგან არცერთი არაა საგანგებოდ აღსანიშნავი. მოედნებს შორის, თავისი სივრცით და მშვენიერი ხედით მტკვრის ხეობასა და კავკასიონის მაღალი ქედებისკენ, ერთგვარად გამოირჩევიან თანამედროვე შენობებით ნაწილობრივ შემორკალული თავრიზისა და ერევნის მოედნები.

ყველაზე ღირსშესანიშნავია ბაზრის მოედანი, რომელზეც უნდა გაიარო, ძველიდან ახალ ქალაქში რომ მოხვდე. მისი ფართი არ ყოფნის ბაზრის მსურველთა წარმოუდგენელ სიმრავლეს — ესენია სომხები, ქართველები, თათრები, ოსები, სპარსელები, ლეკები, რუსები და გერმანელი კოლონისტები. ამ ჯგუფებს თუ შეერევი, გაიგებ სულ სხვადასხვა ენებზე საუბარს — თვით მეღერ ესპანურზეც კი ლაპარაკობენ აღმოსავლელი ებრაელები. ყველაზე უცხოდ (იშვიათად) ჟღერს ყაზი-ყუმუხის ენა, რომელიც თავისი ღრმა ხორხისმიერი ბგერებით და ევროპელისათვის შეუდარებელი ენის წკლაპუნით მთის ხალხთა ველურ და მყვირალა ხმებშიც გამოირჩევა. საერთო იდიომი, რომელსაც ტრანსკავკასიაში ეს განსხვავებული ხალხები ერთმანეთთან ურთიერთო-

ბისთვის ხმარობენ, არის თათრული. ჩემ თანმხლებს თურქული ენის ცოდნა უადვილებდა უშუალო ურთიერთობას ადგილობრივებთან. მე მხოლოდ რუსული ენით ვიფარგლებოდი, როცა რაიმეს ვყიდულობდი. ეს უკანასკნელი იმდენადაა მაინც გავრცელებული, რომ თვით ლეკებსაც ესმით რუსული რიცხვითი სიტყვები და რუსული ფულის სახელები.

ცნობილმა მოგზაურმა მიუნხენიდან — ჰალბერგმა, რომელიც ჩემთან ერთად ხშირად ნახულობდა ამ საბაზრო მოედანსა და წარმოუდგენელ ჭყლეტას, და ინტერესითა და გაოცებით უყურებდა სხვადასხვა კოსტუმებში გამოწყობილ არაჩვეულებრივად მხატვრულ ფიგურებს, აქლემებს, უცხო საქონელს და ნაირნაირ საბაზრო სცენებს, ერთხელ თქვა: რომ, არსად, გარდა კაიროს ბაზრისა, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში სხვადასხვა ხალხების ასეთი მიმზიდველი აღრევა არ უნახავს. ყურადსაღებია, რომ თითოეულ ამ ხალხთაგანს თავისი გარკვეული პროდუქტი მოაქვს ბაზარში. ახლო შემოგარენის ქართველებს მოყავთ შინაური ფრინველები; კავკასიელ მთიელებს — ნანადირევი და ტყავეული; ახალტფილისის, ალექსანდრესდორფისა და ელიზაბეტტალის გერმანელ კოლონისტებს შემოაქვთ ბოსტნეული და კარტოფილი, რაც მათ ჩამოსახლებამდე საქართველოში თითქმის უცნობი იყო. სომეხი ვაჭრები მყიდველებს სთავაზობენ უხეშ ნაჭრებს; ლეკები — ნაბდებს; თათრები — ცხენებს; რუსი სალდათები კი — ნახმარ ტანსაცმელსა და ჩექმებს.

ქუჩას, რომელსაც ბაზრიდან თავრიზის მოედნამდე მივყავართ, ჰქვია „დიდი" (Gzoße). ის არის ტფილისის მთავარი ქუჩა, რომელიც არც სიგანითა და არც სილამაზით არ შეეფერება ძველ სამეფო რეზიდენციას. ვიწრო და უსუფთაო დუქნების გრძელ რიგს უკავია სახლების ქვედა სართულები. ქართველი და სომეხი ხელოსნების დიდი ნაწილი პირდაპირ აქვე ამზადებს ღია დუქნებსა თუ ქუჩაში. ხელოსანთა შორის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება მკერავები, მეწაღეები (ხარაზები), მეუნაგირეები, დალაქები, იარაღის ოსტატები. უცხო ყურადღებას ყველაზე მეტად იარაღის დუქნები იქცევენ. ხანჯლების, ხმლების, დამბაჩებისა და თოფების მდიდრული არჩევანია, როგორც ქართული, ისე კავკასიური გემოვნების მიხედვით. ხმლის პირები ხარისხით არაფრით ჩამოუვარდებიან შირაზისა და დამასკოს განთქმულ ფოლადს, ხოლო ოქროთი, ვერცხლით, ფოლადითა

და ხავერდით მდიდრულად მორთული ქარქაშები მეტ ფუფუნებას ამჟღავნებენ, ვიდრე სპარსული და თურქული.

ამ მთავარი ქუჩის გარდა ერთ პატარას მოვიხსენიებ, რომელიც საბაზრო მოედნიდან მიემართება, ძალზე ვიწრო და უსუფთაოა და სავაჭრო დუქნებისა და სახელოსნოების მაგივრად ორ რიგადაა განლაგებული ბნელი, კვამლიანი სამზარეულოები (სამიკინტოები?), სადაც ჩვეულებრივ ბაზრის უცხო სტუმრები და ადგილობრივი ღარიბი ფენები მიირთმევენ.

ერთი სტატისტიკური მონაცემით ტფილისში 3662 სახლია, ამათგან 37 მთავრობისაა, 572 ეკლესიის (სასულიეროსი), ხოლო დანარჩენი საკუთარია. ადგილობრივთაგან ყველაზე დიდი სახლების მფლობელები მეტწილად სომეხი ვაჭრები არიან. დიდი და შემოსავლიანი შენობებიდან ყველაზე მეტად აღნიშვნის ღირსია ბაზარი და ქარვასლა. ბაზარი, რომელიც მოთავსებულია ქალაქის ყველაზე დასახლებულ ნაწილში — ბაზრის მოედანსა და მთავარ ქუჩას შორის, მართალია, სიდიდითა თუ საქონლის მრავალფეროვნებით კონსტანტინოპოლისას არ შეედრება, ასევე თავრიზისას — ხალისითა და გასართობი სახალხო სცენებით,მაგრამ ამ ბაზარს იმათგან განსხვავებით გარკვეული სიკოხტავე (მოხდენილობა) აქვს, რომელიც მას რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ უნდა მოეპოვებინა. ასევე არ შემცირებულა მდიდრული ნაწარმი (საქონელი) ქართული სამეფო დინასტიის დასრულების შემდეგაც. აბრეშუმის ნაჭრების, შალეულის, ხალიჩების და ა.შ. არჩევანი ნაკლებია, ვიდრე სტამბოლსა და თავრიზში. მაგრამ გვხვდება სპარსულ-ინდური წარმოების ისეთივე ნარჩევი და დიდებული საგნები, რომელთა დამზადების სურვილიც ერთნაირად იზიდავს ფუფუნების მოყვარე რუს დიდებულებსა და ადგილობრივ ქართველ წარჩინებულებს (თავად-აზნაურობას). როცა ამ ბაზრში დადიხარ (მას პარიზულ გასასვლელებთან საკმაო მსგავსება აქვს), თავისი დუქნების კარებთან მსხდომი სომხები რუსულად აბეზრად გიხმობენ. არაჩვეულებრივი განსხვავებაა ამ უაღრესად თავაზიან, ყოველთვის მოძრავ და ყბედ (ლაპარაკის მოყვარულ) ტფილისელ ბაზრის ვაჭრებსა და დინჯ, მედიდურ (ზვიად), მოუქნელ და მდუმარე, თავის ბალიშზე მორთხმულ კონსტანტინოპოლელ თურქ მედუქნე-ვაჭრებს შორის. ჩანს, რომ მხოლოდ ჰავა და ყოფა არ განსაზღვრავს ხალხების

ტემპერამენტსა და ხასიათს. მაშინ აუხსნელი იქნებოდა მკვეთრი კონტრასტი ორ ხალხს შორის, რომლებიც ერთიდაიმავე ზოლში (მხარეში) ცხოვრობენ.

ტფილისის საქარავნო შენობა (ქარვასლა) სივრცითა და მოცულობით მხოლოდ ოდნავ თუ ჩამოუვარდება სპარსეთისა და თურქეთის უდიდესი სავაჭრო ქალაქებისას, ხოლო ასეთი დიდი სისუფთავე, ასევე სვეტებიანი დარბაზების დიდებულება (ფუფუნება) აღმოსავლეთის არცერთ სხვა ქალაქში ჩვენ არ შეგვხვედრია. რაც არ უნდა მძიმე იყოს რუსული პოლიციის გავლენა მრავალ საქმეში, საზოგადო შენობებისა და დაწესებულებების მოწყობის, სისუფთავისა და მოვლის (კარგად შენახვის) მხრივ მათმა ჩარევამ ტრანსკავკასიის ბევრ ქალაქს მაინც უფრო მეტი სარგებელი მოუტანა, ვიდრე ვნება.

ტფილისში 42-მდე ეკლესიაა, რაც უზომოდ დიდი რიცხვია მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით. ამათგან გრიგორიანელ სომხებს ეკუთვნით 23, ბერძნული რწმენის ქართველებს — 12, რუსებს — 4, ჩვეულებრივ ბერძნებს — 2, კათოლიკე სომხებს მხოლოდ ერთადერთი. სიონის კათედრალი, აშენებული სუფთა ქართულ სტილში, რუსული ღვთისმსახურებისთვისაა განკუთვნილი და მორთულია მთელი ფუფუნებით, როცა რუსულ-ბერძნული (მართმადიდებლური-გ.გ.) ეკლესიებისთვის ყველგანაა დამახასიათებელი, თვით კზაკთა სტეპიან მხარეებშიც. ამ ეკლესიის დაარსება (აგება) VI საუკუნეს განეკუთვნება. მოგვიანებით, ქართველი მეფის გურამის დაარსებული ტაძარი სპარსელებმა დაანგრიეს და მხოლოდ მე-18 საუკუნის დასაწყისში აღადგინა ხელახლა ვახტანგ V-მ[7].

წყობითა და სიძველით კათედრალზე უფრო აღსანიშნავია მეტეხის ეკლესია, რომელიც უკვე 455 წელს გაჩნდა, ტფილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასლანის დროს[8]. ეს ეკლესია აგვირგვინებს გორაკს ახალი ციხის ზემოთ, ქალაქის ნაწილის — ისანის შუაგულში. ქართლის მაჰმადიანი მფლობელის შაჰ-ნავაზ-ხანის მიერ ეს ანტიკური ეკლესია თოფისწამლის საწყობად გადაიქცა და მხოლოდ მე-18 საუკუნის

[7] ცხადია, ვახტანგ VI უნდა იყოს. სიონის განახლებას გვამცნობს მისი წარწერა ამოჭრილი 1710 წელს — გ. გ.

[8] მეტეხი კვლავ აგებულია XIII ს-ის 80-იან წლებში — გ. გ.

ბოლოს მეფე ერეკლემ დაუბრუნა ის საეკლესიო მსახურთ, მას შემდეგ, რაც ძალზე დაზიანებული შენობა შეაკეთებინა (აღადგენინა).

გრიგორიან სომეხთა მთავარი ეკლესია — მოღნისი — თავისი სიძველით, სიდიდითა და შიდა მოწყობილობით დასახელებულ ეკლესიებს ჩამოუვარდება.

კათოლიკური ეკლესია, რომელსაც საქართველოში ჩემი ყოფნისას ემსახურებოდნენ კაპუცინელები, მიუხედავად მრევლის წევრთა სიმცირისა, შიგნით გემოვნებითა და გარკვეული ფუფუნებითაა მორთული. ჯერ კიდევ 1661 წელს დააარსეს ეს ეკლესია კათოლიკე მისიონერებმა. როცა სპარსელმა დამანგრეველმა აღა-მაჰმად-ხანმა ქართული სამეფო რეზიდენცია ხელთ იგდო, ამ ეკლესიამაც გაიზიარა დანარჩენი ქრისტიანული ეკლესიების ბედი — განადგურდა. იგი მხოლოდ საქართველოს სპარსთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ აღსდგა ხელახლა. კათოლიკე მღვდლები 1845 წლამდე (რუსული მმართველობის დროსაც) ხარობდნენ იმ მფარველობით, რაც მათ ქართველმა მეფეებმა მათი სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად საუკუნეზე მეტის წინ უბოძეს. 1845 წლის გაზაფხულზე კი იმპერატორის ბრძანებით ეს მღვდლები უცბად გააძევეს ქვეყნიდან; მიუხედავად იმისა, რომ ესენი დროს აჭიანურებდნენ და ჯიუტად ამტკიცებდნენ ტრანსკავკასიაში თავიანთი ჩამოსახლების კანონიერებას და მიუთითებდნენ რომის ტახტის მხარდაჭერაზე, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით კაზაკთა თანხლებით, საკმაოდ უხეშად (პირუტყვულად) მიათრიეს უახლოეს ნავსადგურთან და იქ ძალით არეკეს ტრაპეზუნდისკენ მიმავალ გემზე. მათმა სულიერმა კოლეგებმა გორსა და ქუთაისში იგივე ბედი გაიზიარეს. ამ უხეშ და უსამართლო საქციელს ორმაგი გაოცება უნდა გამოეწვია ისეთ მთავარმართებელში, როგორიც ბ-ნი ფონ ნაიდჰარდტია, რომლის სამართლიანობა, რელიგიური შემწყნარებლობა და ჰუმანურობა მას არავითარ შემთხვევაში არ ღალატობენ. კარგად გათვითცნობიერებული პირები ამტკიცებდნენ, რომ ეს ამბავი მომდინარეობდა პოლიტიკური პოლიციის შეფისგან, გრაფ ფონ ბენკენდორფისგან, რომელმაც გენერალ-გუბერნატორ ნაიდჰარდტს კატეგორიული განკარგულება გამოუგზავნა იმპერატორის საგანგებო ბრძანებით, რაც ამ კათოლიკე მისიონერების ძალით გასახლებას ეხებოდა.

ჩამოთვლილი ეკლესიების გარდა ჩვენ კიდევ უნდა ავღნიშნოთ წმ. დავითის ქართული მონასტერი, რომელიც ნახევარი ათასწლეულია არსებობს. თითქმის ასეთივე ძველია წმ.სტეფანეს სახელობის სომხური მონასტერი ავლაბრის მაღლობზე, რომელიც ბებუთოვის საგვარეულომ დაარსა.[9]

მაჰმადიანებს აქვთ ერთი პატარა, ლამაზი ნაგები მეჩეთი, რომელიც ეკუთვნის შიიტების სექტას და მდებარეობს ქალაქის ზედა ნაწილში.

კვირა დღისა და პარასკევის გამოკლებით, როცა ეკლესიების მონახულება განსაკუთრებით მკაცრად ევალებათ რუს სამხედროებს, შევნიშნე, რომ ქართულ და სომხურ ეკლესიებში (სადაც ხშირად შევსწრებივარ ღვთისმსახურებას), როგორც წესი, ქალები ჭარბობენ მამაკაცებს. ორივე სქესი გათიშულია: კაცები მთავარ საკურთხეველთან უფრო ახლოს იმყოფებიან, ქალები კი დგანან, ან სიღრმეში მუხლებზე არიან დაცემული ახდილი სახეებით, ხოლო თავზე და ზედა ტანზე (მხრებზე) მოგდებული აქვთ თეთრი **ჩადრა**.

საკმაოდ ბევრმა სომეხმა ქალმა გადაიღო რუსული ჩვევა და ატარებენ ფრანგულ კოსტიუმს, რომელსაც ისინი ადგილობრივზე უფრო სიამოვნებით იცმევენ და არანაკლებ საზეიმოდ. სამუშაო დღეებში მამაკაცებიდან წირვას ჩვეულებრივ ესწრებოდნენ მხოლოდ დაძონძილი მოხუცები. რუსული და ქართული ეკლესიების შიგნით, რომელთა დოგმები და ღვთისმსახურებრივი წესები სავსებით ერთნაირია, თვალი შეამჩნევს როგორც დიდ ფუფუნებას ტაძრის შიდა მორთულობაში, ასევე გონებაზე არაჩვეულებრივად მოქმედ ბრწყინვალებას ღვთისმსახურებისას, ვიდრე სომხურ ეკლესიებში.

სიონის კთედრალში მთავარი საკურთხეველი უხვადაა მორთული ოქროთი, ვერცხლით და წმინდანთა ფერადი სურათებით (ხატებით); სანთლების ბრწყინვალება ფანტავს ტაძრის ბუნებრივ სიბნელეს. გუნდი, რომელიც მთავარი საკურთხევლის უკან არის მოფარებულში და თავისი სასიამოვნო ხმებით ჰყვება მღვდლის მჟღერ ძლიერ ბანს, მეტწილად შედგება სალდათებისა და მათი ბავშვებისაგან, რომელთაც

[9] ბებუთაშვილების საგვარეულოს პირველი წარმომადგენელია **ხოჯა ბებუთა**, რომელიც თბილისში ცხოვრობდა XVII ს-ის შუა წლებიდან. მას ეკუთვნოდა ხიდი მდ. ვერეზე. 1725 წლიდან თბილისის მელიქ-მამასახლისობა მიიღო აშხარბეგ ბებუთაშვილმა. ასე რომ, ეკლესიის დაარსების თარიღის შესახებ ცნობა საეჭვოა — გ.გ.

პატარაობიდანვე ასწავლიან საეკლესიო გალობას, როგორც კი მცირეოდენ ნიჭს შეამჩნევენ. ამ დამალული მგალობლების ნამღერი გაცილებით მომეწონა, ვიდრე რომში პეტრეს ეკლესიის გუნდისა, მიუხედავად იმისა, რომ ტფილისის კათედრალში ნაზ დისკანტის ტონებს არც ქალთა ხმები და არც ევნუქები არ ცვლიან.

უყურებ რა ლითონისა და ხატების სიმდიდრეს, შუქების ბრწყინვას, საუცხოო საეკლესიო მუსიკას და მღვდლის წარმოსადეგ ფიგურას უმდიდრეს ტანსაცმელში, მშვენიერი წვერითა და ტალღისებური, გრძლად ჩამოშვებული თმით, რომელმაც კარგად იცის საცერემონიო სამსახურის რაც შეიძლება მხატვრულად გაფორმება, ვერ უარჰყოფ, რომ რუსულ-ბერძნულ ღვთისმსახურებას მთლიანობაში საზეიმო ხასიათი აქვს და ჩვეულებრივ ხალხზე და აგრეთვე ფანტაზიაზე საკმაო გავლენას ახდენს.

სომხურ ეკლესიებში შიდა მორთულობა ბევრად უბრალოა. კედელი მთავარი საკურთხევლის წინ შავი მაუდითაა მოფარდული, რომელზეც თეთრი ჯვარია ამოქსოვილი. ღვთისმსახურება იქ ასევე მხოლოდ გარეგნული ცერემონიაა, რომელსაც მუსიკის ძალა და საეკლესიო ფუფუნება (პომპეზურობა) არ ამაღლებს. ბიჭების გუნდის სწრაფი, ცხვირისმიერი (დუდუნა) სიმღერა მათში არანაკლებ აღძრავს მოკრძალებას. პირჯვარის გადაწერაში სომხები უფრო ვირტუოზულები ჩანან, ვიდრე რუსები და ქართველები. ლოცვის დროს განუწყვეტელი დამხობა ხდება გარკვეულ ტაქტში და, ისევე როგორც საკურთხევლის წინაშე თავის ღრმად დახრა, მოგვაგონებს მაჰმადიანურ ღვთისმსახურებას.

საერთოდ, აღმოსავლელი ქრისტიანების რელიგია, მიუხედავად დოგმატური სხვაობისა, პრაქტიკულად გარეგნულად უფრო ახლოს დგას ისლამთან, ვიდრე დასავლეთის ქრისტიანობასთან. ორივე სარწმუნოება დღეს აღმოსავლელებთან ცარიელა წესჩვეულებაა, ხოლო ცერემონიები ცხოვრებაში გამოუყენებელი. რეგულარული სიარული ტაძრებში, უნიჭო, ჩუმი ანდა ხმამაღალი ბურდღუნი და დადგენილი ლოცვების მონოტონური გამეორება, ლოცვისას (ღვთისმსახურებისას) ცნობილი პოზების მიბაძვა და, უპირველეს ყოვლისა, მარხვის მკაცრად დაცვა — ესაა დღეს რელიგიის არსი (არსება) აღმოსავლეთში. ამ ორივე რელიგიის მიმდევარი აცოცხლებს მსგავს რწმენას ღმერთისადმი

და მშვენიერი, სიხარულით სავსე იმქვეყნიური ცხოვრებისადმი, რაც უნდა ჩაითვალოს არა როგორც საზღაური ნამდვილად სათნო ცხოვრებისა — დასავლური გაგებით, არა როგორც საზღაური დიდბუნებოვანი, კაცთმოყვარეობით აღსავსე სულისა (რომელიც ცხოვრების მკაცრი გამოცდის ჟამს შეურყეველ ერთგულებაში მდგომარეობს); არა,უნდა ჩაითვალოს როგორც საზღაური უსულო რწმენისა (რომელსაც არავითარი ეჭვი, არავითარი შედავება გონებისა არ შეარყევს), ესაა საზღაური მღვდლების მიერ გამოწერილი მარხვის მკაცრი გამოცდისა, ლოცვის ფორმულებისა და პოზებისა. ამასთან ეკლესია ღარიბთადმი სიუხვეს და ყველაზე მეტად თავისთვის, როგორც ღმერთისათვის მიტანილ მსხვერპლს განსაკუთრებით სასიამოვნო საქმედ თვლის, რაც სამოთხეში იძლევა გამორჩევით მშვენიერ ადგილს. აღმოსავლეთში ევანგელიესა და ყურანის ცოდნის, ზნეობრივი სწავლების (აღზრდის) ნაკლები კვალი გვხვდება. ამას მიმტკიცებდნენ საფუძვლიანი და კეთილსინდისიერი დამკვირვებლები, რომელთაც მრავალი წლების განმავლობაში ჰქონდათ ურთიერთობა ორივე რელიგიის წარმომადგენელთა ყველა ფენებთან. მხოლოდ თურქებში, თათრებსა და არაბებში გვხვდება ზოგჯერ სასულიერონი, მეუდაბნოენი, ანდა რომელიმე მორწმუნე (ღვთისმოშიში) მოხუცი კაცი, რომელიც დოგმებისა და ფორმულების გარდა თავის სარწმუნოების ეთიკაში ფასსა და მნიშვნელობას სდებს და მას მკაცრად იცავს. სპარსელებში, ქურთებსა და კავკასიელებში, ისევე როგორც ქრისტიან აღმოსავლელებთან, სომხებთან, ქართველებთან, ბერძნებთან, ნესტორიანელებთან, ოსებთან და ა.შ. ასეთი გამოვლინება უდიდესი იშვიათობაა. უბრალო ადამიანისთვის საღმრთო წერილი ხელმიუწვდომი წიგნია, რომლითაც ის არაა დაკავებული, რომლის წაკითხვა არასდროს სურს და რომლის ახლოს გაცნობასა და განმარტებას ის მხოლოდ მღვდელს (მოძღვარს)ანდობს. ამნაირად, აღმოსავლელ ქრისტიანს არ აქვს წარმოდგენა რელიგიის არსზე, რომელსაც აღიარებს..., რომლის პრაქტიკული განხორციელება უფრო ძნელი იქნებოდა მისთვის, ვიდრე ცერემონიების მკაცრი დაცვა. ამიტომაც მას მარხვის დარღვევა უფრო დიდ დანაშაულად მიაჩნია, ვიდრე ზიზღი და შური, ვიდრე სიცრუე და ორპირობა, ვიდრე ღალატი და ქურდობა; მას სწამს, რომ ზეცის კარები უფრო მკაცრად დაეხშობა სხვაფრივ კეთილისმოქმედ

კაცს, თუკი ის ყოველ მარხვის დღეს ხორცს შეჭამს, ვიდრე ყაჩაღსა და მკვლელს, რომელიც ეკლესიის წესებს გარეგნულად არასდროს არღვევს.

ქრისტიანობა, — ხალხთა რელიგია აღმოსავლეთში — როგორადაც ის ჩვენ წარმოგვიდგება, სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი ფორმები (წესჩვეულებები), რაც არც ამაღლებს, არც ალაგზნებს, სულს აჩანაგებს და გულს აფუჭებს და არც სიყვარულის, არც თავისუფლების გენიაში არ პოვებს თავის ადგილს. რაც არ უნდა მკაცრად ჟღერდეს ეს განაჩენი, ამას დაადასტურებს აღმოსავლეთის ყველა მცოდნე. მოთხოვნილება, რომ მსახურებისას გვერდით იყვნენ საზოგადოებაში, ნახევრად ბნელ დიდ დარბაზში მერყევი და მისტიკური განწყობით იშინებდნენ თავს და საიდუმლოებით აღსავსე სამყაროში წარმოიდგინონ თავი, ეს ახასიათებს ათეისტ რესპუბლიკელ ფრანგებსაც, როცა ისინი გონების ტაძარში იკრიბებიან და მარატის ბიუსტს თაყვანს სცემენ აღმოსავლელი მორწმუნეებივით.

ჩვენ მივუბრუნდეთ ჩვენს ამოცანას, ტფილისის აღწერას და ვპირდებით იმათ,ვისაც ერთხელ მაინც ექნება სურვილი თავისი სამოგზაურო შტაბი მტკვრის ამ შორეულ მიდამოებში დაიდოს, რომ გასეირნება ხმაურა წავკისის წყლის აყოლებით ახალ სიმაგრემდე და ამ ხეტიალის სიძნელეები დაჯილდოებული (ანაზღაურებული) იქნება საოცარი ხედით,რომელსაც ქმნის ტფილისის პანორამა და მტკვრის მღვრიე წყლით გაყოფილი დაბლობი. იქიდან ჩახატა ტფილისი ბ-ნმა **გამბამ**, ყოფილმა ფრანგმა კონსულმა, რომელიც საქართველოში ცნობილი იყო უფრო მეტად თავისი სათავგადასავლო გამოკვლევებით (?სავაჭრო საქმიანობით), ვიდრე სამწერლო ნიჭით; ეს ლითოგრაფიული სურათი მან დაურთო თავის წიგნს, რომელიც დღეს თითქმის დავიწყებულია. **დიუბუა** არაა სწორი როცა ამბობს, რომ ეს სურათი ეკლესიების გუმბათებს წარმოუდგენლად დიდად წარმოაჩენს, ხოლო სხვა მხრივ სანდოაო. გამბას წიგნის წამკითხველი ამ სურათიდან ძალზე სუსტ წარმოდგენას იღებს კლდოვანი ქვაბის დეკორაციის მრავალფეროვნებაზე და მტკვრის ორივე ნაპირის აუწერელი მშვენების მოხატულობაზე, სადაც ქალაქი, მთის კალთებზე ორმაგ ამფითეატრად შეფენილი, ძევს გაოცებული დამკვირვებლის ფეხებთან (ძირს).

იქ არის ე.წ. მთავრობის ბაღი, საზოგადოებრივი სასეირნო, რომელიც

ტერასებად აღიმართება; მას ამკობენ ბუჩქები, წყლის ჩხრიალი, კაკლის ხეები და ძველი გალავნის ნანგრევები და გიწვევს სასეირნოდ მშიშე გზის მიუხედავად.

მცენარეთა ხასხასა სიმწვანე ტფილისის შემოგარენში, სადაც არც ტყეებია და არც მდელოები, დიდი იშვიათობაა და ვისაც ბედი გაუღიმებს, იქ ხანდახან ბულბულსაც მოუსმენს, რადგან მომღერალი ჩიტები ტფილისთან უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე დიდი რუხი ხვლიკები, რომლებმაც მოგზაური დიუბუა გააოცეს; ეს იყო ჩვეულებრივი Stelio caucasicus.

სასახლე, რომელშიც რუსი გენერალ-გუბერნატორი ზის, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აღადგინეს ქართველი მეფის სასახლის ნანგრევებიდან.[10] არკადების გრძელი რიგი ებჯინება წინა სვეტებიან დარბაზს. მოგზაური **შარდენი** გვაძლევს როსტომის მიერ აგებული ძველი სასახლის დაწვრილებით აღწერას, როგორც მან გასული საუკუნის დასაწყისში ნახა. რუსი მშენებლების მიერ მეტამორფირებული[11] ამჟამად გამოიყურება იმ ნაცნობ სვეტების სტილში, რომელიც პეტერბურგიდან კავკასიის იქითა მხარემდე რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქში მოდად იქცა...სასახლის ორივე განაპირა ბოლოში ნიშებში ჩანს მარსისა და მინერვას ქანდაკებები, რომელთაც ადგილობრივები თვლიან გენერალ პასკევიჩად და მის მეუღლედ. მთლად ევროპიული გემოვნებით აგებული ეს სასახლე შიგნით არაფერს განსაკუთრებით აღსანიშნავს არ შეიცავს. მის უკან არის მშვენივრად გაშენებული და მზრუნველობით მოვლილი ბაღი შადრევანით, დახურული ალეებით, პავილიონებით (ტალავრით), ერმიტაჟებით (ცალკეული ქოხებით) და ა.შ. ჭადრებისა და ლელვის ჩრდილებში. ამ ბაღის ლამაზად მორთვას, რომელიც ასეთ მშრალ, ხაფხულობით ძალზე ცხელ მხარეში, ნამდვილი ქველმოქმედებაა, უმადლიან წინა მმართველის, ბარონ ფონ როზენის მეუღლეს.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, გარეუბან ავლაბარის ახლოს, აღმართულია სვეტებით შემკული საფლავი წმ.აბოსი, ხალხის მიერ

---

[10] ეს იყო ალბათ ყოფილი არაგვის ერისთავთა სასახლე, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი პიონერთა სასახლისა და სახელმწიფო მუზეუმის ადგილას – გ.გ.
[11] შარდენის მიერ აღწერილი სასახლე სხვაგან იყო, მტკვრის ნაპირას. თანაც ეს აღწერა ეკუთვნის XVII საუკუნის 70-იან წლებს – გ.გ.

დიდად პატივდებული მოწამის, რომელიც თავისი რწმენისათვის მოიკლა სპარსელი ჯალათის ხელით.

ღირსშესანიშნავი შენობა, რომლითაც მოსახლეობის ყველა ფენა სარგებლობს, არის საზოგადოებრივი აბანო, სადაც გადმოდიან თბილი გოგირდის წყლები; ის საგანგებო მოხსენების ღირსია. ამ აბანოებს, რომლის სითბოც რეუმირით 36 გრადუსია, ქალები უფრო ხშირად ესტუმრებიან, ვიდრე მამაკაცები. წარჩინებული ქართველი ქალები (მანდილოსნები), რომლებიც ფიქრობენ ამ წყაროების საშუალებით თავისი ახალგაზრდობის გახანგრძლივებასა და სილამაზის შენარჩუნებას, სისტემატურად ნახევარ დღეს ამ აბანოს შენობებში ატარებენ. აქაურ აბანოებს გამოყენების მხრივ ბევრი საერთო აქვთ კონსტანტინოპოლის, ბურსასა და აღმოსავლეთის სხვა დიდი ქალაქების აბანოებთან. ოღონდ მე მგონია, რომ ქართველი აბანოს მსახურნი (მექისეები-გ.გ.) მობანავეთა ხეხვისა და კიდურების დაჭიმვის (დაზელვის) ხელოვნებას მეტად არიან დაუფლებულნი. ვინც ამ იშვითი მანიპულაციის პირველი შიში გადაიტანა და მიეჩვია აღმოსავლური ბანაობის წესს, დაინახა, რომ ეს უფრო ძალის მომგვრელი და გამახალისებელია, ვიდრე ევროპაში და ყოველ კვირა რამდენიმე საათით უვარდება ხელში ამ აბანოს ხელოვანთ, რომლებიც ტფილისში ალბათ თავისი სამედიცინო მეცნიერებით უფრო ბევრ საოცარ ცდას აყენებენ, ვიდრე რუსეთის იმპერიის მთელი განსწავლული სამედიცინო პერსონალი.

ტფილისში არის რამდენიმე კარგი სასწავლო (სააღმზრდელო) დაწესებულება (პანსიონი). ჩემს იქ ყოფნისას გიმნაზიას ჰყავდა კარგი მასწავლებლები, მაგრამ ცუდი, თავისთავზე დიდი წარმოდგენის მქონე დირექტორი. სწავლების მეთოდის საწინააღმდეგო არაფერია სათქმელი, მაგრამ საწყალ ბიჭებს (ყმაწვილებს) აწვალებდნენ ძალიან ბევრი ლექციებით და მათი სამუშაო ძალა და ყურადღება მრავალ საგანზე იყო დაფანტული. ისწავლებოდა შვიდი ენა: რუსული, ლათინური, ქართული, სომხური, თათრული, გერმანული და ფრანგული. მიუხედავად ბუნებრივი ნიჭიერებისა, სწავლისადმი სიყვარულისა, ყურადსაღები სიძლიერის მეხსიერებისა, ახალგაზრდა აღმოსავლელი ასეთი მცდარი საფუძვლის მქონე სასწავლო პრინციპის გამო მაინც ვერ გაექცევა ათვისებული ცოდნის ქაოსს.

ამას გარდა მოქმედებს სასწავლებელი ახალგაზრდა გოგონებისათვის (ქალიშვილებისათვის), რომლის დაარსებასაც უმადლიან ქალბატონ თავად პასკევიჩს. ამ ინსტიტუტს განაგებს ერთი რუსი და ერთი ინგლისელი მანდილოსანი. წარჩინებული ოჯახის ქალიშვილებს იღებენ წლიურად 200 ვერცხლის მანეთის გადახდის საფასურად. გარდა რუსული და ქართული ენებისა, ისწავლება ფრანგული. ახალგაზრდა გოგონები, როგორც ამას ტფილისში ყველგან ამბობენ, კარგი და პრაქტიკული სასწავლო მეთოდის საშუალებით ყველა საგნებში დამაკმაყოფილებელ წარმატებებს აღწევენ. მე ისიც მითხრეს, რომ, ახალგაზრდა სომეხი ქალიშვილები ქართველებსა და რუს გოგონებს ჯობნიან სწავლის წყურვილით, საზრიანობითა და ჭკუით.

სასოფლო-სამეურნეო სკოლა (აგრონომიული) დაარსდა ბატონ როზენის მმართველობისას. რაც შეეხება კერძო დაწესებულებებს, ტფილისში ჩემი ყოფნისას მოქმედებდა სომეხი აბოვიანისა, რომელიც შემდეგ გადაიყვანეს ერევანში საოლქო სკოლის დირექტორად. ის გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მარტივი, პრაქტიკული სასწავლო მეთოდით და სწავლისადმი სიყვარულით, რასაც ის თავისი ალერსიანი (წყნარი) და თავაზიანი პიროვნებით აღვივებდა ახალგაზრდა აღსაზრდელებში. მე რამოდენიმეჯერ ვესტუმრე მის დაწესებულებას და სიამოვნებით გავოცდი, როცა მოვისმინე, თუ როგორ თავისუფლად ლაპარაკობდნენ პატარა სომხები და ქართველები გერმანულად, როგორ გაწაფულად და უშეცდომოდ წერდნენ გერმანულად, რა გრძნობითა და გამოთქმით კითხულობდნენ ნაწყვეტებს გოეთედან და შილერიდან. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ტფილისიდან ჩემ გამგზავრებამდე, ეს შესანიშნავი კერძო სკოლა დაიხურა ბ-ნი აბოვიანის გადაყვანის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი II

## ხალხი და მათი ცხოვრება ტფილისში — ქართველი და სომეხი ქალები — სომხური ქორწილი — აღდგომის დღესასწაული — მომღერლები და ზღაპრების მთქმელი — სიღარიბე — გულითადი საუბრები ტფილისში

ტფილისის მოსახლეობა, მოხელეებისა და რუსული გარნიზონის ჩაუთვლელად, 1842 წელს სტატისტიკური მონაცემებით აღემატებოდა 26000 სულს. ამ მაცხოვრებლების ცალკეული შემადგენელი ჯგუფები სხვადასხვა ნაციონალობის მიხედვით რუსულ ტაბელებში სამწუხაროდ არაა ზუსტად შეტანილი. სანდო წყაროდან შევიტყვე, რომ სომხები უფრო მეტნი არიან, ვიდრე სხვა ხალხები ერთად აღებული და შეადგენენ მთელი მოსახლეობის სამ მეხუთედს. გაბატონებული ენა ქართულია. წარჩინებულთა რიცხვი მთელი მოსახლეობის თითქმის მეათედს შეადგენს; თავადური გვარის შთამომავლები დაახლოებით 300-მდეა.

სომხები და ქართველები არ განსხვავდებიან ჩაცმულობით; მაინც შეჩვეული თვალი ორივე ეროვნებას ერთი შეხედვით ცნობს სახის ჭრილის (ნაკვთების) მიხედვით, რომელიც ქართველებს საერთოდ უფრო სწორი, ძლიერი და ლამაზი აქვთ. სომხების ნაკვთები უფრო რბილია, წყნარი, ინტელიგენტური; მათ სახეში ეშმაკობა ისევე ხშირად შეიმჩნევა, როგორც სპარსელებში, რომელთა გამომეტყველებაშიც ეს თვისება თვალშისაცემია.

იმერლები, რომლებიც ყოველთვის მრავლად არიან ტფილისში, ქართულ მოდგმას ეკუთვნიან და გვანან ქართლელებს. მხოლოდ მათი სახის ფერი ოდნავ მოყავისფროა, ტანსაცმელი ნაკლებ სუფთა; როგორც წესი, თმა უხეშად და დაუვარცხნელად აქვთ ჩამოშვებული

თავისებური ქუდის ქვემოდან; ეს ქუდი წარმოადგენს უცნაურად გამოჭრილ მაუდის ნაჭერს და სავსებით განსხვავდება ქართველებისა (ქართლელებისა-გ.გ.) და სპარსელების შაქრისთავის ფორმის ბეწვის ქუდებისგან.

იმერლებზე მრავალრიცხოვანნი არიან თათრები, რომელთაგან ასევე ცოტანი შეადგენენ მკვიდრ მოსახლეობას; ისინიც იმერლებივით მოდიან და ქრებიან; სავაჭრო საქმეების მოსაგვარებლად კი დიდი ხნით რჩებიან. ისინი ლაპარაკობენ თურქულ-თათრულ კილოზე, რაც მთელ წინა აზიაში ძირითადი ენაა და კავკასიის ქვეყნების ყველა მხარეებში ხალხს მეტ-ნაკლებად ესმის, როგორც Lingua franca ხმელთაშუა ზღვისპირეთში. თუმცა ამ თათრებს საკმაოდ დიდი მსგავსება აქვთ თურქებთან ხასიათსა და ჩვევებში (ამ თავის მონათესავე ერთმორწმუნეებთან), მაინც, რაც შეეხება პატიოსნებას (გულახდილობას), სიტყვის კაცობას (ერთგულებას) და დიდბუნებოვნებას, ამ მხრივ სანაქებო ცოტა ითქმის მათზე. კიდევ უფრო ნაკლებ გვანან თავის ნათესავებს — ყირიმელ თათრებს — წყნარ, მშვიდობისმოყვარე ხასიათში, რომლებსაც მოუშალეს მომთაბარული ბუნების უწინდელი აულაგმავი სიველურე. კავკასიელი თათრები თუმცა მოდრიკეს რუსული სამხედრო ძალით, მაინც უფრო მეტი ენერგია და მებრძოლი სული შერჩათ, ვიდრე სამხრეთ რუსეთის თათრებს. ისინი ასევე ნაკლები შეგნებითა და ნებაყოფლობით ემორჩილებიან რუსული პოლიციის მათრახსა და გადასახადის ამკრეფი მოხელეების მხრივ წვალებას, ვიდრე სხვა ადგილობრივები.

ტფილისში აგრეთვე სპარსელთა და თურქთა საკმაო რაოდენობაც გვხვდება; განსაკუთრებით როცა გაცხოველებულია საქარავნო ვაჭრობა. სანამ შემოიღებდნენ რუსულ საბაჟო ტარიფს, ეს სტუმრები, რომლებიც საქართველოსკენ სავაჭრო სპეკულაციისა და მოგებისათვის მოდიოდნენ, გაცილებით მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ვიდრე ამჟამად, როცა სპარსეთისა და ცენტრალური აზიისაკენ მიმავალმა საქარავნო ვაჭრობის ნაკადმა გზა დაიდო ტრაპეზუნტსა და არზრუმზე.

ჩამოთვლილ ხალხებთან შედარებით ერთეულებად (დაფანტულად) ჩანან ტფილისში ოსები, ჩერქეზები, ლეკები, ყაზი-ყუმუხები, ლაზები, სვანები და ქურთები. ოსები, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიის უმაღლეს ალპურ ქედებზე, ქრისტიანები არიან. ისინი ტფილისში ჩვეულებრივ

მოდიან, რათა ტვირთის გადაზიდვითა და მძიმე დღიური სამუშაოთი გარკვეული რაოდენობის ფული იშოვონ. ესენია დაძონძილი, ჭუჭყიანი, მზისგან დამწვარი არსებები, ხმელი და ძვალმტკიცე, რომლებიც ზედმეტად უბრალოდ ცხოვრობენ და ქალაქებში წლობით ასრულებენ უმძიმეს სამუშაოს; ისინი იტანენ უმკაცრეს გაჭირვებას, რათა დააგროვონ მცირე კაპიტალი და თავისი სიბეჯითის ამ ნაყოფით მთებში უკან დაბრუნდნენ, იქორწინონ და დამოუკიდებლად იცხოვრონ. ბრწყინვალე დედაქალაქში ნებაყოფლობით მუშის სამსახურში ყოფნისას მათ არასდროს არ ავიწყდებათ დამოუკიდებელი ცხოვრება თავის მაღალ ალპებში და ვერავითარი ქალაქური საცხოვრებელი საუკეთესო ვითარებაშიც კი ვერ შეაცდენს მათ, რომ ტფილისში დარჩნენ (დასახლდნენ). თავის სამშობლოში დუხჭირი ბედის მიუხედავად, ისინი აშკარად ამჟღავნებენ წარმოუდგენელ ლტოლვას თავიანთი მთების ველური თავისუფლებისკენ.

ჩერქეზ მეომარს, რომელიც ტფილისში იშვიათად ჩნდება, ამ ხალხთა ჭყლეტაში მაშინვე იცნობ რაინდული აღნაგობით, სახის კეთილშობილური პროფილით, რომლის ხასიათი რბილ სინაზეს კი არ გამოსცემს, არამედ მამაკაცურ სითამამესა და ენერგიას და არესის სურათს უფრო ჰგავს, ვიდრე აპოლონისას. ამაყი მიხრა-მოხრით გაივლის ჩერქეზი ბაზრის სივიწროვეს და ყველა გზას უთმობს, თვით მთვრალი კაზაკიც, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს მებრძოლი სულის მთიელი სრულ იარაღში ჩამჯდარი. ჩერქეზების უმრავლესობა, რომლებიც ტფილისში ვნახე, იყვნენ ბელადები, ანდა, სულ მცირე, გავლენიანი უზდენები მოკავშირე ან დამორჩილებული გვარებიდან, რომლებიც ჩამოვიდნენ, რომ მიელოცათ რუსული არმიის ახალი მთავარსარდლისთვის და მისგან ბარელამ საჩუქრებიც მიეღოთ.

აღმოსავლელი კავკასიელები — სხვადასხვა ლეკური ხალხები, რომლებიც ძალზე განსხვავებული დიალექტებით (იდიომებით) ლაპარაკობენ, თავისი სხეულის ფორმების სიმეტრიით, წარმოსადეგი აღნაგობით და სახის ნაკვთების მამაკაცური სილამაზით ჩერქეზებს ვერ შეედრებიან. ისინი საერთოდ არიან დაბლები, თუმცა მოხდენილი, მაგრამ ნაკლებ ჯიშიანი, ხშირად არაჩვეულებრივად გამხდარი; სახის ფერი მოყავისფროა, თვალები არც ისე დიდი, მბრძანებლური და ცეცხლოვანი. ცნობილი არწივისებური პროფილი მათში იშვიათია; მათი გამომეტყველება

შეიძლებოდა შეგვედარებინა ორბის ან ბუსათვის. ამ აღმოსავლელ კავკასიელთაგან ტფილისში უთუოდ უფრო მეტად ჩვეულებრივი (უბრალო) ხალხი, მეტი ხელოსანი და ბაზრის სტუმარი მოდის (ნანადირევის, პირუტყვის, ნადირის ტყავის, კავკასიური ნაბდების და ა. შ. გასაყიდად), ვიდრე მეომრები და ბელადები, მე ახლოს გავიცანი ერთი ნაბდით მოვაჭრე ლეკი ყაზიყუმუხიდან, სახელად აბდურაჰმან-ბეგი. ბ-ნმა აბოვიანმა სიკეთე გამიწია იმით, რომ იგი ბევრჯერ მოიყვანა ჩემთან. მისგან ჩვენ გავიგეთ ზოგი საინტერესო ცნობა მისი ხალხის ისტორიის, ჩვევებისა და ცხოვრების ხასიათის შესახებ. სხვათა შორის, მან მითხრა, რომ ყაზი-ყუმუხთა ენაში სრულებით არაა სიმღერები, რომ მათი მოდგმისათვის მუსიკა მთლად უცხოა, რომ მისი თანამემამულენი არასდროს მღერიან. თუ აბდურაჰმანის მტკიცება საფუძვლიანია, მაშინ ყაზი-ყუმუხები ერთადერთი ხალხია იმ სამ კონტინენტზე, რომლებიც ჩემი მოგზაურობისას შემხვედრია, რომელთაც ბუნებამ მუსიკალური გრძნობა (ნიჭი) სავსებით წაართვა. ცნობილია, რომ თვით ყინულებზე მოცურავე ესკიმოსები თავის ბურუსიან პოლარულ ზონაში უსიმღეროდ არ ცხოვრობენ. სიმღერა ხომ თვით ბარბაროსებშიც წარმოადგენს პოეტურ ენას სიყვარულისა და მხიარულებისათვის და ჯადოსნური საშუალებაა, რათა სიხარული გაუახალგაზრდაოს და ტკივილი განუქარვოს... ეს კავკასიელი მოდგმა ერთადერთი გამონაკლისი ყოფილა. უდაბნოს ბუნებრივი მუსიკის ოსტატებისაგან — ჩიტებისა და ქარისაგან მაინც უნდა ესწავლა; ის თავისი ამაღლებული მთის ბუნების პოეზიაში უფრო გულგრილი, უგრძნობი და უფანტაზიო ყოფილა, ვიდრე თვით უშნო, სტეპის-ყალმუხები, ვიდრე სხვა რომელიმე აღმოსავლური ხალხის მოდგმა.

ტფილისში ქურთები ლაზთა მსგავსად ცალცალკე (თითო-თითოდ) და იშვიათად ჩნდებიან, როგორც გადამფრენი ჩიტები. ხანდახან ესენი არიან ცალკეული მომთაბარული გვარის მეთაურები, რომლებიც რუს გენარალ-გუბერნატორთან მოვიდნენ სასაზღვრო პროვინციებში დასახლების საქმეზე მოსალაპარაკებლად. ხანდახან ესენი არიან აგრეთვე ავანტიურისტები, ან დამარცხებული მეთაურები, რომელთაც თავის ხალხში დაკარგეს ძალა და გავლენა და ლამობენ რუსული მფარველობით ძველი ავტორიტეტი აღიდგინონ თავიანთ თანამემამულეებში. ზოგჯერ მთიელი ბელადების ეს მოგზაურობა სპარსეთისა და თურქეთის საზღვრებიდან ტფილისისაკენ ან ცნობისმოყვარეობითაა

გამოწვეული, ან კიდევ მიზნად ისახავს სხვა ბედნიერი ავანტიურისტების მსგავსად, თავისი წარმოსადეგი აღნაგობის და თამამი ტრაბახის მეოხებით რუსი მმართველების კეთილგანწყობა მოიპოვონ და მიიღონ მდიდარი საჩუქრები, წლიური ჯამაგირი, ან კიდევ ადგილი (თანამდებობა) არარეგულარულ სამხედრო სამსახურში.

ზოგჯერ მეგრელებსა და სვანებსაც შეხვდებით ტფილისში. ორივე ხალხი ქართული წარმოშობისაა, ოღონდ სახის გამომეტყველებითა და ხასიათით საოცრად განსხვავებული. მეგრელები ლამაზი ხალხია, კეთილშობილური სახის წყობით; მათი სახის ფერი ისეთი მკრთალია, კანი ისეთი თეთრი, როგორც შუა და ჩრდილოეთ ევროპის ულამაზეს ხალხებში; მათ აქვთ წყნარი და მშვიდობისმოყვარე ხასიათი. სვანებს, რომლებიც სახლობენ კოლხეთის ჩრდილოეთით მაღალ მთიან მხარეში, არ აქვთ მეგრელებივით ნაზი, მოვარდისფრო სახის ფერი; კოლხური მშვიდი გამომეტყველების მაგიერ — ჩერქეზებივით ძლიერი, თავმომწონე (მედიდური) სილამაზე. კავკასიის ქვეყნების ყველა ქრისტიან მაცხოვრებლებთა შორის სვანები ყველაზე მამაცი და მეომარი ბუნებისა არიან.

რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის ჩვევებს, რუსული მმართველობის ნახევარ საუკუნეს მნიშვნელოვანი გავლენის გარეშე არ ჩაუვლია. სახელდობრ, ეს ეხება მშვენიერ სქესს. თავისი მეფეების დროს ქართველი ქალები მკაცრად კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ; დაუფარავი სახით გარეთ არ ჩნდებოდნენ, არც ეკლესიაში დადიოდნენ. სახალხო ან საშინაო ზეიმისას, სტუმრობისას, ქორწილში და ა.შ. ორივე სქესი მკაცრად იყო გამიჯნული. ფრანგული ტანსაცმელი, ისევე როგორც დასავლური წიგნები, გაზეთები, მუსიკა, ცეკვები და სხვა ტფილისში უცნობი იყო.

პირველ წლებში რუს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს მძიმე მდგომარეობა შეექმნათ; მათთვის მოკვეთილი აღმოჩნდა ქალებთან ურთიერთობა. ძალზე ნელ-ნელა შეეჩვიენ ქართველები უცხო დამპყრობელს, მიუხედავად სარწმუნოებრივი ერთიანობისა. ეს მიუწვდომელი თავშეკავება გაგრძელდა სანამ არსებობდა იმედი (რწმენა), რომ რუსული მფლობელობა ამიერკავკასიაში წარმავალია, რომ მას დაამხობდა ან დიდი მაჰმადიანური მეზობელი იმპერია სამხრეთიდან, ან მებრძოლი მთიელების დარტყმები ჩრდილოეთიდან. როცა ქართულ

მოსახლეობას ამ ცდაში იმედი გაუცრუვდა და თანდათან შეამჩნია, თუ ვის მხარეზე იყო მეტი ძალა სპარსელებთან, თურქებთან და კავკასიის მთის ხალხებთან ბრძოლაში, შეეშვნენ სიძულვილს და შეურიგდნენ დამპყრობელს, თუმცა მთლიანად არ დაივიწყეს, რომ ოდესღაც ამ ქვეყანაში გაბატონებულ მოდგმას წარმოადგენდნენ. მრავალრიცხოვანი ქართველი თავადაზნაურობა (წარჩინებულები), რომელიც ჯერ კიდევ რუსული მმართველობის დაწყებამდე ქონებრივად მნიშვნელოვნად დასუსტდა, გახდა საკმაოდ მორჩილი, გამოეკიდა თანამდებობებსა და ჯილდოებს და რუსეთის იმპერატორის ნაცვალს თავი დაუხარა, თუმცა პირფერობასა და მდაბალ მლიქვნელობაში სომხებზე შორს არ წასულან. ძველი თავადური გვარებიდან, რომელთა წოდებები და თანამდებობები რუსეთის მთავრობამ აღიარა, საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ვაჟი შევიდა რუსულ სამხედრო სამსახურში, ხოლო ზოგი მათგანი, ისეთი, როგორც ბაგრატიონი, დადიანი, არღუთინსკი სახელოვნად მოქმედებდა მრავალ ბრძოლაში (ბრძოლის ველზე) ევროპასა თუ კავკასიაში. საკმაოდ ბევრი რუსი ოფიცერი და მოხელე დაუნათესავდა (დაუსიძევდა) ქორწინების გზით ქვეყნის წარჩინებულ და შეძლებულ გვარებს (ოჯახებს); ადრე თუ თითო-ოროლა შემთხვევა იყო, ბოლო ათწლეულში ეს საქმე ისე გახშირდა, რომ ტფილისში ცოტაღა იყო წარჩინებულთა ოჯახი, რომლებიც ნათესაური კავშირით, ან აგრეთვე პირადი ინტერესებიდან გამომდინარე დამეგობრებული არ იყო დამპყრობელთან.

იმ დროს როცა დაუვიწყარ ერმოლოვს მმართველობის კვერთხი ეპყრა თავის მძლავრ მუჭში, ქართველი თავადაზნაურები (რომლებიც სხვა ხალხებივით დამორჩილდნენ ამ ძლიერი მეომრის მტკიცე ხასიათსა და გენიას), მართალია რუსეთისკენ გადაიხარნენ, მაგრამ ქალების გავლენა ჯერ კიდევ არ ამაგრებდა ამ ორი ხალხის კავშირს. პირველად გენერალ **პასკევიჩის** მმართველობისას გამოჩნდა ქართული დიდებული გვარის თითო-ოროლა მანდილოსანი სალონებში — ევროპულ გემოვნებაზე გადაკეთებულ ძველი მეფის სასახლის დარბაზებში. ბარონ ფონ როზენის დროს და უფრო მეტად კი მისი შემცვლელის, ფუფუნების მოყვარე გოლოვინის მთავარმართებლობისას, რომელიც განსაკუთრებით კეთილად იყო განწყობილი გართობის, თანაზიარობისა და ქალებისადმი, ყოველწლიურად იზრდებოდა მდედრობითი სტუმრების რიცხვი

სალამოებსა და ბალებზე. აქ შესაძლებელი იყო პირბადის გარეშე ხილვა თავადური ანდა აზნაურული წარმოშობის მშვენიერი ქართველი და სომეხი მანდილოსნების უმეტესობისა. მათი ერთი ნაწილი ფრანგულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი; პარიზულმა მოდამ მოუგერიებელი დამპყრობელივით შეუტია სახელდობრ სომეხ მანდილოსნებს. ადგილობრივმა მანდილოსნებმა დასავლური ფუფუნების, ჩვევებისა და გართობებისადმი (ურთიერთობებისადმი) მეტი მიდრეკილება გამოამჟღავნეს, ვიდრე მათ ქმრებსა და მამებს მოსწონდათ.

გენერალ **ნაიდჰარდტის** მმართველობაში მთავრობის სასახლის სალონებში შემცირდა მშვენიერი სქესის მოზღვავება. ამ კაცის მკაცრი, ოდნავ პედანტური, ნამდვილი გერმანული ხასიათი ვერ ეგუებოდა ფუფუნებასა და ხმაურიან ზეიმებს (ქეიფებს). ის უბრალოდ ცხოვრობდა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წრეში და არ აწყობდა დიდებულ ნადიმებს (არ ამჟღავნებდა უზომო სტუმართმოყვარეობას), რასაც ტფილისში შეჩვეულები იყვნენ. ადგილობრივმა დიდებულებმა, რომელთა სულშიც ძველი ამპარტავნობა მთლად განელებული არ იყო, ეს უყურადღებობა იწყინეს და როცა ახალმა ნაცვალმა აღდგომის ზეიმზე ჩვეულებრივი დიდებული ნადიმი და ბრწყინვალე ბალი მოაწყო, ამაყმა ქართველმა მანდილოსნებმა იმით გადაუხადეს, რომ დაგვიანებული მიწვევა ჩვეულებრივ კვირის-სალამოზე არ მიიღეს.

მართალია, დიდია წინსვლა ქალთა ემანსიპაციის თვალსაზრისით კავკასიაში, მაგრამ მაინც დარჩა აღმოსავლური კარჩაკეტილობის კვალი: თუ გამოვრიცხავთ ეკლესიებსა და აბანოებს, აგრეთვე სახალხო დღესასწაულებს, იშვიათად თუ ნახავთ დიდებულ მანდილოსანს თავისი სახლის გარეთ; შვეიცარიელი დიუბუას შენიშვნა, რომ აქაური ქალების სილამაზეზე წარმოდგენა არ გექნება, თუ მათ საკუთარ სახლებში არ მოიძიებ, სწორი არ გახლავთ. თეთრი ჩადრით ნახევრად დაფარული ქალები, რომელთაც ჩვეულებრივ დღეებში ხედავ ქუჩებში, ბაზრის მოედანზე და ბაზარში, რა თქმა უნდა, არიან მოხუცი, უშნო პიროვნებები, ანდა საწყალი მოსამსახურეები. ეკლესიასა და სახალხო დღესასწაულებზე თავადის ქალები ქუჩებში თავახდილები დადიან.

ქართველი ქალების სიმშვენიერე საერთოდ მათ სახეშია. უმრავლესობას აქვს ყოვლად თავისებური ფორმის ქვემოთკენ მოღუნული (კეხიანი-გ.გ.) ცხვირი, რომელსაც ქართულს უწოდებენ; იგი საკმაოდ

მოზრდილია და ნაკვთების მთლიანად უზადო (უნაკლო) წყობას ერთგვარად ჩრდილს აყენებს. ფერუმარილის საყოველთაო ხმარება და წარბების შეღებვა ევროპელების გემოვნებას შეურაცხყოფს(?!). შავ თვალებს ცეცხლი (ბრწყინვალება) კი არ აკლიათ, არამედ აზრი (გამომეტყველება) და სული. უმეტესობას აქვს ძალან ხშირი და ლამაზი მბრწყინავი შავი თმა, რომელიც მშვენივრად დაწნულ მრავალ ნაწნავებად ეშვება ძირს ოქროთი მოქემსილი პატარა ქუდიდან. თუ გამოვრიცხავთ თავსაბურავს, ლამაზ ნაწნავებს და მოფრიალე მოსასხამს (ვუალს), რომლის სისუფთავესაც თვით უბრალო გლეხის ქალებიც და ხელოსანთა ცოლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ, მაშინ ქართველი ქალის ტანსაცმელი უფრო მეტად ფანტასტიურია, ვიდრე გემოვნებიანი. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ჩაცმაზე (მორთვაზე) თავის შესაძლებლობებთან შედარებით იმდენ ფულს არსად ხარჯავენ, როგორც საქართველოში. მდიდარ ქალბატონებთან ეს მორთულობა ძალზე სოლიდურია. წარჩინებულთათვის ესაა: ძვირფასი ქვები, მარგალიტი, ოქრო, ინდური შალები, ხავერდი და აბრეშუმი. ღარიბი ქალები ცდილობენ უბრალო სამკაულით (ზიზილ-პიპილებით) მაინც იბრწყინონ. ხანდახან მე გაოცებული ვჩერდებოდი ქალაქის უღარიბესი ნაწილის პატარა ბნელ ქუჩებში ანდა გარეუბანში ხეტიალისას, როცა მოძველებული ქოხის მონჯღრეულ კარებში, ანდა ღვარძლით დაფარულ ნახევრად დანგრეულ ტერასაზე დავინახავდი მხატვრულ პოზაში მდგომს, ან დამჯდარს, ლამაზ ქალს დიდებულად მორთულს მატყუარა ჭრელი სამკაულით. ცოტა შორიდან რომ დაკვირვებოდი, ეს შეღებილი ქალები თავისი თეატრალური ბრჭყვიალებით შეიძლება ლამაზ ფერიებად მოგჩვენებოდა, ან კიდევ იმ სასახლეთა პრინცესებად, რომლის ნანგრევებიდანაც ააშენეს ეს ქვის ქოხები.

კვირა და სადღესასწაულო დღეებში, როცა ქართველი და სომეხი ქალები მთელი ქალაქის დასანახად გამოდიან (და იპყრობენ კიდეც), ქალაქის დაცარიელებულ ნაწილებში სეირნობა ძალზე საინტერესოა.

ცნობილია აღმოსავლელთა ხასიათში, რომ გარეგნულ ფუფუნებას (ტანსაცმელი, მსახურები, იარაღი, ცხენები და ა.შ.) უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე სახლების კეთილმოწყობას (იგივე ითქმის სასიამოვნო დროსტარებაზე — ცხოვრების ხასიათსა და პირის გემოს მოყვარულობის თვალსაზრისით). ევროპიელებთან გემოვნება და ჩვევა საპირისპიროა;

გერმანელ მოახალშენეებთან ეს ფაქტი შეძლებისდაგვარად ნათლადაა წარმოჩენილი. მათი ტანსაცმელი, როგორც წესი, ჭუჭყიანია, გახეხილი, უგემოვნო. სუფთად ჩაცმულ ლამაზ ადგილობრივთა გვერდით, ისინი საცოდავად გამოიყურებიან. სამაგიეროდ ცხოვრობენ გერმანულ ყაიდაზე ძალზე სოლიდურად მოვლილ (მორთულ) კეთილმოწყობილ სახლებში. ასევე, როგორც წესი, კარგად და მაძღრად ჭამენ და სვამენ. ქართველები და სომხები, განსაკუთრებით სოფლელები (გლეხები), საერთოდ კმაყოფილდებიან ძალზე უბრალო საკვებით; მათი ღარიბული სახლები შიგნით კიდევ უფრო უნუგეშოდ გამოიყურებიან, ვიდრე გარედან. ამის მიუხედავად, ამ სიღარიბეს ისინი ხალისით იტანენ; ეს იქიდან ჩანს, რომ ქალები ყოველთვის მხოლოდ აბრეშუმის კაბებში, წმინდა ჩადრაში, სუფთა განიერ ქვედა საცვალში (ნიფხავში) და მოქარგულ ფეხსაცმელებში (მაშია), ხოლო მამაკაცები — თავის მშვენიერ ჩოხებში (ესაა ზედა ჩასაცმელი დაკიდული სახელოებით) და წმინდა ტილოს და აბრეშუმის, თასმებით მდიდრულად გაწყობილ ახალუხში (ქვედა სამოსია) გამოწყობილნი ჩნდებიან ეკლესიაში, ტერასაზე ანდა სეირნობისას. მიუხედავად იმისა, რომ ტფილისში ყოფნისას ბედმა უფრო ნაკლებ გამიღიმა ვყოფილიყავი ქვეყნის წარჩინებულ ქალბატონთა საზოგადოებაში, ვიდრე ჩემს წინამორბედსა და ჩემს მიმდევარს, რომლებიც ბარონ როზენის, გენერალ გოლოვინისა და თავადი ვორონცოვის სალონებში ყველა თავადური და აზნაურული გვარების წარმომადგენლებს შეხვდნენ, მაინც ორ დიდ სახალხო დღესასწაულს შევესწარი: განგებამ ინება, რომ აღდგომასა და სამხედრო თამაშობებზე ახალ-ტფილისთან მდებარე ვაკეზე მაისის თვეში დედაქალაქის მთელი საუკეთესო საზოგადოება ისე ახლოს და ერთმანეთის გვერდით მეხილა, როგორც მშვენიერი რომაელები კორსოზე (ასპარეზზე) კარნავალის დროს. ამ გარემოებებშიც ქართველი ლამაზების დათვალიერებამ ნაკლებ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა, სანამ ქვეყანასა და ხალხს საკუთარი თვალით გავეცნობოდით. სახის ფერუმარილი და ზედმეტად დიდი ცხვირი ჩრდილავს ყველა დანარჩენ სილამაზეს — როგორიცაა მბრწყინავი თვალები, მარგალიტივით კბილები, ყორანივით შავი თმები, დიდებული ტანი (სხეულის ნაკვთების ფორმები) და ტანსაცმლის სიმდიდრე. ამასთან ყველა ამ ქალთა სახის გამომეტყველება მოკლებული იყო ზეშთაგონებას და სანდომიანობას.

ბ-ნ ფონ ნაიდჰარდტის სახლში ერთერთი პატარა ბალის დროს, მხოლოდ ერთხელ ვიხილე მოცეკვავე ქართველი ქალი. ეს იყო ახალგაზრდა თავადის ქალი მიმზიდველი (მომაჯადოებელი) ტანის, რომელსაც ასევე ბოლოში მოხრილი (კეხიანი) ცხვირი მთლად არ უხდებოდა. არაჩვეულებრივი სილამაზის თმა მრავალ, საოცრად მოხდენილ ნაწნავებად ეშვებოდა ტანის შუამდე ვუალის შიგნით (ლეჩაქი?). რუხი-მოყავისფრო აბრეშუმის კაბა მსუბუქად უფარავდა მკერდს, რომლის ამობურცულ ბოლოებზეც ორი ბაცი-წითელი აბრეშუმის ნაქარგი იყო ჩაკერებული. თეძოებს ზემოთ ქამრად ერტყა მოვარდისფრო-წითელი ლენტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფიგურა თავის მხატვრულ სამოსში ბევრად გამოირჩეოდა ფრანგულად ჩაცმულ რუს ქალებში, მაინც ნამდვილი გრაციის ნაკლებობის გამო, თვალი (მზერა) მოწონებით არ ჩერდებოდა აღმოსავლეთის მოცეკვავე პრინცესაზე (დედოფალზე), რომელიც კადრილის დროს მოუქნელად და უგრძნობი სახით მიჰყვებოდა რუსულ უნიფორმებს. ასევე მდიდრულად ჩაცმული და არანაკლებ მშვენიერი სომეხი ქალბატონი შემხვდა თავის ახალგაზრდა ქმართან ერთად მარტოდ მოსეირნე ტფილისის ახლო მიდამოში. როცა ჩემს თანმხლებს აღტაცებული სიტყვებით გერმანულად ვამცნე ჩემი გაოცება, ჩემდა გასაკვირად ახალგაზრდა წყვილმა გაიღიმა, ხოლო თავადმა (რომელსაც ალბათ, როგორც ალექსანდერსდორფის კოლონიის მეზობელს, მრავალჯერ ჰქონდა საშუალება ჩვენი დედაენა მოესმინა), როცა ჩამიარა, მომიბრუნდა და კარგი გერმანულითა და ოდნავ დამცინავი კილოთი დამიყვირა: ,,მოგწონთ ჩემი ცოლი?‘‘ — ახ, რა მშვენიერია!‘‘

ბარონ ფონ როზენის მმართველობისას მის სალონში ხედავდნენ აგრეთვე ქართული სამეფოს კანონიერი შთამომავლის — უკანასკნელი ადგილობრივი მეფის, ტფილისში მჯდომი გიორგის ერთადერთი (?) ვაჟის — ბატონიშვილ ალექსანდრეს ახალგაზრდა მეუღლეს. ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ქვეყანაში ერთ უპირველეს ლამაზმანად ითვლებოდა, იყო ერევნელი წარჩინებული სომხის ქალიშვილი და იმყოფებოდა იმ ქალაქში, სანამ ერევანი სპარსეთ-რუსეთის ომისას რუსებმა არ აიღეს. ქართველი პრეტენდენტი, რომელიც თავის მამის სამეფოში არ ცნობდა რუსთა ბატონობას, ხან თურქეთში, ხან სპარსეთში დაეხეტებოდა (მიდიმოდიოდა) და ამ ქვეყნის მმართველების რუსეთის

წინააღმდეგ ომისაკენ ამხედრებას ცდილობდა. დადებული ზავის შემდეგ[1] მან მოითხოვა თავისი ახალგაზრდა მეუღლე და ბავშვი. ფელდმარშალმა პასკევიჩმა ამ მოთხოვნას ხელი არ შეუშალა (დაბრკოლება არ შეუქმნა) და ქალბატონს გამგზავრების ნება მისცა. ეს უკანასკნელი კი კარგა ხნით შეჩერდა თავისი მშობლების სახლში ერევანში ცუდი ამინდის მომიზეზებით (იქნებ ქმრის მოხეტიალე ცხოვრება მას ნაკლებ იზიდავდა); მას ეგონა, რომ თავისი პიროვნებისა და სურვილების თავისუფლება გარანტირებული ჰქონდა თავადი პასკევიჩის დაპირებით. მხოლოდ რუსეთის მხრივ სიტყვისა და ფიცის გატეხა თუ შეუშლიდა ხელს ქალბატონის გამგზავრებას.

ამასობაში თავად პასკევიჩს მოუვიდა შემცვლელი ბატონ როზენის სახით, რომელმაც პრეტენდენტის ხელახალი მოთხოვნის გამო სტ.-პეტერბურგიდან გამოითხოვა მათი გაგზავნის უფლება. პეტერბურგში არ იცოდნენ, რომ კანონიერი ტახტის მაძიებლის ცოლი და ვაჟი ჯერ კიდევ რუსეთის სამფლობელოში იმყოფებოდნენ. რუსეთის მთავრობამ ჩათვალა, რომ პასკევიჩის მიერ მიცემული სიტყვა არ წარმოადგენდა დაბრკოლებას და უბრძანა ქალბატონისა და მისი ვაჟის პეტერბურგში გაგზავნა. ახალგაზრდა ქალის თავზარი აუწერელი იყო, როცა მან ეს ცნობა მიიღო. აქამდე ის ძველებურად ეწეოდა ჰარემულ ცხოვრებას უმკაცრესი კარჩაკეტილობით და ღია სახით არ უნახავს უცხო კაცის თვალს. შემაგრებული თავისი მოხუცი დედის ცრემლებითა და მოთქმით, თავდაპირველად ურყევად ამბობდა უარს მშობლიური სახლის მიტოვებაზე. როცა რუსი ნაცვალი მას ძალით დაემუქრა, ისიც დამორჩილდა თავის ბედს და ტფილისში ჩამოვიდა, სადაც მეცნიერი მოგზაური დიუბუა შეესწრო ბარონ როზენის სალონში მის მიღებას. ქ-ნმა ბარონესამ მთელ თავის ზრდილობასა და თავაზიანობას მოუხმო, რომ რაც შეიძლება სასიამოვნო გაეხადა პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონი ევროპიულად მოწყობილ სალონში მიიღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბარონესას არ შეეძლო მეფური სისხლის მქონე სტუმართან პირდაპირ ესაუბრა (ქალბატონმა იცოდა მხოლოდ ქართული და სომხური), მაინც მალე მოახერხა მისი მეგობრული განწყობის მოპოვება. პატივმა და ყურადღებამ, რაც მას ყოველი მხრიდან შეხვდა, უკვალოდ არ ჩაიარა. მას თანდათან

[1] იგულისხმება 1828 წლის თურქმანჩაის ზავი – გ.გ.

მოეწონა ევროპიული ჩვევები და მიეჩვია კაცთა საზოგადოებაში სახის დაუფარავად გამოჩენას; ეს იყო მსხვერპლი, რომელსაც შეეძლო ერთგვარი შვება მიეცა მისი აღელვებული გრძნობისათვის. ტფილისში ხანგრძლივი გაჩერების შემდეგ, ბოლოს პეტერბურგს გაემგზავრა; ამტკიცებენ, რომ იქ, იმპერატორის კარზე შესანიშნავად ცხოვრობს და ტრანსკავკასიაში დაბრუნების არავითარ სურვილს არ გრძნობს.

განსაკუთრებული სილამაზის სახელი, რომლითაც ქართველი ქალები განთქმული არიან არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც და ზოგიერთი ხალხების პოეზიაშიცაა შეჭრილი, ნაწილობრივ ემყარება საყოველთაოდ გავრცელებულ გაუგებრობას, რომ თურქული ჰარამხანების ლამაზი მონები მეტწილად საქართველოდან ან ჩერქეზეთიდან წარმოსდგებიან. ყველა მშვენიერ მონას, რომლებიც პონტოს მეზღვაურებს მოჰყავთ ბათუმიდან, სოხუმ-კალადან და ტრაპეზუნტიდან კონსტატინოპოლში, ჰყიდიან როგორც ქართველებს. თურქი მონებით მოვაჭრის პირიდან ჩვენ თვითონ გავიგეთ, რომ კარგა ხანია, რაც ამ უბედური არსებების უმრავლესობა თურქებზე მისაყიდად და გასაცვლელად მოჰყავთ ლაზისტანიდან, გურიიდან და სამეგრელოდან. ეს ხალხები, მართალია ქართველების ნათესავები არიან ენით და მოდგმით (გვარით), მაგრამ ისე განსხვავდებიან მათგან, როგორც იტალიელები და ესპანელები, გერმანელები და სკანდინავიელები. ისინი საკუთრივ კოლხეთის მაცხოვრებლებია, რომელთა სისხლი ქალთა მხრიდან გაცილებით მეტადაა შერეული წარჩინებულ თურქებთან, ვიდრე თვით ჩერქეზული.

ქართულსახელიანი კოლხი ხალხები საერთოდ უფრო ლამაზია, ვიდრე საკუთრივ გეორგიელები (ქართველები)[2]. დიდებული მხარის — გურიის მაცხოვრებლები მთელ კავკასიელ ხალხებს შორის სილამაზით პირველნი არიან. გეორგიელი (ქართლელი), კოლხი და ჩერქეზი ქალების სილამაზე მოქანდაკეებს უფრო ეკუთვნით, ვიდრე პოეტებს; ისინი საკმაოდ ხშირად „უძრავ სურათებს" წარმოადგენენ, რომელთა სახეს აკლია აფროდიტეს სინაზის სარტყელი...

ევროპაში არ არის ხალხი, რომელიც ქორწინებით ისე ერეოდეს სხვა სისხლს, როგორც რუსები. რუსი მოხელეები და ვაჭრები ერთნაირად ეძებენ გერმანელ გლეხის გოგოებს და ულამაზეს ქართველ ან სომეხ აზნაურთა ქალიშვილებს; მაშინ როცა რუსი აზნაური ადგილობრივებს

[2] ჩანს აქ გულისხმობს ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) ქალებს — გ.გ.

ქორწინებით უმოყვრდება, მარტოხელა რუსი ყმები (გლეხები) სამხრეთ რუსეთში იპარავენ თათრების ქალიშვილებს, ხოლო ყუბანელი კაზაკები კი ირთავენ მოტაცებულ ჩერქეზ გოგოებს. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამ შეუღლებიდან, ასევე გერმანელ გოგოებთან, თითქმის ყოველთვის ნამდვილი რუსი ბავშვები ჩნდებიან, როგორც გარეგნულად, ისე ხასიათით. ეს ფაქტი მიუთითებს სლავური რასის სოლიდურ ძალაზე. რადგან რუსი კაცი საერთოდ მდედრობით სქესს სხვა მოთხოვნებს უყენებს, ვიდრე განათლებული დასავლეთის ხალხები, ამიტომ ამ შეუღლებათა უმრავლესობა ნაკლებ უბედურია, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრა. ფრანგი მუდამ მოკლებული იქნებოდა ქართველ ქალში გრაციას, რომაელი — კეთილშობილურ ღირსებას (?), ესპანელი — ცეცხლოვან ტემპერამენტს, გერმანელი — მყუდროებას. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ და სხვაგან ვნახეთ და გავიგეთ აღმოსავლელი ქალების შესახებ, არცერთ განსწავლულ დასავლელს არ ვურჩევდით, წამოსულიყო აღმოსავლეთში დაქორწინების ზრახვით.

ბ-ნი აბოვიანის მეგობრულ თვისებას უნდა ვუმადლოდე ერთ ქორწილზე ჩემს მიწვევას (მიპატიჟებას). გრიგორიანული სარწმუნოების სომეხმა შეირთო მდიდარი ოჯახის ქალიშვილი; ოჯახმა ამ საქმროს მისცა უპირატესობა სხვასთან შედარებით, რადგან მას ცოტა ხნის წინ იმპერატორის მიერ ეწყალობა წარჩინების ოქროს მედალი. პეტერბურგს გარდა ალბათ მსოფლიოში არსადაა ქალაქი, სადაც ასეთი მონდომებით (თავგამოდებით) ცდილობდნენ წოდების (ჩინის), ორდენებისა და წარჩინების ნიშნების მოპოვებას. ზოგიერთმა მდიდარმა სომეხმა 10000 მანეთიც კი ჩაუთვალა, რათა მე-4 კლასის სტანისლავის ორდენი ეტარებინა ღილის კილოში.

სასიძო შეგვხვდა კიბეზე; მას ყელზე შებმული ჰქონდა წითელი ბანტი, ზედ დამაგრებული მბრწყინავი ოქროს მონეტით. იგი შეგვიძღვა ოთახში, სადაც ჩაიზე შეკრებილიყვნენ ქორწილის მამაკაცი სტუმრები. ჩაის დალევის შემდეგ გაგვიშვეს მეორე მხარეს — ქალებთან, რომლებიც დღეს თავის საუკეთესო სამკაულებში და ტანსაცმელში იყვნენ მორთულნი. დედოფალი (პატარძალი) — ეს პატარა ფიგურა, ფერმკრთალი, არაფრის მეტყველი სახით იჯდა განსაკუთრებულ მაგიდასთან; მას გარს ეხვივნენ ამ საზოგადოებაში მყოფი ქალიშვილები. მისი ნაკვთების უსულო გამომეტყველებას ერთვოდა აგრეთვე

ხელოვნური (ნასწავლი) პასიური გულგრილობა. მე ამიხსნეს, რომ აქაური წესის მიხედვით ქორწილის დღეს პატარძალს უნდა ჰქონდეს ასეთი გაყინული გამომეტყველება, რასაც მიიჩნევენ სერიოზულობისა და ღირსების ნიშნად.

ცერემონია დაიწყო საქმროს მიერ მოტანილი საჩუქრების მირთმევით, რაც წარმოადგენდა სამკაულებსა და ძვირფას კაბებს. ეს ნივთები დააწყეს იმ პატარა მაგიდაზე, რომელთანაც იჯდა პატარძალი; აქვე დადეს ორი უზარმაზარი შაქრის თავი, განკუთვნილი მღვდლისათვის. ვრცელი ლოცვის შემდეგ მღვდელმა აკურთხა კაბები და ამასთან ერთ სასულიერო კოლეგასთან ერთად გრძელი გალობაც დაამღერა თუ დააყმუვლა. შემდეგ გოგონებმა სამკაულის ერთი ნაწილი შეაბეს პატარძალს. რუსული ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ერთი მხიარული სომეხი ცდილობდა თავისი სახის კომიკური თამაშით ამ ცერემონიის დროს რამენაირად გაეღიმებინა პატარძალი, მიუხედავად მისი ნამალადევი სერიოზულობისა და ბუნებრივი სიცივისა. ამასობაში მოგვართვეს გამაგრილებელი საშუალებები. ხალხი საუბრობდა, ხუმრობდა, იცინოდა და კუჭს იმაგრებდა, რათა შემზადებულიყო ეკლესიაში შემდგომი ხანგრძლივი ცერემონიისთვის. ჯვრისწერა ქვეყნის წესის მიხედვით შედგა შუაღამისას და გაგრძელდა ერთ საათზე მეტხანს. ღვთისმოსავი ცერემონიები წარმოადგენდა კვლავ ლოცვათა ბუტბუტს, მკივანა სიმღერას, სახის ყოველგვარ გრიმასებსა და პოზებს. სხვათაშორის, მექორწილე წყვილს მღვდელმა თავზე დაადგა ძვირფასი ოქროს გვირგვინები. მას შემდეგ რაც საზოგადოებამ მართლაც გულისამაჩუყებელი და დაღლილი ხმით ილოცა, მუსიკოსთა (დამკვრელთა) ჯგუფის თანხლებით გაემართა ნეფის (სიძის) სახლისკენ.

რამდენიმე ათეული წლის წინათ, სანამ რუსული წესები მოახდენდნენ გავლენას ადგილობრივთა ძველ ცხოვრებისეულ ჩვევებსა და ცრურწმენებზე, საქორწილო მხიარულობისას ორივე სქესი გათიშული იყო. ქალები ეკლესიებშიც კი იფარავდნენ სახეს, ხოლო მათ ცეკვას მხოლოდ სიძე (ნეფე) ესწრებოდა. ახლა სულ სხვაგვარადაა. ულამაზესმა და დახელოვნებულმა მოცეკვავე ქალებმა საზოგადოების მრავალრიცხოვანი ქალთა ნაწილიდან თავისი ხელოვნება ხალისით გვიჩვენეს. ამ სომეხი ქლების სოლო ცეკვას (რომელთაც თითქმის უკლებლივ ეროვნული ტანსაცმელი აცვიათ ფრიალა ვუალებთან

ერთად) ვერ განასხვავებთ რომაელ და ანდალუზიელ ქალთა ცეკვებისგან სიმარჯვის, გრძნობის (მგრძნობიარობის) და სანდომიანობის (ეშხის) თვალსაზრისით. მაგრამ ცეკვის დროს მათ მიხრა-მოხრას (თავის დაჭერას) არ დაუკარგავს გარკვეული დაჭიმულობა, მათ სახეებს კი ის პასიური, უსულო გამომეტყველება, რაც მართლაც მშვენიერ სახეებს ყოველგვარ მიმზიდველობას უკარგავს.

გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ქალბატონი ყორღანოვი, მდიდარი სომხის შვილი, რომელიც პასკევიჩის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა. ის იყო მაღალი, მშვენიერი აღნაგობის; მის საოცარ ლამაზ სახეს ხშირად დასთამაშებდა მოალერსე-ეშმაკური ღიმილი, რაც მას სხვების გაქვავებული სახეებისგან ლამაზად გამოარჩევდა. ის იყო საზოგადოებაში ყველაზე განათლებული ქალბატონი, რაც დამკვირვებელს ერთი შეხედვით შეეძლო ამოეცნო მის თავდაჭერილობასა და სახის გამომეტყველებაში, ისე რომ საუბრით გამოცდა არ მოეწყო. იქ მყოფმა არმიის შტაბსოფიცერმა სომეხმა მიმიპატიჟა თავის ცოლის გვერდით დასაჯდომად,რომელიც ფრანგულად ლაპარაკობდა. ჩემი იმედი, რომ ამ ქალბატონთან მექნებოდა მოსაწყენი საუბარი, სამწუხაროდ არ გაქარწყლებულა. უნიჭოდ და მოსაწყენად წარიმართა საუბარი, როგორც თითქმის ყველა აქაურ ქალებთან. გარდა საყოველდღეო ამბებისა, რაც მას უშუალოდ ეხებოდა, ამ ქალბატონმა არაფერი იცოდა და ვერც ერთხელ ვერ გაიგო ჩემი კითხვები, როცა ისინი არ ეხებოდა მორთულობას, ჭამას, ქორწილს ანდა იმ ვიწრო წრის საგანს, რომელშიც თვით იმყოფებოდა.

სუფრაზე მიწვევის ნიშანი ყველა იქ მყოფზე მეტად ალბათ მე გამეხარდა, რადგან ვიმედოვნებდი ამ ქალბატონთან საუბრისაგან განთავისუფლებას. მართლაც ორივე სქესი გაითიშა და სხვადასხვა ოთახებში შეუდგა ვახშამს. მხოლოდ სიძეს ერგო ბედნიერება (ანდა, ვინ იცის, იქნებ აუხსნელი ტანჯვა) მარტო ყოფილიყო ყველა ქალებთან ერთად. თავის საცოლეს ის ხანდახან ისეთი ალერსით შეხედავდა, როგორც ქორი გვრიტს.

პურმარილი იყო დიდებული; აქ წარმოდგენილი იყო სომხური და რუსული სამზარეულოს ხელოვნების ყველა სიახლე-გამოგონება. შამპანურიც მრავლად ილვრებოდა (ისხმებოდა), მიუხედავად იმისა, რომ თითო ბოთლი ტფილისში ღირდა 4 ვერცხლის მანეთი. ხმაურიანი

სუფრის მუსიკა არანაკლებ აღვივებდა სიცოცხლესა და მხიარულებას, ვიდრე შუშხუნა ნექტარი. ჩემს გვერდით დაჯდა ერთი სომეხი, რომელსაც რუსული მუნდირის ქვეშ უცემდა მხურვალე სომხური პატრიოტიზმით სავსე გული; იგი გაუთავებლად ჩიოდა ყოველგვარი შევიწროების აღმაშფოთებელი უსამართლობის შესახებ, რაც მის ხალხს მიაყენეს.

სუფრიდან ადგომის შემდეგ ორივე სქესი კვლავ შეერთდა. ერთად გამოიტანეს ყველა ნათასავისა და მეგობრების მიერ მოტანილი საქორწილო საჩუქრები, რომლებიც მეტწილად ნაღდ ფულს წარმოადგენდა და გადასცეს მღვდელს; მან კი ყველას თვალწინ დათვალა და ლანგარზე დადებული დედოფლის წინ ძირს დასდო. სანამ მომტანის სახელს ხმამაღლა დაიძახებდნენ და საჩუქარს (შესატანს) ასევე მთელი ხმით გამოაცხადებდნენ, მღვდლის სახეზე შეიძლებოდა ამოგეცნო საჩუქრის მეტ-ნაკლები ღირებულება. თუ ეს იყო ოქროს ნივთები, რომელსაც მას ხელში აწვდიდნენ, მისი ეშმაკური სახე აუწერელი ნეტარების გამომეტყველებას იღებდა. ამ საქმიანობით, რაც სომეხთა ტაქტიანობის არც თუ საზარბიელო მოწმობაა, სტუმრებისათვის დამთავრდა საქორწილო ზეიმი. შემდგომი საიდუმლოების შესახებ, რომელიც მხოლოდ სიძისთვისაა ცნობილი, მხოლოდ გამეხუმრნენ „ამის თქმა სხვა ავტორმა გაბედოსო“.

საუკეთესო ვითარება, რომ საქართველოს დედაქალაქის საზოგადო მოედნებზე და მთავარ ქუჩებში ერთად ნახო არა მარტო ქალები, არამედ სხვადასხვა ეროვნული ელემენტებისგან შემდგარი მთელი ჭრელი მოსახლეობა, ეს არის აღდგომის დრო, რომელიც არა მარტო უმნიშვნელოვანესი რელიგიური დღესასწაულია ყველა ქრისტიანული კონფესიებისათვის არამედ ყველაზე საყვარელი სახალხო ზეიმიც, რომლის დროსაც თვით მაჰმადიანი თათრებიც ჯგუფებად მოედინებიან სოფლებიდან.

გარდა ეკლესიებში წარმოებული მდიდრული (ბრწყინვალე) ღვთისმსახურებისა, სამხედრო აღლუმისა, სახალხო თამაშებისა და მხიარულობისა, ქართულ აღდგომის ზეიმს სხვა მხარეც აქვს, რომელიც საყოველთაო ლხენას გასაგებს ხდის, როგორც კი შუაღამისას ქვემეხები დაიქუხებენ. აღდგომის დღესასწაული მკაცრად მორწმუნე ხალხს ათავისუფლებს ზედმეტად ხანგრძლივი და სანიმუშოდ მკაცრი

მარხვისაგან და მაგარი ჭამისა და გემრიელი სუფრის მოყვარულებს ეძლევათ საბაბი ნანატრ დღეს სიხარულით შეხვდნენ. უკვე წინა საღამოს იწყება განსაკუთრებული ჭყლეტა და მოძრაობა ბაზრის მოედანზე. ასობით მოჰყავთ გასაყიდად სააღდგომო ბატკანი თოვლივით თეთრი მატყლით. თვით ღარიბი ოჯახებიც კი არ უვლიან გვერდს სააღდგომო ნაზ შემწვარს, ხოლო მე თვით ვნახე, თუ აქა იქ როგორ სინჯავდნენ და ევაჭრებოდნენ ბატკნის ფასზე თათრებსა და სომხებს დაძონძილი მათხოვრებიც. როცა ამ საყვარელ ცხოველს ხედავ, რომელსაც არ ესმის რა საშინელი ბედი ელის, მოთმინებით წევს თავისი პატრონის მკლავზე და მყიდველს ასეთი წყნარი (თბილი) თვალებით უყურებს, ყველას გულს ტკენს და არაა საჭირო იყო სენტიმენტალური, რომ ქრისტიანული ზეიმის წინააღმდეგ განეწყო, რომლის დაწყებასაც აკურთხებენ ამ საცოდავი პირუტყვის გადმოღვრილი სისხლით. როცა შუაღამის კანონადა აუწყებს აღდგომის დადგომას, ბოლო ბატკანი უკანასკნელად ამოისუნთქებს, ანდა უკვე იწვის ტაფაზე. მთელი წინა საღამო ეთმობა შუაღამის ქეიფის მომზადებას. მე რომც არ გაველვიძებინე ციხეებიდან მომავალ ძლიერ გრიალს, რომელსაც კლდეთა ექო იმეორებდა, ამასვე ჩაიდენდა წარმოუდგენელი სიხარულის ყვირილი, რაც ქუჩებში ისმოდა. შეძახილით — „ქრისტე აღსდგა!“ — ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ არა მარტო ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები, არამედ ყველა ფენის წარმომადგენლები, ყველა ქრისტიანები. გენერალი ეკლესიაში ეხვეოდა სალდათებს, მთავარი (თავადი) თავის მეკარეს, მდიდარი მეპატრონე თავის მეჯინიბეს. ამ დღეს არც ერთი წამით არაა კაცი დაცული კოცნის საშიშროებისგან. ასეთი რელიგიური წესი აქვთ რუსებს, ქართველებსა და ბერძნებს; ასევე სხვა ქრისტიანული კონფესიების მიმდევრებიც მიეჩვიენ მათ მიბაძვას. ქალები და გოგონები ნებას აძლევენ ნაცნობებს ლოყაზე აკოცონ; მხოლოდ უწარჩინებულესი რუსი ქალები უწვდიან ხელს მკოცნელს სახის ნაცვლად. თვით დიდი მეფეც კი სტ.-პეტერბურგში აღდგომა დღეს კოცნის თავის გრენადერებს. ამ ქრისტიანულ წესს ექნებოდა რაღაც ამაღელვებელი, გრძნობასაც რომ მიეღო რაიმე მონაწილეობა; თუკი საყოველთაო ძმურ კოცნაში ჩადებული იქნებოდა პატარა ნაპერწკალი ასევე ძმური სიყვარულისა, რომ ქრისტიანულ ჩვევას არ ჰქონდეს წმინდა გარეგნული

ფორმა, რომელსაც იცავენ არა მისი ღრმა შინა მნიშვნელობის გამო, არამედ რადგან ასე დაუწესებია ძველ საეკლესიო კანონს.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნებულებს ელოდებათ რჩეული ვახშამი (საუზმე). ამდენი ხნის ნაკრძალი და ძლიერ სასურველი ხორცის საჭმელები ყველანაირი შესაძლო ფორმით იყო წარმოდგენილი; გარდა ბატკნის მწვადებისა, აღუწერელი რაოდენობით შეიჭამა ლორი (შაშხი) — ქართველების საყვარელი კერძი. საერთოდ აღდგომის კვირაში მთავარ როლებს ასრულებენ სასა და კუჭი, პირი და კბილები. შეიძლება ითქვას, რომ ველარ აუდიან კოცნას, მტლაშა-მტლუშსა და კბენას და ჩვეულებრივ საკმაოდ ზომიერი ხალხი ამ დღეს ალბათ გაცილებით მეტ დიეტურ დანაშაულს (შეცდომას) უშვებს, ვიდრე მთელი დანარჩენი წლის მანძილზე. ყველა ტაფებზე, ქოთნებში იწვება, იხარშება, დუღდება და ბოლავს (ითუშება), როგორც ელიზეს ფუნდუკებში... საზოგადოებრივი სასაუზმოები, სამიკინტოები, ტრაქტირები დღე და ღამე სავსეა ჭამის მოსურნეებით. აქ ერთად ჭამენ ოსი და ქართველი, სომეხი და კაზაკი. სუფთა მაგიდას შეჩვეული ევროპიელისთვის დიდებული ქრისტიანული სერობის სურათი არა ნაკლებ მადის აღმძვრელია. ოსი მტვირთავი, სომეხი მათხოვარი და ქართველი მაწანწალა (მოხეტიალე), რომლებიც იგივე ლანგარს შემოსხდომიან, არაფრად აგდებენ, თუ ერთი-ორჯერ სიჩქარეში გადამცდარ ნაჭერს(ნატეხს,ნამცეცს) საერთო ლექში (ნარჩენში) ჩააბრუნებენ. ბაზარი და ყველა დუქანი დაკეტილია. მთელი ტფილისი საზეიმო ტამსაცმელშია და მოძრაობს ქუჩებსა და მოედნებზე ჭამის დროებს შორის შუალედებში (შესვენებებში).

ბაზრის მოედანზე ათასობით იკრიბებიან საალდგომო კვერცხებით შემჯიბრებლები. რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, ალბათ მსოფლიოში არსადაა მეორე ქალაქი, სადაც ამდენი კვერცხის სიმაგრეს სინჯავდნენ, სადაც მასზე ამდენ სანაძლეოს სდებდნენ და სადაც ამ გართობას ასეთი აზარტით (ჟინით, ალგზნებით) ეწეოდნენ. სანამ კვერცხებით შეჯიბრების მოწინააღმდეგენი საქმეს შუდგებოდნენ, მას (კვერცხს — გ.გ.) ჯერ საგულდაგულოდ შეამოწმებენ და კვერცხის სიმაგრეს საკუთარ კბილებზე მოსინჯავენ. ბავშვები ერთობიან რუსულ კარუსელზე. ქალები და გოგოები ზეიმში უფრო პასიურად მონაწილეობენ, თუმცა თავის სილამაზესა და უძვირფასეს კაბებს

ამხეურებენ. ისინი ყველგან ჯგუფებად სხედან და თვალს ადევნებენ სხვადასხვა გართობებს (თამაშობებს), რომლებსაც ჩვენ ვამჩნევდით განსაკუთრებულ ორიგინალობასა და ხმაურიან სიხარულს.

სააღდგომო ზეიმზე უფრო დიდი სანახაობაა მაისის თვის ტურნირები, რომლებშიც სხვადასხვა ეროვნების ყველაზე ყოჩაღი მხედრები ეჯიბრებიან ერთმანეთს. თათრები, ქართველები, სომხები, დონელი და ხაზის კაზაკები უჩვენებენ თავის მხედრულ ხელოვნებას, რომელშიც მსოფლიოს სხვა რომელიმე ხალხი ძნელად თუ აჯობებს. ისინი ტყორცნიან შუბებს, სრული ჭენებისას ისვრიან თოფებსა და დამბაჩებს, იქნევენ ხმლებს და აწარმოებენ ბრძოლის იმიტაციას. ყოველი ეროვნების წარმომადგენელი ამას აკეთებს თავისი განსაკუთრებული საომარი წესებით და მისთვის დამახასიათებელი საომარი ყიჟინით. ამ ტურნირების ნახვისას მაყურებელს ნათელი წარმოდგენა ექმნება, თუ როგორ ხდება სინამდვილეში მხედართა შეტაკება კავკასიელთა ომებში (კავალერიის ბრძოლა). ამ საზეიმო თამაშების ასპარეზი ჩვეულებრივ არის ვაკე ადგილი გერმანულ კოლონია ახალ-ტფილისთან. მრავალი ათასი მაყურებელი ეტლით თუ ოთხთვალათი, ცხენით თუ ფეხით მოედინება აქეთ. ქალებს არანაკლებ დიდი სურვილი აქვთ, ვიდრე კაცებს ამ დიდებული საომარი სპექტაკლის ნახვისა. ამავე დროს ისინი ისე არ იქცევიან, როგორც გერმანელი ქალები ტურნირებზე, ანდა თანამედროვე კასტილიელები ხარების ბრძოლისას. არცერთი მოწონების გამომეტყველება, არცერთი გამამხნევებელი შეძახილი არ აჯილდოებს მხედარს ამ ტურნირებზე მისი გამბედაობის, მოქნილობის, სიძლიერისა თუ სილამაზისათვის. ამ დიდებული სპექტაკლისას მე ვხედავდი (ვუყურებდი) თავისი ოთხთვალების წინ მუნჯად მსხდომ ქართველ ქალებს; მათი სახეები არავითარ ენთუზიაზმს არ ამჟღავნებდნენ, არცერთხელ არ მიუღიათ ცხოველი მონაწილეობა (გულშემატკივრობა).

სახალხო მთქმელები (მთხრობლები), მომღერლები ან აშულები (მგოსნები), რომელთაც კავკასიაში ეძახიან კიკოაკოა-ს, ბალალაიკის (ესაა მომრგვალებული ფორმის სამგვერდა გიტარა) თანხლებით ამბობენ (ყვებიან) გარითმულ ისტორიებს, ზღაპრებს, ან ხანდახან თავის მიერ შეთხზულ სიმღერებს; ამათ ტფილისში უფრო იშვიათად ვხვდებით, ვიდრე სპარსეთის დიდ ქალაქებსა და საკუთრივ კავკასიაში.

ბაზრის მოედანზე, ქუჩებში, ანდა მტკვრის ხიდზე ხშირად შემოგვხვდებიან საცოდავი ბრმა მათხოვრები (ჩვეულებრივ თათრები), რომლებიც ზეპირად ნასწავლ სიმღერებს წარმოთქვამენ მტირალა ხმით და ცდილობენ გამვლელებს ყურადღება მიაქცევინონ თავიანთ გაჭირვებაზე. რაც მე ენის მცოდნეებმა მითარგმნეს, ჰგავდა თურქულად გადაკეთებულ (თურქულის წაბაძვით გაკეთებულ) სპარსელ პოეტებს და გალექსილ არაბულ ზღაპრებს. გამვლელების მხრივ ამ დამონძილ აშუღებისადმი თანამონაწილეობა და მოწყალება არ ჩანდა განსაკუთრებით გულუხვი. ჩვეულებრივ მხოლოდ უღარიბესი ბრბო (მდაბიონი), ჭუჭყიანი ყმაწვილები და უსაქმურები ჩერდებოდნენ მოსასმენად და ხშირად ისე გადიოდა რამდენიმე მეოთხედი საათი, რომ მხოლოდ ერთი სპილენძის კაპიკიანი თუ ჩაჩხრიალდებოდა წინგამოდგმულ ჯამში.

საერთოდ მოსახლეობის კეთილყოფა ტფილისში ნაკლები ჩანს, ვიდრე მაჰმადიანურ ქალაქებში; სიღარიბე და გაჭირვება კი შედარებით დიდი, ყოველ შემთხვევაში, უფრო თვალში საცემია. პაპის ოლქისა და ნეაპოლის სამეფოს გამოკლებით, არსად არ მინახავს მათხოვართა ამდენი გუნდები. რუსული პოლიცია ნებას აძლევს მათ კვირაში მხოლოდ ერთ დღეს შეაგროვონ მოწყალება. მით უფრო საშინელი და შემაძრწუნებელია სურათი; ყოველ პარასკევს ასობით, ათასობითაც კი მშიერები, ავადმყოფები, ბებრები, ხეიბრები და ყოველი ჯურის უბედურები დაეხეტებიან ქუჩებში, აკაკუნებენ ყველა კარზე, შესჩივიან თავის გაჭირვებასა და ტკივილზე და გულისმომკვლელი მოთქმით მოწყალებას ითხოვენ. ამ მათხოვრების რიცხვი, ამ გაჭირვებულთა ოდენობა ისე დიდია, რომ თვით უმოწყალესი (უკეთილესი) გულიც კი ვერ შეძლებს დახმარების გაწევას, ერთხელაც ვერ შეძლებს ყველა გაჭირვებულს პატარა მოწყალება მიაგოს (აკმაროს). როგორც ნეაპოლსა და სიცილიაში, ხალხი ნელნელა შეეჩვია ადამიანთა გაჭირვების სურათის ატანას; მათ შეუძლიათ დამშეულ მათხოვრებს მოწყალების გარეშე ჩაუარონ გაყინული (ცივი) თვალებით. აღსანიშნავია, რომ სიბრალულს არც ბებრები, არც ბრმები, არც ხეიბრები და კეთროვნები იწვევენ, არამედ მეტწილად ის მორიდებული ქალები, რომლებიც არ ეკუთვნიან უმდაბლეს ფენას და ჩადრით სახედაფარულები შუა ქუჩაში სხედან და წინ უდევთ ხის თეფშები.

ასეთ ქალს, რომელიც მოთქმით (ტირილით) სიბრალულს არ ეძიებს და მოწყალებას არ ითხოვს, აგრეთვე სირცხვილით პირს არასდროს აღებს, იშვიათად ჩაუვლის შეძლებული კაცი ისე, რომ არ მოიფიქროს რაიმეს მიცემა.

მტანჯველი სიღარიბისაგან ხანდახან მაღალი მდგომარეობის ოჯახები და თვით თავადური გვარებიც არ არიან დაცული. მე დამისახელეს სომეხი და ქართველი თავადების გვარები, რომლებიც – როცა რუსულმა მთავრობამ თანამდებობები და დახმარება არ მისცა – გაჭირვების გამო იძულებული გახდნენ უბრალო ხელოსნობისა და უმდაბლესი სამუშაოებისათვის მოეკიდათ ხელი, რომ შიმშილითა და სიდუხჭირით არ დახოცილიყვნენ (დაღუპულიყვნენ). კატარინენფელდის ახლოს მე ვიცნობდი ერთ ნათავადარ გლეხს; ელიზაბეტტალის სიახლოვეს – სომეხ თავადს გურგანოვს, რომელიც ეწეოდა მეწისქვილეობას. საქართველოს იმ წარჩინებულებს, რომელნიც რუსეთის იმპერატორმა (ქვეყნის წართმევა-დაპატრონების შემდეგ) კეთილი ინება და თავის რანგში აღიარა, ზოგჯერ ნამდვილად ტრაგი-კომიკური ხასიათის კონფლიქტები მოსდით ხოლმე რუსულ პოლიციასთან. ასე მაგალითად, ერთხელ ერთი მეეტლე თავრიზის მოედანზე დაიჭირა პოლიციამ, რადგან ის ერთ რუს მოხელეს უხეშად შეხვდა. პოლიცმაისტერმა მას ბასტონადა (ქუსლებში ჯოხის ცემა) მიუსაჯა; როცა მეეტლემ წამოიყვირა, რომ ის იყო კნიაზი (თავადი) და მოიშველია უკაზი, რომელიც იცავდა აზნაურობას ფიზიკური სასჯელისაგან, პოლიცმაისტერმა ბრძანა მისთვის კიდევ 50 როზგის დაკვრა „თავადის ტიტულის უსირცხვილოდ მითვისებისათვის". უბედურმა მეეტლემ მოგვიანებით დაამტკიცა, რომ მას მართლაც ჰქონდა თავადის ტიტული, მაგრამ მიღებულ გაროზგვას ვერავითარმა საიმპერატორო უკაზმა ველარ უშველა.

მთლიანად აღებული, ტფილისში ცხოვრება არაა ძვირი, თუკი იცი როგორ მოიწყო ის. უმეტესი სურსათ-სანოვაგე, ყველანაირი პურეული (მარცვლეული), განსაკუთრებით ბრინჯი, იაფია; ასევეა ბოსტნეულიც, რომელიც გერმანელ კოლონისტებს მოაქვთ ბაზარში. გემრიელი საჭმელებიც: თაფლი, ფრინველი, ნანადირევი, უმთავრესად ხოხობი, რომელიც სამეგრელოდან მოდის, – ყოველივე ეს ტფილისში

გაცილებით იაფია, ვიდრე გერმანიაში. კასპიის ზღვა იძლევა აურაცხელ თევზს, რაც ზამთარში ცოცხლად, ხოლო ზაფხულში გამხმარი შემოაქვთ ბაქოდან. ხიზილალა საყვარელი საჭმელია როგორც ადგილობრივებისათვის, ისევე რუსებისათვის. ღვინო უამრავი რაოდენობით შემოდის კახეთიდან, რომელიც კავკასიის ყურძნის მომყვანი მხარეებიდან საუკეთესო ღვინოს იძლევა; ასეთად იცნობდნენ მას ძველებიც და სტრაბონიც აქებდა. თუნგი (5 ბოთლი) კარგი წითელი ღვინო, რომელიც ფერით ბურგუნდიულს ჰგავს, ღირს ერთი აბაზი (20 კაპიკი). ნაკლები ხარისხის ღვინო სულ მუქთად იყიდება — თუნგი 5-6 კაპიკი. მისი ტრანსპორტირება (გადაზიდვა) ხდება კამეჩის ან თხის ტყავის ტიკებით, რომელიც შიდა მხრიდან შავი ნავთით იპოხება და ღვინოს უსიამოვნო ნავთის გემოს აძლევს. სხვათაშორის, ეს კახური ღვინო ითვლება არაჩვეულებრივ ჯანმრთელად და მომაღონიერებლად, არასდროს არ იწვევს სიცხეს (ციებას) და დრ. კონრადის მტკიცებით ნიკრისის ქარსაც კურნავს. სამეგრელოს ღვინოს, რომელსაც ტფილისში მხოლოდ მდიდრები სვამენ, უფრო სასიამოვნო გემო აქვს, მაგრამ ნაკლებ ჯანმრთელია და გამძლე (მაგარი); საუკეთესო ღვინო მოდის ოდიშიდან. გერმანელი კოლონისტებიც ამზადებენ ღვინოს, რომელიც იწურება და ინახება სუფთა კასრებში და არა გაპოხილ ტიკებში. მას გაცილებით სასიამოვნო გემო აქვს, ვიდრე კახურს. მაინც ადგილობრივი მკვიდრნი საყოველთაოდ ამჯობინებენ ნავთიან გემოს, რომელსაც ისინი შეჩვეულები არიან. ღვინის მოხმარება მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით ძალზე დიდია და ყოველწლიურად შეადგენს დაახლოებით 7500000 ბოთლს, ე.ი. თითქმის ერთ ბოთლს ყოველდღიურად თითო სულზე.

რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს ყოველგვარ სურათს, განსაკუთრებით გერმანული კოლონიების ნაწარმს, იგი მთელი სიგრძე-სიგანით გამაცნეს ჩემმა სახლის პატრონმა — ხარატმა გოტჰარდტმა, ჩემმა მეზობელმა — მდიდარმა ზალცმანმა და გერმანელმა თანამემამულეებმა, რომლებიც მოგვიანებით, როცა ჩვენი ბინა ახალ-ტფილისში დავიდეთ, ხშირად გვნახულობდნენ. ამას ჩვენს აღწერებში კვლავ დავუბრუნდებით. რაც აქ ცალკეული კოლონისტების ცხოვრების, ბედისა და საოჯახო ურთიერთობების შესახებ გავიგეთ, ანდა ვნახეთ,

უხვ მასალას მისცემდა სოფლის ისტორიების ციკლისათვის. მათი ხეტიალის (სახეტიალო გზის), სამხრეთ რუსეთში ემიგრანტთა ბედის და საქართველოში მათი დასახლების დასაწყისის, გაჭირვების, აგრეთვე ეკლესიური თუ პირადი უთანხმოებების შესახებ იმდენი დეტალები მიამბეს, რომ მსხვილი (სქელი) ტომი შეივსებოდა. ნოველისტს გერმანულ კოლონიებში ამოუწურავი წყარო (მადანი) ექნებოდა. გაზაფხულის დასაწყისში, როცა მე ჩემს მსუქან სახლის პატრონთან და გერმანელ მეზობლებთან ერთად ბუხართან ვთბებოდი, ვნატრობდი აქ ყოფილიყო ისეთი მახვილი დამკვირვებელი და სასიამოვნო ალმწერი, როგორიც ჩვენი კოლი ან აუერბახია.

სამშობლოზე იშვიათად ლაპარაკობდნენ და მხოლოდ იმდენად, თუ ეს ერთეულთა (ცალკეულთა) პირად ურთიერთობებს ეხებოდა... ისეთ ადამიანებთან საუბარში, რომლებსაც ხალხისა და ქვეყნის ცხოვრების წინსვლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, ამჩნევ, თუ რა გარდამქმნელი და შემაგულიანებელი ძალა აქვს 30 წლიან დროის მონაკვეთს, და რა გავლენას ახდენს იგი ადამიანთა სულიერ კულტურაზე, ჩვევებსა დ აზროვნებაზე (აზრთა წყობაზე).

ჩემი სახლის პატრონის ოჯახი საოცრად მორწმუნე იყო. გარდა კუდიანებისა (ჯადოქრებისა) და მოჩვენებებისა (რომლებიც მათთვის ისეთივე რწმენის საგანი გახდა, როგორც წმინდა მოციქულთა ნამოქმედარი (ისტორია)), მათ ბრმად სწამდათ ზოგიერთი საიდუმლო საშუალებების უტყუარი განმკურნებელი ძალისა. ხარატი და მისი მეორე ნახევარი, რომლებთანაც გამოვთქვი ვარაუდი საიმედო შინაური წამლის შესახებ,ხშირად არ მისვენებდნენ, რომ მასზე ცნობა მიმეცა. როცა ერთხელ ორი წვეთი ყაყაჩოს წვენის ნაყენით მძიმე ფალარათი მოვურჩინე, ჩემმა სახლის პატრონმა მოინდომა, რადაც უნდა დაჯდომოდა, რეცეპტი ხელთ ეგდო.

ერთ დღეს ჩვენ შევესწარით ერთი ინდუსის ნეშტის დაწვას (მიცვალებული ინდუსის კრემაციას). იგი იყო სალიანის თევზჭერის არენდატორი, რომლის სულიც მამა-პაპასთან წასულიყო. მისმა თანამორწმუნემ მას უკანასკნელი პატივი მიაგო ჰინდუსტანის წესების მიხედვით: მან მიცვალებული თეთრ ტილოში გაახვია, თავზე 5 ფუნტი კარაქი წაუსვა და ხმამაღალი ლოცვების თანხლებით ტანი კოცონზე დაწვა. ჩემმა მსუქანმა ხარატმა ეს ამბავი სანაქებო სიზუსტით

უამბო თავის ცოლს. მაშინ როცა განათლებული თანამემამულე ჩემთან ერთად სიამოვნებით იგონებდა მიცვალებულის მოხსენების პოეტურ მხარეს (რომ სხეული იმის მაგივრად, რომ მიწის შემაძრწუნებელ სიბნელეში ჩაძირულიყო და მისცემოდა ლპობის ნელ და საზიზღარ პროცესს, ცეცხლის წმინდა, ნათელი ძალის მეშვეობით ჩქარა დაუბრუნდებოდა საწყისს), ქ-ნი გოტჰარდტი მხოლოდ ეკონომიურ მხარეს აქცევდა ყურადღებას და თქვა კიდეც, რომ გასვენების ამგვარი წესი უკეთესია, რადგან იაფია: იზოგება კუბოზე, საფლავზე და სასაფლაოზე. ბ-ნმა გოტჰარდტმა შენიშნა, რომ კარაქი, რომელიც ინდუსს თავზე ასე უხვად წაუსვეს, ტფილისში უფრო ძვირია. ამაზე ქალბატონმა უპასაუხა: „ხომ არ გგონია, რომ შენ სახეზე 5 ფუნტ კარაქს მოგისვამ? ყველაზე დიდი, ნახევარ ფუნტს! ან საერთოდ არაფერს. შენ თვითონ საკუთრივ საკმაო ქონი გაქვს". ჩემი მსუქანი სახლის პატრონი არ ეკუთვნოდა დახვეწილ (მახვილ) პიროვნებათა რიცხვს. მაგრამ ის, თუ მისი მეორე ნახევარი როგორ სულის აუღელვებლად საუბრობდა მის მომავალ სამკვიდრებელზე, თითქოს საქმე ეხებოდა სახარატო სახელოსნოს ან საჯინიბოს, მას საწყენი ეჩვენა (ჩანს ეწყინა მას) და შემდგომში მე არასდროს გამიგონია სიტყვა ინდუსზე, ან სიკვდილზე.

კოლონისტი **ზალცმანი**, რომლის ახლო ნაცნობობას გერმანელი მოგზაური ტფილისში ვერ აცდება, გადმოსახლებული ჩვენი თანამემამულეებიდან უყოყმანოდ ყველაზე შეძლებულია, განათლებული და წინდახედული. მან სხვადსხვა სარფიანი საქმოსნობა (სპეკულაცია) გააჩაღა, რაც მას ადრე უფრო გამოუვიდა, ვიდრე შემდეგ. გარდა ლუდის სახდელისა და წისქვილისა, მან გააკეთა ძალზე სარფიანი საქმე: ტფილისში პირველი დროშკები, ანუ რუსული ეტლები შემოიტანა. ყოველ ახალ გენერალ-ნაცვალს (მმართებელს) იშვიათ საჩუქარს მიართმევდა და რაიმე პატარა სამსახურსაც აღმოუჩენდა, რითიც საჭირო და საყვარელი პიროვნება ხდებოდა. ამიტომ ჰქონდა მიღებული უამრავი წარჩინების ოქროს მედალი, რომელთა დარიგებაშიც დედამიწის ზურგზე არცერთი მთავრობა არაა ისეთი უხვი, როგორც რუსული. ის არ იყო კმაყოფილი ამ წარჩინების ოქროს ნიშნებით, რომლებიც წითელ ლენტზე ასხმული ყოველთვის უმშვენებდა მკერდს; მისი მთელი სურვილი და მისწრაფება მიმართული იყო **ჩინზე**, და არა

მხოლოდ საკოხტაოდ (თავის მოსაწონებლად). ეშმაკმა ზალცმანმა კარგად იცოდა სოლიდური უპირატესობა (ხეირი), რაც რანგს და ორდენს მოჰქონდა ისეთ რანგებად დაყოფილ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია. რაც ამ კაცის პირად თვისებებზე ჯერ კიდევ საქართველოდან ჩემს წასვლამდე მოვისმინე, ნაწილობრივ მართალი უნდა იყოს. პირდაპირი გზით სიარული მის ხასიათს არ უნდა შეეფერებოდეს. ამასთანავე ეს კაცი მზადაა გემსახუროს, და ყველა გერმანელ მოგზაურს, რომელიც ტფილისში მოდის კარგი რეკომენდაციის გარეშე, ნამდვილად არსებით სარგებლობას (დახმარებას) უწევს.

ქალაქ ტფილისში ზამთარში ყოფნა ნაკლებ მიმზიდველია. ვისაც არ უყვარს მაზურკის ცეკვა, პროფესიონალ მოთამაშეებთან ფულზე ვისტისა და პრეფერანსის თამაში, ასეთი კაცი მალე მოიწყენს წარჩინებულ (დიდებულ) რუსთა სამხედრო სალონებში, სადაც ვარსკვლავებისა და ოქროს ეპოლეტების ბრწყინვალების გვერდით სამოქალაქო პირთა შავი ფრაკი ისედაც არამიმზიდველად გამოიყურება. მაღალი რუსი თავადაზნაურობის მხრივ აშკარა სტუმართმოყვარეობა, თავაზიანობა, მეგობრული, ყურადღებიანი მოქცევა უცხოელის მიმართ და ჩაის დროს წარმოებული გაწაფული რუსული საუბარი (ხანგრძლივობის მიუხედავად) ვერ ცვლის (ავსებს) სიმართლის, სითბოსა და შინაგანი სიკეთის (არსის) უკმარობას. რუსები არ იღლებიან რაიმეს მოყოლისას და არ ერიდებიან შინაური ვითარების აღწერას; მაგრამ მათში შეინიშნება ცალმხრივობა, ასევე სურვილი, კარგი აზრი შეუქმნან უცხოელებს რუსულ დაწესებულებებზე. თუკი მათს მონათხრობს შევადარებთ ადგილობრივთა და უცხოელთა (რომლებიც ექიმებად ან ოფიცრებად მსახურობენ რუსულ არმიაში და შინაური ვითარების წვრილმანებს ასევე ზუსტად იცნობენ) აღწერებს, ჩვეულებრივ სრულიად განსხვავებულ სურათს ვღებულობთ. ამავე დროს რუსები ერთგვარად უფრო უნდოები და მორიდებულები გახდნენ უცხო მოგზაურთა მიმართ ადრინდელთან შედარებით. გრაფ **სუზანეს** (Suzannet) მოურიდებელი (კადნიერი) ცნობები Revue des deux Mondes-ში, რომელიც იმპერატორმა წაიკითხა, გახდა ამ შეცვლილი დამოკიდებულების პირველი საბაბი. მოგვიანებით გამოვიდა მარკიზ Custin-ის წიგნი, რომელსაც ტფილისში მალულად კითხულობდნენ. მან აუწერელი

ხმაური გამოიწვია. მაღალ რუსულ წრეებში ის ჯერ უბრალოდ ცუდი სახელით სარგებლობდა, შემდეგ კი როგორც სიცრუისა და ცილისწამების შენათხზი. ყველა უცხო ჩამოსულში, რაც არ უნდა კარგი რეკომენდაციები ჰქონდეს, ახლა შენიღბულ მწერალს ხედავენ, რომელიც რუსეთში ჩამოვიდა, რათა პოლიტიკურ ვითარებაზე საზიანო წეროს და ყბედობით სახელი გაუტეხოს იმათ, ვინც ის სტუმართმოყვრულად მიიღო და სრული ნდობა გამოუცხადა. ბ-ნი **ფრიდრიხ ფონ კოცებუ** ხშირად მწარედ ჩიოდა ზემოხსენებული ფრანგი გრაფის შესახებ, რომელმაც რუსულ ქველმოქმედებას ასეთი სამარცხვინო უმადურობით გადაუხადა. იმპერატორმა თვითონ გამოუგზავნა მთავარმართებელ (გენერალ-ნაცვალ) გოლოვინს Revue des deux Mondes-ის სათანადო რვეული და თან გააფრთხილა: მისი გენერლები მომავალში უცხოელებთან საუბრისას უფრო წინდახედულნი (დაკვირვებული) ყოფილიყვნენ. გრაფმა სუზანემ უმაღლეს სამხედრო მოხელეებს კავკასიაში განუმარტა მოსაზრებანი, რომლებიც სასიკეთო პროგნოზებს არ აძლევდნენ რუსეთის უზარმაზარ ძალას დაიმორჩილოს მტრული მთიანი მხარე. სტ.-პეტერბურგში ეს მოსაზრებანი მით უფრო დაუგმეს, რადგან ისინი ნაკლებ შეესაბამებოდა გენერლების სამსახურებრივ რაპორტებს.

მაღალი საზოგადოების მეგობრული გართობა ტფილისში იმიტომაა ძალზე მონოტონური, რადგან იქ ყველაფერი (როგორც სტ.-პეტერბურგში) ერთადერთი ცენტრალური ზონისკენ — მთავარმართებლის (გენერალ-ნაცვლის) სახლისა და პიროვნებისკენაა მიმართული (ყოველივე მის გარშემო ტრიალებს — გ.გ.). ამ მზის გვერდით ვარსკვლავები ქრებიან; მცირე მეგობრულ წრეებს (ოლქებს?) ნაკლებ ნახულობენ და ნაკლებ აქცევენ ყურადღებას. გარდა ამისა ბ-ნ ფონ ნაიდჰარდტს არც განსაკუთრებული სიყვარული აქვს თანაზიარობისადმი, არც თავაზიანობის ნიჭი თავისი სტუმრების მიმართ. მისი მეუღლე ძველი რუსული თავადური გვარიდანაა. იგი, მართალია, სილამაზითა და ჭკუით ძალიან არ გამოირჩეოდა, მაგრამ ამ ნაკლს ავსებს ერთგვარი გერმანული მყუდროებით (კომფორტით) და თავისი უპრეტენზიო ოჯახური ინტერესით (გრძნობით). მან მე ერთხელ ნაღვლიანად შემომჩივლა, რომ ის ამ ქვეყანაში ცხოვრებას ვერასდროს შეეჩვეოდა.

იმპერატორის კეთილგანწყობის სწრაფმა შეცვლამ იგი უფრო ადრე გაათავისუფლა მისთვის მიუღებელი ადგილსაცხოვრებლისგან, ვიდრე თვით ფიქრობდა. ბ-ნ ფონ ნაიდჰარდტს ჰყავდა ძალზე მრავალრიცხოვანი ოჯახი. მისი უფროსი ვაჟი, ელეგანტური ოფიცერი, ის იყო დაბრუნდა თეირანიდან, სადაც ის შაჰს თავისი მამის სახელით მიესალმა, და აცნობა მისი დანიშვნა (დამკვიდრება) მეზობელ სამფლობელოში, წაუღო საჩუქრები და თვითონაც ასევე მიიღო. სპარსეთის მდგომარეობა ახალგაზრდა ბ-ნმა ფომ ნაიდჰარდტმა მუქ ფერებში დახატა; ქვეყანა დაცარიელებული (გაუკაცრიელებული), ხალხი ძონძებში, სამეფო ხაზინა გაცლილი. მისი სპარსული უმაღლესობის დაბეჯითებითი კითხვა ყოფილა: რამდენი ცოლი ჰყავს რუს მთავარმართებელსო (გენერალ-ნაცვალსო)?

ერთერთი ყველაზე ჭკვიანი და განათლებული რუსი შტაბსოფიცერი იყო გენერალ-ლეიტენანტი კოცებუ, შტაბის შეფი, ცნობილი გერმანელი კომედიოგრაფის ერთი იმ ათ შვილთაგან, რომლებიც რუსულ სამსახურში იმყოფებიან და უმეტესად მაღალი ადგილები უჭირავთ. არაჩვეულებრივი მოხერხებულობა, რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნა და კარგად წერის ნიჭი მისი ყველა სამხედრო კოლეგის მიერ იყო აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ რუსულის სწავლა მან მხოლოდ თორმეტი წლისამ დაიწყო და გერმანული აქცენტი ჯერაც არ დაკარგოდა. მე მადლობელი ვარ მისი ზოგიერთი საინტერესო დარიგებისთვის, განსაკუთრებით კავკასიის ეთნოგრაფიული ურთიერთობებიდან. მან დაიწუწუნა, რომ ენათა კვლევის საქმეში ამ ქვეყნებში არაფერი გამოუვიდა. ამ საქმეს წარმოუდგენელი სიძნელეები ჰქონია, რადგან ერთი სალიტერატურო ენა არ არსებობს და აღმოსავლეთ კავკასიელების (ჩეჩნების, ლეკების, ყაზი-ყუმუხების და ა.შ.) ენისმიერი და ხორხისმიერი ბგერები ჩვენი ასოებით ძნელად გადმოიცემა. ის, რომ ადგილობრივებთან ზეპირი ურთიერთობისთვის მუდმივად თარჯიმანია საჭირო, უდიდეს უხერხულობას ქმნის, რასაც უთვალავ გაუგებრობამდე მიჰყავს.

ქალბატონმა ფონ კოცებუმ (დაბადებით ესტლანდიელი გრაფი მანტოიფელი) მომაწოდა ზოგიერთი განმარტება (ცნობა) ქართველი ქალების ოჯახური ცხოვრების შესახებ, რაც მას ხშირად უნახავს

შინაურ წრეში. მისმა თხრობამ დაადასტურა ის დაკვირვებები, რაც მე სხვა მხრივაც შევიტყე: ეს შეეხება ამ ქალებში კეთილგანწყობის, განათლების და სულიერი ცხოვრების (საზრდოს) ნაკლებობას.

ბევრი ხმაური გამოიწვია მაშინ ყველა აქაურ მხარეში წარჩინებული წრის ორი ინგლისელი ქალის ჩამოსვლამ, რომლებიც ყოველგვარ თანმხლებთა გარეშე, მხოლოდ სამოგზაურო სურვილით ჩამოვიდნენ ტრანსკავკასიაში. მათ სურდათ ენახათ არარატის მთა და მასზე ასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი. პირველი გაოცება, რაც მათმა ავანტიურისტულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია რუს დიდებულ ქალებში, არც თუ მცირე იყო და ტფილისის მთელმა ქალებმაც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს (მის განსჯაში). ერთერთი ინგლისელი ქალი ავად გახდა და გარდაიცვალა; მეორემ მიანება თავი მოგზაურობას და ერთი კაზაკის თანხლებით, რომელსაც რუსული ჯიბის ლექსიკონის მეშვეობით ძლივს აგებინებდა, ჩავიდა ტრაპეზუნტში, ხოლო იქიდან ინგლისში დაბრუნდა. ამგვარი რომანტიული ხასიათი რუს მანდილოსნებში, ისევე როგორც ადგილობრივებში ძალზე იშვიათია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი III

## ახალშენი ნოი-ტიფლისი (ახალ-ტფილისი) — ფრანგი ვეტერანი და მისი ოჯახი — გერმანული კოლონიები ტრანსკავკასიაში — სეპარატისტთა საქმიანობა

გაზაფხული საქართველოში სულ რამდენიმე თვე გრძელდება და ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის გამო ისევე უსიამოვნო წელიწადის დროა, როგორც ცხელი მშრალი ზაფხული, ან საკმაოდ მკაცრი ზამთარი. აპრილის პირველ მზიან დღეებში ვიყავი გერმანულ კოლონია ნოი-ტიფლისში (ახალ-ტფილისი), რომელიც ქალაქ ტფილისიდან დაშორებულია თხუთმეტი წუთის სავალზე მდინარის ალმა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ესაა ლამაზი, სიმპატიური პატარა სოფელი მთლიანად გერმანული ყაიდისა. აქ მე დავბინავდი ერთი ხნიერი ფრანგის — ჟან პოლის სახლში, რომელიც 1816 წელს კავკასიაში ჩამოყვა რუს გენერალს როგორც მზარეული; შემდეგ შეირთო გერმანელი გლეხის ქალი და დასახლდა საქართველოში გერმანულ კოლონიაში. ჟან პოლი იყო პროვანსიდან და ლაპარაკობდა ფრანგულის მკვეთრად გამოხატულ მარსელურ დიალექტზე. გერმანული მას სრულყოფილად ვერ აუთვისებია, მიუხედავად იმისა, რომ ოცი წელია გერმანელებს შორის ცხოვრობს, სულ მათში ტრიალებს და თავის მსუქან შვაბიელ მეუღლეს (ამან არცერთი ფრანგული სიტყვა არ იცის) ნამდვილ შვაბურ გლეხურ დიალექტზე ესაუბრება. ჟან პოლი იყო დიდი არმიის ვეტერანი; იგი მესანგრე იყო ნაპოლეონის ძველ გვარდიაში და მონაწილეობდა მის მიერ ამ საუკუნეში წარმოებულ ბრძოლებში 1812 წლამდე, როცა დაიჭრა და რუსებს ტყვედ ჩაუვარდა. აქ ერთმა კეთილმა გენერალმა ის თავის მსახურად აიყვანა. როგორც მესანგრე, მოგვიანებით გაანთავისუფლეს და დაბრუნდა საფრანგეთში. მშობლიურ პროვანსში ხშირად იგონებდა თავის კეთილისმყოფელს

და ბოლოს გადაწყვიტა მოენახულებინა იგი პეტერბურგში. ნაპოლეონის შემდეგ ფრანგი ვეტერანი ამ რუს გენერალზე უფრო არავის სცემდა პატივს, ამიტომ სიამოვნებით გაჰყვა მას როგორც მზარეული და მსახური კავკასიის მთებს გადაღმა. როცა ტფილისში მის რკინის გულს შეეპარა სიყვარული მრგვალი, წითელლოყება შვაბიელის მიმართ, მხოლოდ მაშინ უღალატა თავის კეთილისმყოფელ რუსს: მან დანაზოგით იყიდა კოლონისტის პატარა სახლი და გერმანულ კოლონიაში საკმაოდ ბედნიერად ცხოვრობს როგორც სასტუმროს პატრონი და მიწისმუშა გლეხი; შვაბი ცოლისგან ჰყავდა ხუთი შვილი. უმცროსმა ვაჟმა, რომელშიც ეტყობა ფრანგული სისხლი დუღს, თავისი ქარაფშუტობით მოხუც მამას დიდი სადარდებელი და საზრუნავი გაუჩინა. ჩემი ფრანგი მასპინძლის ცხოვრებისეული ამბები და შინაური ყოფა ნოი-ტიფლისში ჩასვლის პირველივე საათებში შევიტყე, რასაც დაემატა აგრეთვე საოცრად სრული აღწერა მოსკოვთან მომხდარი დიდი ბრძოლისა, სადაც ჟან პოლი მძიმედ დაიჭრა. მოხუცი ფრანგი არ იღლებოდა ლაპარაკით, მითუმეტეს როცა დაიდგინა, რომ სტუმარი მის დედაენას ფლობდა.

ამიერკავკასიაში მდებარე სხვა კოლონიების მსგავსად ნოი-ტიფლისიც საკმაოდ შეძლებულად და სასიამოვნოდ გამოიყურება, განსაკუთრებით თუ შევადარებთ მეზობლად მდებარე უშნო ქართულ სოფლებს რიყის ქვითა და თიხით ცუდად ნაგები ღარიბული ქოხებით. კოლონისტების სახლები მომცრო ზომისაა, მაგრამ სუფთა. სოფლის შუაგულში დგას ყვითლად შეღებილი ლამაზი პატარა ეკლესია რომაული სვეტებით; იგი ხაზინის ხარჯით ააშენეს. საერთოდ ხაზინამ ყველა ძველი გერმანული დასახლება საქართველოში უხვად დააფინანსა. იმპერატორ ალექსანდრეს გულით სურდა, რომ ახლად დაუფლებულ მალზე ნაყოფიერ პროვინციებში შეექმნა სანიმუშო მეურნეობები, რათა წაექეზებინა ქართველი და სომეხი გლეხები, რომლებიც სამოთხისებურ მხარეშიც კი ღარიბად და საცოდავად ცხოვრობდნენ თავიანთ ბნელ მიწურებში (თიხის ქოხებში). სამწუხაროდ ეს მიზანი დღემდე არაა განხორციელებული: ადგილობრივმა მკვიდრებმა ცხოვრების წესი არ შეიცვალეს და გერმანელთა სამიწათმოქმედო ცოდნას ნაკლებ დაეუფლნენ.

ისევე როგორც ყირიმსა და ნოვო-როსიის ქალაქებში, აქაც ამჩნევ, თუ რა ძნელია, როცა მოისურვებ ხალხს ასწავლო ახლებურად ცხოვრება (გახდეს ის, რაც არ არის). გერმანული კოლონიების მეტი წილი საქართველოში დაარსდა 1818 და 1819 წლებში. ამაზე სამი წლით ადრე გერმანელი მოსახლეობის დიდი რაოდენობა აიყარა შვაბიიდან და რუსი აგენტების მეგზურობით ჩავიდა იზმაილში,სადაც მათ გაიარეს ხანგრძლივი და მკაცრი კარანტინი; უჩვეულო ჰავისა და საკვების გამო ბევრი მათგანი იქვე გარდაიცვალა. იზმაილიდან გადავიდნენ ოდესაში და სამხრეთ რუსეთის სტეპებში, სადაც რუსეთის მთავრობამ შესთავაზა არჩევანი — ან იქ დარჩენილიყვნენ, ანდა საქართველოსკენ გაეგრძელებინათ გზა. ბევრმა მათგანმა, რომლებიც დაღლილობის გამო ადგილზე დარჩნენ, მოგვიანებით, პირველივე მოუსავლიანობის დროს გადაწყვიტა გამხმარი სტეპებიდან გადასულიყო კავკასიონის გადაღმა. რამდენიმე ნაკადად მომავალი კოლონისტების უმრავლესობამ თავისი მშობლიური ვიურტემბერგი მიატოვა რელიგიური ფანატიზმით. იყვნენ ე.წ. სეპარატისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სამშობლოში წლიდან წლამდე მცირდებოდა რელიგიური სული და ძველი ღმრთისმოშიშობა, ხოლო მის ადგილს იჭერდა მიწიერი (ამქვეყნიური) ტკბობის სურვილი და რელიგიური გულგრილობა. ზოგიერთი მოხუცი სოფლელი მისტიკური აღტყინებით აცხადებდა საშინელი სამსჯავროს დღის მოახლოებას და ცდომილი სამყაროს სწრაფ დაღუპვას, ამიტომაც მთელ თავისი ფანატიზმითა და მიგრაციის წყურვილით ისწრაფოდნენ აღმოსავლეთისკენ, რათა ახლოს ყოფილიყვნენ იერუსლიმსა და წმინდა საფლავთან. ამით ისინი ათასობით შეზღუდული გონების თანამემამულეებს აქეზებდნენ. გაჭირვებამ, რაც მოჰყვა ხანგრძლივ და უაღრესად მომქანცველ მგზავრობას, განკურნა მრავალი მათგანი აღტყინებისაგან, სხვები კი აქცია ახირებულებად და ჯიუტებად. სეპარატისტებს აღარაფერი სურდათ შეესმინათ ეკლესიისა და მღვდლებისა; ლოცვებისა და გალობისათვის თავის სახლებში იკრიბებოდნენ. მაშინ მათი ერთი მესამედი დარჩა სამხრეთ რუსეთის სტეპებში. მათი გულები კვლავ აღზნებული იყო ლტოლვის სურვილით აღთქმული ქვეყნის მოსახილველად, მაგრამ ერმოლოვის წინადადებას დაჰყვნენ და საქართველოში შეჩერდნენ. აქ მათ თავდაპირველად დედაქალაქის სიახლოვეს დააარსეს სამოსახლოები — მარიენფელდი,

პეტერსდორფი, ნოი-ტიფლისი და ალექსანდერსდორფი; შემდგომ 25 ვერსის დაშორებით სამხრეთისკენ კოლონია ელიზაბეტტალი; მოგვიანებით კი შორს მდებარე ახალშენები — კატარინენფელდი, ანენფელდი და ჰელენენდორფი. ორი ბოლო ტფილისიდან ყველაზე შორსაა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ელიზავეტპოლისკენ; მათი ადგილმდებარეობა ნაყოფიერია, მაგრამ მეტად არაჯანმრთელი. მხოლოდ 20 წლის შემდეგ დაარსდა გერმანული კოლონიები ახალციხესა და შამახიასთან.

ამიერკავკასიის ყველა ეს გემანული კოლონია ადრე ექვემდებარებოდა საგანგებო სამზრუნველო კომიტეტს, შემდგომ კი სახაზინო ქონების პალატას ტფილისში; ობერინსპექტორი და სოფლის მამასახლისი განაგებენ პოლიციას. საერთოდ მოახალშენეები გამოთქვამენ საკმაო კმაყოფილებას თავისი მდგომარეობით; თუმცა ნიადაგის ნაყოფიერება და მისგან გამომდინარე შეძლებულობა კოლონისტებისა ძალზე განსხვავებულია. გერმანულ ახალშენთა შორის ყველაზე ლამაზია კატარინენფელდი, ტფილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 ვერსზე მშვენიერ ხეობაში მდებრე, სადაც მე მოგვიანებით რამდენიმე კვირა გავატარე. მევენახეობა და კარტოფილი ყველაზე სარგებლიანი კულტურებია; აბრეშუმის მოშენებას, რაც საერთოდ ძალზე შემოსავლიანია, გერმანელი გლეხები არ ეწევიან, რადგან ეს მათთვის უცნობი იყო. მიწათმოქმედება მხოლოდ ზოგ მხარეებშია მოსავლიანი (თუმცა ქართლში მოსავალი არაა იმაზე უკეთესი, ვიდრე კოლხეთის მსუქან, უხვად მორწყულ ნიადაგზე, ისევე როგორც არაქსის მაღალ ზეგანზე). ამას გარდა გერმანელ კოლონისტებს საქართველოში არ აქვთ მოზრდილი მიწის ნაკვეთები; ყველაზე შეძლებულ კატარინენფელდშიც კი ჩიოდნენ, რომ მიწა აღარ იყო სამყოფი ოჯახების რაოდენობის ზრდის გამო. ნოი-ტიფლისში მთელ გერმანულ თემს, რომელიც ძირითადად ხელოსნებისაგან შედგება, უკავია მხოლოდ 80 დესეტინა მიწა; საკმაოდ მშრალი ნიადაგი კი იძლევა მწირ მოსავალს. მდინარის კალაპოტის სიღრმის გამო მტკვრის წყალი დღემდე არ გამოუყენებიათ მინდვრებისა და ყანების მოსარწყავად; მრავალი პროექტი, რომ მუდამ წყალუხვი მდინარის ჭუჭყიანი წყალი საქაჩი დანადგარებით ამოიყვანონ მაღალ ვაკე ნაპირზე, დღემდე განუხორციელებელია. ხანგრძლივი, მშრალი და ცხელი ზაფხულის

პირობებში საქართველოში (გრუზიენ), ისევე როგორც მის მეზობელ სპარსეთსა და სომხეთში, ხელოვნური მორწყვის გარეშე შეუძლებელია მნიშვნელოვანი შედეგების მიღება. ივნისსა და ივლისში ვენახებსაც კი საჭიროებენ სამ-ოთხჯერ მორწყვას; უამისოდ ყურძენს არ მოისხამენ.

გერმანელი მოახალშენეების დაფუძნებამ საქართველოში მნიშვნელოვნად იმოქმედა ზოგიერთი პროდუქტების ფასზე. სანამ შვაბი გლეხები თავისი კარტოფილის პირველ მოსავალს გაიტანდნენ ბაზარში, ფუთი კარტოფილი ღირდა 1,5 ვერცხლის მანეთი, ახლა კი იგივე ღირს 30 კაპიკი; ერთი ფუნტი (გირვანქა) კარაქი ადრე ღირდა 1 ვერცხლის მანეთი, ამჟამად – 25 კაპიკი; შვრია ამ ქვეყანაში უწინ თითქმის უცნობი მარცვლეული იყო. დიდებულ რუსებს ის თავისი საჯინიბოსათვის შავი ზღვის ნავსადგურებიდან მოჰქონდათ და თითო ჩეტვერტში იხდიდნენ 3 ვერცხლის მანეთს; ამ მხარეში გაბატონებული იყო იდეა ფიქსი, რომ შვრია ქართულ მიწაზე საერთოდ არ მოვიდოდა. გერმანელმა კოლონისტებმა სცადეს მარცვლეულის ამ კულტურის მოყვანა და კარგი შედეგებიც მიიღეს; ამჟამად ქართულ მინდვრებში შეხვდებით შვრიის ყანებს; მისი ფასი კი 8 აბაზამდე დაეცა. გადასახადები, რასაც გერმანელი კოლონისტები ხაზინას უხდიან, ძალზე მცირეა, თვით ადგილობრივ მკვიდრთა გადასახადებთან შედარებითაც. ყოველი მოზრდილი მამრობითი ინდივიდი ყოველთვიურად იხდის სულადობრივს 1 მანეთს და 12 კაპიკს და სამამასახლისოს 20 კაპიკს ვერცხლით. ამას გარდა არის კიდევ სკოლის მასწავლებლისა და თემის სხვა თანამდებობებისათვის განკუთვნილი გადასახადები. 1833 წელს რუსეთის მთავრობამ კოლონისტებს მოსთხოვა 20 წელიწადში დაეფარათ მთელი სახაზინო სესხი, რაც მათ თავისი მიწის ნაკვეთებისათვის მიიღეს. რადგან თანხა და ხარჯები, რომელიც დასჭირდა გერმანიიდან კავკასიაში მათ გადმოსახლებას, საკმაოდ დიდი იყო, ამიტომ ყველა თემმა მთავრობას გაუგზავნა აღნიშნული მოთხოვნის საწინააღმდეგო პეტიცია. რუსული მთავრობა გერმანელი კოლონისტების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და შემწყნარებლობას იჩენდა (მხოლოდ ზოგიერთი მოხელე ეპყრობოდა კოლონიებს უაღრესად მხეცურად, მთავრობის უცოდინრად; რაც შეეხება გადასახადებს,ეს მათი სამართლიანობისათვის მიგვინდვია). ამჟამადაც გერმანელთა

თხოვნებს პეტერბურგში შემწყნარებლურად შეხვდნენ და ამიერიდან მსგავსი მოთხოვნა აღარ განმეორებულა.

ნოი-ტიფლისის მოსახლეობას ჩემს და ჩემი უნგრელი თანამგზავრის მიმართ დიდი ყურადღება არ გამოუჩენია; ყოველივე, რაც მათ უახლოეს მიზნების წრეს სცილდება, შვაბი გლეხების ინტერესს არ იწვევს. სომხებში, ქართველებსა და თათრებში ჩემი ხელსაწყოები და საბუნებისმეტყველო კოლექციები ყოველთვის აღძრავდნენ ცნობისმოყვარეობას, ხოლო შეკითხვებს მათი დანიშნულების შესახებ ბოლო არ უჩანდა; ჩემი გერმანელი თანამემამულეები კი იყვნენ მუნჯად და გულგრილნი. უფრო მეტად საოცარი და მტკივნეული ჩემთვის ის იყო, რომ საყვარელი ძველი სამშობლოს შესახებ არაფერს მეკითხებოდნენ. როცა პაპანაქება ან წვიმა მიშლიდა ხელს ექსკურსიების მოწყობაში, მათ ზოგჯერ საათობით ვესაუბრებოდი ყველაფერზე. ისინი გაუთავებლად მიამბობდნენ თავიანთ ბედზე, ქურთებისა და სპარსელების თავდასხმაზე 1826 წელს, მათი თემების რელიგიურ განხეთქილებაზე, მღვდელზე, ინსპექტორზე და გენერალ-გუბერნატორზე, მაგრამ არასდროს უკითხავთ ჩემთვის, თუ რა ვითარებაა სახლში — მშობლიურ გერმანიაში. ქართველების, სომხების, თათრების ცხოვრების წესისა და საქმიანობის შესახებ მათ უამრავი წვრილმანი მითხრეს, თავისი თანამემამულეების შესახებ კი, რომლებიც შვაბიის ალპების ხეობებში ცხოვრობენ, არაფერი უთქვამთ. მხოლოდ 28 წელიწადია, რაც ამ გერმანელებმა თავისი სამშობლო მიატოვეს! ამ გულგრილობამ, ყოველივე იმის დავიწყებამ, რაც სასიყვარულო და ძვირფას მოგონებად უნდა დარჩეს ხალხში, რომელიც თავის სადგომს სამუდამოდ კარგავს, ყველაფრის გამო წუხილის გრძნობა მეტი იყო ჩემში, ვიდრე სიხარულისა, რაც მათმა საკმაოდ შეძლებულმა მდგომარეობამ მომანიჭა.

სეპარატისტები ნოი-ტიფლისის თემის მხოლოდ უმცირეს ნაწილს ქმნიან; უმრავლესობა კი დარჩა ეკლესიის ერთგული და ერთგვარი გაოცებით უყურებს თავისი თანამემამულეების მზარდ ახირებულობას, რომლებმაც ეკლესიას ზურგი შეაქციეს. ნოი-ტიფლისში ჩემი ჩამოსვლის ცოტა ხნით ადრე საქართველოს გამჭვირვალე ცაზე კომეტის გამოჩენამ სეპარატისტების ალგზნება საოცრად გაზარდა. ამ ხალხმა, რომლებიც სხვებისგან დიდად განირჩევიან თავისი შრომისმოყვარეობით, შეწყვიტა მთელი სამიწათმოქმედო სამუშაოები, გადაწყვიტა სახლ-კარის მიტოვება

და წასვლა იერუსალიმში — სამყაროს თითქოსდა მოახლოებული აღსასრულის გამო. მათ თავის წმინდა მოვალეობად ჩათვალეს საშინელი სამსჯავროს დღისთვის აღთქმულ ქვეყანაში მოეცადათ. აქაც ზოგიერთებს სურდათ ეჭვი შეეტანათ მთელი ამ წამოწყების სიმართლეში, მაგრამ მკერავი **დანიელ მაიერის** ოქროპირობამ (მათი თავმჯდომარე — ხელმძღვანელი ლოცვისას) ყველაზე ურწმუნოთა ეჭვიც კი გააქრო. ხოლო როცა ხმა დაირხა, რომ კატარინენფელდელმა ღვთისმოსავმა ქალმა — **შპონმა** (სეპარატისტთა ხელმძღვანელობაში ის ითვლებოდა წინასწარმეტყველად) სიზმრად ნახა მხსნელი, რომელსაც მოუწოდებია პალესტინისკენ წასვლა, ატყდა საყოველთაო სიგიჟე.თვით იმათ რიგებიდანაც, რომლებიც მანამდე ეკლესიასა და მღდელთან ჯერ კიდევ კავშირში იყვნენ და სეპარატისტების საქციელს აძაგებდნენ, დღითიდღე თითო-თითოდ, ზოგი კი მთელი ოჯახებით გადადიოდნენ წასვლის მოსურნეთა მხარეზე. შეკრებებზე ნოი-ტიფლისში, ალექსანდერსდორფსა და კატარინენფელდში დილიდან გვიანობამდე ლოცულობდნენ, გალობდნენ და უხამს სისულელეებს ყბედობდნენ. ისინი მოითხოვდნენ მთელი ქონების გაყიდვას ხაზინის ვალის დასაფარავად; რაც დარჩებოდათ, სურდათ დაერიგებინათ ქვეყნის ღარიბებისათვის; ისინი არ თვლიდნენ საჭიროდ ფულის თან წაღებას, რადგან მხსნელმა აღუთქვა მანანათი დაპურება; ისინი ამბობდნენ, რომ ღმერთმა მათ კომეტა გამოუგზავნა იერუსალიმისაკენ გზის მაჩვენებლად!

ასეთი იყო ვითარება, როცა მე და ჩემი თანმხლები მოხუცი ფრანგი ვეტერანის სახლში დავბინავდით. ჟან პოლი ერთადერთი კათოლიკე იყო სოფელში; ღვთისმოსაობა არ შეადგენდა მის ძირითად თვისებას. ის იშვიათად დადიოდა ეკლესიაში და გულღიად აღიარებდა, რომ გაცილებით ერჩივნა ქალაქიდან ჩამოსულ ფრანგ თანამემამულეებთან მხიარულად ევახშმა და საუკეთესო კახური წითელი მიერთმია, რაც მხიარულ გუნებაზე დააყენებდა და საუბრის სალღეღელს აუშლიდა, ვიდრე მოესმინა მღვდლის ბუტბუტით ლოცვა, ანდა სეპარატისტი მეზობლების მთელი დღე სულელური გალობა ძველი ვიურტემბერგული საგალობლების წიგნიდან. მიუხედავად ვეტერანის ასეთი დამოკიდებულებისა სეპარატისტთა მისტიციზმისა და უგუნური ყოფისადმი, ბოლო დღეებში მისი უმცროსი ვაჟი გადავიდა სექტაში; ამან მამა უფრო ნაკლებ გააბრაზა, ვიდრე დედა და დები, რომლებმაც

თავისი შინაური უბედურება მაშინვე ამცნეს ბატონ მღვდელს...[1]

ამ სექტანტების უჩვეულო საქციელის ახლო გაცნობის სურვილმა მიმიყვანა მკერავ დანიელ მაიერის სახლში. მასთან შეკრებილიყო ხუთი ოჯახი; ისინი ისხდნენ ხის სკამებზე და წარმოთქვამდნენ მონოტონურ რელიგიურ საგალობელს. ჩემი თხოვნა, რომ დავსწრებოდი მათ ლოცვას, სიამოვნებით დააკმაყოფილეს და განაგრძეს ლოცვა-გალობა; შემდეგ მათ პაუზა გააკეთეს და დანიელ მაიერმა ხმამაღლა წაიკითხა ადგილი ბიბლიიდან. მას ჰქონდა მოგრძო, გამხდარი, მოყვითალო ფერის, გამომეტყველი სახე, წვეტიანი – ბოლოში ქვევითკენ ძლიერად მოკაუჭებული ცხვირი და წაწვეტებული ნიკაპი; შუბლი გამუდმებით ელარებოდა ლაპარაკის დროს. მისი ნაკვთები მიუთითებდნენ სულიერ და ხორციელ განცდებზე; ის ჩანდა დადარდიანებული და უდროოდ დაბერებული. მასთან ერთად მაგიდას ოთხი სხვა კაცი უსხდა. მოშორებით, ცისფერი ზოლებით გაწყობილ კაბებში ისხდნენ ქალები და ქალიშვილები. მათ შორის შევამჩნიე ერთი ლამაზი სახე, აღსავსე სიმშვიდით, თვინიერებით და უმწიკვლოებით. როგორ შემეცოდა საბრალო ბავშვი, რომელიც შეგნებულად იყო ჩათრეული ამ ფანატიკურ საქმიანობაში!... ქალები და ქალიშვილები ჩუმი მოკრძალებით უსმენდნენ, მაშინ როცა ერთი ჭაბუკი, მამის გაფრთხილების მიუხედავად, ხშირად ამთქნარებდა. დანიელ მაიერი, რომელსაც უეჭველად ჰქონდა მეტყველების ტალანტი, რამდენჯერმე ჩაფიქრდა და ღრმად ამოიოხრა. ბოლოს ისევ იგალობეს. სამი საათის ყოფნის შემდეგ წამოვედი სრულიად გაუნათლებელი, მაგრამ შინაგანად შეწუხებული ამ საბრალო თანამემამულეთა საოცარი უგუნურებით.

აპრილსა და მაისში ბევრი ექსკურსია მოვაწყე ტფილისის შემოგარენში სხვადასხვა მიმართულებით, ხან ცხენით, ხან ფეხით, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ ჩემი თანამგზავრისა და ორივე კაზაკის თანხლებით, რომლებიც გენერალ-ნაცვალმა (მთავარმართებელმა – გ.გ.) დაცვად გამაყოლა და რომლებსაც ვასწავლე ცხოველებისა და მცენარეების შეგროვება. ამინდი აპრილში აქ ისევე ცვალებადი იყო,

[1] გამოვტოვეთ 74-76 გვ-ზე მოთავსებული თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ შეიყვარა ახალგაზრდა ფრანგმა გერმანელი ქალიშვილი ლიზლი, რომლის გულისთვისაც დადიოდა სეპარატისტებთან. როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა, სეპარატისტებმა ვაჟი გამოაგდეს და ისიც სახლში დაბრუნდა – გ. გ.

როგორც გერმანიაში. ამ თვის პირველ ნახევარში იყო ნამდვილი ზაფხულის პაპანება, ამას მოჰყვა ძლიერი ქარი, რომელიც მტკვრის ხეობაში წელიწადის მეტ დროს ქრის და მის მიერ ღრუბლებისკენ ატაცებული საშინელი მტვერი ქალაქ ტფილისის მაცხოვრებლებს დიდად აწუხებს. 16 აპრილს უეცრად ძლიერ მოყინა; წუმპეები ყინულით დაიფარა, გამოღებული ყვავილი და კარტოფილის ახალი ღივი წახდა. ამას მოჰყვა ხანგრძლივი წვიმიანი დღეები, ბოლოს კი დადგა გაზაფხული. მტკვრის კუნძულებზე, ტფილისს ქვემოთ და მდინარის ნაპირებზე 10 აპრილს ხეხილი ამწვანებულიყო, ხოლო ატმის ხეები აყვავებული, მაშინ როცა ხეები ნოი-ტიფლისის კოლონიასა და ალვები ქალაქის შემოგარენში მთლად უფოთლოდ იდგნენ.

ტფილისის მიდამოები 8-10 ვერსის დაშორებით საკმაოდ შიშველია და ბუნებრივი მცენარეული საფარი მხოლოდ ზოგანაა მდიდრად წარმოდგენილი. ტყეები არ გვხვდება 1/2 დღის სავალზე ახლოს, შემდეგ კი ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავლეთით საკმაოდაა. მტკვრის ნაპირი ტფილისს ზემოთ მაღალი და ციცაბოა. ყველა ცდა, რომ ხელოვნურად აიყვანონ წყალი მიმდებარე მშრალ ვაკეზე, დღემდე უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომაცაა ეს ვაკე მცენარეულით ღარიბი და ნაკლებ ნაყოფიერი. ალუვიალური ნიადაგი, რომელიც 3-4 ფუტის სისქისაა და რომელზეც ქალაქი დგას, ქმნის ზემოთა ფორმაციას. მასში ვნახე სხვადსხვა სახეობის რიყის ქვები. მდინარეს ისინი იმ დროს მოუფენია გორსა და ტფილისს შორის ვაკეზე, როცა მას არ ჰქონდა გაკვლეული განსაზღვრული კალაპოტი კლდეებს შორის და თავისი წყლით მთელ დაბლობს ტბორავდა. ამ დანალექ ქანებში ძევს კონგლომერატი თიხის მაკავშირებლით,რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს ძველი პლუტონური ქანების რღვევისა და დაშლის შედეგად. ამ ფორმაციაში გვხვდება გაქვავებული მცენარეული და ნახშირის ბუდობები. მცენარეები ამ ქანებს ნაკლებ ეთვისება.

აპრილის შუა რიცხვებში სიცოცხლის ნიშნები წარმოაჩინა ბალახეულმა. მეზობელი მთების კალთებზე ვნახე ტულიპები, ჰიაცინტები,ფურისულა, ხმლისებური ლილია; ეს მცენარეული გერმანულს ჰგავს,მაგრამ განსხვავებული სახეობისაა. ასევე მწერებმაც (დაბალმა ცხოველთა სამყარომ) გამოიღვიძეს ზამთრის ძილისაგან. მზის სხივებით განათებული მთის მშრალ ფიქალოვან მიწაზე დაცოცავდა

მრავალგვარი Dorcadion, Meloe, Staphylinus,Cetonia, Geotrupes, Chrysomela და სხვები. ყანებში მრავლად დარბოდა Carabus maurus. ყველა პეპელა ნაცნობი სახისა იყო, რომლებიც გერმანიაშიც ხშირად გვხვდება: Papilio cardamines, Lotonia, Machaon და სხვა. სადაც კი გაზაფხულის მზემ შეიხედა, რეპტილიებიც ყველგან გამოჩნდნენ. გველები ჯერ კიდევ იშვიათი იყო, მაგრამ მრავალგვარი სახის ხვლიკები კი დაცოცავდნენ შიშველ კლდეებზე; ყველაზე ხშირად გვხვდება დიდი ნაცრისფერი Stellio caucasicus, მაგრამ მისი დაჭერა არც თუ ადვილი იყო. ფრინველებიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მტაცებლები იყვნენ წარმოდგენილი. მთელი დღეები ისინი ნადირობდნენ მწყრებზე, რომლებიც აპრილის მეორე ნახევარში აურაცხელ გუნდებად მოვიდნენ სამხრეთიდან. მწყრების მოფრენა, რომლებზე ნადირობამაც ნოი-ტიფლისის კოლონიის მიდამოებში დიდი სიამოვნება მოგვანიჭა, მაისის პირველ რიცხვებამდე გაგრძელდა. 5 მაისს უკანასკნელი გუნდები გაფრინდნენ მტკვრის ხეობიდან კავკასიონისკენ და მათთნ ერთად უცბად გაქრნენ მიმინოებიც, რომლებიც ალბათ მათ გაჰყვნენ უკან, როგორც ზვიგენები ქაშაყს. მტაცებელი ფრინველებიდან ჩვენ მოვკალით ეგვიპტური ძერა, Cathartes percnopterus. დიდი თეთრთავა ორბი, Vultur fulvus, და ევროპაში იშვიათი Falco tinnuncuhoides . აპრილის დასასრულს მოფრინდნენ ლამაზი ჭრელი „ფუტკრის ქურდები“ Merops apiastez, ურიცხვი რაოდენობით და იბუდებდნენ ყველა სახლის სახურავებსა და ღობეებზე. ამ მშვენიერი ჩიტის ფრენა წააგავს მერცხლისას. როცა ჩრდილოეთის ქარმა ხეობაში დაბერა, ეს ჩიტები ბუჩქებზე ისხდნენ ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული, თითქოს ერთმანეთის გასათბობად. ამ დროს თავისუფლად შეიძლებოდა საფანტის ერთი გასროლით დუჟინის მოკვლა. მათი მოფრენის მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გამოჩნდნენ ლურჯკისერა ყელწითელა და შოშია, რომლებიც კავკასიის სამხრეთ ძირამდე ყოველ წელს არ მიდიან.

# თავი IV

**სამების დღე ტფილისში — გადმოსახლებულის ბედი. გერმანული ახალშენის ელიზაბეტტალის მონახულება — რელიგიური ერეტიკოსები — ბოტანიკოსი მჭედელი — გამგზავრება კატარინენფელდში — ეპიზოდი სპარსეთ-რუსეთის ომიდან — სეპარატისტების ბედი**

როცა სამება კვირას დილით გერმანელ კოლონისტთან ერთად გავედი ქართული დედაქალაქიდან და ავუყევი მთის ბილიკს, რომელიც მიდიოდა ახალშენ ელიზაბეტტალისკენ, მეტეხის პატივდებულმა ეკლესიამ საეკლესიო დესასწაულის დაწყება გვამცნო. ის უძველესია ტფილისის ეკლესიებს შორის და, როგორც ასეთი, თავის უპირატესობას რუსული კათედრალის სიონის მიმართ ადასტურებს ზარების გუგუნით. „ქუხილის მეზობლად" ციცაბო მთის წვერზე დაკიდულ მეტეხის ზარს აქვს მისთვის დამახასიათებელი მელანქოლიური ტონი; დიდებულებაში რომის და ლისაბონისას ის ვერ შეედრება, არც ისე მშვიდად და სასიამოვნოდ ჟღერს, როგორც შვაბიის ოლქის, ან ალპური ტიროლიის სოფლის პატარა ზარი. თითქოს თავისი ისტორიის სამგლოვიარო საგოდებელს შესტირის ის ქვემოთ მდინარეს და მის ნაპირზე მდგომ ბუნების უდრეკ ნაგებობას, რომელიც მუნჯი მოწმეებივით შეურყევლად და გულაუჩუყებლად უყურებენ თოთხმეტი საუკუნეა ადამიანის ხელის შესაძლო ყოველივე ნამოქმედარს — ბრწყინვალებას, დაცემას და სიწმინდეთა შერყვნის ცოფით შეპყრობილი მაჰმადიანი ბარბაროსების მიერ მეტეხის დაშლას.

ჩვენ მივაღწიეთ მწვერვალს, სადაც მთის ნაკადული წავკისი მხიარულად მიჩხრიალებს მწვანე ბუჩქნარში, ხოლო პლუტონური კატასტროფით გაგლეჯილი კლდეები გახსნილან და შორს ძალზე

ლამაზი პანორამა იშლება. ქართული დედაქალაქის მთელი ამფითეატრი თავისი ეკლესიებით, ციხეებით, სასახლეებით და ნანგრევებით, აგრეთვე მტკვრის ვრცელი ვაკე ჩემ ფერხთით იდო. უკანა სცენაზე აუწერელი დიდებულებით აზიდულა კავკასიონი თავისი მუდმივი თოვლიანი წვერების, თავისი მყინვარების და გლეტჩერების ვერცხლისფერი ნათებით. მე ჩამოვჯექი ჭადრის ქვეშ, რათა ამ საოცარი სურათის მზერისთვის ორიოდე წუთი მიმეძღვნა, წინააღმდეგ ჩემი გამყოლის მოუთმენლობისა, რომელიც ცოლშვილისკენ უფრო მიიწევდა, ვიდრე მხატვრული ადგილებისთვის თვალის შესავლებად.

დილის მზე თრთოდა ჭადრების სახურავის ჭრილებში; სატახტო ქალაქის ამფითეატრს თაღად ედგა ცისფერ ნათელ ცაზე მბრწყინავი ბროლის რკალი და სხივებს აფრქვევდა დიდებული დეკორაციის ყველა წვრილმანს. ციხიდან ქუხდნენ ქვემეხები და აუწყებდნენ მთავარმართებლის გასვლას ეკლესიაში. კავკასიონის არც გაღმა, არც აქეთა მხარის ქალაქებში არაფერი მცირედ მნიშვნელოვანიც კი ისე არ ტარდება, თუნდაც მშვიდობიანი რელიგიური დღეობა, რომ რუსულმა ომის ღმერთმა თავისი ბასი არ შეუერთოს. ზარბაზნების გრიალით მისალმებას აკომპანირებას უწევდა ეკლესიების, მონასტრებისა და სამრეკლოების ზარების გაბმული წკრიალი და გუგუნი, რასაც სამჯერ იმეორებდა კლდეების ექო. ეს ზარები, ვფიქრობ, ცოცხლებს არ განეკუთვნებიან, „მიჯნურთა გულების შეერთებას" არ მოუწოდებენ, როგორც ნათქვამია გერმანული ზარის სიმღერაში. დახოცილთა სულები, რომლებიც სისხლით გაჟღენთილ ნანგრევებს გარს უვლიან, თითქოს ამ მელოდიებით ეპატიჟებიან განსასვენებლისკენ (სიმშვიდისკენ).

ტფილისურ ზარებში ელეგიური გოდების ხმები რომ გაიგო, არ უნდა გაგიკვირდეს. ყველა ჭირი ერთად აღებული, რაც გადახდა ტროას, იერუსალიმს და რომს, ძნელად თუ გადაწონის მისას (ტფილისისას — გ.გ.) მსოფლიოს არცერთ სამოსახლოს არ განუცდია ისეთი მწარე დღეები, უფრო მეტი დაწვა, სისხლი და საშინელებანი, როგორიც სატახტო ქალაქმა კავკასიაში; და თუკი ზარის თითოეული ბგერა განეკუთვნება ცალკეული სულის ღვთისმოსავ მოგონებას, რომლის სხეული აჩეხა თემურის, ან აღა-მაჰმად-ხანის მკვლელთა ბრბოების ფანატიკურმა ცოფმა, მაშინ არ ვიცი, რამდენ ხანს უნდა ხმიანებდნენ ზარები შეუჩერებლად. ეკლესიისკენ მიმავალ ქართველებს, რომლებიც

ნაირფერად და ფუფუნებით არიან ჩაცმულნი — კაცები ჩამოკიდებულ სახელოიან ფერად ტანსაცმელში, ქალები კი თეთრ ჩადრაშემოხვეულნი — ალბათ არ უტრიალებთ თავში ფიქრები მიმართული შავბნელი წარსულისა და წინაპართა ტანჯვისკენ, რადგან ჩვეულებრივ მომავალ თაობებს ნაკლებ აწუხებს ხოლმე ეს. რუსული უნიფორმები და ულვაშიანი კაზაკები სიონის კათედრალისაკენ მიედინებოდნენ. იქ ენთო სანთლები და უხილავი ყელიდან ამოისმოდა კაცთა გუნდის მშვენიერი ხმა; იქ მუხლს მოიყრიდნენ და პირჯვარს გადაიწერდნენ, ხოლო მდიდრულ სამოსელში გამოწყობილი, ტალღისებური წვერის მქონე მღვდელი შავი საკურთხევლის წინ დაიწყებდა ლოცვას.

იგუგუნონ ზარებმა — მოუხმონ ეკლესიის ჩაბნელებული დარბაზისკენ, იბუტბუტონ მორწმუნეებმა სიტყვამრავალი ლოცვები! გარეთ, უსაზღვრო ბუნების წიაღში (ღვთის სასუფეველში), სადაც სხვა სიდიადის მოლურჯო გუმბათი ადგას თაღივით მწვანე საკურთხეველს, სადაც სხვა სიკაშკაშის მნათობი ასხივოსნებს უდიდესი მრევლის ღვთისმოსაობას, სადაც ყრუ ზარების მაგიერ ჩიტების გალობა მხიარულობს, სადაც ტოროლა ლოცულობს მღვდლის ნაცვლად, მხიარულად შორდებიან მოხეტიალენი სამების მოდლესასწაულე ქალაქის სურათებს და მხნედ მიაბიჯებენ მთებსა და ხეობებში, ტყეებსა და მდელოებზე იმ უბედნიერესი გუნება-განწყობით, რომელსაც ასე იოლად უხმობს ზაფხულის ნათელი დილის სიგრილე...

გოტფირდ ფრანკი, — ასე ერქვა კოლონისტს, რომელიც მე მახლდა — დაბადებით იყო ვაინსბურგიდან. ბუნებით იყო ჯანმრთელი და ღონიერი, თუმცა დროისაგან გაჭაღარავებული და მობერებული. დაძაბულმა შრომამ და წინააღმდეგობრივმა ხვედრმა თანაბრად იმოქმედეს მასზე... ჩვენი დაკვირვებით, გლეხები და დღიური მუშები, რომლებიც მძიმე სამუშაოს ეწევიან, როგორც წესი, ქალაქელებზე მეტხანს არ ძლებენ (ესენი ჩეხვითა და თხრით არ შოულობენ ლუკმა-პურს). ისტორიიდან ვიცით მრავალი მოღვაწე, მეცნიერი და პოეტი, რომლებმაც ღრმა მოხუცებულობამდე შეირნარჩუნეს ჯანმრთელობა და სიმხნევე. უახლოესი ხანებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ტალეირანი, მეტერნიხი, შატობრიანი, ჰუმბოლდტი, გოეთე. მშრომელი ხალხის კლასებში ოთხმოცი წლის ასეთ სხეულს ცოტას თუ შევხვდებით... გოტფრიდ ფრანკს თავისი ცხოვრების მანძილზე

უამინდობა უფრო მეტი შეხვდა, ვიდრე ნათელი მზიანი დარი. ჯაფამ, ზრუნვამ და ბეჯითამა მუშაობამ თმა ადრე შეუთეთრა, ხოლო მის სულზე კი მადლიანად იმოქმედა. მას არ ჰქონდა მძინარა გულგრილობა, დაბეჩავებული გონება და გაუთლელი შესახედაობა თავისი შვაბი თანამემამულეების უმრავლესობის მსგავსად... ის ქალაქელს უფრო წააგავდა, სწორად და გასაგებად ლაპარაკობდა; მისმა თავგადასავალმა, რომელიც ელიზებეტტალისკენ მგზავრობისას მიამბო, ჩემი თანაგრძნობა დაიმსახურა.

ფრანკმა შეისწავლა თავისი მამის ხელობა — თოკის მგრეხელის (მებაგირე). 18 წლისა ჯარში წავიდა, გახდა არტილერისტი; რაინის კავშირის კონტინგენტთან ერთად ილაშქრა პრუსიის და ავსტრიის წინააღმდეგ; იგი ორჯერ დაიჭრა და უნდა უმადლოდეს ავსტრიელი დრაგუნის მახვილის დარტყმას თავში, რომ ასცდა 1812 წლის საზარელ ომს და ბერეზინაში ცივ აბაზანას. როცა ომი დასრულდა, გერმანიაზე და შვეიცარიაზე გავლით დაბრუნდა სამშობლო ნეკარში... აქ მას გადაწყვეტილი ჰქონდა დარჩენა, კერიის შექმნა და ცოლის მოყვანა... როცა გერმანიის არცერთ მხარეში იმდენი ემიგრანტი არ ტოვებს სამშობლოს, როგორც ვიურტემბერგში, ამის მიზეზი ხეტიალის სურვილი კი არ არის, ტიროლელების და სომხების მსგავსად, არამედ სიძნელე — გამოკვებოს თავი ხალხით გადავსებულ მხარეში, დაბრკოლებები, რაც სამუშაოს გამო ხვდებათ, რომ არჩეულ ხელობას მისდიონ თავისი ძალებით და ნიჭის მიხედვით...[1]

რუსმა აგენტებმა, რომლებსაც გერმანელი ემიგრანტების ნაკადი სამხრეთ რუსეთისკენ უნდა წაეყვანათ, გაიარეს ვიურტემბერგზე. მათმა დაპირებებმა შავი ზღვის იქით მდებარე აღთქმული ქვეყნის შესახებ ე.წ. სეპარატისტების რელიგიურ აღგზნებაზე იმოქმედეს. ეს ფანატიკური სექტა განუდგა ეკლესიას, წინსწარმეტყველებდა სამყაროს სწრაფ დასასრულს და ამიტომ სურდა ხმელეთით წასვლა იერუსალიმისკენ, რათა იქ დალოდებოდნენ საშინელი სამსჯავროს დღეს. გოტფრიდი შეუერთდა ამ აღგზნებულ ხალხს, თუმცა მათი ფანატიკური სისულელისა არ სჯეროდა; მათთან ერთად დუნაის დაყოლებით, სამხრეთ რუსეთზე გავლით გადმოვიდა კავკასიონზე.

---

[1] აქ მოთხრობილია გოტფრიდის უფროს ძმაზე, მის გაჭირვებაზე და უბედო სიყვარულზე. გვ.86-87, რასაც ვტოვებთ — გ. გ.

როცა მათ დიდი უბედურებით გეორგიას მოაღწიეს, ერმოლოვმა ისინი დარჩენაზე დაიყოლია. ვაინსბერგელი მებაგირე დასახლდა ელიზაბეტტალში, გახდა გლეხი და ცოლად შეირთო ღარიბი ობოლი, რომლის მშობლებიც ჩამოსვლიდან მოკლე ხანში უცხო ჰავამ დასცადა. ამგვარად კავკასიონის იქითა მხარეს ახალ სამშობლოში შეძლო თავისი დამსხვრეული ბედის ხელახლა აშენება: თავისი კერა და ოჯახი შექმნა, რაზეც ძველმა გერმანულმა სამშობლომ უხეშად უკრა წიხლი.

ერთერთი უბრალო ემიგრანტის ბედი მისივე მონაყოლის მიხედვით მე აქ იმიტომ გადმოვეცი, რომ ის გარკვეულ შუქს ჰფენს გერმანული ემიგრაციის ხასიათს. ექვსი საათი მელაპარაკებოდა ის წარსულ დროებაზე და მხოლოდ ერთხელ მკითხა გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ისიც სურდა გაეგო — ისევ ისე ძნელი თუ არის დღიური პურის შოვნა; ახლაც არ შეუძლიათ იქ ყველას დაქორწინება, ვისაც ამისი ხალისი და სიყვარული აქვს? სხვა კოლონისტებმა ელიზაბეტტალში მკითხეს; უხდიან თუ არა მეფეს გერმანიაში ისევ ისე ბევრ გადასახადებს? სხვა მათ არაფერი აინტერესებდა (ძალზე მცირედ პოლიტიკური ვითარება და ყველაზე ნაკლებად გერმანული სახელმწიფოს ბედი). არაფერი უკითხავთ თვით მსუქანი შვაბი მეფისა და იმპერატორ ნაპოლეონის შესახებ, რომელთა სიკვდილი არც გაეგოთ. მხოლოდ უვიწროესი წრე, რომელშიც ცხოვრობენ, მხოლოდ უახლოესი ურთიერთობანი, რომელსაც პირადად ხვდებიან, ერთგვარად აღვიძებს მათში მონაწილეობის მიღების სურვილს. გოტფრიდ ფრანკს არცერთი სიტყვა არ დასცდენია ფრანგების საწინააღმდეგოდ, რომლებმაც გერმანიაში ომის საშინელება დაატრიალეს, ასევე მსუქანი დესპოტის წინააღმდეგ, რომლის ტირანიის ქვეშაც გმინავდა მაშინ შვაბია. სამაგიეროდ არ დავიწყებია მას ვაინსბერგელი ბურგომისტრი, რომელმაც მას ოსტატობის პატენტი წაართვა...

გერმანული კოლონია ელიზაბეტტალი მდებარეობს ტფილისიდან 25 ვერსზე აღმოსავლეთით, ვიწრო ხეობაში; მის მოახლოებას გვამცნობს მდიდარი მცენარეული და ლამაზი ლანდშაფტი. შინდის მაღალი ბუჩქები, ჩინარი და ტირიფი არის მაუწყებელი ფოთლოვანი ტყეებისა, რომლებიც სოფლის შემოგარენს ლამაზად რთავენ და მრავალ მილზე ვრცელდებიან სომხითის პროვინციაში... აქ უეცრად იკარგება

აღმოსავლეთი თავისი ფანტასტიკური სურათებით, თავისი ბრწყინვალე სიდუხჭირით, ხოლო მის მაგიერ წარმოდგენილია გერმანიის პატარა ნაჭერი თავისი ტრივიალური აღნაგობით, მაგრამ ასევე მთელი თავისი სიმყუდროვით, რასაც ახლავს კერისა და ოჯახის სიყვარული. არავითარი ამაყი მეჩეთები და ეკლესიები, რომელთა ფუფუნების გვერდით საცოდავად გამოიყურებიან ღარიბული გლეხური ქოხები; არავითარი თვალისმომჭრელი დოლბანდები, კალპაკები და ოქროთი ნაკემსი ტანსაცმელი, რომელთა ქვეშაც საზიზღარი მწერები იბუდებენ; არავითარი ზიზილ-პიპილები დივანის ბალიშებისა და ცუდი ნოხებისა, რაც ვერ იფარავს ყინვისა და ხელმოკლეობისაგან. სამაგიეროდ ყოველგვარი ამინდისგან დამცველი პატარა, მაგრამ კოპწია და მტკიცე სახლები — შიგნით კაფელის ფეჩებით, ქანქარიანი საათით და ხავერდიანი სავარძლით — ყოველივე სუფთა და სასიამოვნო, როგორც სამშობლოში — შვარცვალდსა და ნეკარზე. სახლის გვერდით აქვთ სუფთა პატარა ბაღჩა უყვავილოდ, მაგრამ სავსე პარკოსნებით, სალათით, ბოლოკით და მწვანილეულით. ბაღის ახლოს არის ვენახი, ანდა მდელო, ან მშვენიერი ყანა, ოღონდ არა ნახევრად პარტახი, როგორიც ხშირად აკრავთ თათრულ და ქართულ სოფლებს.

კაცი, რომელიც ყანაში მუშაობს, არ იცვამს აბრეშუმის, ანდა ძვირფასად მოქარგულ გაფრიალებულ ტანსაცმელს. ის გამოიყურება უაღრესად ულამაზოდ უხეში მაუდის დიდ ღილებიან კიტელში და სქელი სელის ან თხის ტყავის შარვალში; მას არ აქვს მომაღლებული სიმაღლე, მსუბუქი და მოქნილი მოძრაობა როგორც აღმოსავლელს, არამედ უკიდურესად მოუქნელი და მოშვებული უფრო კამეჩს ჰგავს, ვიდრე ანტილოპას. მას ეჯავრება მეოცნებე უსაქმურობა, შრომობს ბეჯითად მთელი დღე, დაუღალავად იქნევს ცელს და საცეხვს. ბეღელი და ბოსელი მუდამ სავსე აქვს და სავსე ქვაბის წინ არასდროს უჩივის მადას. სახლში არ მეფობს ხელოვნური სილამაზე ქართული გემოვნებისამებრ; არცერთი წერწეტი, ჩადრაშემოხვეული ტანი შავი მკვესავი თვალებით და მშვენიერი ნაწნავებით, რომელიც დივანზეა წამოწოლილი, ანდა ბანზე (ტერასაზე) ზის მხატვრულ პოზაში. შვაბი კოლონისტის ჩასუქებულ ცოლს — არც წერწერტს, არც ლამაზს — ჭრელი აბრეშუმის ნაცვლად აცვია უბრალო ბამბის ან შალის კაბა; ის არის პასკვილი გრაციაზე; მას არ უყვარს რბილი

დივანის ბალიშები, არის სამზარეულოს და ბაღის ბატონ-პატრონი; როცა მძიმე სამუშაოსგან ისვენებს, ქარგავს, ართავს, ან ქსოვს; ერთი სიტყვით, დაუღლელად შრომობს... ისმის კითხვა, თუ ბედის მიერ ერთმანეთის გვერდით შეყრილი, ძირეულად განსხვავებული რომელი ორი ხალხის თვისებას ექნება წარმატება?...

სოფელ ელიზაბეტტალს აქვს ერთადერთი განიერი ქუჩა, რომლის შუაში დგას ყვითელი პატარა ეკლესია ლამაზი სვეტებით; იგი კვეთავს ხეობს დასახლების მთელ სიგრძეზე. თეთრ პატარა სახლებს აქვთ ჩალის სახურავები, ირგვლივ არტყიათ მესერი და საკმაოდ სუფთად გამოიყურებიან, თუმცა ნაკლებ მორთულნი არიან, ვიდრე ყირიმში. კოლონია ითვლის 72 მეურნეობას და 90 ოჯახს. ხე და წყალი ჭარბად აქვთ, მაგრამ ნიადაგი მოსავალს იქ იძლევა, სადაც ხელოვნურად ირწყვება. მთის ფერდებზე, რომლებზეც არხები არაა გაჭრილი, მოსავალი საკმაოდ მცირეა. კოლონისტებს მოჰყავთ ხორბალი, ქერი, შვრია და კარტოფილი, აქვთ მშვენიერი ვენახები.

ელიზაბეტტალი ნაკლებ ნაყოფიერია, ვიდრე კატარინენფელდი და მოშორებით მდებარე სხვა გერმანული კოლონიები, მაგრამ მათ უმეტესობასთან შედარებით უფრო ჯანმრთელი ჰავა აქვთ. მოსახლეობის უმრავლესობას, როგორც ნოი-ტიფლისსა და ალექსანდერსდორფში, შეადგენენ ვიურტემბერგელები, რომლებმაც 1815-1816 წლებში რელიგიური ფანატიზმით, თუ ხელობის შეზღუდვით გამოწვეული უკმაყოფილების და მძიმე გადასახდების გამო სამშობლო მიატოვეს. სწავლული მეგზაური დიუბუა მართალია, რომ ფრანგული რევოლუციის შიში და ნაპოლეონის საომარი ფურია იყო მიზეზი, რომლებმაც ნეკარზე მრავალი მოსახლის სულსა და ფანტაზიაზე ასე საოცრად იმოქმედეს და გაუჩინეს იდეა-ფიქსი მსოფლიოს სწრაფი დაღუპვის, ასევე აღთქმული ქვეყნის მონატრულებისა. მაგრამ ცდება დიუბუა, როცა ამ მიზეზებს ერთადერთად მიიჩნევს. გაჭირვება, საკვების უქონლობა, ხელობის შეზღუდვა, გადასახადების სიმძიმე და იმედი, რომ უფრო მშვენიერ და ბედნიერ სამშობლოს ნახავდნენ, იყო ყოველდღიური მიზეზი გერმანელი ემიგრანტების მოძრაობისა, რამაც გამოიწვია მასიური პილიგრიმობა აღმოსავლეთში. ადგილები, რაც გადმოსახლებულებს ოდესის მიდამოების სტეპებში შესთავაზეს, შეიძლება დასარჩენად არ მოეწონათ. რელიგიური ფანატიზმით

შეპყრობილებს მუდამ იერუსალიმი და წმინდა საფლავი ედგათ თვალწინ; მატერიალურად უზრუნველყოფით იზიდავდა მშვენიერი ნაყოფიერი ქვეყანა რბილი ჰავით, სადაც შეიძლებოდა ნაკლებ გაჭირვებით ეცხოვრათ, ვიდრე სამშობლოში. ასე გაემართა 1817 წელს ეს იშვიათი ნაკადი შეუჩერებლად რუსული სტეპებიდან კავკასიონის მაღალი ქედისკენ. რუსმა მოხელეებმა ამ დინებას არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნეს გზაში.

ამ მოხეტიალეთა გერმანული წარმოშობა იყო მიზეზი რუსული მთავრობის ქველმოქმედი კეთილგანწყობისა. გარდა ბუნებრივი რასობრივი ანტიპატიისა, გერმანელის სახელქვეშ გულისხმობენ განსწავლულ, ფიზიკური და სულიერი კულტურით რუსებზე მაღლა მდგომ ეროვნებას. ეს გადმოსახლებულნი რომ ყოფილიყვნენ სლავები ან თათრები, რუსი მოხელეები ნაკლებად მოერიდებოდნენ და მოექცეოდნენ როგორც ჩვეულებრივ მაწანწალებს, როგორც ნოღაელებს და მომთაბარე ყალმუხებს, რომლებიც რუსულმა მთავრობამ ძალით აიძულა მომთაბარულ ჩვევებზე უარი ეთქვათ.

ენით აუწერელი წინააღმდეგობებითა და გაჭირვებით გადალახეს ამ გერმანელმა ემიგრანტებმა კავკასიონი. თითქმის ნახევარი დავარდა ჰავის და სამოგზაურო სიდუხჭირის გამო. დანარჩენებმა მაინც გააგრძელეს სამხრეთისკენ გზა. როცა ტფილისში ჩამოვიდნენ, მათ უფრო დაუგდეს ყური საქართველოს რუსი მთავარმართებლის კეთილ გაფრთხილებას ქურთებისა და არაბების ქვეყნებში შემდგომი მოგზაურობის საშიშროების შესახებ, ვიდრე სამხრეთ რუსეთის გენერალ-გუბერნატორისას, რომელმაც მათ იგივე უთხრა. ავადმყოფობებმა და წარმოჩენილმა გაჭირვებამ შვაბების სიჯიუტე შეარყია. ამასთან მათ მოეწონათ ტრანსკავკასიის ქვეყანა, სადაც მთები, მდინარეები, ტყეები და მდელოები შვაბურ სამშობლოსას მიამსგავსეს; სადაც ყველაფერი უფრო აგონებდათ სამშობლოს, ვიდრე სამხრეთ რუსეთის უსიხარულო სტეპები. მათ სურდათ იგივე სარგებელი მიეღოთ, რაც 12 წლის წინ სამხრეთ რუსეთში დასახლებულმა კოლონისტებმა; მათ აღუთქვეს თითოეულს 35 დესეტინა სახნავი და საცხოვრებელი სახლი და დიდ სოფლებად ერთად დასახლება. თვით ერმოლოვის ენერგიამაც ვერ შეიძლო მათთვის დანაპირების მალე შესრულება; გაჭირვება და ჩივილი ბევრი იყო. კეთილშობილ ნაცვალს, რომელიც დიდსულოვანი

კაცი იყო, მაგრამ ნამდვილი რუსი, რომელსაც მოხერხებული და დამჯერი აღმოსავლელის არსება უფრო მოსწონდა, ვიდრე შვაბიიდან გადმოხვეწილთა სიტლანქე და კაპრიზები, მალე გაბეზრდა, თუმცა მაინც შეასრულა თავისი დანაპირები.

მარიენფელდი და პეტერსდორფი პირველი გერმანული ახალშენები იყვნენ, რომლებიც ტფილისიდან მხოლოდ რამდენიმე მილის დაშორებით, ძალზე ნაყოფიერ ადგილას აღმოცენდნენ და სწრაფად აყვავდნენ. კატარინენფელდი ალბათ უფრო მდიდარი და ბედნიერი იქნებოდა, რომ 1826 წელს არ განეცადა ქურთების საშინელი თავდასხმა, რასაც მოჰყვა ხოცვა, განადგურება და ბავშვების მოტაცება. ელიზაბეტტალი გადაურჩა ამ კატასტროფას, მაგრამ ნაკლებ შეძლებულია, რადგან მშრალი, ქვიანი ნიადაგი მეტ დროს და ოფლს მოითხოვს და იგივე მოგებას ვერ პოულობს, როგორც კატარინენფელდის მშვენიერი ხეობა.

რელიგიური აღტყინება, რამაც გეორგიაში ჩემი ყოფნისას გერმანელ მოახალშენეებში კვლავ ასეთი საოცარი ხმაური ატეხა, ელიზაბეტტალსაც ვერ აცდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ მხოლოდ ცოტანი იყვნენ ნამდვილი სეპარატისტები, რომლებშიც პალესტინისაკენ ხეტიალის სურვილმა ახალი ძალით გაიღვიძა. ამის საწინააღმდეგოდ, მისტიციზმითა და სულიერი სიბნელით მოტყუებულმა გლეხმა, სახელით ბებლემ, მიმდევრები გაიჩინა და ახალი სექტა შექმნა, რომელსაც უწოდებენ „ბებლიანელებს". ეს პიროვნებები თავის თავს ნამდვილად თვლიდნენ განსწავლულებად და რჩეულებად, განუდგნენ ეკლესიას და ევანგელიეს თავისებურად ხსნიდნენ. ელიზაბეტტალის კოლონისტთა უმრავლესობა უფრო გონიერი აღმოჩნდა და ამ უგუნური მოქმედებისაგან შორს დადგა; მეზობელი კატარინენფელდი კი მალე კინაღამ დაღუპვამდე მიიყვანა.

გოტფრიდ ფრანკი, რომელსაც ელიზაბეტტალში ყოფნისას ხშირად ვნახულობდი, გაბედულად კიცხავდა ამ რელიგიურ შეკრებებს, მაგრამ იმ აზრისა იყო, რომ მიეცათ ნება მშვიდად ევლოთ თავისი გზით, რომ ციება განკურნავდა მათ ამისგან. რუსმა პოლიციის ინსპექტორმა ერთხელ სცადა რუსულ ყაიდაზე — მათრახით — მოევლო ამ საქმისათვის, მაგრამ ხალხი ამით უფრო გაჯიუტდა, უფრო ფანატიკური გახდა და უწინდელზე მეტად შეაქციეს ზურგი ეკლესიას.

მხნე ვაინსბერგელი მართალია არ იყო მდიდარი, მაგრამ სახლი, ბეღელი და ბაღი გვიჩვენებდნენ მის გარკვეულ შეძლებას. მას ჰყავდა ასევე მხნე მეუღლე (მართალია, არცთუ ახალგაზრდულად მიმზიდველი, მაგრამ საუკეთესო ასაკში), ჯანმრთელი ვაჟი და ყმაწვილი ქალიშვილი....

ელიზაბეტტალის კოლონიაში ცხოვრობდა ერთი საინტერესო კაცი, სახელად ფრიკი, ხელობით მჭედელი, ამავე დროს მოწათმოქმედი და ბუნების მკვლევარი. იგი ყოფილ ჰაილბრონელ მისიონერს ჰოჰენაკერს – ენერგიულ ბოტანიკოსს დაჰყვებოდა ექსკურსიებზე და მცენარეულის საუკეთესო ცოდნა მიიღო მისგან. მოსკოველი და სტ.-პეტერბურგელი ბოტანიკოსებისგან წახალისებულმა და მხარდაჭერილმა, მან აღმოაჩინა საკმაოდ ბევრი ახალი მცენარეული და შეაგროვა უზარმაზარი ჰერბარიუმი. მისი ახალგაზრდა ცოლი, საერთოდ წყნარი ბუნებისა, მას თან ახლდა ექსკურსიებზე ტყეებსა და მთებში, მსგავსად ჰოჰენაკერის მეუღლისა. როცა ქმარი საქმით იყო სახლში დაკავებული, ის მარტო მიდიოდა უკაცურ ტყეებში, რათა იშვიათი მცენარის ყვავილობა არ გამოჰპარვოდა. მას არასდროს შემთხვევია ავი რამ. თათრები და ქართველები მას თვლიდნენ ჭკვიან ქალად, რომელიც სამკურნალო მცენარეულს აგროვებდა და სთხოვდნენ ხოლმე წამლებს ავადმყოფებისათვის. ამ ყოველდღიური საქმიანობით ქალბატონ ფრიკს შეუყვარდა ფლორა და ისე გულმოდგინედ და ოსტატურად დებდა ქაღალდში, ახმობდა და აკონსერვებდა, როგორც საუკეთესო ბოტანიკოსი.

ელიზაბეტტალის ამ ბოტანიზირებული მჭედლის სახლში მის ქერა ბავშვებთან ერთად იყო 6-7 წლის ორი შავთვალა და შავთმიანი ბიჭი, რომლებსაც ეხურათ ჩერქეზული ქუდები და თავისი სილამაზითა და თამამი წარმოსადეგობით უცბად გეცემოდათ თვალში. მათმა მამამ, სომეხმა თავადმა გურგანოვმა, მეზობლად რომ წისქვილს ფლობდა, თავისი ბავშვები მიაბარა გერმანელ კოლონისტს საპანსიონოდ, რომ გერმანულ ენასთან ერთად შეესწავლათ იმის საიდუმლოება, თუ როგორ შეიძლებოდა ღარიბი მოხეტიალისგან შეძლებული ქონების პატრონი გამხდარიყვნენ. ადგილობრივ აზნაურობასთან საქმე შებრუნებულადაა: უმრავლესობამ მთელი ქონება დაკარგა; ბევრი მდიდარი ახლა ღარიბად ცხოვრობს. ორივე თავადიშვილი ფრიკის სახლში უკვე სამი თვეა რაც იმყოფებიან და საკმაოდ კარგად ესმოდათ გერმანული და აღარ აცლიდნენ ლაქლაქს მჭედლის

ცისფერთვალება ქერათმიანებს. ისინი არ იყვნენ მორიდებული და მორცხვები ამათ მსგავსად; როცა უცხო მათ კითხვას დაუსვამდა, უშიშრად უყურებდნენ სახეში თავისი დიდი, საოცრად ლამაზი შავი თვალებით; თანატოლ გერმანელ სოფლის ბავშვებს საზრიანობით და სიცოცხლით შესამჩნევად აღემატებოდნენ. ბუნებით ასე მდიდრულად დაჯილდოებულ გეორგიის მოსახლეობას რომ მისცა გერმანული რკინისებური სიბეჯითე, პატიოსნება და მეოჯახის გემოვნება, ისინი არცერთ დასავლურ ხალხს არ ჩამორჩებოდნენ კულტურით, აყვავებითა და ქონებრივი შეძლებით. სამწუხაროდ, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ხალხს, დაჯილდოებულებს სხეულის სილამაზითა და გრაციით, აკლიათ სწორედ ეს გერმანული მადლი (სიკეთე)...

კატარინენფელდი ყველაზე ლამაზი გერმანული კოლონიაა კავკასიონის იქითა მხარეს. ის მდებარეობს ელიზაბეტტალიდან 20 ვერსზე, ხოლო ტფილისიდან თითქმის ერთი დღის სავალზე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მაღალი ტყიანი მთები ერტყმიან გარშემო ლამაზ ხეობას, რომელზეც მხიარული ჩხრიალით მიედინება ბამბაკის მთებიდან გამომავალი მდინარე ჯავალა. სოფელი ნაკლებ თანაბარზომიერადაა ნაშენები, ვიდრე ელიზაბეტტალი; ასევე აკლია ლამაზი ეკლესია თეთრი სვეტებით. სოფლის შუაგულში მდგომი ჩალით დაფარული სამლოცველო მეტად უბრალო შესახედი იყო. ამის მიუხედავად მისი პატარა ზარი მელოდიურად, ღვთისნიერად და სასიამოვნოდ ჟღერდა. აქაც ლამაზია, სუფთა და მიმზიდველი გერმანული საცხოვრებლები, თუმცა მეტი წილი ჩალითაა დახურული; მწვანე დარაბები, რაც კოლონისტთა სახლებს ამკობს, აქ იშვიათია. ბუნებამ უფრო უხვად იზრუნა ამ გერმანული კოლონიის მოსართავად, ვიდრე ადამიანის ხელმა. მართალია, იყო გერმანული ხელი, რომელმაც ეს ბაღები და ვენახები მოაშენა, მაგრამ ბარაქა ხეობის მდიდარ მიწას ეკუთვნოდა, რომელზეც ქართულმა ოზირისმა თავისი დამადასტურებელი ჯადოსნური ძალა გადმოაფრქვია, რომ ასეთ პატარა ფართზე ასეთი სიუხვე მოეწია. ნოყიერი ნეშომპალა ნიადაგი, ცხელი მზე და ცივი ჯავალას-წყალი, რომელიც ხელოვნურადაა შემოგდებული კოლონიის ბაღ-ვენახებში, ყოველივემ თანაბრად იმოქმედა, რომ ვაზი ასეთი დიდი გაეზარდა, მტევნები, ნაყოფი ასე სავსე და ტკბილი, ბოსტნეული ასეთი სიუხვით მოეყვანა. ყანები და მდელოები, რიმელთაც ვიწრო ხეობაში ადგილი ვერ იპოვეს და მშრალ

მაღლობზე მდებარეობენ, ნაკლებ ხელსაყრელია და მოსავალი იქ უფრო ხშირად ილუპება სეტყვისა და ავდრის გამო, ვიდრე სხვაგან.კარგ წლებში ხორბლის და ქერის მოსავალი რვა და ათმაგია, ცუდში – ორი ან სამმაგი. მევენახეობა ყველაზე ბარაქიანი დარგია. კატარინენფელდის ღვინო შეუდარებლად გემრიელია, ვიდრე განთქმული კახური, რომელსაც ის ეცილება ერთ საოცარ თვისებას – მოარჩინოს პოდაგრა (ამას ერთი ექიმი მიმტკიცებდა).

1826 წლის საშინელი უბედურება რომ არა, ამ ახალშენის ზედმეტსახელს – „ულამაზესი", დაემატებოდა შეუდრებლად ტკბილად მჟღერი ტიტული „უმდიდრესი". მაგრამ სპარსელთა წაქეზებით ქურთებისა და თათრების ყაჩაღური ბრბოების თავდასხმამ მას ისეთი ჭრილობა მიაყენა, რომელიც ჯერაც არ მოუშუშებია. დღესაც ყველა კატარინენფელდელს პირზე აკერია საშინელი დღე; ზამთრის გრძელ საღამოობით სართავთან მჯდომი ბებიები მის შესახებ უყვებიან პატარა შვილიშვილებს, რომლებიც ამ ამბავს არ მოსწრებიან. მეც ხშირად მესაუბრებოდნენ კოლონისტები.

ერთ დახუთულ აგვისტოს საღამოს გლეხები ჩვეულებისამებრ დაღლილები დაბრუნდნენ მინდვრის სამუშაოებიდან და უდარდელად მიეცნენ მოსვენებას. არავითარი ნიშანი არ აფრთხილებდა მათ, რომ კატასტროფას შემზადებული დახვედროდნენ. თუმცა იცოდნენ, რომ ორი თვის წინ შორს მდებარე კოლონიებს – ჰელენენდორფს და ანენფელდს თათართა ბანდები დასცემიან. მაგრამ ეს სოფლები მდებარეობენ მტრის საზღვართან ახლოს; მოსახლეობის მეტი ნაწილი სასწრაფო გაქცევით გადაურჩა თათართა მსახვრალ იარაღს. კატარინენფელდში ნაკლები შიში ჰქონდათ, რადგან იმედი ჰქონდათ ტფილისიდან სწრაფი დახმარებისა. ერმოლოვს იქ მნიშვნელოვანი ძალა ჰყავდა შეკრებილი და დონის პოლკის მსუბუქ კავალერიას საშიშროების შემთხვევაში შეეძლო ნახევარ დღეში მიშველებოდა განსაცდელში ჩავარდნილ კოლონიას. ჩანს, რომ ვერ გაითვალისწინეს მტრის ბუნება და ბრძოლის მანერა, რომელიც ყოველგვარ სამხედრო საქმეში რუსულ არმიას ჩამორჩებოდა, გარდა სწრაფად გადაადგილებისა. მტერი, რომლის ადგილსამყოფელის შესახებ ეტყობა არასრული ცნობა ჰქონდათ, უეცრად გადმოვიდა ბამბაკის მთაზე; ღამემ და ტყემ დამალა მათი მოახლოება.

მზის ამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ამხედრებული ბანდები

სოფელს მოადგნენ. საშინელი ყიჟინით შეიჭრნენ ქუჩებში, მშინარეები ლოგინებიდან წამოყარეს. ბრძოლის ჟინი არ არის კავკასიაში მცხოვრები ჩემი თანამემამულეების ძლიერი მხარე. მაგრამ ტილოს კიტელების შიგნით მათ გმირული სისხლი რომ ჰქონოდათ, მაინც ვერაფერეს გახდებოდნენ ასეთი მოულოდნელობისას, თანაც ათჯერ მეტ ძალასთან. საწყალი შვაბები, რომელთა თავებზე მუქარით ელავდნენ თათრების მოკაკული ხმლები, ხოლო შემზარავი ქურთები ცხვირთან უტრიალებდნენ ბამბუკის შუბის წვერებს, მოთქვამდნენ, ტიროდნენ და ემუდარებოდნენ; მაგრამ ასეთი რამ ბარბაროსებზე ნაკლებ მოქმედებდა. ველურმა ბრბომ გიჟურად გაიქროლა სოფელში, აჩეხა და გმირა ყველა, ვინც გაქცევა, ანდა ქონებისა და თავის დაცვა მოინდომა. სეპარატისტებს ამჯერად მხსნელად მოევლინა მათი ძლიერი იმედი ღმერთისადმი. სწორედ ისინი, ვინც მოთქმის ნაცვლად სტოიკური სიმშვიდით უცდიდა თავის ხვედრს, უფრო გადარჩა, ვიდრე სასოწარკვეთილები.

„ჩვენ გვეგონა, რომ დადგა საშინელი სამსჯავროს დღე", მიამბო ერთმა მოხუცმა სეპარატისტმა. „სოფელში ისეთი ხმაური იყო, როგორც ქარიშხლის ღრუბლის დროს. ჩემმა ბავშვებმა მაშინ გაიღვიძეს, როცა ერთმა მხედარმა ფანჯრის დარაბებს ესროლა და ტყვიები ოთახში დაცვივდა. დედა გამოვარდა საწოლიდან და გააღო დარაბა, მაგრამ მაშინვე შეშინებული უკან გადმოხტა ყვირილით: ფანჯარაში ეშმაკი იყურება გარედან! ეშმაკი? — გვეგონებოდა ათასი ეშმაკი დაძრწოდა სახლის წინ, ისე საზიზღრად ღრიალებდნენ და ფრუტუნებდნენ გარეთ მხედრები და ველური ცხენები. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ჯოჯოხეთური ძლეტა და სროლა, ყვირილი, მოთქმა და ტირილი ჩვენებისა. უცბად გაისმა ჩვენი სამლოცველოს ზარის ხმა, რომელიც თითქოს თავისით რეკავდა; ამან უფრო გვაფიქრებინა სამსჯავროს დღის მოსვლა. მაგრამ ეს ყოფილა სკოლის მასწავლებლის ბიჭი, რომელმაც ზარს გამოჰკრა რათა გასაჭირი ეცნობებინა. ამის გამო ერთმა ქურთმა ბიჭი შუბით მიაჭედა კედელზე. მე ჩემ ცოლს ვუთხარი: მოდი, ვილოცოთ, ცოდვილი სამყარო ღსრულდება! ჩვენ მუხლებზე დავემხეთ და ბავშვებმაც იწყეს ჩვენთან ერთად ლოცვა. ამასობაში გაიღო ოთახის კარი და იგი შემზარავი ხალხით გაივსო. ჩვენ კი განვაგრძობდით ხმამაღლა ლოცვას და არ ვაქცევდით ყურადღებას,

თუ როგორ იქნევდნენ ჩვენს თავს ზემოთ ხმლებს და ხანჯლებს. მე მზად ვიყავი სიკვდილისათვის და აუღელვებლად დავიყვირე: აღსრულდა ღმერთის სურვილი! როცა გავიგე, რომ უცხოები თათრულად ლაპარაკობდნენ, მივხვდი, რომ ეს სულები კი არა, მკვლელები და ყაჩაღები იყვნენ, რომელთაც ჩვენი სიცოცხლე და ქონება სურდათ. ჩვენ ალბათ ყველას დაგვხოცავდნენ, ერთ ხნიერ თათარს — ალბათ სასულიეროს — რომ არ შეეჩერებინა დანარჩენები. „ისინი თავიანთ ღმერთს ელაპარაკებიან, — თქვა ხანშიშესულმა — ბეწვიც კი არ დააგდებინოთ!" შემდეგ გაალეს შკაფები და სკივრები და, რაც იპოვნეს, ყველაფერი ამოიღეს. ერთმა მოინდომა ჩემი პატარის ძალით მოტაცება. ბავშვი დედამისს ჰყავდა ხელში და სიცოცხლეს უფრო წაართმევდნენ, ვიდრე ბავშვს. ყაჩაღი მას დაემუქრა, მაგრამ მოხუცი კვლავ შუაში ჩაუდგა. სახლი მათ დატოვეს, როცა პირწმინდად დაარბიეს. ჩვენ კი ღმერთს ვმადლობდით გადარჩენას".

კატარინენფელდის ყველა მცხოვრები არ გადარჩენილა ასე იოლად, როგორც ეს სეპარატისტები, რომლებიც ლოცვამ იხსნა. ოცდაათი ადამიანი მოკლეს, სამოცდახუთი ტყვედ წაასხეს. საზარელი ბანდები მხოლოდ რამდენიმე საათს შეყოვნდნენ, რადგან, უეჭველია, ეშინოდათ კაზაკთა თავდასხმისა. მაგრამ ეს მოკლე დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ აყვავებული კოლონია მთლიანად დაქცეულიყო და უდარდელი და ბედნიერი მოსახლეობა გაჭირვებასა და სასოწარკვეთაში ჩავარდნილიყო. ძლეტის სცენა შეცვალა ცეცხლმა. ცეცხლმოკიდებული ჩალის სახურავებიდან ალები ავარდა და რაც ყაჩაღებმა დატოვეს, ყველაფერი შთანთქა. ტრიუმფის ყიჟინით და გამძღარის შურისძიებით გაუჩინარდნენ უწმინდურები მტვერსა და კვამლში. ტყვე ქალები და ბავშვები, ასევე ნადავლი ცხენებზე აკიდებული წაიტაცეს. რუსულ სამხედრო ძალებს, კზაკებს, რომლებიც საკმაოდ ახლოს იდგნენ, ფეხი არ დაუძრავთ მტრისთვის ტყვეებისა და ნადავლის წასართმევად, რაც არც თუ ძნელი იქნებოდა, რადგან ქურთები ნელა მიემართებოდნენ უკან გოქჩის ტბის მიმართულებით. მომდევნო საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ დატყვევებულთა დიდი ნაწილი ტყვეობიდან გაათავისუფლეს: უფრო მეტად გერმანიასა და შვეიცარიაში შეგროვებული ფულით, ასევე ბაზელელი მისიონერების მცდელობით, ვიდრე რუსული დიპლომატიის მიღწევებით, რომელმაც ამ საქმეში ნაკლები მონდომება

გამოამჟღავნა. იმათი რიცხვი, ვინც აღარ დაბრუნდა, დაახლოებით ოცდაათია. ერთმა კოლონისტმა, რომელმაც თავისი ახალგაზრდა ცოლი გამოიტირა, ერთ დღეს მისგან წერილი მიიღო თეირანიდან, რომელშიც წერდა, რომ იგი ცოლად გაყოლია სპარსელ სამღვდელოს, რომ ჰარემის ცხოვრება ძალიან მოსწონს და ურჩევდა მალე ახლად ექორწინა.

კატარინენფელდში ჩემი ყოფნისას სეპარატისტებმა კვლავ მიატოვეს სამუშაოები. მათი ერთადერთი აზრი იყო სამსჯავრო დღე; მათი ერთადერთი სევდა — იერუსალიმი. სეპარატისტები უფრო შეძლებულნი გამხდარიყვნენ, ვიდრე სხვა კოლონისტები, რადგან უბრალოდ და მომჭირნედ ცხოვრობდნენ, და მთელ თავის დროს მხოლოდ სამუშაოსა და ლოცვას ანდომებდნენ. ახლა როცა კომეტამ და მოხუცი ქალის წინასწარხედვამ მოახლოებული სამსჯავრო დღის შესახებ უეჭველად უფრო იმოქმედა, მათ გაჰყიდეს სახლ-კარი, ქონება, გადაუხადეს ვალი ხაზინას გაწეული ხარჯებისათვის და სურდათ წასვლა. რუსმა მთავარმართებელმა (გენერალ-ნაცვალმა) განუმარტა, რომ დაუბრკოლებლად გაუშვებდა, როგორც კი გარკვეული პასუხი მოვიდოდა სტ.-პეტერბურგიდან. ამ შთაგონებული ქალის მიმართ კი, რომელიც ცდილობდა მიუკერძოებელი მამაკაცების იძულებით გადაბირებას, ბ-ნი ფონ ნაიდჰარდტი ულმობელი იყო. თვით მკერავი დანიელ მაიერის მჭერმეტყველებამაც ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ამ მაღალ ბატონზე, რომელთანაც შუამავლად იყო გაგზავნილი სეპარატისტების მიერ და რომელიც პავლე მოციქულის წიგნით უმტკიცებდა, რომ არ იყო მართალი.

კატარინენფელდში ჩემი პირველი ყოფნისას დამიშვეს ამ სექტის ღვთისმსახურებაზე. ერთ დიდ ოთახში ვნახე მრავალრიცხოვანი სერიოზული მამაკაცებისა და გაფითრებული ქალების კრება. მაგიდის წინ იჯდა სამი ყველაზე პატივცემული სეპარატისტი: **კოზერი, პალმერი და შპონი**. პირველს ჰქონდა არაჩვეულებრივი ღვთიური, წყნარი, თითქმის დიდებული ნაკვთები; არც პალმერის სახე იყო მორცხვი და ფლეგმატური, როგორც ეს უმრავლეს კოლონისტებს აქვთ; შპონი კი ნამდვილი გლეხი იყო. ქალებს შორის, რომლებიც კაცებზე მეტნი იყვნენ და ხის სკამებზე ისხდნენ, იყო აგრეთვე

შპონის მეუღლე, ავადმყოფურად გიჟური ქალი, რომელსაც კოლონიაში შესამჩნევი გავლენა ჰქონდა. პირველი აზრი პალესტინაში წასვლის შესახებ მისგან მოდიოდა. მხსნელმა, რომელიც მას დაესიზმრა, თურმე გარკვევით უთხრა და დაუსაბუთა, რომ არავითარი ძალა არ არსებობდა დედამიწაზე, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა პილიგრიმობისათვის.

საზოგადოებამ იმღერა, ილოცა, ხოლო კოზერმა ვიურტემბერგიდან წამოღებული ერთი მისტიკური წიგნიდან ხმამაღლა წაიკითხა...როგორც ნოი-ტიფლისის სეპარატისტებთან, აქაც შევნიშნე რამოდენიმე გოგონა საოცარი სილამაზის, ნამდვილი მადონას სახით, რომელთა უწყინარი ცისფერი თვალები მშვიდობას და უმანკოებას გამოხატავდნენ. სეპარატისტების მოწინააღმდეგენი, ე.ი. ძველი ეკლესიის მიმდევრები, ამტკიცებდნენ, რომ ეს მშვენიერები ერთი ახალგაზრდა ყმაწვილის სიყვარულით უფრო განუდგნენ ეკლესიას და სექტაში გადავიდნენ. ხმამაღლა გამოცხადებული გეგმის მიხედვით სეპარატისტებს სურდათ თავისი მოგზაურობა უფულოდ და სანოვაგის გარეშე დაეწყოთ, რადგან თვლიდნენ, რომ მანანა ციდან ჩამოუვარდებოდათ. ამავე დროს ჩურჩულებდნენ, რომ ბევრს ყოველი შემთხვევისთვის ერთი შეკვრა დუკატები ჩაეკერებინათ კაბებში: „ქურთებს გოგონები და დუკატები ძალზე ესურვილებათ“ — თქვა ერთმა მორწმუნემ, რომელიც ტყვედ იყო ნაცხოვრები ქურთებთან.

პეტერბურგიდან პასუხმა დიდხანს დააგვიანა. გამგზავრების დღე დანიშნული იყო და ჩანდა, რომ პილიგრიმები რუსი მთავარმართებლის აკრძალვას არ დაემორჩილებოდნენ... როცა გაიგეს, რომ ბატონი ფონ ნაიდჰარდტი კაზაკებს გზავნიდა მათ ძალით გასაჩერებლად, გულკეთილად გაიცინეს: „რას გახდებიან კაზაკები ანგელოზების ძალის წინაშე? რა შეუძლია იმპერატორის გენერლის აკრძალვას უფალი ღმერთის დადგენილების წინააღმდეგ? ეშმაკების ლეგიონიც რომ მოვიდეს, არ გადავთქვამთ და წავალთ. თქვენ, მცირემორწმუნენო, მოგვიახლოვდით და იყავით იმის მოწმენი, რა შეუძლია მხსნელს, რათა დაიცვას თავისი რჩეულები!“

გამგზავრების დღე ახლოვდებოდა. ნოი-ტიფლისიდან, პეტერსდორფიდან, ელიზაბეტტალიდან, ანენფელდიდან და ჰელენენდორფიდან სექტის ყველა მიმდევარი შეიკრიბა კატარინენფელდში, პილიგრიმთა

შეკრების ადგილას. იმავე დროს ტფილისიდან მოვიდა კაზაკთა ერთი რაზმი... როგორც მთავარმართებლის საგანგებოდ უფლებამოსილი, ტფილისიდან ჩამოვიდა აგრეთვე ბატონი **ფრიდრიხ ფონ კოცებუ**. დაბადებით გერმანელს მას უკანასკნელად უნდა ეცადა თავისი გაგიჟებული თანამემამულენი კეთილი სიტყვით ჭკუზე მოეყვანა. მაგრამ მის ყოველივე სიტყვას ყრუდ შეხვდნენ. „ჩვენ წავალთ!“ — უპასუხეს სეპარატისტებმა — „ღმერთს სურს! თქვენი კაზაკები ვერას გვავნებენ!“ ეს უთხრეს ძალზე დამაჯერებლად, მომღიმარი პირით, კლდის სიმტკიცით. დღე გავიდა მოგზაურობის სამზადისში, საღამო ლოცვებში. კაზაკებს დაუდგეს კარგი საჭმელი და მთელი კასრი ღვინო; მათი ცხენები თავლაში შეიყვანეს და ქერი დაუყარეს რამდენიც სურდათ.

მზის ამოსვლისას მომლოცველები შეიკრიბნენ **ჰაუბენზაკის** სახლთან, სადაც ჩვეულებრივ უცხოელები ჩერდებოდნენ და მეც იქ ვიდექი. სულ იყო 360 ინდივიდი, მათ შორის უმდიდრესი კოლონისტები, თვით მჭედელიც კატარინენფელდიდან, რომელსაც ცოლი უშლიდა წასვლას, მით უფრო, რომ გამოცდილი ჰქონდა ქურთებთან ხუთწლიანი ტყვეობის გაჭირვება. ყველა კაცს მიჰქონდა მძიმე ჩანთა, ყველა ქალს პატარა ფუთა, თვით სამოცდაათი წლის მატრონაც (მოხუცი ქალი — გ.გ.) მხნედ მიათრევდა ბოხჩას. ამას გარდა ბევრი სახედარი იყო დატვირთული, ხოლო პილიგრიმთა ნაკადის შუაში იდგა შებმული საზიდი, რომელზეც უნდა დამჯდარიყო წინასწარმეტყველი ქალბატონი შპონი. როგორც კი ისინი რიგებად გასწორდნენ, მხიარულად გაემართნენ სოფლის გასასვლელისკენ, სადაც კაზაკები თავისი მეთაურის (კაპიტანის) ბრძანებით ჩასაფრებულიყვნენ. სეპარატისტები მხოლოდ ღრუბელს დაელოდნენ, რომლიდანაც მხსნელი უნდა მოვლენილიყო და თავისი საყვარელი შვაბიელი შვილები დაეცვა დონელი გერებისაგან.

ცა სასიამოვნო ლურჯფრად დაჰღიმოდა კატარინენფელდის მწვანე ხეობას; ნიავი არ იძვროდა, ღრუბელი არსად ჩანდა... როცა მხსნელი აღარ გამოჩნდა და სასურველ მოვლინებას არ სურდა მოხდენა, მაშინ ამოიფშვნიტა საწყალმა ხალხმა თვალები, თითქოს გამოიღვიძეს სიზმრიდან. მაინც სულით არ დაცემულან. ხოლო როცა თავისდა შემაძრწუნებლად დაინახეს, რომ კაზაკები წინგამოწვდილი ხიშტებით და უხეში ლანძღვით ჭიშკრიდან უკან ერეკებოდნენ, დაეცნენ მუხლებზე

ლოცვით და მღეროდნენ ძველი ვიურტემბერგული საგალობლიდან სიმღერას. არც ამან უშველა. დანიელ მაიერის — კერვის ოსტატის მიერ დიდი ხელოვნებით წაკითხულმა პავლე მოციქულის წერილებმაც ნაკლებად იმოქმედეს დონელ ულვაშიანებზე, ისევე როგორც კატარინენფელდელი წინასწარმეტყველი ქალის ფერმკრთალმა სახემ, რომელიც დაკრეფილი ხელებით ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. მეთაურის ბრძანება უფრო მოქმედებდა კაზაკებზე, ვიდრე ყველა მოციქულის ნათქვამი და ციური ნიშანი. ამასობაში ნაკადში გაისმა პატარა ბავშვების ტირილი, რომელთაგან ზოგს უკვე მოშივდა, სხვებს მოსწყურდა; ამან ერთგვარი არეულობა შემოიტანა. ასეთ მძიმე ვითარებაში ბატონი ფონ კოცებუს ჭკვიანურმა რჩევამ უკეთესი შედეგი გამოიღო, ვიდრე ერთი დღის წინ. სეპარატისტებმა უცებ დაინახეს, რომ ჯერ არ დამდგარიყო გამგზავრების ნამდვილი ჟამი. ტრაგიკომიკური შედეგი იყო ის, რომ ყველა სეპარატისტი, ვინც კატარინენფელდში არ ცხოვრობდა, საიმედო დაცვით წაიყვანეს სხვადასხვა კოლონიებში, სადაც მათი ეკლესიური მოწინააღმდეგეები ხუმრობით და სიცილით შეხვდნენ, კაზაკებს კი ფული გადაუხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი V

## წყნარი ცხოვრება კატარინენფელდში — ერთი სოფლის ამბავი აღმოსავლეთში — ერთი გერმანული ოჯახის ბედი ქურთებთან — შავი მოახალშენეების დახასიათებისათვის — ზოგადი შენიშვნები კავკასიონის იქითა მხარეს არსებული გერმანული კოლონიების მდგომარეობის შესახებ

სლავი ბუნებისმეტყველი სკოვიჩი, რომელმაც პოეტური საფლავი ჰპოვა კოლხეთის გაუვალი ტყეების ყვავილებსა და ლიანების ქვეშ, თავის მეგობარს შესჩიოდა ყირიმში, რომ გერმანელმა კოლონისტმა ტობიას ჰაუბენზაკმა კატარინენფელდიდან მას გულზე ჭრილობა მიაყენა — შეყვარებული წაართვა. ეს არ უნდა ყოფილიყო ის ჰაუბენზაკი, რომელთანაც მე და სხვა მოგზაურები კატარინენფელდში ბინად გავჩერდით... დაქვრივებული ქრისტოფ ჰაუბენზაკი აღარ იყო ახალგაზრდა... მას სურდა ახალგაზრდა ცოლის მოყვანა, რათა ფეხზე დაეყენებინა შინა მეურნეობა... ამიტომ მოიარა სხვადასხვა გერმანული კოლონიები... ლამაზი კათერლე, ჰაუბენზაკის უფროსი ქალიშვილი დედის სიკვდილის შემდეგ განაგებდა შინა საქმეებს... ჩემი ყოფნისას საბრალო ქალიშვილს ფეხი ჰქონდა მოტეხილი და იწვა. ჰაუბენზაკი დიდად არ დარდობდა ამის გამო, ორმაგ სასმელს იღებდა და უხაროდა, რომ ტკივილებით შეწუხებული დიასახლისი ქალიშვილი მას ვეღარ ლანძღავდა. ასეთ საოჯახო მეურნეობას, ცხადია, მოგება არ ექნება. მართლაც ჰაუბენზაკის ეკონომიკური მდგომარეობა ისე დაქვეითდა, რომ ბოლოს, როცა მოინდომა საცოლის საძებრად (სიძედ) წასვლა ნოი-ტიფლისისა და ალექსანდერსდორფში, თავის ქალიშვილს გამოართვა ერთი წყვილი ცისფერი წინდა, კოლონისტ აიხელეს — საკვირაო სერთუკი, მეორე მეზობელს პალტო, რომ არ შერცხვენილიყო ასეთი მნიშვნელოვანი ექსპედიციისა... ეს

მხოლოდ ერთი მაგალითი იყო, თორემ გერმანულ კოლონიებში სეპარატისტებზე ბეჯითი და ღვთისმოშიში არავინაა. ჩემი სახლის პატრონის მსგავსი ზარმაცი სუბიექტები ბევრნი რომ იყვნენ, მაშინ რუსებსა და ადგილობრივებში გერმანელის, როგორც უნარიანი და კარგი მშრომელის სახელი მალე გაქრებოდა. არის ლოთობისა და უსაქმურობის ერთეული შემთხვევები.

კოლონიების ინსპექტორმა მიამბო იმ ნაკლზე, რაც აღმოსავლეთს უძველესი დროიდან ახასიათებს, გერმანიაში კი თითქმის უცნობია. მაგრამ ეს საყვედური უზნეობისადმი მიდრეკილების შესახებ არავითარ შემთხვევაში არ ეხება სეპარატისტებს, როგორც ამას დიუბუა (ეს მიუკერძოებელი და განსწავლული დამკვირვებელი) ყოვლად გაუგებრად ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ კოლონიათა ინსპექტორი აძაგებდა სეპარატისტთა რელიგიურ საქციელს, ძალიან აქებდა მათ სამაგალითო ცხოვრების ხასიათს, პატიოსნებას, პირდაპირობას და დაუღალავ შრომისმოყვარეობას. მხოლოდ იერუსალიმური სიგიჟე აფერხებდა მომენტალურად ამ შრომისმოყვარეობას.

სკოლის მასწავლებელმაც თქვა, რომ საწყენია ამ ხალხის განდგომა ეკლესიისგან, რადგან უფრო ღვთისმოშიში და უკეთესი ხალხი ტრანსკავკასიის პროვინციების არცერთ ათ კოლონიაში არ მოიძებნება. მიზეზი, თუ რატომ შეაქციეს ზურგი სეპარატისტებმა ეკლესიას და გავრცელებულ ღვთისმსახურებას, მასწავლებელმა არასრულყოფილად ამიხსნა. თვით კატარინენფელდში არ არის სულიერი მოძღვარი. ელიზაბეტტალელი მღვდელი აქ იშვიათად ეწევა ღვთისმსახურებას, მის მაგივრად კვირაობით მასწავლებელი კითხულობს მოსაწყენ დარიგებებს ერთი ძველად ნაბეჭდი ქადაგებათა კრებულიდან. როცა ერთხელ ამ ღვთისმსახურებას შევესწარი, აღარ გამკვირვებია, რომ ხალხი, რომელმაც გერმანიიდან წამოიღო მიდრეკილება რელიგიური ფანატიზმისადმი, კატრინენფელდში მისგან ვერ განიკურნებოდა. შინაარსი და გადმოცემა ისე გაჭიანურებული იყო, ისე მშრალი, ისე დამღლელი, რომ, თვით მნათე აიხელე თვლემდა სკამზე, ხოლო ქადაგების ბოლოს ზაზუნასავით ახვრინდა. დასასრულს იგალობეს; უგემოვნოდ და უაზროდ ამბობდნენ ბავშვები გამონათქვამებს ბიბლიიდან და საღვთო სჯულიდან. არავითარი ნაპერწკალი არ ჩანდა ამ ღვთისმსახურებაში, რომელსაც შეეძლო რელიგიური სულის აღგზნება. საზოგადოებას

სახეზე ეწერა ნაცრისფერი მოწყენილობა, საცოდავი აპათია და შეზღუდულობა. ახლა ჩემთვის ნათელი იყო მზარდი განდგომა ეკლესიიდან, სეპარატისტთა გამოყოფა, რომელთა ლოცვასაც ღრმა შიდა ხასიათი ჰქონდა. საქმის მცოდნე მოძღვარი, რომელიც ღმერთის სიტყვას თბილი აღგზნებული გულით ასწავლიდა და არა პურის კალათით იხეტიალებდა ტრანსკავკასიაში, აი ეს იქნებოდა კეთილისმოქმედი საჩუქარი, რაც ჩვენს სამისიონერო საზოგადოებას შეეძლო მიეცა იმ შორეული გერმანული კოლონიებისთვის.

როცა ვადარებ ტრანსკავკასიისა და ყირიმის გერმანულ სამოსახლოებს შეძლებისა და ზნეობის თვალსაზრისით, სასწორი პირველის მხარეს იხრება. სამაგიეროდ, ყირიმის კოლონიებში მეტი სულის სიმხიარულე და სიცოცხლის ხალისია. რელიგიური ტვირთი კოლონისტებს იქ ნაკლებ აწუხებთ და მელანქოლიური ფანატიზმი დიდი ხანია დაავიწყდათ. იქ ჯერაც აქვთ სურვილი გულღია ერთობისა, ცეკვისა და მხიარულობის, სმისა და სიმღერის, აქვთ საეკლესიო დღესასწაულის ხალისი და გერმანული იუმორი. კავკასიონის იქითა მხარის გერმანულ სოფლებში ცეკვები და კეგლის თამაში აკრძალულია, მხიარული საეკლესიო დღესასწაულები განდევნილი. ასე დაიდგინეს თვით კოლონისტებმა თავის საეკლესიო წესებში. ქორწილები და ბავშვების ნათლობა სახლში ტარდება ზარისა და ხმაურის გარეშე; კიდევ ერთი თვითნებური დარღვევაა ის, რომ ოთხიათასმა გერმანულმა ფეხმა აიკრძალა მშობლიური ვალსი.

ერთხელ მეზობელმა მიმიპატიჟა თავისი პატარა ტყუპების ნათლობაზე... არავითარი ნადიმი, არავითარი ცეკვა, არავითარი სმა, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება გერმანიაში. მაგიდაზე დადგეს პური, ყველი და ერთი კათხა ღვინო, საუბარი კი ეხებოდა არა ქორწინების ბედნიერ შედეგს, არა სასურველ ბავშვებს, არამედ მხოლოდ ძროხებსა და კარტოფილს; ამასთან ტყუპების მამა შენიშნავდა, რომ ქართული ძროხა ორჯერ ნაკლებ რძეს იწველის, ვიდრე ვიურტემბერგულიო.

სტუმრებს შორის თვალში მოხვდა შავთვალა და კეხიანი ცხვირის მქონე ერთი გლეხი, რომელიც გერმანულად შეცდომებით ლაპარაკობდა. გავიგე, რომ ეს კაცი, რომელიც სხვა კოლონისტებივით იყო ჩაცმული, თურქული სომხეთიდან წარმოსდგებოდა და დაქორწინებული იყო

კატარინენფელდელ გლეხის გოგოზე — რიკე პუფზე. მე ახალგაზრდები შეკითხვებით შევაწუხე. ქალბატონი რიკე, რომელმაც სამი წელი თათართა ტყვეობაში გაატარა, სტუმრებს შორის იმყოფებოდა. მე ის არ მოვასვენე, სანამ თავისი თავგადასავალი არ მოვაყოლე, ხოლო, რასაც სირცხვილის გამო თვით ვერ ამბობდა, მისმა მეუღლემ და ნათესავებმა შეავსეს; ასე რომ საბოლოოდ მივიღე გერმანულ-სომხურ-თათრული სოფლის ამბავი...[1] ... რიკე პუფი სამწლიანი ტყვეობის შემდეგ დაბრუნდა კატარინენფელდში. მან მიიღო მამის ქონება და თავის სომეხ შეყვარებულთან ერთად მოინათლა პროტესტანტული წესით. იბრაჰიმი გერმანულ ცხოვრებას კარგად შეეწყო; იგი სხვა გლეხების მსგავსად ატარებს წვეტიან ჩაჩს, ცხვრის ტყავის ქურთუკს და ტყავის შარვალს; მათსავით ბეჯითად და მხნედ მუშაობს ყანასა და ბაღში. მასთან ოჯახში ხშირად ვიყავი... ბავშვები ნახევრად გერმანელებს, ნახევრად აღმოსავლელებს გვანან: მათ აქვთ გერმანელი დედის ქერა თმები და ცისფერი თვალები, ხოლო სომეხი მამისა გამოყვათ კეხიანი ცხვირები. მათი სხეულის ფორმები უფრო წერწეტია, მოძრაობა მოქნილი და მსუბუქი, ვიდრე სოფლის სხვა ბავშვებისა. სკოლის მასწავლებელმა მითხრა, რომ მათ წერა-კითხვა სხვებზე გაცილებით ადრე ისწავლეს. ძველი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რასების შეჯვარება აკეთილშობილებს ადამიანის მოდგმას.

ჯავალას ხეობა, რომლის შუაგულშიც მდებარეობს კატარინენფელდის კოლონია, სამართლიანად ითვლება ქართლის (გეორგიის) ერთერთ ყველაზე ლამაზ მხარედ. სუროთი, ძაღლ-მაყვალათი და ლამაზი კრიპტოგამით ხშირად თითქმის წვერამდე შემორტყმული მაღალი სქელკანიანი წიფელა და მუხა, კოპიტი და ნეკერჩხალი დგანან ყვავილების ზღვაში. უფრო ფერადი (ჭრელი) და მდიდარი მცენარეული მე მხოლოდ კოლხეთში და ბითვინიის ოლიმპოზე ვნახე. ეს ფოთლოვანი ტყეები, სავსე კეთილსურნელებით და ჩიტების გალობით, ფარავენ ბამბაკის ქედის თხემს, ფერდებს და ტერასებს; აქ დაფრინავენ და ღუღუნებენ ათასობით ფრთოსანი მგალობლები; ტოტებზე ცოცავენ და ქანაობენ ცელქი ციყვები, დაეხეტებიან ირმები და დათვები, რომლებიც მოსეირნეებს და მცენარეების შემგროვებლებს არ ერჩიან, უფრო მეტიც — მათი დანახვისას სასწრაფოდ და ზრდილობიანად გარბიან

[1] გამოვტოვეთ რიკე პუფის თავგადასავალი (გვ.114-117 — გ .გ.).

უკაცური მხარის მწვანე ლაბირინთებში. ამ მშვენიერ მთიან ადგილას ჩვენი ყველაზე სასიამოვნო გასართობი იყო ნადირობა და ბუნებით ტკბობა. ხოლო როცა ხეტიალით დაღლილები ვბრუნდებოდით გერმანულ ახალშენში, გვხვდებოდა მეგობრული ნუგეში და თითქმის ნეტარი გრძნობა, როცა უბრალო, პატიოსანი ხალხის პირიდან ჩვენს ყურებს დედაენა ჩაესმოდა. ჩვენ სიამოვნებით ვისმენდით მოახალშენეთა თავგადასავალს მათი შვაბიიდან წამოსვლის დროიდან ახლახან კაზაკთა დაუპატიჟებელი სტუმრობის ჩათვლით. ასევე გვაინტერესებდა მათი ახლო ურთიერთობები, ოჯახების მცირე უთანხმოებები და სიხარული, სასიყვარულო ამბები და სხვა ეპიზოდები კატარინენფელდის წყნარი ცხოვრებიდან... პოეტური ნაპერწკალი, რომელიც ხეობის გერმანელ მცხოვრებლებში თვლემს, ერთი შეხედვით ძნელი დასანახია.

კატარინენფელდელი ხეპრე გლეხი გარეგნულად პროზაულია. როცა მათ გვერდით და მათთან ერთად ცხოვრობ, ბოლოს შეამჩნევ, რომ ამ გაუთლელ და უშნო გარსში ჩამარხულია პატარა კუნჭული, რომელშიც თავისი საფარი უპოვნია წყნარ, ალალმართალ სამყაროს; სამყაროს სულისას, სამეფოს სიყვარულისას. იგივე **ჰანს იორგი**, რომელიც თავისი მამის ურემში ხარებს აბამს, იგივე **პეტერი**, რომელიც ნაკელის ფიწალს მიათრევს თავის ყანაში, იგივე **მიხელი**, რომელიც სულელივით და უაზროდ უზის ფაფის ქვაბს — ამ წუთს თითოეული მათგანი თითქოს ფიქრობს მხოლოდ თავის ხარებზე, ნაკელზე და იასპის ფაფაზე. მაგრამ მახვილი დამკვირვებელიც კი შეიძლება შეცდეს. ალბათ უფრო მეტი სიყვარულით, ვიდრე არასდროს, ფიქრობს ჰანს იორგი თავის კათერლეზე, პეტერი თავის მარანერლეზე, მიხელი თავის ბეზელეზე; უთქმელი სულელური გამომეტყველება კი ალბათ ნიღაბია იმისთვის, რომ საქმეში ჩაუხედავმა ვერ გაიგო, თუ რა ხდება მათი სულის საიდუმლო კუნჭულებში. შვაბი გლეხის სულის პოეტურ მისტერიებში აღმოსავლელი პოეტი იოლად ვერ ჩასწვდებოდა... ამას სჭირდება გერმანელი პოეტის ჭკვიანი თვალი და გულწრფელი ხელი...

რადგან კრისტოფ ჰაუბენზაკი კოლონიიდნ კოლონიაში ხეტიალს უნდებოდა, მე იძულებული გავხდი ახალი სახლის პატრონი მომეძებნა. კოლონისტი **აიხელე** დამთანხმდა გარკვეული საფასით ჩემს შეკედლებაზე. ის იყო გლეხი, დურგალი და მნათე; სეპარატისტული საქმიანობის მწარე მოწინააღმდეგე და რუსული მათრახის სისტემის

მაქებარი, რომლის გამოყენება, როგორც უნივერსალური საშუალებისა, ყველა შემთხვევაში საჭიროდ მიაჩნდა, განსაკუთრებით როცა კოლონიისა და ეკლესიის ურთიერთობანი მისი სურვილის მიხედვით არ ვითარდებოდნენ. სინამდვილეში პატივცემული მნათე მხოლოდ ენით გამათრახებას მოითხოვდა; თავის ოჯახურ წრეში და თავის თანამემამულეებთან პირად ურთიერთობაში ის იყო მშვიდობისმოყვარე, ერთგვარად თავისი ცოლის მომრიდეც კი. ქალბატონ აიხელესთვის იგი მეორე ქმარი იყო. პირველი ქმრიდან ჰყავდა სამი შვილი, რომლებთან ერთადაც ოთხი წელი ქურთების ტყვეობაში გაატარა. იმ ავადსახსენებელ 1826 წელს იგი ქურთთა ბელადმა ჰუსეინ ხანმა შუა ქურთისტანში წაიყვანა. მას მიეცა საშუალება დაწვრილებით შეესწავლა საოცარი მომთაბარეების ცხოვრება და ხასიათი... ქალბატონმა აიხელემ ბევრჯერ მიამბო თავისი ბედის შესახებ და მიჩვენა ქურთული რგოლი, რომელიც მის ქალიშვილს — ლამაზ ქრისტინელას ნესტოებში უნდა გაეკეთებინა, როგორც კი 12 წლისა გახდებოდა. ქრისტინელა იყო... საუცხოო გოგო, ნათელი ცისფერი თვალებით... ცხადია, მისი ლამაზი სახე, სათნო გამომეტყველება სრულებით არ იმსახურებდნენ უშნო ქურთულ ცხვირის რგოლს. მას არ უყვარდა წყნარად ჯდომა, არც ნემსი და სართავი. სამაგიეროდ ლეწვასა და ცელვაში სოფლის ვერცერთი გოგო ვერ შეედრებოდა მონდომებითა და მოხერხებულობით... ქრისტინელა დანიშნული იყო ნოი-ტიფლისელი ფრანგი ვეტერანის.. ჟან პოლის უფროს ვაჟზე. წყვილი მზად იყო საქორწილოდ, რომ საშინელი მტრობა ჩამოვარდა ქ-ნ აიხელესა და სიძის დედას შორის მზითვის გამო, რამაც საქმე ჩაშალა. ქრისტინელა მაინცდამაინც დასევდიანებული არ ჩანდა ამის გამო... მალე მე შევამჩნიე, რომ გლეხის ვაჟი პეტერ ცვიკი, შვიდ ძმაში უმცროსი, ინტერესს იჩენდა ჩემი შინაურის მიმართ; თავი მოაწონა შრომისმოყვარეობით და ათქმევინა ქრისტინელეს, რომ „კარგი ბიჭია და კარგი ქმარიც იქნებაო". საქმე ისე წავიდა, რომ სანამ მე კატარინენფელდიდან წავიდოდი, უკვე დანიშნულები იყვნენ...

ალსანიშნავია, რომ გერმანელი ახალმოსახლეები არ შეჩვევიან არცერთ აღმოსავლურ სიკეთეს, არც ზომიერებას ღვინის სმაში, არც სტუმართმოყვარეობას. მაშინ როცა ადგილობრივები — მაჰმადიანი თათრები, ქრისტიანი ქართველები და სომხები ყოველთვის

ზრდილობიანად და თავაზიანად იღებენ სტუმარს, მაშინ როცა თვით ქურთი მომთაბარეები და ეშმაკის მორწმუნე იეზიდები მათი კარვის წინ მიმავალ მშიერ მოხეტიალეს ეპატიჟებიან და რაც კი გააჩნიათ, იმ საუკეთესოს სთავაზობენ, ამ დროს გერმანელი გლეხი მოღუშული (ნირწამხდარი) სახით ხვდება მოგზაურს, რომელიც აღმოსავლური წესის მიხედვით ღამის სათევს და ერთ ადგილს სთხოვს მაგიდასთან. როგორც კი ქალბატონი აიხელე ფანჯრიდან შეამჩნევდა მომავალ სტუმარს, თვით კოლონიელ თანამემამულესაც, იწყებდა გოდებას, თითქოსდა რაიმე უბედურება მომხდარიყოს; თუმცა ასეთი სტუმრობა ღირდა მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო; ღვინო კი ასე იაფია კატარინენფელდში, ხოლო ქ-ნ აიხელეს საკუთრად ჰქონდა ვენახი! ერთხელ მოვიდა სომეხი, მეზობლად მცხოვრები თავადის მსახური, რომელიც კოლონისტ აიხელესთან საქმიან ურთიერთობაში იყო, და სთხოვა ცოტა მოცხარი. ჩვენ ის იყო დესერტს მივირთმევდით. ჩემმა სტუმართმოყვარე თანამემამულეებმა შეახედეს საჭმელებზე, მაგრამ არც სკამი შესთავაზეს, არც კათხა ღვინო. წამხდარი გუნებით ქ-ნმა აიხელემ აიღო პატარა კალათი და მოკრიბა ბაღში მოცხარი. როცა კალათი თავადის მსახურს გადასცა, თან გერმანულად ჩაიბურტყუნა ზოგი შენიშვნა თავხედობასა და მათხოვრობაზე. თუმცა სომეხს გერმანული არ ესმოდა, მაგრამ ამ სიტყვების აზრი ნამდვილად გაიგო. ქ-ნ აიხელეს მჟავე სახე და მისი სიტყვების უკმაყოფილო ტონი არაორაზროვანი თარჯიმანი იყო. სომეხი, იმის მაგივრად, რომ გალექსილიყო, მადლობაც არ გადაუხდია, ისე მოშორდა და მხოლოდ წასვლისას თქვა თათრულად: „მე რომ თქვენთან მოვედი, ბატონის ბრძანებას ვასრულებდი. იმედი მაქვს მეტჯერ აღარ გამომგზავნის". „ქურთებთანაც ასე მეგობრულად ხვდებიან სტუმრებს?" — ვკითხე მე ირონიით ქ-ნ აიხელეს. „ყაჩაღები! თავიანთ კარავში ყველაფერს გაძლევენ, ფლავს, შემწვარ მეოთხედ ბატკანს, მაგრამ როგორც კი ათასი მადლობით და ფიცით დაემშვიდობებიან, გზაზე უსაფრდებიან და უკანასკნელ პერანგს ხდიან!"...[1]

რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყებისას ქურთები ბრძოლის მოსურნენი ჩანდნენ. ფეთ-ალი-ხანის დამახილზე და მისი თუმნიანების მიმზიდველ

---

[1] ვტოვებთ ქ-ნ აიხელეს თავგადასავალს ტყვეობაში ჩავარდნის შემდეგ უკან დაბრუნებამდე (გვ.124-128 – გ.გ.).

ჩხრიალზე ისინი მასიურად გამოვიდნენ და ურწმუნო რუსებთან შეხვედრის სურვილით აღივსნენ. მათ სჯეროდათ, რომ ბამბუკის შუბების შიშით რუსები გაიფანტებოდნენ როგორც მტვერი ქარში. ზოგი ქურთი ბელადი გუნებაში ითვლიდა დუკატებსა და ვერცხლის მანეთიანებს, რომლებსაც ტფილისის განადგურების შემდეგ მოიმკიდნენ. ახალგაზრდა ქურთები ოცნებობდნენ ლამაზ ქართველ ქალიშვილებზე, რომლებითაც აპირებდნენ ჰარემების დამშვენებას. მაგრამ სხვანაირად დატრიალდა, ვიდრე ფიქრობდნენ. მოჩხრიალე დუკატების ნაცვლად მიიღეს მქუხარე თორმეტფუნტიანები და კარტეჩები; ნაცვლად ქართველი ოდალისკების ნაზი მოხვევისა და ჰარამხანაში ტკბილი ამბორისა — უხეში დონური შუბების დარტყმა და მწარე კოპები. პირველივე შებრძოლების შემდეგ ქურთები გაიქცნენ და რუსებთან ბრძოლის შესახებ გაგონებაც აღარ სურდათ. ისინი მთლიანად ჩამოცილდნენ სპარსეთის არმიას და დაეკარგათ სურვილი განეახლებინათ ნაცნობობა უხეშ მოსკოვიტელებთან და მათ მქუხარე ჯოჯოხეთის მანქანასთან...[2]

... თათრები კატარინენფელდს უწოდებენ **კამარლუს**, თათრული სოფლის სახელის მიხედვით, რომელიც უწინ იმავე ადგილას მდებარეობდა, რაც ამჟამად გერმანულ სოფელს უკავია. იგი მდებარეობს თითქმის შუაგულ სომხითში. ჩრდილოეთით აღმართულია კალდიკარას პორფირიანი მთები, რომელიც სომხითს გამოჰყოფს ქართლის სამხრეთის დაბლობებიდან. სამხრეთით გაჭიმულია მაღალი ბამბაკის ქედი ტყეების დიდებული გვირგვინით და შიშველი წვერებით, რომელთა სიმაღლე ალპურ რეგიონს აღწევს და ივნისის თვემდე ჩვეულებრივ თოვლითაა დაფარული. კიდევ უფრო მაღალია ქედი, რომელიც სომხითის დასავლეთ ნაპირას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენაა გადაჭიმული და რუსულ მხარეს გამოყოფს ახალციხის თურქული საფაშოსაგან. ეს ქედი ხშირად იცვლის სახელს. ჩვეულებრივ ჰქვია თათრული სახელი ახალქალაქი; მისი უმაღლესი მწვერვალია მოდატაპა. სომხითის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად გახსნილია და მტკვარი საზღვრავს. **დიუბუა** სამართლიანად შენიშნავს, რომ კავკასიაში ცოტაა ისე უხვად მორწყული მხარე, როგორც სომხითის პროვინცია და უფრო კი ჯავალას ხეობა, რომლის მარცხენა ნაპირზეც მდებარეობს გერმანული კოლონია. თათრულ სოფელ კამარლუსგან მხოლოდ ზოგი

---

[2] აქ ისევ აიხელეს თავგდასავლის გაგრძელებაა (გვ.125-129 — გ. გ.).

ნანგრევია დარჩენილი, მათ შორის ორი სომხური ეკლესია. კატარინენფელდის მიდამოების განსაკუთრებულ ნაყოფიერებას ხელს უწყობს ნიადაგის ვულკანური ბუნება, მისი უხვად მორწყვა ნაკადულებითა და წყაროებით, აგარეთვე ტყისა და მაღალი მთების სიახლოვით გამოწვეული ნალექი, რომელიც ხშირად წვიმის ნაცვლად მძიმე, კაკლისოდენა სეტყვად მოევლინება არემარეს, როგორც ეს ჩემი ყოფნისას მოხდა ივლისის თვეში. მკის დრო იყო; მთელი ყანები, რომლებიც მაღლობზე იყო გაშენებული, მიწაზე ჩაწვა; მოთქმა საყოველთაო იყო. როცა საშინელმა ავდარმა გადაიარა. ქ-ნი აიხელე და მე გავიქეცით ვენახებისკენ, რომ გვენახა, ხომ არ დააზიანა ისინიც სეტყვამ. კოლონიას აქვს დიდი საერთო ვენახი, რომელიც თავისი მტევნების სისავსეს და სიდიდეს უმაღლის ჯაგალადან გამოყვანილ არხს. კოლონისტები თავის ვაზს უფრო ძლიერად რწყავენ, ვიდრე ადგილობრივები, სამაგიეროდ მტევნის მარცვლები უფრო მსხვილი და წვნიანია; წურავენ ღვინოს, რომელიც ნაკლებ მაგარი და ცეცხლოვანია, ვიდრე ქართული (გეორგიული). ამ საერთო ვენახში ყველა ოჯახს თავისი ნაკვეთი და განსაზღვრული რაოდენობის ვაზის ძირი ეკუთვნის. კოლონისტები რიგრიგობით გადიან სადარაჯოდ ყურძნის დამწიფების დროს. მტევანს ადამიანისგან კი არ იცავენ, რადგან ყველას სამყოფი აქვს, არამედ ფრინველის და დიდი ბინძური ოთხფეხა ქურდებისა და მსუნაგებისაგან. ჩიტები და დათვები მოდიან სტუმრად ყურძნის კრეფის დროს და ისე არ გაივლის წელი, რომ მთვარის შუქზე საფარიდან მოთვალთვალე დარაჯებმა ტყვიით პატივი არ სცენ დათვს მსუნაგობისათვის.

ქ-ნ აიხელეს და სხვა კოლონისტების სასიხარულოდ, რომლებიც ჩვენსავით გარბოდნენ ვენახებისაკენ, სეტყვამ მხოლოდ უმნიშვნელოდ დააზიანა. იქ მე გავიცანი მოხუცი **ზალცმანი**, იმ მდიდარი კოლონისტის მამა, რომელსაც ტიფლისში საზოგადო სახლები აქვს და იმპერატორ ნიკოლოზის მიერ ბოძებულ დამსახურების ოქროს მედალს ყელზე ჩამოკიდებულს ატარებს. მოხუცი ზალცმანი ერთი ახალგადმოსახლებულთაგანია, რომელიც თავისი ვაჟის ბედნიერების სახელმა სიბერეში აამოძრავა და სამშობლო ვიურტემბერგს ზურგი შეაქცია. ვაჟმა შეასრულა შვილის მოვალეობა: თავისი ღარიბი მამა მდიდრულად უზრუნველყო და მისცა საშუალება კატარინენფელდში ეცხოვრა

უზრუნველად, მაგრამ არა უსაქმურად. სამხრეთის კლიმატის პაპანაქებამ და სომხითური ღვინის ცეცხლმა, ეტყობა, მის სისხლსა და ნერვებს ახალი სასიცოცხლო ძალები შთაბერეს. მან მესამედ იქორწინა. ქ-ნ აიხელეს მიეცა საბაბი ელანძღა მოხუცი კაცები ეგოიზმისა და სიხარბისათვის, რომლებიც ირთავენ ბავშვებს, შვილიშვილად რომ ეკუთვნიანო. „ასეთ ბებრებს, — თქვა მან, — ხშირად წარმოუდგენიათ, რომ ახალგაზრდული ძალა აქვთ შემონახული, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდება, რომ შარვალსაც კი ვერ იჭერენ... უკეთესი იყო შეერთო ქვრივი, რომლებიც მრავლადაა კატარინენფელდში...[1]

კავკასიონის იქით მდებარე გერმანული კოლონიების ცხოვრებისა და განცდილის შესახებ წინამდებარე ნარკვევებს და სურათებს კიდევ დავურთავთ დამატებით მასალას მათი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ნამდვილად დადგენილი ფაქტია, რომ ამ კოლონიების მოსახლეობამ პირველი ათი წლის გამოკლებით, შემდგომ ათწლეულებში შესამჩნევი მატებით გაიხარა, რაც მათი შემლების ქრონოლოგიური მასშტაბის მაუწყებელია. სტატისტიკური მონაცემებით 1843 წელს შემდეგი მდგომარეობა იყო:

| | | |
|---|---|---|
| კოლონია ნოი-ტიფლისი | 63 | ოჯახი |
| კოლონია ალექსანდერსდორფი | 36 | ოჯახი |
| კოლონია ელიზაბეტტალი | 90 | ოჯახი |
| კოლონია ჰელენენდორფი | 186 | ოჯახი |
| კოლონია მარიენფელდი | 39 | ოჯახი |
| კოლონია კატარინენფელდი | 153 | ოჯახი |

სულ 588 ოჯახი 3000 სულზე მეტით.

ამას ემატება ახლად დაარსებული დასახლებების მოსახლეობა ახალციხესა და შამახიაში, რომელთა შესახებ სტატისტიკური ცნობები დუმან. კოლონია ანენფელდი თავისი დამღუპველი ჰავის გამო მოსახლეობამ მთლად მიატოვა. ანენფელდელები ჰელენენდორფში გადასახლდნენ, სადაც ჰავა მართალია ასევე არაჯანსაღია, მაგრამ

[1] გამოვტოვეთ ვაგნერისა და აიხელეს შეკამათება (გვ. 133 — გ. გ.).

მოსახლეობას ისე არ ერჩის. ანენფელდმა 1826 წელს იგივე ტრაგიკული ბედი გაიზიარა, რაც ჰელენენდორფმა და კატარინენფელდმა. თათრული ყაჩაღური ბანდები ყარაბაღიდან თავს დაესხნენ კოლონიას და მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელმაც გაქცევა ვერ მოასწრო, ზოგი აჩეხეს, ზოგი ტყვედ გაიტაცეს. კოლონისტების ნახევრად დანგრეულ სახლებში ახლა ადგილობრივები დასახლდნენ. რაც შეეხება გადარჩენილ ბაღებსა და ვენახებს, ის კოლონისტებმა გათელეს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ დასახლებებს ტრანსკავკასიაში არ მიუღიათ არსად ბრწყინვალე სახე და არც რუსული მთავრობის ეგზომ გაზრდილი იმედები, არც თავისი საკუთარი არ აღუსრულებიათ; მაინც ყველა მხარეში, სადაც მათი პროდუქტების გაყიდვა უზრუნველყოფილია, საკმაოდ განვითარდნენ. დედაქალაქის მეზობლად მდებარე ნოი-ტიფლისის, მარიენფელდის, პეტერსდორფის, ალექსანდერსდორფის შესახებ ამის თქმა შეიძლება. ასევე ცოტა მოშორებით მდებარე კოლონია კატარინენფელდი თავისი დიდი ნაყოფიერებითა და მდიდარი მორწყვით ხელმომართული, ახარებს თვალს თავისი კეთილდღეობის საკმაო მაღალი დონით. ელიზაბეტტალის ნაკლებ ხელსაყრელი მდგომარეობა განსაკუთრებული ვითარებითაა გამოწვეული. გაცილებით ნაკლებ დამაკმაყოფილებელია შორს მდებარე ახალშენთა მდგომრეობა, რომლებიც ზემოთ ნახსენებ დასახლებებივით არ არიან ახლოს ევროპული ფუფუნების მოთხოვნილებათა მქონე დიდ დედაქალაქთან, ანდა ზღვის ნაპირთან, არც დიდ სანაოსნო მდინარესთან, რომ შეეძლოთ თავიანთი პროდუქტების (ნაწარმის) ექსპორტირება და გამოყენება. სამხრეთით, განჯის სიახლოვეს მდებარე სამოსახლო ჰელენენდორფი, რომელიც მოსახლეობით ყველას აღემატება, დიუბუასა და სხვათა ცნობებით ბედშავ, საეჭვო და არავითარი მომავლის მქონე მდგომარეობაშია. სოფელი ძევს მთა სარიალის ძირში, ათიოდე ვერსზე განჯიდან, ანუ ელიზავეტპოლიდან — ასე მონათლეს რუსებმა ეს დიდი, მაგრამ ჭუჭყიანი სომხური ქალაქი. კოლონიის გარეგნული სახე ლამაზი და სუფთაა. ორი განიერი ქუჩა სუფთა, თეთრად შეღებილი სახლებით და ბრტყელი სახურავებით, ხეხილითაა გაშენებული. თითქმის სოფლის ცენტრში არის პატარა საბაზრო მოედანი, ხოლო მის შუაში დგას მცირე ზომის ეკლესია.

კოლონისტების სახნავი ნაკვეთები სარიალის მთაზეა და ხელოვნური მორწყვის ნაკლებობის გამო (ურომლისოდაც კავკასიონის გადაღმა ქვეყნებში მიწის კულტურები არ არიან საკმაოდ შემოსავლიანი) ცოტა მოსავალს იძლევიან. ხორბლეული, კარტოფილი და ღვინო დღემდე იყო ჰელენენდორფელთა მთავარი კულტურები. ღვინოს აქვს სასიამოვნო გემო, საკმაოდ მაგარია და შეიცავს ბევრ ნახშირმჟავას, როგორც ცარციან კლდოვან ნიადაგზე მოსული ყველა ღვინო. წარმოების ეს დარგი ძალზე ცუდია იმ პროვინციის შუაგულში, რომლის მოსახლეობა ღარიბია და აღმოსავლური ჩვევების მიხედვით უაღრესად სადად და უბრალოდ ცხოვრობს. ახლოს მდებარე ყარაბაღის ნაყოფიერი ველები მარცვლეულითა და საქონლით ისე მდიდარია, რომ ჰელენენდორფელებს არ შეუძლიათ მათ მეტოქეობა გაუწიონ; კარტოფილი ადგილობრივებს უკვე დიდი ხანია მოუშენებიათ და ამავე დროს ამ მხარეში დიდად არც უყვართ; ელიზავეტპოლის სომხურ მოსახლეობას ღვინო თვითონაც ჭარბად აქვთ. ამიტომ კოლონიას არ შეუძლია აქ თავისი პროდუქტების გაყიდვა, რომელთა ტფილისში წაღებაც სიშორის გამო არ ხერხდება; ამან აწინასწარმეტყველებინა დიუბუას ჰელენენდორფელთა ძალზე მოღრუბლული მომავალი. ცდები, რომელიც მისიონერმა ჰოჰენაკერმა ინდიგოთი მოინდომა, ჩაიშალა. ასევე სახელმწიფო მრჩეველის სტევენის მიერ გამოგზავნილმა ზეთისხილმა ზამთრის ყინვებს ვერ გაუძლო. ქლიავის დარგვამ გაამართლა, მაგრამ ეს კულტურაც არ იძლევა ბრწყინვალე შედეგის იმედებს, რადგან მომჭირნედ მცხოვრები ადგილობრივები ასეთ ფუფუნების საკვებზე ხარჯების გაღებას გაურბიან. ერთგვარი იმედის მომცემია ენდრო, რომელიც მშვენივრად იზრდება; ეს კულტურა ეკუთვნის ძნელად მოსავლელს. ხალხი, რომელიც დღიდან-დღემდე ცხოვრობს, მოგზაური დიუბუას სწორი შენიშვნით, ნაკლებ სარფს ელის სხვა კულტურებიდან. ამას გარდა მოსახლეობას აქვს ვალი იმ სესხისთვის (ავანსისთვის), რაც ხაზინამ გაიღო 1826 წლის საშინელი კატასტროფის გამო. სოფელი მაშინ ისე გაანადგურეს, რომ განჯაში გაქცეულმა მოსახლეობამ უკან დაბრუნებისას გამოცარიელებულ სახლებში ველარაფერი იპოვა; არც ლურსმანი, არც ფანჯარა, ყველაფერი წაიღო ყაჩაღმა მტერმა.

მოსახლეობა შიმშილით რომ არ დახოცილიყო, ხაზინამ გარკვეული თანხა გაუნაწილა, რომელიც ჯერ საჩუქრად ითვლებოდა, მოგვიანებით კი უკან მოსთხოვა. ყველა უბედურებას იმ ბოროტ წლებში დაემატა ჭირი, ქოლერა და მომაკვდინებელი ციება. ჰელენენდორფის მოსახლეობას შეადგენენ ვიურტემბერგელები და შვეიცარიელები (შვაბიელები? — გ.გ.).

გარდა მშობლიური პროდუქტებისა, — ხორბლეული, ბოსტნეული, კარტოფილი და ღვინო — გერმანელ კოლონისტებს სხვა ცოტა ან სულ არ მოჰყავთ, თუმცა ნიადაგი და ჰავა სხვა კულტურების მოშენებას ხელს უწყობს. მეაბრეშუმეობას კოლონისტები გაურბიან თვით ჰელენენდორფშიც, რადგან ჭიის გამოსაკვებად დრო არ აქვთ, რადგან დაკავებულები არიან ყანასა და ვენახებში. რუსები ადანაშაულებენ ამ შვაბ მოახალშენეებს უსაზღვრო სიჯიუტეში, რაც გულისხმობს ძველი ჩვევების მიტოვებას და ახალ მდგომარეობაში ახალი ქვეყნის მოთხოვნებთან შეთავსებას. ვფიქრობ, ეს საყვედური გაზვიადებული და უსამართლოა. სანამ ტრანსკავკასიაში არ არსებობს მდიდარი მოსახლეობა, რომელსაც ეყვარება კომფორტი და ბარაქა, ვფიქრობ, ამ კოლონიების აყვავების მაღალი ხარისხი შეუძლებელი იქნება. მდიდარი რუსების რიცხვი, რომლებიც გერმანელი გლეხებისგან გარკვეულ პროდუქტებს (მაგ., ბოსტნეულს, კარაქს და ა.შ.) ყიდულობენ, თვით დედაქალაქშიც არაა სამყოფი.

ადგილობრივები, თვით მდიდარი ქართველები და სომხები, უპირატესად ყოველთვის შინაური გლეხებისგან ყიდულობენ უფრო მცირე და უარეს, მაგრამ იაფ პროდუქტებს. ნავსადგურებისა და სანაოსნო მდინარეების ნაკლებობა, მაშინაც კი, როცა ცუდი გზები შეკეთებულია, წარმოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას, რაც კეთილდღეობის დონის ამაღლებას შეუძლებელს ხდის. ტრანსკავკასიაში, ამერიკის მსგავსად, ყველაზე შეძლებული ის მოახალშენეებია, რომლებიც მიწათმოქმედებასთან ერთად განსაკუთრებულ ხელობასაც მისდევენ. ანგარიშიანმა საქმიანობამ ბ-ნი ზალცმანი აქცია უმდიდრეს გერმანელ კოლონისტად, მაგრამ ამ პრაქტიკულ მოხერხებულობაში მისი თანამემამულეები მასთან ვერ მოვლენ.

როდესაც კავკასიონს იქით მდებარე გერმანული კოლონიების მდგომარეობას ვადარებ ყირიმის სტეპებში და სამხრეთ რუსეთის სხვა მხარეებში არსებულ ახალშენებს, კეთილდღეობის, კომფორტის და ცხოვრების სიხალისის თვალსაზრისით, სასწორი უკანასკნელთა სასარგებლოდ იხრება. სამხრეთ რუსეთის სტეპების ნიადაგი, მართალია, ნაკლებ ნაყოფიერია, სამაგიეროდ მოახალშენთა მიწები უფრო ვრცელია, ვიდრე ტრანსკავკასიაში. მეცხვარეობა, რასაც პრუსიელი მენონიტები აზოვის ზღვის ჩრდილოეთით რამდენიმე ათწლეულია უდიდესი წარმატებით მისდევენ, ქართული მთიანეთის ვიწრო ხეობებში შეუძლებელი იქნებოდა. მრავალმოსახლიანი ქალაქებისა და ნავსადგურების სიახლოვე ნოვო-როსიასა და თავრიდის გუბერნიაში უზრუნველყოფს სტეპების კოლონისტებისათვის თავისი პროდუქტების იოლ და მომგებიან გასაღებას. მრავალრიცხოვანი ძმობის საზოგადოებებისათვის ვოლგაზე ეს დიდი მდინარე არის კეთილდღეობის საფუძველი, რაც ტრანსკავკასიის კოლონიებს მტკივნეულად აკლიათ. ამის საპირისპიროდ სტეპურ ცხოვრებას თავისი უხერხულობანი აქვს, რასაც გეორგიის რბილი ჰავის პირობებში არ ხვდებიან. ზაფხულის უნუგეშო სიცხისა და სიმშრალისაგან ბალახეული ივნისის ბოლოს უკვე გადამწვარია და უზარმაზარი ვაკეები გამოიყურებიან როგორც ყავისფერი უდაბნოები. ზამთარი იქ შესაბამისად გრძელია. მიჩვეული სტეპის საქონელი გაჭირვებით თხრის საკვებს თოვლიდან. ხის ნაკლებობა თვით ოდესის სიახლოვეს სტეპებშიც კი ძალზე საგრძნობია. სტეპების მკვრივ კირქვაში დარგულ ხეებს არ შეუძლიათ ფესვები ღრმად გაიდგან და სულ რამდენიმე წელში იღუპებიან. არსად ახარებს თვალს ტყეთა ხილვა. კავკასიონის გადაღმა მოახალშენე არ განიცდის ამაში ნაკლებობას. ის ცხოვრობს ლამაზ ბუნებაში წყნარი ცის ქვეშ. ხე და წყალი თითქმის ყველგან ჭარბად აქვთ. ამიტომაც, მიუხედავად გაცილებით მეტი კეთილდღეობისა, მრავალ გერმანელ კოლონისტს მიუწევს გული სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან იმ უფრო სტუმართმოყვარულ მხარეებისკენ კავკასიონის მაღალი ქედის იქით.

ის რომ რუსები და გერმანელები, როგორც ბუნებით მტრულად განწყობილი ეროვნებები, ერთმანეთს ხელს კრავენ, ხშირად თქმულა ამ ორი ხალხის მცოდნეთა მიერ. გერმანული კოლონიების

ურთიერთობებიც იძლევა ამის უამრავ საბუთს. გერმანული კულტურის და გერმანული სულის უპირატესობის გრძნობა ძლიერად რომ არ იჯდეს რუსეთში, შედარება გერმანული და რუსული სოფლის მეურნეობისა თვალშისაცემად რომ არ ლაპარაკობდეს პირველის უპირატესობაზე, საერთოდ გერმანელების მფარველობა რუსეთში დიდი ხნის წინ ზემოდან შემოსული ჩვეულება რომ არ იყოს, უამისოდ გერმანელი კოლონისტები იქ საშინელ პირობებში ჩავარდებოდნენ. დაბალ რუს მოხელეებს,რომლებიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ზემდგომებისადმი სრულ მონურ მორჩილებაში იმყოფებიან, ხოლო ქვემდგომთა მიმართ ცხოველურად (უმკაცრესად) იქცევიან, სულის ძირამდე ეზიზღებათ ეს ჯიუტი შვაბები, რომლებიც არ არიან რუსი ყმა-გლეხებივით დამთმობნი და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას უჩივლელად არ ტოვებენ. აღმოსავლელთა მოქნილი (დამყოლი) ხასიათი და მათი მსუბუქი და ზრდილობიანი ფორმები გაცილებით აწყობთ მღალ რუს მოხელეებს ტრანსკავკასიაში, ვიდრე უხეში (მოუქნელი), გახევებული და მშრალი გერმანული არსება (ყოფა). შვაბების თანდაყოლილი სიჯიუტე ოცდაათწლიანი ცხოვრების მანძილზე რუსთა კანონების ქვეშ ვერ შერბილდა. ამ უცვლელი ჯიუტი სიკერპის საყურადღებო მაგალითია სეპარატისტთა სექტის ისტორია. უშედეგოდ სცადეს მუქარითა და მკაცრი მოქცევით მათი მობრუნება ეკლესიისკენ. გუბერნატორი **ჰოჰენი** და პოლიციის უფროსი **პაული** რამდენიმე წლის წინ საჯაროდ ამათრახებდნენ სეპარატისტებს კატარინენფელდში სამლოცველოს კარების წინ. ამ საზიზღარმა (ავმა) მოქცევამ მხოლოდ გაამძაფრა შვაბების სიჯიუტე და ფანატიზმი.

ზოგადი დასკვნა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტების შეურყვნელად გავუკეთო კავკასიონის იქითა მხარეს მდებარე გერმანული კოლონიების აღწერას, არის ის, რომ მოახალშენეები მატერიალურად უკეთეს პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე გამოემგზავრების წინ და მათ ხალხმრავალ სამშობლოშიც ძნელად თუ მიაღწევდნენ კეთილდღეობის ამ დონეს. მაინც მათ არ მოუძებნიათ მშვენიერი ქვეყანა, რომელზეც ოცნებობდნენ. აღმოსავლეთის იმ შორეულ მიწაზე მოსახლე ოფლით მოიპოვებს ყოველდღიურ ლუკმას. როცა განსაკუთრებით ბედნიერი გარემოებები შეხვდებოდა თითოოროლა მოახალშენეს, ისინი შეძლებულნი ხდებოდნენ

და მდიდრდებოდნენ კიდეც. კოლონიათა უმრავლესობა ზომიერად შეძლებულია; ბევრი სიღარიბის გამო ფრთხილია, ხოლო ზოგიერთი ებრძვის მოჭარბებულ ზარალს და სიღატაკე ემუქრებათ. მთლად იგივე მდგომარეობაა კოლონისტებთან ყირიმში, ნოვო-როსიაში, ბესარაბიაში და ვოლგაზე, როგორც ტრანსკავკასიაში. თავისი მატერიალური მდგომარეობის გამო დიდი კმაყოფილება არ შემხვედრია ჩემს თანამემამულეებში გეორგიაში. ესაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც მონატრებულ გულებში ინახავენ სურათს სხვა აღთქმული ქვეყნისას, რომელიც მათი არც ძველი და არც ახალი სამშობლოა. რელიგიური ფანატიზმით სავსე მოგზაურებს იმ ხეობებში რომ ენახათ ხელშესახები ელდორადო და სულიერი თავისუფლების გარემო, მათი იშვიათი იერუსალიმური სურვილები ნამდვილად თანდათან მიწყნარდებოდა. სახლში მცხოვრებ ჩემს თანამემამულეებს რომ ვურჩიო ტრანსკავკაიაში გადასახლება, ეს მე მძიმე დანაშაულად მეჩვენება. მართალია, კოლხური სანაპირო ზოლი, ფაზისის დაბლობი, საოცარი სამოთხეა, რომლის მსგავსიც ჩემი ათწლიანი მოგზაურობისას მსოფლიოს სამ მხარეში არსად შემხვედრია, მაგრამ ამ მსუქანი მიწის ჰავა მკვიდრთათვისაც კი დამღუპველია; ამ მარადმწვანე დაფნის ბუჩქებს უკან, ამ მდიდრულად (უხვად) მზარდი, ტკბილი ნაყოფით სავსე გარეულ ვაზს შორის დადარაჯებულია ციება და სიკვდილი.

ამ კოლხური ედემის მფლობელია რუსული მტაცებელი ფრინველი (გაცილებით უფრო საზიზღარი, ვიდრე მოსეს გველი), რომელსაც აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება და თავის ნაცვლად გზავნის ულმობელ (გულქვა) ვამპირებს, რომლებიც ხალხს საუკეთესო სისხლს წოვს სხეულიდან. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ყველა ნაციონალობებს შორის, რომლებსაც აქვთ უბედურება იცხოვრონ რუსული კვერთხის ქვეშ, გერმანელებს ყველაზე უკეთ ეპყრობიან, უპირატესობებითაც კი სარგებლობენ. მაგრამ ეს უპირატესი მდგომარეობა არის იმპერატორის წყალობა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს და საწინააღმდეგოდ იქცეს. მაგრამ რა ცოტა შეუძლია თვით იმპერატორის კეთილგანწყობას, რომ დაიცვას ისინი არაკეთილმოსურნე მოხელეთა თვითნებობისაგან; ამის დამადასტურებელი მაგალითი გადახდა კატარინენფელდს.

გერმანელი კოლონისტები რუსეთის იმპერიაში დღესაც არ გაჰყავთ რეკრუტში; როდემდე შეინარჩუნებენ ამ პრივილეგიას, ეს მხოლოდ ღმერთმა და იმპერატორმა იციან. ხვალ დილით შეიძლება გამოვიდეს უკაზი, რომელიც ჭაბუკებს გაიტაცებს ოჯახებიდან და მიუსჯიან საშინელ მონურ სამსახურს ნაცრისფერ მუნდირებში, რომელსაც, როგორც საპატიო ხიფთანს, ისე ატარებს რუსეთში უპატიოსნო და დამნაშავე პირების ორი-მესამედი. რუსი სალდათის ბედი ადგილობრივებს კავკასიის ქვეყნებში ისე საშინლად წარმოუდგენიათ, რომ დედები ვაჟიშვილებს უმალ სიკვდილს უსურვებენ, ვიდრე რუსულ იარაღს. ამ რუსულ მუნდირში გამოწყობილი გერმანელი კოლონისტი შეიძლებოდა ოდესმე მქუხარე ბრძოლის ველზე თავის გერმანელ ძმებს შეტაკებოდა, თუკი ომის სისხლიანი ხვედრი დუნაისპირეთში ერთმანეთს შეაჯახებდა ევროპის არმიებსა და რუსი იმპერატორის მსოფლიო ბატონობის სურვილს. ასეთი მომავალი მოსალოდნელია....

# თავი VI

## ბუნების მკვლევარის ნომადური ცხოვრება. — მოგზაურობა ტფილისიდან იმერეთისკენ. — მცხეთა. — ქართველ მეფეთა ძველი რეზიდენცია. — გორი. — ძველი გამოქვაბული ქალაქი. — ქუთაისი. — კათოლიკური მონასტერი და მისიები ტრანსკავკასიაში.

ათწლიანი მოგზაურობიდან არაფერი ისე ბედნიერად არ მახსენდება, როგორც მომთაბარეობა გეორგიისა და კოლხეთის პირველყოფილ ტყეებში, ბითვინიის ოლიმპოს მწვანე ფერდებზე, თავრიდის სტეპებში და კავკასიის, აზერბაიჯანის და სომხეთის ალპურ რეგიონებში... უფრო სასიამოვნოდ და ლამაზად გავატარე მომთაბარული ცხოვრება ამიერკავკასიაში, ვიდრე სადმე — სხვაგან. წერო არ დაცურავს ისე ხალისით თავის საჰაერო სივრცეში, დელფინი არ ნავარდობს ისე შეუზღუდავად თავის ზღვის სამფლობელოში, როგორც ჩვენ ამას იგივე განწყობით ჩავდიოდით ბამბაკის მთების მწვანე ფერდებზე, გომბორის ფოთლოვან ტყეებში, კოლხურ ლიანურ ქვეყანაში, ოსეთის მზიან ალპურ მწვერვალებზე, სადაც კვირაობით იშვიათად ვხვდებოდით ადამიანის არსებას. ჩემი ცხოვრების მანძილზე არასდროს არ მკლებია იმდენი კეთილმოწყობა, არსად შემხვედრია უფრო უსწავლელი საზოგადოება და მაინც არსად არ მიგრძვნია თავი ისე თავისუფლად, მსუბუქად, განცხრომით, როგორც ამ შეუბორკავი მომთაბარეობისას. როცა ჩვენ როგორც მონადირეები, მთათა მკვლევარები, მცენარეთა შემგროვებლები და მწერიჭერიები ვპილიგრიმობდით ამ უცნობ მხარეებში, ხოლო სადაც გარემო განსაკუთრებით ლამაზი იყო და ხელსაყრელ კოლექციას გვპირდებოდა, აქა-იქ ვჩერდებოდით. ასეთი სიამოვნებისათვის აუცილებელი პირობა უეჭველად არის რბილი წელიწადის დრო და მშვენიერი ამინდი.

ერთგული უნგრელი იშტვანი და ბუზღუნა მოხუცი კაზაკი **ვასილი** საქართველოში ამ მომთაბარული ექსკურსიების დროს ჩემი მხლებლები იყვნენ. მოგვიანებით სამსახურში ავიყვანე პოლონელი **იოჰან ზარემბა** და მონაცვლეობით ადგილობრივები. კაზაკს ალვირით მიჰყავდა თავისი ცხენი, რომელსაც ვიყენებდი ბარგის სატარებლად – ბურკის (ნაბადი?), საბნების, ჭურჭლის და საჭირო სამეცნიერო ხელსაწყოების. ახალგაზრდა მადიარი, რომელიც ღონიერი მთამსვლელი და ბეჯითი კოლექციონერი იყო, აგრეთვე მეტად პატიოსანი, ჩემთან ერთად წინ მიდიოდა. ჩვენ გვქონდა თოფები და დამბაჩები; ხშირად, როცა ახლოს ხიფათს არ ველოდით, მძიმე იარაღს ცხენს ვკიდებდით და ვიტოვებდით მხოლოდ საუკეთესო ლეკური ფოლადისგან დამზადებულ ორპირა ხანჯლებს; მასვე ვიყენებდით გზის გასაკაფად ბუდესავით ჩახვეული ბუჩქების გავლისას და საჭმლის ცეცხლისთვის შეშის მოსაჭრელად; ის დათვების ანდა ყაჩაღი ლეკების წინააღმდეგ ასევე სოლიდური დამცველი იყო. შესაგროვებელი მასალის რაოდენობის მიხედვით ხან დიდხანს ვყოვნდებოდი მთების წრეში მოქცეული, ხან ვაგრძელებდი გზას. როგორც კი მივადგებოდით ისეთ ადგილს ტყეში, რომელიც გამოდგებოდა ბანაკის დასაცემად, ჩემ თანმხლებთ ვაჩერებდი. ეს უნდა ყოფილიყო თავისუფალი ბალახიანი ადგილი, გარშემორტყმული ხეებითა და ბუჩქებით, რაც ესპანური კედელივით დაფარავდა ჩვენი ცეცხლის ალს მოხეტიალე თათრის ან ლეკის გამჭრიახი თვალისგან, კარგი სასმელი წყაროს ახლოს და ისეთი ტყიანი მიდამო, რომელიც ვარგოდა სანადიროდ და უხვ ზოოლოგიურ და ბოტანიკურ მონაცემებს გვპირდებოდა. ნაბადს, საბნებს, ჭურჭელს, ხელსაწყოებს და სანოვაგეს – ბრინჯს, ორცხობილას, ჩაის, შაქარს, რომს, ბალახზე ვდებდით. კაზაკი უვლიდა თავის ცხენს. უნგრელი ჩეხდა შეშას ან პუტავდა ფრინველს. მე ვახარისხებდი კოლექციებს, მცენარეებს ვაწყობდი მავთულის პრესს შორის, ანდა მწერებს ნემსებზე ვაცმევდი. მალე მხიარული ცეცხლი აგიზგიზდებოდა და ჭიქა ჩაი რომით ამოქმედდებოდა, როცა სიარულით ვიღლებოდით. გამაცოცხლებელი სული შეიჭრებოდა სხეულში; კუნთები და ძარღვები იძენდნენ ახალ ძალას... შემდეგ კი თუნუქის კოლოფებითა და სპირტიანი შუშით, საჭერი ბადითა და თოფით შევუყვებოდით უცნობ ტყეს. ბუზღუნა ვასილის, ამ ნამდვილად ძველი თაობის დონის „სტეპების ეშმაკს“ უკან ვუშვებდი, რათა

მოეხარშა ბრინჯის წვენი, ანდა ფლავი მოემზადებინა და ედარაჯა ცხენისა და ბარგისათვის. სიფხიზლისკენ მოწოდება ზედმეტი იყო... იგი ზრუნავდა და უყვარდა თავისი დონური ცხენი, როგორც სანჩო პანსას კასტილიური ნაცრისფერა...

ბუნების მკვლევარის მომთაბარული (მოხეტიალე) ცხოვრების წესი თვითონ უნდა განიცადო, რომ სწორად გაიგო მრავალჯერ ცვალებადი სიხარული და დაძმარება. ვისაც თვით არ შეუფასებია ნომადური ყოფა, საფრთხე მიაჩნია უფრო დიდად და ახლოს მყოფად... გერმანელი მკითხველი ძნელად წარმოიდგენს ტრანსკავკასიის ტყეებს ნადირისა და ყაჩაღის გარეშე. ღამის ბანაკის სიმშვენიერე — წიფლის, ჭადრის ან დაფნის ბუჩქის ქვეშ ტყის სურნელოვან ბალახზე მას გაახსენებს გონებაში გველგესლას, რომელიც ყვავილების ქვეშ მოცოცავს, ანდა ტარანტულას თუ მორიელს, რომელიც აწეული კუდით და შხამიანი ნესტარით ახოხდება მძინარეს სხეულზე. შემდეგ კი მგლები და დათვები, ასევე მთისა და ტყის ველური მცხოვრებლები უცდიან თავის სამფლობელოში უცხოს, როგორც მსხვერპლს, რომელიც ღმერთმა მათ ხელში ჩაუგდო! მაშინაც, როცა არცერთი ეს ხიფათი არ არსებობს, მაგრამ არის ხშირი ტყე, უგზოობა ტყიან ლაბირინთებში, სადაც არავითარი გზის მაჩვენებელი არ დგას, რომელიც ქარავანთან, ან რომელიმე სტუმართმოყვარე ქოხთან მიგიყვანდა! ყოველი ეს უსიამოვნო უხერხულობანი მართლაც გვხვდება. მაგრამ როცა ახლოს ხარ და შეეჩვევი, შიში ქრება...

ბანაკის ადგილები, რომელიც მე ავირჩიე გომბორის ტყეებში, ტფილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვეულებრივ იყო იმ მდინარეთა სიახლოვეს, რომლებიც ბნელი ხევებიდან ვაკეზე გაედინებიან და ხმაურითა და ჩხრიალით, შრიალით და მღელვარებით ამცნობს ყველას თავის არსებობას, სადაც ხშირი მცენარეული მას მწყურვალის თვალთაგან ფარავს... რადგან ირგვლივ მწვანის მეტი არაფერი იყო გზის მაჩვენებლად, ხეებზე ხანჯლით ვაკეთებდით ჩანაჭრებს; ხანდახან ესეც არ შველოდა და თუ გზა აგვერეოდა, თოფის სროლით ვაგებინებდით ბანაკში. ზოგჯერ 1/2 დღე გვიძებნია ერთმანეთი. მხოლოდ ახალბედას შეეშინდება ძალიან ტყეში გზის დაკარგვა...[1]

---

[1] ვტოვებთ გვ. 151-155, სადაც მოგზაურის სულზეა ზოგადად საუბარი — გ. გ.

ჩვენი ბოლო მომთაბარული გასვლა გეორგიაში შედგა ტყიან მთებში პრიუტინთან (Priutin), სადაც რუსი გენერალ-მმართველი (მთავარმართებელი) ბ-ნი ფონ ნაიდჰარდტი ჯერ კიდევ სააგარაკოდ იმყოფებოდა თავისი საყვარელი ოჯახით, უფრო იმიტომ, რომ გასცლოდა დედაქალაქის შემაწუხებელ საზოგადოებას, ვიდრე ციებისა თუ ზაფხულის პაპანაქების შიშით. რაც უკვე საკმაოდ განელებული იყო. ამ მაღალ ადგილას შემოდგომის სიგრილემ და მოახალშენის პატარა სახლის სიახლოვემ, რომელშიც ცხოვრობდა ყოფილი რუსი ჯარისკაცი თავისი ოჯახით, უარი გვათქმევინა გარეთ დაბანაკებაზე. ვეტერანმა მცირე საფასით მოგვცა ღამის სათევი თავის ქოხში. ორი კეთილი თანამემამულე — ბ-ნი ჰაკე და დრ. როტი ჰამბურგიდან — ყოველდღე მოდიოდნენ ჩვენთან და გულითადად ამდიდრებდნენ ჩვენს შეზღუდულ სამზარეულოს. ამ უკანასკნელი ექსკურსიის შემდეგ დავტოვეთ ტფილისი. ჩემი კოლექციები გავგზავნე სასაპალნე პირუტყვით სამეგრელოში; უნგრელი გაჰყვა ქარავანს. ერთ განათლებულ ლიფლანდიელთან ერთად, რომელიც ტფილისშია დასახლებული, გავემართე ქუთაისისკენ მცხეთასა და გორზე გავლით.

დიუბუა, რომელიც ყოველთვის სწორად აღწერს, თუკი პოლიტიკურ მდგომარეობას არ ეხება, მართალია, როცა ამბობს, რომ ძველ ქართულ სატახტო ქალაქ მცხეთაში, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე „სახელოვანი, მდიდარი და ძლიერი“ იყო, მხოლოდ ნანგრევები და სიბეჩავე დახვდა. ამ დაცემული რეზიდენციის ბედშავ ნანგრევებს შორის აღმართულია ძველი ქართული კათედრალური ეკლესია სვეტიცხოველი. ის ითვლება საქართველოს ყოფილი სამეფოს უძველეს ეკლესიად. მისი დამაარსებელი იყო მეფე მირიანი, რომელიც 276 წელს გაქრისტიანდა. თავდაპირველად ის ხისა ყოფილა, რომელიც 364 წელს მეფე მირდატს მშვენიერი ქვის შენობით შეუცვლია. ქართული ქრონიკის მიხედვით საშინელი თემურის თათართა ურდოების შემოსევისას მცხეთის სამიტროპოლიტო ეკლესიისგან ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა. მოგვიანებით მეფე ალექსანდრემ ძველი გეგმის მიხედვით აღადგინა. 1656 წელს ამ ტაძრის გუმბათი ჩამოიქცა, ალბათ მიწისძვრის გამო; ორი წლის შემდეგ იგი კვლავ აღაშენა მაჰმადიანმა მეფემ როსტომმა. მეფე ვახტანგ V-მ, რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისში მეფობდა, გაამშვენიერა ეს ეკლესია. იგი მართლაც

უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ტაძარია კავკასიონის გადაღმა. იგი ჯვრის ფორმისაა, რომლის შუაშიც აღმართულია კონუსური გუმბათი. მისი სიმაღლეა 111', სიგრძე 178', სიგანე 78'. ეკლესიის კედლები შიგნიდან ხატებითაა მორთული, რომლებზეც ჩანს ბერძნული და ქართული წარწერები. ამ ეკლესიის თაღებქვეშ მრავლად განისვენებენ ქართველი მეფეები და პატრიარქები. როცა 1804 წელს სახელმწიფო მრჩეველმა **სტევენმა** ეს ქართული კათედრალური ეკლესია მოინახულა, მას გარს ერტყმოდა 30-ოდე ღარიბული ქოხი. მოსახლეთა რაოდენობა მას შემდეგ გაზრდილი უნდა იყოს, რადგან ბ-ნი **ევეცკის** სტატისტიკურ ცნობებში ქოხების რიცხვი 124-ს უდრის. თვით ქალაქი არ უნდა ყოფილიყო დიდი, მაგრამ მისი გარეუბნები ვრცელდებოდნენ სარკინეთის მთისკენ და ორივე მდინარის ნაპირებზე, რომლებიც აქ ერთვიან ერთმანეთს. ჩრდილოეთიდან რეზიდენციას ეკვროდა სამთავროს წინაქალაქი, რომლის შუაშიც დგას იგივე სახელის ლამაზი ეკლესია. იგი კათედრალური ეკლესიის სტილზეა ნაგები და მორთული. მისი ამშენებელი უნდა ყოფილიყო მეფე მირდატი მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში. ზოგიერთ მკვლევარს ეს ეკლესია კათედრალურზე უფრო ძველად მიაჩნია. არაგვის მარცხენა ნაპირზე ჯერაც შეინიშნება ნანგრევები, რომლებიც ძველ სატახტო ქალაქს ეკუთვნოდნენ. მთის წვერზე, საიდანაც კაცს თვალწინ ეშლება საუცხოო სანახაობა მტკვრისა და არაგვის ნაპირებზე, დგას ნახევრად დანგრეული ძველი ეკლესია, რომელშიც ამ საუკუნის დასაწყისში ღვთისმსახურებას მისდევდნენ. მისი სახელია სტეფან-წმინდა. სტევენმა ის 1804 წელს ნახა და თავის დღიურში აღწერა. მის შუაგულში, ბერძნული წესის საწინააღმდეგოდ, თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა დიდი საკურთხეველი, რომლის ნიშაშიც წმინდა იოანე ეხატა ბერძნული წარწერით *ჰო თეო ლოგოს*, სხვა წარწერები ბ-ნმა სტევენმა, ამ ერთადერთმა მოგზაურმა, რომელმაც ეს ძველი ეკლესია მოინახულა, ვერ იპოვნა.

მცხეთიდან გორამდე ჩემი სამოგზაურო დღიური არაფერს საყურადღებოს არ შეიცავს. გორს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დიდებული და ჯანმრთელი მდებარეობა აქვს. ტერასებიანი სახლები ნაგებია რიყის ქვით და ამფითეატრისებურადაა შეჯგუფული ერთი მთის კალთაზე. ძველი ციხე, როლის აღმშენებელი უცნობია, აგვირგვინებს ქალაქს ზემოთ კლდეს და აღარ გამოიყენება. მის ძველ ეკლესიაში

დენთის ქარხანაა. კლდე შეიცავს გომფოლიტის და ქვიშაქვის ქანებს შეწითლებულს რკინის ოქსიდით.

გორთან მთლად ახლოს მტკვარს ერთვის ორი დიდი მდინარე – ლიახვი და მეჯუდა. გორის სასიამოვნო მდებარეობამ რუს მთავარმართებელს ერმოლოვს აფიქრებინა რეზიდენციის იქ გადატანა. მან გორი პირველად იხილა ტფილისში ცხოვრების ერთი წლის შემდეგ. ამასობაში აქ ააგეს მრავალი ყაზარმა და მაღაზია-საწყობები. გორში სამხედრო რეზიდენციის გადატანა ძნელი და ძალზე ძვირი საქმე იყო. ტრანსკავკასიის დედაქალაქად მისი გადაქცევა მრავალმხრივ იქნებოდა მომგებიანი. გორი შავი ზღვიდან და იმერეთის მშვენიერი მხარიდან ნახევარი დღის სავალით უფრო ახლოსაა. მართალია ქალაქის მიმდებარე მიდამო ნაკლებ ლამაზია, მაგრამ უფრო გაშლილია, ნაყოფიერი და ჯანმრთელი, ვიდრე ტფილისისა. მოსახლეობა 3400 სულს შეადგენს, რომელთა შორის უმრავლესობა სომხებია. ქართულ ეკლესიასთან ერთად რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასაც ძალზე დიდი მრევლი ჰყავს.

ჩემს იქ ყოფნაში გორში ცხოვრობდნენ აგრეთვე იტალიელი კაპუცინელები, რომლებმაც რამდენიმე კვირის შემდეგ გაიზიარეს თავისი ტფილისელი და ქუთაისელი სულიერი კოლეგების ბედი და კაზაკთა თანხლებით ძალით მიიყვანეს უახლოეს ნავსადგურამდე. ამ ბერებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული კათოლიკურ მოსახლეობაში არა მარტო თავიანთი ღვთისმოსაობით და იტალიელი კაპუცინებისთვის დამახასიათებელი ხელოვნებით — გულითადად მოეპყრან მოსახლეობის დაბალ ფენებს, არამედ უფრო მეტად სიკეთით, რომლებსაც ისინი პროპაგანდას ფულებითა და ფრანგი მისიონერების ამხანაგობის თანადგომით საკმაოდ უხვად თესავდნენ. ჩვენ არასოდეს გაგვიგია, რომ ეს რელიგიური გავლენა პოლიტიკურ ვითარებაზე განევრცოთ,ან უკეთურად გამოეყენებინათ. რუსული მთავრობისთვისაც კი არაა სასარგებლო ეს აღმაშფოთებელი სიმკაცრე, რომელიც მათ იხმარეს უცხო მღვდლების მიმართ, რომელთა ყოფნასაც მრავალი წელია შეეჩვია კათოლიკური მოსახლეობა, ასევე გამართლება ანდა სამისო მიზეზის დასახელება. კათოლიკური ეკლესიის აშენების გარდა ამ ბერებს ემადლიერებიან აგრეთვე ჰოსპიტალისა და სკოლის

აგებისთვისაც, სადაც ბავშვები მშობლიურ ენასთან ერთად ცოტა იტალიურსაც სწავლობდნენ.

ქალაქის დაკნინების დრო (იგი ალბათ არასოდეს არ ყვაოდა განსაკუთრებით), გაცილებით ადრე თარილდება, ვიდრე რუსები დაეპატრონენ ქვეყანას. გორმა რუსთაგან თუმცა ბევრი არაფერი მიიღო, მაგრამ მათ უმადლის თავისი მიდამოების უსაფრთხოებას. გასულ საუკუნეში ლეკები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ქვეყანას და ხანდახან გამანადგურებლად იჭრებოდნენ თვით ქალაქშიც. ისინი განსაკუთრებით ბავშვებსა და ქალებს იტაცებდნენ, რომ თურქი მონათვაჭრებისათვის მიეყიდათ ბათუმსა თუ ახალციხეში.

გორში ჩემი ხანმოკლე ყოფნა გამოვიყენე კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლისციხის სანახავად. სახელი მიღებული აქვს ქართული სოფლისგან, რომელიც ძევს მთის ძირას; ამ კლდეში მრავლადაა ყურადსაღები ძველი ძეგლები, რომლებმაც საბედნიეროდ გაუძლეს დროს, ისევე როგორც ეგვიპტისა თუ საბერძნეთის დანგრეულ ქალაქებში. ნანგრევები ისეთი თავისებურია, რომ თვით რომის, თებეს, ჰელიოპოლისის და პალმირის ნანგრევთა მნახველი მოგზაური აქაც იპოვნიდა მასალას გაოცებისათვის. ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა სემირამიდას დროინდელი მონათესავე სამშენებლო სტილის დანახვა ვანის ტბის კლდის მშენებლობაში. ასევე ყირიმში, ტეპებერმანის მთაზე არსებობს მსგავსი გამოქვაბული ქალაქი, ოღონდ სამშენებლო ოსტატობის სილამაზით მტკვარზე მდებარეს ვერ შეედრება. დიუბუამ ამ უკანასკნელის ისეთი ამომწურავი აღწერა დაგვიტოვა, რომ ჩვენი ცნობები მხოლოდ იმის გამეორება იქნებოდა, რაც შვეიცარიელმა სიძველეთა მკვლევარმა ფრთხილი სიზუსტით და კეთილსინდისიერებით მოგვითხრო. ჩვენი მიზანია გვერდი ავუაროთ მსგავს განმეორებებს; ამიტომ მკითხველს მივუთითებთ ბ-ნ დიუბუას სამოგზაურო შრომაზე.

ძველი გამოქვაბული ქალაქი მდებარეობს ერთი კლდის წვერზე, რომელიც შედგება ქვიშაქვის ფხვიერი, დამრეცი ქანებისგან, რომელიც შვეიცარიულს ჰგავს. კლდეში ძალზე სუფთად ნაკვეთ გზას ავყევართ ზევით ძველ ქალაქში. ბევრი ოთახი-გამოქვაბული არაფრით არაა მნიშვნელოვანი და მოსახლეობის დაბალ ფენებს უნდა კუთვნებოდა. ლამაზ და ვრცელ ოთახ-ქვაბულებში, სადაც წარჩინებულები და მდიდრები ცხოვრობდნენ, არსად შეიმჩნევა ჩაქუჩის (სატეხლის)

დარტყმის კვალი კედლებზე, რომლებიც ისევე სუფთა და პრიალაა, როგორც ვანთან მდებარე კლდის შენობებში. ბევრ ქვაბულში ჭერი თაღოვანია ეკლესიის გუმბათების მსგავსად, ხოლო კედლებზე გამოკვეთილია ლამაზი სვეტები. აქაც ჩანს ყირიმის გამოქვაბულებისთვის დამახასიათებელი კედლის ნიშები. დიუბუა ფიქრობს მასში ორი განსხვავებული სამშენებლო სტილის არსებობას. სამწუხაროდ ერთადერთი, ძნელად გასარჩევი წარწერაა, რომელიც ზემოთ ნახსენები არქეოლოგის მტკიცებით, ნახევრად არაბულია; იშვიათი ფაქტია, რომლის ახსნაც არქეოლოგთა მახვილი გონების გამოცდას მოითხოვს. ჭერისა და კედლების ორნამენტირება ზოგიერთ ოთახ-ქვაბულში არაჩვეულებრივად ლამაზია. ცხადია, ხალხისთვის, რომელიც ამ ქვაბულებს აშენებდა და ცხოვრობდა, უცხო არ იყო საკმაოდ მაღალი კულტურა. რადგან თავისი კლდოვანი საცხოვრებლების გალამაზება და მორთვა ასეთი გულისყურით ჰქონდა მოფიქრებული. დიუბუა ვარაუდობს ამ ნაშთებზე ძველსპარსულ გავლენას (მათ ათასწლეულების მანძილზე ძალზე მცირე ცვლილება უნდა განეცადათ) და ამტკიცებს, რომ ამ მიწისქვეშა ქალაქის დამაარსებელი უფლოსი, მეფე მცხეთოსის ვაჟი, იმ დროს იყო, როცა ქართველები პატივს სცემდნენ მზესა და ვარსკვლავებს. მთის უმაღლეს წვერზე, გამოქვაბულების ზემოთ დგას ეკლესია, ერთადერთი შენობა, რომელიც არაა კლდეში ნაკვეთი და უეჭველად გაცილებით გვიანაა ნაგები. ქართული ქრონიკა არავითარ განმარტებას არ იძლევა ამ ნაკვეთი ქალაქის ისტორიული ბედის შესახებ. თანამედროვე მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც ამ კლდის ძირში მდებარე სოფელში ცხოვრობს, სომხებია. ქართული კომლების რიცხვი მცირეა.

უფლისციხესა და გორში მცირე დაყოვნების შემდეგ, ისე რომ ჩვენი წინამორბედის დიუბუას მდიდარი ცნობებისათვის მაინცდამაინც ახალი არ მიმიმატებია, განვაგრძე გზა სურამისაკენ. მიდამო ერთფეროვანია. მიემართები მტკვრის ვრცელ დაბლობზე, რომელიც ოდესღაც ტბებით იყო სავსე, სანამ მდინარემ ტფილისთან პორფირის კლდეებს შორის მუდმივ კალაპოტში გზა არ გაიკვლია აღმოსავლეთისაკენ. მხოლოდ სურამთან შევედით ტყიან რეგიონში. სურამსა და ქუთაისს შორის მრავალგვარი ფოთლოვანი ხეებით დაფარული მთები შედგება ღია ფერის კირქვისაგან, რომელსაც პლუტონური წარმონაქმნები,

გრანიტი, სიენიტი და კლდოვანი პორფირი მრავალ ადგილას წარმოაჩენენ და მისი ქანების განლაგებას არღვევენ. ტყეებში წიფელი ისე უხვად არ გავხვდება, როგორც ტფილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყიან მთებში. თითქმის თანაბარი რაოდენობითაა მუხა, ნეკერჩხალი, თელა, ვერხვი და საერთოდ გერმანიის ტყეთა ფოთლოვანი ხეების უმრავლესობა. არა მხოლოდ არყი, სოჭიც საკმაოდ იშვითადაა და აქა იქ დგანან. ქუთაისის სიახლოვეს გაქრა მაღალტანიანი ტყეები. გარეული მტრედები ისეთ ურიცხვ გუნდებად შეგვხვდა, რომ ფრენისას დაუმიზნებელი გასროლითაც შეიძლებოდა დახოცვა.

ქუთაისს, ძველ ქუთათისიუმს, აქვს მშვენიერი მდებარეობა ფაზისის მარცხენა ნაპირზე მწვანე ხეობაში, რომელიც ზომიერი სიმაღლის ტყიანი მთებითაა დამრეცად გარშემორტყმული. ეს კლასიკურად ცნობილი მდინარე აქ მბორგავი ახალგაზრდული ხალისით გადმოქუხს მთიანი სამყაროდან, ველური ხმაურით ასკდება პორფირის კლდეებს და უზარმაზარ ლოდებს მიაგორებს. ქალაქის თანამედროვე ნაწილი, რომელიც მას შემდეგ რაც ძველი დედაქალაქი ომის ქარიშხლის შედეგად დაიქცა, უმეტესად რუსთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ წარმოსდგა; მას თავისი სწორი ქუჩებით და მაღალი ხეების მწვანეში ნახევრად ჩაფლული ლამაზი თეთრი სახლებით ისეთი მიმზიდველი და ნათელი შესახედაობა აქვს, რომ ყოველი მოგზაური სიამოვნებით შეჩერდება იქ. მთაზე მდებარე ქალაქის ნაწილი, ძველი გამაგრებული უქიმერიონი, მოიცავს საყურადღებო ნანგრევებს. აქ ჯერ კიდევ არის აკროპოლისის ნაშთები, რომლის საბოლოო დანგრევა 1769 წლით თარიღდება. რუსი გენერალი ტოტლებენი მიიჩქაროდა მაშინ იმერეთის მეფის სოლომონის დასახმარებლად, რათა ამ მმართველის შერყეული ტახტი რუსული ხიშტით დაეცვა აჯანყებული ქვეშევრდომებისაგან. იმერლებმა ამ გაჭირვებისას საშველად მოუხმეს მეზობელ თურქებს, რომლებიც რუსთა მოსვლამდე ქვეყნის ყველა გამაგრებულ ადგილებს ფლობდნენ. გენერალმა ტოტლებენმა, რომელიც ქუთაისს ოსეთის მთებიდან მოადგა, თავისი არტილერია განალაგა მეზობელ სიმაღლეზე და დაუშინა თურქთაგან გამაგრებულ უქიმერიონს. როგორც კი თურქებმა დაინახეს, რომ ნანგრევების ძველი გახეთქილი ლოდები რუსული ყუმბარების წინააღმდეგ დასაცავად არ გამოადგებოდათ, მიატოვეს ქუთაისი და თავისი პროტეჟეები და ასევე გაცალეს იმერეთის

სხვა გამაგრებული ადგილებიც. თურქებისთვის რომ მოესპოთ დაბრუნების ანდა ოკუპაციისთვის მყარი სადგომები, გენერალმა მეფე სოლომონს შესთავაზა ყველა ძველი ციხის აფეთქება. საწყალმა სუსტმა იმერეთის მბრძანებელმა ვერ გაბედა უარეყო ძლიერი მოკავშირის ვანდალური რჩევა. ასე დაანგრია რუსმა გენერალმა უპირველეს ყოვლისა ქუთაისის მთის ციხე და მასთან ერთად უმრავლესი სიძველენი; ახლაც ვხედავთ უამრავ დახეთქილ გალავნის ქვებს, რომლებიც მთის საკმაოდ დიდ ნაწილზეა მოფენილი, ხოლო ციტადელში ეკლესიის ნარჩენებს, რომლის სკულპტურები მიგვანიშნებენ ჭიშკრის თაღის ქართულ სტილზე. დანგრეული ციტადელის უმაღლეს ადგილას, საიდანაც თვალი სწვდება მთელ მშვენიერ გარემოს, ჯერაც დგანან ლაზი მეფეების გამაგრებული სასახლის ნარჩენები. ციტადელის ირგვლივ მრავლადაა ნანგრევთა ფრაგმენტები, კართა ნაშთები, წყალსადენები და წყალსაცავები მიმობნეული. დაბოლოს ზემო ქალაქის შუაში შეიმჩნევა ძველი კათედრალი, ლამაზი შენობა მრავალი ქანდაკებით, რომლის მელანქოლიური ნანგრევები დღეს ლამაზ, წყნარ ადგილას განლაგებულ რუსულ და იმერულ საფლავებს მოიცავენ.

მოქუშული წვიმიანი დღეების შემდეგ ცა კვლავ მოიწმინდა. მე მადლობა შევწირე გამოდარებას და მთვარის შუქზე დავსეირნობდი საფლავებსა და ნანგრევებს შორის იმერელ წვეროსან მღვდელთან ერთად. ანტიკური ნაშთებისა და ომის და სიკვდილის სამეფოში ჩვენი გუნება რომ არ წამხდარიყო, რუსმა მედოლეთა (ბარაბანისტთა) მაიორმა, რომელიც ზეიმობდა რა თავისი იმპერატორის კორონაციის წლისთავს, ფაზისის ნაპირიდან პაუზებით გზავნიდა საღამოს სიჩუმეში მხიარული ვალსებისა და მაზურკის ხმებს.

იმერლებს ქართლელებთან საერთო წარმოშობა და ენა აქვთ. ამის მიუხედავად ჩემს გერმანელ თარჯიმანს, რომელიც ტფილისურ დიალექტს კარგად ფლობდა, ქუთაისში გაუჭირდა. ქუთაისის დანარჩენი მოსახლეობა სომხები, ებრაელები და რუსებია. აგრეთვე თურქი და ბერძენი ვაჭრები და ლაზი დღიურად მომუშავენიც არიან აქ (თუმცა არა მუდმივად). ჭუჭყიანი ბაზრის გამყიდველთა შორის, ქალაქის ამ მცხოვრებთა გარდა შეიმჩნევიან ველური მთების შვილების ზოგიერთი წარმომადგენლებიც, სახელდობრ, ოსები და სვანები ცნობილ კავკასიურ სამოსში გამოწყობილნი; მათ გასაყიდად ჩამოტანილი აქვთ საფლე,

ნაბდები, მელიის, კვერნის და დათვის ტყავები, ცვილი და თაფლი. სხვადასხვა ხალხთა ყველა ეს წარმომადგენლები აღნიშნულ დღეს — იმპერატორის კორონაციის წლისთავზე, მრავლად იყვნენ შეკრებილნი განათებულ დიდ მოედანზე, სადაც უკრავდა სამხედრო ორკესტრი,ხოლო მოუსვენარი იმერელი ახალგაზრდობა მხიარულად ტლინკაობდა (ხტუნაობდა). იმერლების ჩაცმა თითქმის იგივეა, რაც ქართლელების (გეორგიელთა), მხოლოდ თავზე მაღალი შავი ცხვრის ტყავის ფაფახის მაგიერ ატარებენ ოთხკუთხა, ყავისფერ, სუფთად მოჭრილ მაუდის ნაჭერს, რომელიც შავი ზონარით ნიკაპზე მაგრდება (ამოდებული). ქუთაისის იმერელ მოსახლეობაში ამოიცნობა ქართული ძირითადი ტიპი, მაგრამ სახის ნაკვთები გამომეტყველია და კეთილშობილი. იმერელი მამაკაცებისა და ქალების სილამაზე განთქმულია. მათი სწორი, თხელი, კეთილშობილი ფორმები სხეულის ნამდვილი სანატურო მოდელებია და ალბათ იმ ბერძენ ოსტატებსაც ასეთად წარმოედგინათ ანტინოე და აპოლონი. ასევე სახის სილამაზით მსოფლიოს ცოტა ხალხები თუ შეედრებიან ძველი კოლხეთის მაცხოვრებლებს — იმერეთის, სამეგრელოს, გურიის და აჭარის ხალხებს. თვით ამაყი ჩერქეზი მამაკაცებიც კი უკან დგანან.ამ ქვეყნის უშორეს ტყიან მხარეებში ულარიბეს ქოხში ხანდახან შევხვდები ჭრელი ძონძებით დაფარულ ქალს, რომლის მშვენიერი სხეული მარმარილოში გამოკვეთილი არაფრით ჩამოუვარდება პიტის სასახლეში ვენერას ქანდაკებას; ზოგჯერ მიფიქრია, რა საწყენია, რომ არცერთი თავადური გვარის მოგზაური არ ყოფილა კოლხურ ტყეებში, რომ ასეთი ნიმფა — ნიმუში აბისინიური ბრინჯაოსფერი ელენესი, ლუჟიცის ზოოლოგიურ პარკში გამოეფინა.

როგორც ქუთაისის შემოგარენის განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობას, დავასახელებ ევნუხების რუსულ კოლონიას მარანში. რუსეთში არის სექტა — სტარევერცი, ე.ი. ძველმორწმუნენი — რომლის მიმდევრები ბიბლიის ერთი ადგილის მცდარად გაგების გამო გარკვეულ ასაკში ისაჭურისებენ თავს. მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის ბევრ ქალაქში, თვით რიგაშიც კი ცხოვრობენ ეს იშვიათი ფანატიკოსები, რომლებიც სხეულის სამარცხვინო დამახინჯების საშუალებით იმედოვნებენ ზეცაში დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი. რუსეთის მთავრობამ მისთვის ჩვეული სიმკაცრით სცადა ამ ფანატიკოსთა სექტის დათრგუნვა, მაგრამ რელიგიური ფანატიკოსების წინააღმდეგ

ისეთივე წარმატებას ვერ მიაღწია, როგორც პოლიტიკურ შეურაცხადებთან, დასჯის მიზნით ბევრი ეს საჭურისი გამოაწყვეს ნაცრისფერ მუნდირებში, ბევრი კავკასიაში გაასახლეს, სადაც მათ მარანთან და ნარზანთან (Nasaran – ოც ვერსზეა ვლადიკავკაზიდან) შექმნეს სამხედრო კოლონიები. მე საკმაო რაოდენობით ვიხილე ეს ხალხი, რომლებიც ერთი გერმანელი ექიმის მტკიცებით, სხვა ინდივიდებთან შედარებით უფრო მეტად დაავადებულნი ენდემური ავადმყოფობებით წვანან ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. მკრთალი მიწისფერი, სიგამხდრე და საზიზღარი ქალური გამომეტყველება უწვერო ქოსა სახეებისა ამ საჭურისებს სხვა რუსი ჯარისკაცებისგან ერთი შეხედვით გამოგარჩევინებს. რა სევდიანი კონტრასტია – საჭურისი რუსი ფანატიკოსების საზიზღარი ნაკვთები მშვენიერი იმერელი მამაკაცების გვერდით! თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა პირველ ყოვლისა იმერელ დიდებულებს უნდა აწამებდეს, რადგან ჩრდილოელი დამპყრობლები გარეგნულადაც და ბუნებრივი ნიჭიერებითაც ბევრად ჩამორჩებიან მათ.

ქუთაისში ერთ ბუზღუნა პატრონთან ვნახე საკმაოდ წესიერი თავშესაფარი. მამაკაცი ამბობდა, რომ იყო წარჩინებული წარმოშობის პოლონელი. კიდევ კარგი, რომ ის თვით ეუბნებოდა ამას ყველა სტუმარს, რადგან იგი თავისუფლად შეიძლოთ მიგეღოთ ქცევის გამო სლოვაკ მძარცველად. მე მაინც გახარებული ვიყავი ღამის სათევით. სასტუმრო ამ მხარეში დიდი სამადლო საქმეა. აზიის რუსულ მხარეებში ეს ყველგან უკეთესადაა მოგვარებული, ვიდრე მაჰმადიანურ სასაზღვრო ქვეყნებში; ყოველ შემთხვევაში, ტრანსკავკასიის ტრასაზე რუსულ საფოსტო სახლებში მოიძიებ შესაფერ საძინებელს, მაშინ როცა სპარსეთში და ქურთისტანში სახლების სიბინძურისა და საზიზღარი მწერების (ბაღლინჯო, რწყილი) გამო იძულებული ხარ ჰაერზე დაბანაკდე.

ქუთაისელ კაპუცინებთან მე უფრო კმაყოფილი ვიყავი, ვიდრე ბ-ნი დიუბუა დე მონპერე, რომელიც მოგზაურებს მთელ იმედს უწურავს, რომ ამ ღირს მამებთან სტუმართმოყვრული მიღება ნახონ. იქნებ ეს გამოწვეული იყო მონასტრის ექიმის არყოფნით, რომელსაც დიუბუა კარგად არ ახსენებს; ანდა აბატ ბიდალის ყოფნით, რომელსაც მე სპარსეთიდან მომავალ ფრანგ ოფიცრებთან ერთად ქუთაისში შევხვდი

როგორც თანამგზავრს; ანდა ხომ არ იყო ეს წერილის გავლენა, რომელიც ჩვენ მონასტრის სტუმრის, მამა ბენედეტოსათვის ტფილისიდან გადასაცემად მოგვქონდა; იქნებ ამან იმოქმედა, რომ მამა დონ ანტონიო გამოემართა ჩვენსკენ სასტუმროში, რათა აბატი ბიდალი, ორივე ფრანგი სამხედრო პირი და მე სადილად დავეპატიჟეთ მონასტერში.

მონასტერს აქვს ლამაზი მდებარეობა ფაზისზე, მშვენიერ მწვანეში ჩაფლული. ოდითგან სახელგანთქმული მდინარის ტალღები ხმაურობდნენ, შიშინებდნენ და ეხეთქებოდნენ ჩვენს ფანჯრებს ქვემოთ და სასიამოვნო, საიდუმლო სუფრის მუსიკად ჩაგვესმოდა; იგი გვატკბობდა კეთილ მამებთან გაბმულ გულითად საუბართან და იმერულ ცეცხლოვან ღვინოსთან ერთად. ქუთაისის კაპუცინების მონასტერში ჩვეულებრივ მხოლოდ ორი ბერია. ამჟამად კი იქ მესამეც იყო. მამა ბენედეტო, რომელმაც ტფილისში სხვადასხვა სიძნელეები განიცადა, ქუთაისში დაბრუნდა; იგი ემზადებოდა სამშობლოში, სიცილიაში დასაბრუნებლად და მიეცა შესაფერი დრო ჩვენთან ერთად გამგზავრებულიყო კონსტანტინოპოლისკენ. მონასტრის პირველი მამა იყო იტალიელი, მეორე ქუთაისელი იმერელი, პროპაგანდას აღზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი თავის იტალიელ კოლეგას აღემატებოდა მეცნიერული განათლებით, რაც მან რომში მიიღო, მაინც იტალიელს თავისი გულკეთილობის გამო (რაც ყველა იტალიელ კაპუცინელს საერთო აქვს) ქალაქისა და მხარის კათოლიკეები უფრო მეტ პატივსა და სიყვარულს მიაგებდნენ, ვიდრე ადგილბრივ მღვდელს. მე ხშირად ვიყავი მოწმე მის მიმართ ბავშვთა სიყვარულისა, რომელსაც სომეხი ყმაწვილები იჩენდნენ სკოლაში, სადაც კაპუცინელი მათ ზოგჯერ სიბეჯითის გამოჩენისათვის სპილენძის მონეტებით ასაჩუქრებდა. დონ ანტონიო ამ საქმეში უფრო ჭკვიანი, განსწავლული და უკეთესი გარეგნობით იყო დაჯილდოებული; მას ჰქონდა ადგილობრივის ფიზიონომია, ლამაზად გაფორმებული არწივისებრი ცხვირი და მშვენიერი შავი წვერი. ამ განსწავლულმა პროპაგანდისტმა სიამაყით მაჩვენა თავისი საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც ძირითადად შეიცავდა იტალიურ და სომხურ წიგნებს; ჰქონდა აგრეთვე ზოგი ფრანგული ნაშრომიც. სამწუხაროდ, ამჟამად ამ ბერს აუკრძალეს იტალიიდან წიგნების მიღება. მშვენიერი წიგნები გამოუგზავნეს მონასტერს რომიდან საჩუქრად, მხოლოდ თეოლოგიური, არავითარი

საზიანოს შემცველი. რუსმა საბაჟოს მოხელეებმა ყველანაირად სცადეს ხელი შეეშალათ წიგნების გატარებისთვის, ხოლო მამებს ჩუმად უთხრეს, რომ ყოველივე ცენზურის გარეშე გაატანდნენ, თუკი თითო წიგნში ვერცხლის მანეთს გაიღებდნენ. რადგანაც მონასტერს არ გააჩნდა საამისო თანხა, ამიტომ წიგნები დარჩა რუსი მებაჟეების ხელში.

ქუთაისსა და მის შემოგარენში ცხოვრობს 800 კათოლიკე, მეტწილად სომხები, რომლებიც მხოლოდ იმერულად ლაპარაკობენ; არიან აგრეთვე ნამდვილი იმერლებიც ამ კათოლიკეთა შორის. მათი გადასვლა კათოლიკობაში მაშინ მოხდა, როცა ეს ჩაიდინა მრავალმა სომეხმა, ბერძენმა და ნესტორიანმა ქრისტიანმა თურქულ აზიასა და სპარსეთში. ამჟამად კათოლიკე მამებს ტრანსკავკასიაში უმკაცრესად აქვთ აკრძალული თავის სარწმუნოებაზე მოქცევა. ერთმა კაპუცინელმა მიამბო, რომ ქადაგების სრული თავისუფლების შემთხვევაში არ იქნებოდა ძნელი კავკასიის მრავალი წარმართული და მაჰმადიანი გვარების მოქცევა. სვანები და აფხაზები, რომელთა უმრავლესობა წარმართია, დიდი რაოდენობით მოვიდნენ, რათა ქუთაისის მახლობელ მონასტერში მონათლულიყვნენ, მაგრამ უკან გააბრუნეს, რადგან გადასახლება და ციმბირი ემუქრებოდა იმ მღვდელს, ვინც გაბედავდა წარმართის კათოლიკე ქრისტიანად მოქცევას. კათოლიციზმში (ანდა ევანგელიურ ეკლესიაში) გადასვლა ბერძნულ-რუსული მრწამსის, ანდა საერთოდ ყველა ქრისტიანული კონფესიების მიმდევრებისა რომ განურჩევლად იკრძალებოდეს, ამას კიდევ ექნებოდა აზრი. მაგრამ რომ აუკრძალო ებრაელებს, მაჰმადიანებს და წარმართებს თავიანთი სულის ხსნა ნახონ რომელიმე ქრისტიანულ კონფესიაში და არა ამა თუ იმ ქვეყანაში გაბატონებულ ეკლესიაში, ეს ძალადობაა, რომლის მსგავსი, რამდენადაც ვიცი, დედამიწის ზურგზე არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ მომხდარა. უმჯობესია ებრაელი და წარმართი ქვეშევრდომები, ვიდრე კათოლიკეები — ამას აცხადებს გონება, საოცარი განკარგულება, გაცემული ქრისტიანული სახელმწიფოს მიერ მეცხრამეტე საუკუნეში! მონასტრის აღსაზრდელებში ვნახე ერთი ახალგაზრდა სომეხი, რომელიც განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული. იგი რომში წასასვლელად განაწესეს, რათა იქ

პროპაგანდას სკოლაში მიეღო მისიონერული განათლება; იგი შინაგანად გატაცებით განეწყო ამ განწესებისადმი, მაგრამ მთავრობამ არ მისცა უფლება წასულიყო რომში. დევნა და შევიწროება უკვე მაშინ დაიწყო, ბოლოს ტრანსკავკასიის კათოლიკურმა მისიებმა მიიღეს მისი აღმატებულების გენერალ-გუბერნატორის ბატონ ფონ როზენის გასაგები ბრძანება — დაეტოვებინათ საქართველო და რუსული პროვინციები.

კეთილმა მამებმა მიჩვენეს ყოველივე წვრილმანი და დამასწრეს ცოტა ხმაურიან სასკოლო გაკვეთილს. მერხებს უსხდნენ 30-40 ვაჟი, რომლებიც ხმამაღლა კითხულობდნენ, ხან მღეროდნენ; პატარა სომხები და იმერლები იტალიურს საკმაოდ კარგად კითხულობდნენ; ადგილობრივ ენაზე, ქართულზე ისინი კითხულობდნენ და წერდნენ. დანარჩენი იყო ლოცვათა გაზეპირება; მამებისგან მიცემული მცირე ფულადი საჩუქარი ახალისებდა ბიჭების სიბეჯითეს. მშვენიერი ვრცელი ეკლესია შენდება მონასტრის შენობის გვერდით, რომლის ხარჯებს 70 000 მანეთს რომის პროპაგანდას სალარო იხდიდა. დიდი მშვენიერი საკურთხევლის ზედა ხატი ახალი ეკლესიისათვის მიიღეს რომიდან და დონ ანტონიომ სიამაყით მაჩვენა. მშენებლობაში ჩაბმულ მუშებს შორის ბევრი მაჰმადიანიც იყო, რომლებსაც საეჭვოდ არ გაუხდიათ ქრისტიანული ტაძრის აგებაში თანამშრომლობა, მაშინ როცა სხვები, არამაჰმადიანები, ბევრ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ამ საუბარში გამგზავრების დროც მოგვადგა. ბარგისთვის ცხენები დავიქირავეთ; მამა ბენედეტომაც შეკრა თავისი ფუთა. კეთილ მამებთან ერთად კიდევ ერთხელ შევედით სტუმართმოყვარე დარბაზში, უკანასკნელად გავსინჯეთ მშვენიერი სამონასტრო სამზარეულო; გამოსამშვიდობებლად მივუჭახუნეთ ჭიქები წითელი ღვინით და ვუსურვეთ უკეთესი დროება!

# თავი VIII[1]

**ფრანგები სპარსეთიდან — მოგზაურობა იმერეთსა და სამეგრელოში. — კოლხეთის ბუნების სიმშვენიერე.—ცურვა ფაზისზე.—მეგრული ოჯახის სურათი.—პირველყოფილი ცხოვრება კოლხეთში.**

ქუთაისში აღმოჩნდნენ ფრანგი მგზავრები, რომლებმაც მოისურვეს ჩვენთან ერთად კოლხეთის გავლით ევროპაში დაბრუნება. ესენი იყვნენ თეირანიდან წამოსული ოფიცრები (შაჰის სამსახურში ნამყოფი ინსტრუქტორები) და აბატი ბიდალი, ჭკვიანი კაცი, რომელმაც წარუმატებლად სცადა სპარსეთში ფრანგული ენა ესწავლებინა პრინცისთვის. სამივე იყო თავაზიანი, მხიარული თანამოსაუბრე, ნამდვილი ფრანგები — ყოველთვის მხნე, კმაყოფილი, ყბედი, ხუმარა, არასდროს კარგავდნენ წონასწორობას დაბრკოლებისას, არასდროს აწუხებდათ გერმანული გულჩათხრობილობა და ცუდგუნებობა. მათთან ერთად იყო ორი ფრანგი ქალბატონი — ერთი გათხოვილი, ახალგაზრდა და თავაზიანი; მეორე გაუთხოვარი, ხნიერი და ბუზღუნა. ამ უკანასკნელს სპარსეთიდან მოჰყავდა ერთი თუთიყუში, ერთი შავი ფინია და ხუთი მწევარი, რაც მას დარჩა თეირანში გარდაცვლილი დის — გრაფი დამასის ქონებიდან და ღვთისმოშიშობისა თუ ახირების გამო არ მიატოვა, მიუხედავად გასავლელი გზის სიძნელისა. ამ ხნიერ ქალბატონს ხნოვანებისა და მრავალი მოგზაურობის შედეგად მდიდარი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ყველასა და ყველაფერში მხოლოდ ცუდს ხედავდა... ქუთაისში ჩვენ რამდენიმე დღე ვიდექით პოლონელ სახლის პატრონთან... მისი პოლონელ-გერმანელი ცოლის შესახებ ჩემს დღიურში

[1] ვტოვებთ VII თავს. ის ეხება მოგონებას ბუნებისმეტყველი სცოვიჩის ცხოვრებიდან, რომელიც საქართველოში გარდაიცვალა (გვ.146-172 – გ.გ.)

ჩავიწერე, რომ მისი გარეგნობა მიუთითებდა წყლისა და საპნის მიმართ მის ანტიპატიაზე და ზრდილობიანობაშიც გამოცდა არ უნდა ჩაებარებინა არასდროს... ამ წყვილსა და ჩემ თანამგზავრებს შორის გამოთხოვებისას სიტყვათა ისეთი გაცვლა შედგა, რაც მხოლოდ აღმოსავლეთში იხმარება და არ ასდის შირაზული ვარდის სურნელი... ქუთაისში მეშვიდე მგზავრად შემოგვიერთდა კატანიელი კაპუცინი მამა ბენედეტო...

ქუთაისის ხიდზე გავლით დასავლეთისკენ გრძლად გაიჭიმა ჩვენი ჭრელი ქარავანი. თავში ცხენით მიდიოდა ვეტერან ჟან პოლის ვაჟი ნოი-ტიფლისიდან, ჩვენი ხელმძღვანელი და მეგზური, შემდეგ ორი ოფიცერი, აბატი და მე. ჩვენ მოგვყვებოდნენ ხნიერი და ახალგაზრდა ქალბატონები, ფინია, თუთიყუში და მწევრები, და 14 ტვირთმზიდი ცხენი მხატვრულ ტანსაცმელში გამოწყობილი იმერელი მძღოლით. ბოლოს მოდიოდა კაპუცინელი კრიალოსნით თეთრ თასმაზე და სამისიონერო ხის დიდი ჯვრით გულზე. რასაც უნდა დავეცავით საფრთხისა და დაუმსახურებელი უშეცრებისაგან. მამა ბენედეტო იყო კეთილი, მხიარული კაცი, რომელიც ჩვენ ყველას მოგვეწონა; ყოველთვის მეგობრულად განწყობილი და ხუმარა. მას არ სწყინდა, როცა ხანდახან აჯავრებდნენ. ის არ ჩანდა უკმაყოფილო შინ დაბრუნებით და ზოგჯერ პატრიოტული აღტყინებით საუბრობდა თავისი სამშობლოს სილამაზეზე, კატანიის თბილ ჰავაზე, ღვთისმოშიშ მცხოვრებლებზე და გემრიელ მაკარონიზე, რაც საბრალო კაცს წლების მანძილზე არ გაუსინჯავს.

მხარე, რომელიც ქუთაისის დასავლეთით გავიარეთ ამ მშვენიერ საზოგადოებაში, განსაცვიფრებლად ლამაზია და ჰგავს უსასრულო ინგლისურ პარკს მდელოებით, ხმაურა ნაკადულებით, ფოთლოვანი და ნაყოფიანი ხეების მძლავრი კორომებით, ჯადოსნურ ბაღს, როგორც ტიტანიის პარკია — გალამაზებულს კოლხური მცენარეულით, მზის სიკაშკაშით და ლურჯი ცით. იმერული ლანდშაფტი უფრო დიდებულია, სასიამოვნო, მარტივი ერთფეროვნების გარეშე. არ დაიღლები ამ ცოცხალი მწვანე და ჭრელი მდელოების ცქერით, რომელიც სავსეა ბალახეულით, ყვავილებით, ცვრიანი მცენარეულით; არ დაიღლები რომ უცქირო ხასხასა მწვანე ფოთლოვანთა ნარევს — კაკლის და თხმელის, ტირიფისა და ვერცხლოვანი ვერხვის, მსხლის, ალუბლის,

ვაშლის და გარგარის ხეების; აგრეთვე უფრო ხშირ, გიგანტურ უძველეს ტყეებს, რომელთა პირასაც ხანდახან მიჰყავხარ გზას. წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, მუხა, თელა, კოპიტი და კაკალი, ქაცვი და ვერცხლოვანი ალვა გაუთავებელი შერევით ქმნიან ამ კოლხურ ტყეებს. თუკი ისინი ზოგჯერ არაა ჩვენებური გერმანული ტყეების მსგავსად უფრო მძლავრი და მსხვილტანიანი, სამაგიეროდ მხვიარა მცენარეულით შეუდარებლად მეტადაა მორთული. ამ მშობლიური მცენარეულის რტოები შევიცანით ჩვენ სამხრეთელმა სტუმრებმა: მარადმწვანე ბზა, მსხვილტანიანი Planera Richardi, ლეღვი და დაფნა, წაბლი და arbutus unedo ცეცხლივით წითელი ქერქით; უამრავ ბუჩქნარში — ilex aquifolium-ის, ვარდის, ტვიის, ხრისთვალას და სამყურას. ყველაზე საპატიო ფიგურა კოლხეთის ამ ხელუხლებელ მცენარეულში არის ვაზი. აქ არის მისი სამშობლო; აქ ამლევდა ის ყოველ დროს მოსახლეობას გამაგრილებელ ნაყოფს და სასმელს; აქედან გავრცელდა ის მცირე აზიასა და ევროპაში, რათა ყველგან „განემტკიცებინა სხეული, გაემხნევებინა სულები და გაემხიარულებინა გულები". კოლხური ვაზი გვხვდება მთელი სიმძლავრით, ბარაქით და სიდიდით, როგორსაც დასავლელი ვერც იფიქრებდა. იმერეთის ლანდშაფტის განსაკუთრებული მიმზიდველობა იმაშია, რომ ეს დიდებული უძველესი ტყეები უცვლელად არაა გაბატონებული. ყველგან, სადაც ის უცვლელად დომინირებს, ლანდშაფტის ხასიათი ხელუხლები ნიადაგის მიუხედავად ერთგვარად ერთფეროვანია. იმერეთში ეს ტყეები ბევრ ადგილას გამეჩხრებულია და მდელოებითა და სიმინდის ყანებითაა შევსებული. მაგრამ ეს ნათელი ადგილები არაა მნიშვნელოვანი სიდიდის. მდელოთა შუაგულში შერჩენილია ამ ძველი ტყის ხეთა ჯგუფები, რომლებიც ამოშვერილია ტენით გაჟღენთილი ნიადაგის ხალიჩიდან და რომელზეც თითქმის წვერამდე შემოხვეულია ვაზი. ქვემო ფაზისზე არსად ჩანს კლდე, ქვა, შიშველი მიწა. ახალგაზრდა, ნედლი, ერთწლიანი ბალახეული და ყვავილები, ხშირი მხვიარა მცენარეული იზრდება და პარაზიტობს ყველგან, სადაც ადგილს ნახულობს, სადაც მრავალწლიანი მცენარეული მას ვერ უშლის ხელს გამრავლებაში. უფრო მაღალ რეგიონებში ხეები ენაცვლებიან ერთმანეთს განსხვავებული მწვანე ფერით. აქ გვხვდება მწვანე ფერის ყოველგვარი იერი — მუქი ნაძვით, ტამარისკით, კვიპაროსით დაწყებული, დაფნა-ალუბალას (Prunus lauro-

cerasus) მბრწყინავი ფოთლით, კოლხური ვერხვის ვერცხლისფერი მწვანით დამთავრებული, რომელთა ტოტებს შორისაც იმზირებიან მათზე შემოხვეული ვაზის ნახევრადმწიფე მოწითალო მტევნები...

„აქ ნამდვილი სამოთხეა!" ერთხმად აღმოხდა ჩვენს მგზავრებს, როცა დაინახეს მიწის ეს მადლი... ტურნეფორმა ეჩმიაძინის შიშველი ვაკე სომხეთში, იოზეფ ვოლფმა უხეო ჭარბიანი ევფრატის დაბლობი მესოპოტამიაში, დანიელ შლატერმა ყირიმის გადამხმარი სამხრეთის ნაპირი შეადარეს სამოთხეს. მოგზაურს, რომლისთვისაც ყოველგვარი გადაჭარბება საძრახისია, დასახელებულ ადგილთა ასეთი შედარება სამართლიანად გააოცებს. კოლხეთის ბუნების ნახვა, განსაკუთრებით ქვემო ფაზისზე, ყველაზე თავშეკავებულ დამკვირვებელსაც კი უნებურად წარმოადგენინებს მოსესეული გადმოცემის სამოთხის სურათს. ჩემი ათწლიანი მოგზაურობიდან სამყაროს სამ ნაწილში, სადაც საკმაოდ ბევრი მშვენიერი სანახაობა იყო, არ შემიძლია მოვიძიო ისეთი ლანდშაფტის სურათი, რომელიც შეედრებოდეს ფაზისის მიდამოებს მოალერსე სიმშვენიერით, მცენარეულის სიმდიდრით და მთების, ტყეებისა და მდინარეების მომაჯადოებელი განაწილებით. თვით მცირე აზიის ღმერთების მთა—მწვანეცვრიანი ტყით დაგვირგვინებული, მოჩუხჩუხე წყაროებიანი ოლიმპო, აგრეთვე ბელიდას ჰესპერიდების ბაღი, რომელიც ვნახე ფორთოხლის ტყეებით მორთული, ვერ წაართმევენ პალმას კოლხურ ბუნებას; თვით იტალია თავისი განთქმული მხარეებით — კომოს ტბით, აპენინებით, გენუის რივიერათი, ნეაპოლის ყურით — ვერ გაუწევს მეტოქეობას. გურია, სამეგრელო და იმერეთის დასავლეთი ნაწილი ძველი კოლხეთის ულამაზესი ნაწილებია, ბევრად ლამაზი ტრაპეზუნტის ლანდშაფტზე, რომელიც მე მოგვიანებით ვიხილე. ფაზისის მიდამოები ფოთსა და მარანს შორის შეიძლებოდა უბრწყინვალესად ჩაგვეთვალა ძველ სამყაროში.

რა საამოა დამქანცველი მგზავრობის შემდეგ დასვენება იმერული კაკლის ქვეშ ჩერქეზულ ნაბადზე, როცა მთელი დღე ბუნების საკვირველების ცქერით გაძღები. ეს განვიცადეთ ჩვენ 7 სექტემბერს საღამოს მარანამდე. ჩვენი სამოგზაურო ჯგუფის სამი მეოთხედი უკვე თვლემდა, სანამ ჩაიდანში წყალი თუხთუხებდა. მე უძილობა მჭირდა და ხეზე მიყრდნობილი ცეცხლით განათებულ მძინარე ჯგუფს ვათვალიერებდი (ვუმზერდი). ფრანგი ოფიცრები თავიანთ ნახევრად-

სპარსულ, ნახევრადფრანგულ სამოსში ცოტა კომედიანტურად გამოიყურებოდნენ. ძლიერი აბატი ბიდალი თავის მონადირის სერთუკში ნაკლებ ჰგავდა მღვდელს, უფრო კი ძველი გვარდიის მეჩვაბს, რადგან ჰქონდა მოზრდილი ულვაში და მკვეთრი, გულადი სახის ნაკვთები. ახალგაზრდა ფრანგი ქალი ფერმკრთალი, ავადმყოფური და ლამაზი იყო და მილშიც პარიზელის სინაზეს ინარჩუნებდა. ხნიერი ქალბატონი იწვა ნაბადზე, გარშემორტყმული ფინიათი, თუთიყუშითა და მწევრებით... ჩვენი იმერელი გამყოლი და ცხენების გამძღოლი ლამაზი მამაკაცები, მშვენიერი წყნარი გამომეტყველებით იწვნენ ბარგის გვერდით ხეებქვეშ. მათ ისე მშვიდად ეძინათ და სხვებივით ისეთი კმაყოფილი სახეები ჰქონდათ, თითქოს ფეხით არ ევლოთ და მხოლოდ უგემური ფაფა არ ჰქონოდათ კუჭში. სერვანტესი ამბობს, რომ ძილის დროს ყველა — დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი მსგავსნი (თანაბარნი) არიან.

ერთი დღის მერე მარანში დავიქირავეთ ბრტყელი ნავები და დავეშვით მდინარეზე. ფაზისი აქედან შესართავამდე განიერი, ღრმა მდინარეა. კუნძულები იშვიათადაა, ჭორომები არსადაა. ამ მდინარის ხასიათი ქუთაისიდან აქამდე, როცა სამეგრელოს პროვინციაში შედის, მთლად იცვლება. ქუთაისთან მდინარე ჯერ კიდევ ძალზე სწრაფია, ბორგავს და მხიარულად ეხეთქება კლდოვან ნაპირებს და მოაგორებს უზარმაზარ ლოდებს. მარანს ქვემოთ ფაზისი მდორედ მიედინება. მოკლე მანძილზე თავის ახალგაზრდულ ბორგვას ცვლის მშვიდ სიდიადეზე, როგორც დიდებული მოხუცი. ძლივს შეიმჩნევა წყლის დინება, ისე მცირეა დაქანება; ადვილად ვუსვამდით ნიჩბებს აღმა დინებისას. კლდეები ნაპირზე ქრებიან; ნაპირები ოდნავ მომაღლოა და უსიერი ტყეებით და ლიანებით დაფარული. ნაპირზე გადმოსვლა ყველგან იოლად არ შეიძლება, რადგან სველ ნიადაგში ფეხი ეფლობა ლამის მსგავს მცენარეულ საფარში... ორთქლის გემებისათვის ფაზისი გამოსაყენებელია ფოთიდან იმერეთის საზღვრამდე, რადგან დაქანება ძალზე მცირეა, თავთხელი არ გვხვდება და ლოდები წყალში არსადაა. მარანს ქვემოთ დინებას ისეთი სუსტი ძალა აქვს, რომ უმცირეს კენჭებსაც ვერ ათრევს. ძველი მწერლებიდან არიანე თავის იმპერატორს ადრიანეს დაწვრილებით ცნობებს აწვდის ფაზისის შესახებ, რომელბიც სავსეა სიყალბით. იგი ამბობს, რომ როცა ზედაპირიდან წყალს ამოხაპავ, ის მტკნარია, ხოლო სიღრმიდან — მლაშეო; ფაზისის

წყალი არ ფუჭდება, ინახება 10 წელი და უფრო მტკნარდებაო. ყოველივე ეს ზღაპრულად ჟღერს. ქუთაისთან ჩვენ ჩავუშვით ბოთლები და ამოვიღეთ სავსებით მტკნარი წყალი. მარანს ქვემოთ... წყალი მცენარეული მიწითაა გაჟღენთილი და როგორც ზედაპირზე, ისე ფსკერზეც უგემური ჭაობის გემო დაჰყვება და თითქმის არ დაილევა. არიანეს დროს ფაზისის შესართავთან ჯერ კიდევ იყო ქვის ღუზა, რომელიც მისი აზრით გემ „არგოდან“ წარმომავლობდა. ესქილე თავის „განთავისუფლებულ პრომეთეში“ ფაზისს ახსენებს და თვლის მას აზიისა და ევროპის სასაზღვრო მდინარედ...

ორჩხომელები წყნარი მოსმით მიცურავდნენ დაღმა. რიონის სანაპირო ლანდშაფტი მთლად ამერიკულია და ემსგავსება შატობრიანის მიერ აღწერილ მისისიპისა და ოჰაიოს უდაბურ ადგილებს. მხოლოდ ახალი სამყაროს დიდებული ფაუნა აკლია აქ წელიწადის ამ დროს... ძველი სამყაროს ყველა ქვეყნებს შორის, რომლებიც მე მოვინახულე, სამეგრელო ერთადერთია, სადაც ამოიცნობ ამერიკულ ლანდშაფტურ სახეებს... ქვემო ფაზისზე მცენარეული სიძლიერითა და ქალწულებრივი სიმშვენიერით არაფრით ჩამოუვარდება მისისიპისა და ამაზონის გაუვალ ტყეებისას. ყოველ შემთხვევაში, ახალი სამყაროს მდინარეები არ არიან ისტორიულად საინტერესონი, როგორც წინა აზიის განთქმული მდინარეები. მისისიპზე, ოჰაიოზე უძველესი დროიდან მხოლოდ წითელკანიანები სახლობდნენ. მათი ნადირობა ბიზონებზე და სისხლისღვრა, მათი განდევნა სისხლისმსმელებისა და თეთრი ადამიანების მიერ ქმნიან მათ ისტორიას. ახალი სამყაროს წყლებში მაშინ არ შეცურებულან დიდებული გმირები, როგორებიც იყვნენ ბერძნები არგოთი, რომ გამოერკვიათ ჯადოსნური ქვეყნის საიდუმლოებანი. მუხის ტყეებს ოჰაიოზე არასოდეს სმენიათ ორფეოსის ლირა და არავითარ იაზონსა და შეყვარებულ გრძნეულს არ მიუცია მასალა გადმოცემებისა და პოეზიისთვის. გონებამახვილ არქეოლოგს დიუბუას ეპიზოდების ასპარეზადაც მიაჩნია ფაზისის ახლო ადგილები, ხოლო ჰომეროსისეულ ადგილთა აღწერილობაში პონტოს მიდამოებს შეიცნობს. უეჭველია, რომ ოდესღაც რიონზე არსებობდა უძველესი კულტურა, რომელიც დღეს უკვალოდაა გამქრალი. უკაცურ ტყეებში ასეთ წყნარ მდინარეზე ცურვისას სიამოვნებით მიეცემა კაცი ფიქრებს; თვით მოლაყბე ფრანგებსაც კი წყნარი საათი ჰქონდათ... კლასიკური ინტერესი

აღძრა შედარებამ კოლხეთსა და ჩვენ სამშობლოს შორის — დროის მძლავრობისა და ბედის ბრუნვის აზრით.

ორნახევარი ათასი წლის წინათ ფაზისზე ყვაოდა საარაკო კულტურა. სტრაბონი გვამცნობს, რომ მის დროს ამ მდინარეზე გადებული იყო 140 ხიდი. მდიდარი, ძლიერი, სულით და ხორცით ლამაზი ხალხი ცხოვრობდა აქ; მაგრამ რა ბედი ეწიათ მათ, როგორ გადაშენდნენ, ამაზე არავითარი ტრადიცია არ მოგვითხრობს. ფაზისის შესართავთან იდგა იმავე სახელის ქალაქი, ელინთა კოლონია, სადაც ყვაოდა ვაჭრობა და ხელოსნობა; ის ცხოველ ურთიერთობაში იყო შიდა ქვეყანასთან და სამშობლოსთანაც. იმ დროს რაინზე იყო უკაცური ჭაობიანი ადგილები, დაფარული გერმანული გაუვალი ტყეებით, სადაც ცხოვრობდნენ ქერა უსაქმურები, ჩვენი წინაპრები, რომლებიც ისევე ველურები, მეომარი ბუნებისა და უხეშები იყვნენ, როგორც ბიზონებზე მონადირე „შავი ფეხები"... დღეს ამ მდინარეებმა გაცვალეს თავისი როლები. ფაზისზე მთლიანად გაქრა ასობით ხიდი და მათთან ერთად უკვალოდ შრომისმოყვარე ხალხი, ელინური კოლონისტები, კულტურა და სიმდიდრე. რაინზე კი ამჟამად დგანან ბრწყინვალე ქალაქები, ჩქეფს ვაჭრობა და ინდუსტრიული ცხოვრება, დაცურავენ სატვირთო გემები თავისი განძით, დამკვიდრებულია განათლებული და ფილოსოფოსი (მოაზროვნე) ხალხი, შთამომავლები იმ უსაქმურებისა. რა ვითარება იქნება რაინსა და ფაზისზე ორნახევარი ათასი წლის შემდეგ!

სალამოჟამს გადმოვსხედით რიონის მარცხენა ნაპირზე. ჩვენმა მენავეებმა გაიკვლიეს გზა ულრანში და მივაგენით რამდენიმე მეგრულ ქოხს, რომელთა ღარიბმა მფლობელებმა ვერაფერი შემოგვთავაზეს გარდა ფეტვის ფაფის, ყურძნის, ნიგვზისა და ღვინის. მეგრელები, რომლებიც ამ ტყეებში გაფანტულად ცხოვრობენ, ძალზე ლამაზი ხალხია, მაგრამ სახეზე ფერმკრთალი. მათ აწუხებთ ის ავი ციება, რომელიც რუს ჯარისკაცებს ასობით ხოცავს. ხასიათით ჩანან მშვიდი, უწყინარი, მშვიდობიანი; ითვლებიან ძალზე ზარმაცებად, მაგრამ საკმაოდ პატიოსნებად, რაც იშვიათია აღმოსავლეთში. მოსახლეობა არაჩვეულებრივად მეჩხერია და სულ უფრო მცირდება. ალბათ მოვა დრო, როცა ფაზისზე გაქრებიან მკვიდრები, ხოლო სლავი მოახალშენეები

დამუშავებენ ამ უდაბურ ადგილებს და მეგრულ რასას და ენას მხოლოდ ისტორია მოიგონებს. კოლხეთის ამ მოდუნებული, მეოცნებე ხალხის საქმე უარესად წავა, ვიდრე მისისიპზე მცხოვრები ინდიელი ტომებისა, რომელთა შესახებ მათი განადგურების მოწამე მოგზაური იტყვის: სულიერი, რომელიც ამ უდაბურ ადგილას მათი ენის ზოგიერთ სიტყვებს ამბობს, ესაა თუთიყუში, იგი ტყეში დაფრინავს და ოდესლაც ადამიანისგან გაგონილ ბგერებს ზოგჯერ იმეორებს. ფაზისზე თუთიყუშის ნაცვლად ცხოვრობს გუგული, უსმენო ფრინველი, რომელიც ისევე უნიჭოა მეგრული სიტყვების შესწავლაში, როგორც რუსი სალდათი.

ფაზისის უღრან ტყეებში ექსკურსიების მოწყობა არაა ადვილი საქმე. გისოსებივით გადახლართული ტოტები ბევრ ადგილას ჩიტსაც კი უშლიან გაფრენას. ორპირა ჩერქეზული ხანჯალი აქ ძალიან გამოგვადგა ლიანების ხლართებში გზის გასაკვლევად. სიძნელის გამო მხოლოდ მცირე ბოტანიკური და ენტომოლოგიური კოლექციები შევაგროვეთ; როცა ბანაკში დავბრუნდით და მწერები და მცენარეული დავპრესეთ და ქინძისთავებზე წამოვაცვით, კაპუცინელი გაკვირვებული თვალებით გვიყურებდა. მან გვთხოვა აგვეხსნა, რისთვის იყო ყოველივე საჭირო; როცა გაიგო, რომ ჩვენ ძირითადად ამ საქმისთვის ვაწყობდით დამქანცველ და ძვირადღირებულ მოგზაურობას, გაოცებით შემოიწყო თავზე ხელები და ბოლოს სიცილი აუტყდა... მან გამახსენა მაგალითი ჰუმბოლდტის მოგზაურობიდან, როცა მას არაგონელმა მისიონერმა სამხრეთ ამერიკაში სანფერნანდოში უთხრა: არ მესმის, როგორ შეიძლება ადამიანმა, რომელსაც აქვს გემრიელი ხბოს ხორცი და კარგი შემოსავალი, უარი თქვას სახლში დარჩენაზე და წავიდეს უშორეს მხარეებში და უდაბურ ადგილებში, რათა იქ რალაც ბალახეული შეაგროვოს და გაზომოს, თუ რა ტემპერატურა აქვს წყალს, რომელსაც სვამს.

გამთენიისას, როცა ჩვენ ბანაკში ყველას ეძინა, მეორე ექსკურსია მოვაწყე მდინარის აღმა უღრან ტყეში და დაკრული სიარულით გავედი შიშველ ადგილას, სადაც ბალახიანი ბორცვის მეზობლად იდგა მეგრული პატარა სახლი. მცხოვრებლებს ირგვლივ გაეჩეხათ ხეები და ბუჩქნარი, რომ სიმინდის ყანისა და მდელოსათვის ადგილი

გაეთავისუფლებინათ. ხის სახლის კარი ღია იყო. ოთახის შუაგულში ენთო ცეცხლი, რომლის კვამლი, ბუხრის უქონლობის გამო, ღია კარიდან გამოდიოდა. მე შეუმჩნევლად მივუახლოვდი; ალუბლოვანი დაფნის დიდი ბუჩქი მიფარავდა მათგან, მე კი თვალს ვადევნებდი მეგრული ოჯახის სურათს, საკმაოდ საინტერესოს. ლამაზი მეგრელი, ფერმკრთალი სახით, მოზრდილი ულვაშებით, ძალზე სუფთად ჩაცმული, იჯდა გამხმარ მცენარეთა გროვაზე; მის გვერდით იდგა თიხის დიდი საღვინე დოქი. იგი უნდა ყოფილიყო ქოხის პატრონი. მისი ახალგაზრდა მეუღლე, ასევე სუფთად ჩაცმული ცისფერ და მოჭირებული წითელი ფერის სამოსში, მიმოდიოდა — ერთდროულად სამზარეულოსაც უვლიდა და დრო და დრო პატარა ბავშვსაც მიხედავდა, რომელსაც უფრო მოზრდილი ბავშვი დარაჯობდა. ქალი ძალიან ლამაზი იყო. სქელი, ბრწყინავი შავი თმა გრძელ ლამაზ ნაწნავებად ეშვებოდა დაბლა; სახის ფერი ბაცი ვარდისფერი ჰქონდა, თვალები მუქი შავი და მოელვარე, პროფილი დიდებული; ტანი ისეთი ლამაზი, როგორსაც ევროპაში წარმოიდგენ ჩერქეზული და ქართული სისხლის ოდალისკებს (ჰარემის მონებს), რომლებიც სინამდვილეში მხოლოდ სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში მოიძებნება, სადაც ცხოვრობს მსოფლიოს ალბათ ყველაზე ლამაზი ადამიანის მოდგმა.

მეგრელი ზარმაცად იყურებოდა თავის წინ და დრო და დრო ღვინოს ყლუპავდა; ის იყო ნიმუში ეგოიზმისა და მეოცნებე მჭვრეტელობის. მის არაფრისმთქმელ გამომეტყველებაში ვერ ამოიკითხავდი ოჯახური ბედნიერებით გამოწვეულ სიხარულს; ის მხოლოდ ერთადერთხელ დაელაპარაკა თავის ცოლს საკმაოდ გაჯავრებული ტონით, რადგან ეტყობა საუზმე შეაგვიანდა. ქალმა გამოუტანა სიმინდის პური (მჭადი - გ.გ.) და ქვაბი ფეტვის ფაფით, რომელსაც ორთქლი ასდიოდა; ეს ყველაფერი მან მარტოკამ შეჭამა. ახალგაზრდა ქალმა სართავი გააჩერა, აიყვანა პატარა ბავშვი, მოეფერა და დასაწყნარებლად მშვენიერი მკერდი გაიშიშვლა. უფროსი ბავშვი ფეხთით დაუჯდა დედას, რომელიც მას უღიმოდა და შიგადაშიგ ფრთხილ მზერას გააპარებდა ქმრისკენ. ეს კი გართული იყო ღვინითა და ფეტვის ფაფით და თავისიანებისთვის არც კი შეუხედავს ალერსიანი თვალებით. სამეგრელოს ტყეში ნანახმა ოჯახურმა სურათმა ნაკლებად

განმაწყო ამ მხარის მამაკაცების მიმართ, სამაგიეროდ დამიდასტურა რაც მე სხვაგანაც გავიგე, რომ რაც არ უნდა განსხვავებული იყოს ხალხთა განათლების დონე, მათ საუკეთესო ნახევარში ყველგან ერთნაირი ძალით ბუდობს ურმესი და შინაგანი სულიერი განცდა — დედის სიყვარული.

მე მინდოდა შეუმჩნევლად გავპარულიყავი, მაგრამ უფროსმა ბავშვმა შემამჩნია და ხმამაღლა დაიყვირა. ლამაზი ქალი მაწოვარა ბავშვით შევარდა ქოხში. კაცი კი პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა და ზრდილობიანად მომესალმა. მე ვცადე გამეგებინებინა მისთვის, რომ ტყეში დავიბენი. მან მიმიყვანა ბილიკთან, რომელიც ნაპირისკენ მიდიოდა და რომლითაც დავბრუნდი ბანაკში. ჩემდა გასაოცრად მოგზაურთა ჯგუფს კვლავ ეძინა, გარდა იმერელისა და აბატი ბიდალისა, რომელიც წიგნს კითხულობდა. კოლხურმა ავრორამ (რიჟრაჟმა) კაკლის ტოტებს შორის გამოიხედა და თავისი ვარდისფერი თითები ცხვირზე შეავლო ხნიერ ფრანგ ქალბატონს, მაგრამ ის არ შეწუხებულა. მამა ბენედეტო კატანიელი მაგრად დახუჭული თვალებით კვლავ იწვა; მისი ატამივით რბილი ლოყები ისე დაბერილიყო, თითქოს აპირებდა ციურ საყვირებში ჩაბერვას; მას მთლად ღვთისმოსავის გამომეტყველება ჰქონდა. ჩვენი იმერელი მენავეები ამ შესვენების გამო მოუსვენრად იყვნენ და სურდათ ან გამგზავრება, ანდა გასტუმრებას თხოულობდნენ. ამასობაში დანარჩენმა მოგზაურებმაც გაიღვიძეს და ყავა მოისურვეს. ახლომახლო რძე არსად იყო, რის გამოც ხნიერი ფრანგი ქალბატონი დაუსრულებლად მოთქვამდა. როცა მან შეამჩნია, რომ სანუკვარი სურვილის შესრულებას წინ ეღობებოდა მენავეთა მოუთმენლობა, ფრანგული გინების ისეთი ნიაღვარი მიუშვა და ისე გააფთრებით დაუქნია მუშტი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი სიტყვა არ გაუგიათ, შეეშინდათ და უკან დაიხიეს. თუ რა იფიქრეს იმერლებმა ხნიერ ფრანგ ქალზე, რომელიც ამაზონივით ნახევრად აღმოსავლურად, ნახევრად ფრანგულად გამოწყობილი საოცრად გამოიყურებოდა, ვერ დავადგინეთ ადგილობრივი ენის უცოდინარობის გამო. რამდენადაც ჩვენმა თარჯიმანმა მათი ლაპარაკიდან გაიგო, მენავეებს უთქვამთ, რომ ფრანგი სამხედროები ოსტინდოეთის სამხედრო სამსახურში არიან, ხოლო ხნიერი ქალბატონი დიდი მოგულის ფარიკაობის მასწავლებლად მიუჩნევიათ.

ფაზისსა და მდინარე ხობს (Chopi) შორის, რომელიც რედუტ-კალესთან ერთვის ზღვას, შეგვხვდა ძველი წყალდამაკავშირებელი, ე. წ. ცივაკანალი (Tsiwakanal); ძნელი სათქმელია, ვისი ნახელავია. ის — ბუნებისა, თუ ძველი ელინური კოლონიის. როცა ჩვენი ორჩხომელები ამ არხს მიუახლოვდნენ, ლანდშაფტი ორივე ნაპირზე დიდებული მცენარეული სურათით წარმოგვიდგა, როგორიც მე და ჩემს თანამგზავრებს ოდესმე გვინახავს. ფრანგებმა, რომლებმაც დიდი ხანი არაა, რაც მიატოვეს გამომხმარი, მცენარეებით ღარიბი სპარსეთი და სომხეთის უხეო მაღალი ზეგნები, ხმამაღლა და გულითადად გამოთქვეს აღტაცება ამ მწვანე საოცრების გამო. ყოველივე, რაც ჩემს მეხსიერებაში წარმოსდგა იტალიის, მცირე აზიის და აფრიკის, როდოსის, სამოსის და ბალეარიის უდიდებულესი ლანდშაფტის სურათებიდან, ვერ შეედრება ფაზისის მიდამოებს. ძველ სამყაროში ძალზე ცოტაა ამის მსგავსი ბუნება, ხოლო, ვისაც არ ჰქონდა საშუალება ორინოკოსა და ამაზონზე მატო-ვირგემი ეხილა, მის სანაცვლოდ რიონზე იპოვის მონათესავე ხასიათის მქონე ბუნების მიდამოებში. ხეები, ბუჩქები, მხვიარა მცენარეები კოლხეთში ნახევარზე მეტად შუა და სამხრეთ ევროპული და არა ტროპიკული ხასიათისაა. გერმანიის ხილის ხეები, ვაზი, წიფელი, კოპიტი, თხმელა და ტკბილი წაბლი ჭარბობს; მხოლოდ პონტოს ნაპირებისკენ მატულობს ხეები და ბუჩქები დაუცვენელი ფოთლებით; ყველაზე ხშირია ძლიერი მარადმწვანე ბზა, პატიოსანი დაფნა და ალუბლოვანი დაფნა, რომლის ფოთლებიც ასე ლამაზად ბრწყინავენ, მირტა და მძლავრი ძელქვა, რომლის ტანიც სამი ფუტის სისქისაა.

მხოლოდ ამ კოლხური ტყის ბუნების დამახასიათებელია ცოცხალი ორმაგი საფარი ტანისა და ტოტების, ბატონობა მხვიარა და მცოცავი მცენარეულის და პარაზიტებისა, რითაც ის ევროპულისგან განსხვავდება. ეს უამრავი პარაზიტი მცენარეა მიზეზი იმისა, რომ ხეები არ ბერდებიან და არა ხისმჭრელის ნაჯახი, რომელიც ჩვეულებრივ ტყისპირას ჩეხს. კოლხეთში იგივე ვითარებაა, როგორც მარტიუსის აღწერილ ბრაზილიაში. სიცოცხლის ასეთი სიჭარბე და ყოველმხრივი ცხარე ბრძოლა ზრდისთვის თვით ნოყიერ და მსუქან ნიადაგსაც კი არ აძლევს საშუალებას მისცეს საკვები საჭირო რაოდენობით. ყველა

მცენარე იბრძვის არსებობისთვის და ერთმანეთს უფრო ხუთავენ, ვიდრე ჩვენი ტყეების ხეები. მაღლა ატყორცნილი ხეებიც კი განიცდიან თავისი აბეზარა და ახალგაზრდა მეზობლის გავლენას, ჩამორჩებიან ზრდაში, კვდებიან და ხმაურით ეცემიან. ჩვეულებრივ ტყის ზებერი გოლიათის სიკვდილს იგებენ მისი დალუპვიდან დიდი ხნის შემდეგ, რადგან მაჩიტა, სვია, მაყვალი, ვაზი და სხვა მხვიარა მცენარეები ეხვევიან ტანებსა და ტოტებს, ფარავენ დაღუპულს თავისი მწვანით, ხიდან ხეზე თოკივით გადადიან, მაგრამ ბოჭავენ მკვდარ ხეებს და ხელს უშლიან მათ დავარდნას. მკვდარი და ლპობადი ხის ეს უცხო ნასესხები ფოთლოვანი სამკაული ზემოთკენ მძლავრად ვრცელდება და უქმნის უზარმაზარ საფარს, მძლავრ ფოთლოვან გუმბათს, რომელიც ისე მოძრავია, რომ ქარის ქროლვისას კანკალებს. მოხეტიალე რომელიც მის ჩრდილში ისვენებს, ზემოთ აიხედავს, რათა გამოიცნოს ხის ჯიში, რომელიც იცავს მას მზისა და თავსხმისაგან; იგი გაოცებით შეამჩნევს, რომ გოლიათური ტანი დიდიხანია დამპალა და რომ ამ ღონიერ პარაზიტებს მოუხრჩვიათ მოხუცი ხე, მისთვის გარეგნულად მიუციათ ცოცხალი სახე და მოურთავთ თავისი საკუთარი ახალგაზრდული სამკაულით.

ერთხელ, როცა კოლხეთის ფლორას ეხებოდა, ფალმერაიერმა აღნიშნა, რომ ტრაპიზონის საფაშოში (სადაც მცენარეული არაა ისე ძლიერი, როგორც ფაზისზე) შეუნიშნავს შემდეგი: მცენარეები, რომლებიც ევროპაში მორიდებით მიცოცავენ მიწაზე, კოლხეთში ქედმაღლურად მიძვრებიან ზემოთ ხეებზე. ამ თვალსაზრისით ევროპულისგან არცერთი მცენარე ისე არ განსხვავდება, როგორც გარეული ვაზი...

სცოვიჩი თავის წერილებში მოგვითხრობს, რომ რიონის ლანდშაფტი მხოლოდ გადამფრენი ფრინველის მოფრენისას არის ძალზე გამოცოცხლებული. მაშინ ისმის გარეული მტრედების ღუღუნი ხეებზე, მაშინ მოცურავენ პელიკანები მდინარეში, მაშინ ფხიზლობენ ფლამინგოები ნაპირზე, მაშინ ისვენებს სანაპიროზე ლამაზი წერო, რათა შემდგომი ფრენისთვის ძალა მოიკრიბოს; ამ დროს ნადირობენ ჩიბუხასა და მწყერზე, მაშინაა უამრავი მტაცებელი ფრინველიც. მაგრამ ყოველივე ძალზე მცირე ხანს გრძელდება. გადამფრენები მხოლოდ ისვენებენ და აგრძელებენ გზას დონისა და დუნაისკენ,

სამხრეთ რუსეთისკენ, სადაც წერო, რომელიც თავისი ზამთრის ბინიდან — ინდოეთის ტყეებიდან მოფრინდა, შიშველ სტეპებში უფრო სიამოვნებით ცეკვავს, ვიდრე მწვანე კოლხეთში...

ზოგმა ევროპიელმა განსწავლულმა კაცმა, კოლხურ ბუნებაში ხანგრძლივი სიამოვნება ჰპოვა, როგორც იმ გადამფრენმა ფრინველებმა, და ქვეყანა აღარ მიატოვეს. ფრანგი გამბა ერთ-ერთი მათგანი იყო; მისი სიკვდილის შემდეგ მისი ქალიშვილი დასახლდა ვრცელ მამულში. ასევე ერთი ინგლისელი გამბედავი ხასიათის და მრავალმხრივ განათლებული, ქუთაისიდან ნახევარი დღის სავალზე განმარტოებულ ადგილას დასახლდა და იქ იშვიათ ცხოვრებას ეწევა. მან ცივილიზაციასთან ურთიერთობა თითქმის გაწყვიტა, დაეხეტება ულრან ტყეებში, წურავს ველურ ყურძენს და დასდევს დათვებსა და ირმებს. როცა მე ეს ბუნება, სიმშვიდე, თავისუფლება და საზოგადოების ბორკილებისგან, ეტიკეტისა და მოდისგან სრული დამოუკიდებლობა გავიზიარე, ვკითხე ჩემს თავს: შემიძლია თუ არა დარჩენა აქ სიცოცხლის მანძილზე? აზრი თან ჯადოვდებოდა, თან შეფრთხა... კაცები, როგორიცაა ვილჰელმ შიმპერი და ბონპლანდი, რომლებიც თავისი სურვილით და სიამოვნებით გაეთიშნენ ცივილიზებულ სამყაროს და ევროპას სამუდამოდ შეაქციეს ზურგი, რათა შორეულ უდაბურ ადგილებში მარტოხელად მგლებივით იცხოვრონ, სხვა მასალისგან არიან ნაკეთი, ვიდრე ჩვენ, რომ მიუხედავად მოგზაურობის სურვილისა, რაც გონებას ანათებს, სამუდამოდ უარი ვთქვათ განათლებული სამყაროს სიამოვნებაზე...[1]

---

[1] ამ აზრის შესამაგრებლად მოჰყავს ქ-ნ სანდის გამონათქვამი კუნძულ მაიორკაზე ცხოვრების შემდეგ — გ. გ..

# თავი IX

### რედუტ-კალე — სავაჭრო ურთიერთობანი — ხობის მონასტრის მონახულება. — ზუგდიდი, დადიანების რეზიდენცია — მარტვილის მონასტერი — კოლხური მდინარეების ლანდშაფტის სილამაზე — ექსკურსია ფაზისის შესართავისკენ — ღამისთევა მეთევზის ქოხში — ფოთის ციხე.

ლურჯი ცა, მზის სხივებითა და მცენარეულის მწვანით განათებული ტყიური ლანდშაფტის სიდიადე, სუფთა, რბილი მთვარიანი ღამეები, რაც ფაზისზე ცურვისას და ცივას-არხის გავლისას გვატკბობდნენ, ყოველივე ეს დასრულდა რედუტ-კალეში ჩასვლასთან ერთად. ქარიშხალში, ჭექა-ქუხილსა და წვიმაში გადმოვსხედით ამ მეგრულ სანაპირო ქალაქში. შენების წესით იგი ჰგავს გერმანულ იარმარკას, შემდგარს ორი უსასრულოდ გრძელი, ხის ბარაკის ტიპის სახლების რიგისგან, რომლებიც მიწიდან ერთი ფუტის სიმაღლის ხის ბოძებზეა შემდგარი (ფრანკფურტის სამესო დუქნებზე არც თუ ბევრად დიდი და ვრცელია). ასევე ხითაა ნაგები რუსი მოხელეების უფრო დიდი სახლები, ყაზარმა, ეკლესია და ა.შ. ნოვოროსიის ქალაქებიდან რედუტ-კალეს დიდად ჰგავს დონის კაზაკთა დედაქალაქი — ნოვოჩერკასკი. მიდამოს ნესტიანობისა და ხის ჭიათა დიდი რაოდენობის მიუხედავად, რაც ხის სახლებს ვნებს და ისინი რამდენიმე წელში ხელახლა საფუძვლიანად ასაგები უნდა ხდებოდეს, მაინც ასეთ ნაგებობებს ამჯობინებენ სოლიდურ და მშრალ ქვის სახლებს. სამეგრელოს ტყეები ძალზე მდიდარია და მოსახერხებლად ახლოსაა ზღვის სანაპიროსთან, მაშინ როცა ახლო-მახლო კოლხური ქვეყნის ამ მწვანე ნეშომპალიან ნიადაგზე არსად ალიმართება კლდე; ამიტომ საშენი ქვა ძალზე ძვირად შეიძლება მოიტანო შორიდან, ისიც გემით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლების შეყენება ხის ბოძებზე აუცილებელი შედეგია ნიადაგის აღუწერელი ნესტიანობისა. ყველგან, სადაც კოლხური სანაპირო დაბალია, ზღვა შეუსვენებლად ებრძვის ნაპირს; წელიწადის ნახევარზე მეტ დროს მძლიერი მოქცევით ექაფება ნაპირზე და მდინარეების შესართავს ავიწროებს სილითა და რიყის ქვით, ზოგჯერ კი სრულებით კეტავს; ამით სანაპიროს სიახლოვეს იქმნება ვრცელი ჭაობები, რაც კოლხეთის სანაპირო ზოლს, განსაკუთრებით(მასზე ხომ მრავალი მდინარეც მოედინება) სწრაფად და ხშირად მზარდი მცენარეულით მოფენილ სამეგრელოს აქცევს მსოფლიოში ერთერთ ყველაზე არაჯანსაღ მხარედ. ამ ბარაკების ქალაქის საფუძველი ისე სველი და ჭაობიანია, რომ ყოველ წვიმიან დღეს ქუჩაში კაცი ტალახში ჩაფლული დარჩებოდა, მიწას რომ ერთი ფუტის სისქის კენჭების ფენა არ ჰქონდეს მოყრილი.

კოლხეთის სანაპიროს, რამდენადაც ცნობილია, არცერთი კარგი ნავსადგური არ გააჩნია. უკვე ეს გარემოება აძნელებს აქ ზღვაოსნობას და ვაჭრობას; აგრეთვე ამცირებს იმ ქვეყნების ქონების ფასს (წონას), რომლებიც მსოფლიოში ყველაზე ნაყოფიერად ითვლებიან. რედუტ-კალეს ლუზის ჩასაშვები ადგილი კავკასიის უვარგის და სახიფათო რეიდებთან შედარებით ყველაზე ცუდად და საშიშად ითვლება. აქ არც ყურეა, რაც რეიდი. დასავლეთისა და სამხრეთის ქარები დაუბრკოლებლად უბერავენ ღია ნაპირისკენ და ზომიერი ღელვის დროსაც კი ტალღის ძლიერ დარტყმებს განიცდიან ლუზა ჩაუშვებელი გემები. ყველა დიდი გემი, როგორც კი გაავდარდება ცაზე, მაშინვე აუშვებს ლუზას და ცდილობს გავიდეს ღია ზღვაში.

მდინარე ხობი, რომელიც რედუტ-კალეს კვეთს და ქალაქთან ერთვის პონტოს, საკმაოდ ღრმაა და მოზრდილ გემებს შეეძლოთ მის კალაპოტში მშვიდად დგომა; ამას კი ხელს უშლის თვით შესართავთან დაზვინული ქვიშა (ეს საერთოა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მდინარეთათვის), რისი გამაგრებაც მხოლოდ მძიმე და ძვირადღირებული მშენებლობითაა შესაძლებელი. გემები, რომლებსაც სამ ფუტზე მეტი წყალშიდი აქვთ, არ შეუძლიათ მდინარეში შესვლა და ამიტომ ყოველთვის ჩქარობენ ბარგის შეძლებისდაგვარად მალე გადმოტვირთვას, რომ მაშინვე გაბრუნდნენ ღია ზღვაში. ფოთის სადგომი რიონის შესართავთან, ისევე როგორც სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო ანაკლიისა, არ არის უფრო უხიფათო. მხოლოდ პატარა

თურქული ცალიალქნიანები, რომლებიც სამსუნიდან, სინოპიდან და ტრაპეზუნტიდან მოდიან რედუტ-კალეში და შემთხვევის მიხედვით მონათა ვაჭრობასაც მისდევენ, კოლხურ სანაპიროს საკმაოდ უხიფათოდ ადგებიან, რადგან ძალიან დაბალი წყალშიდის გამო მდინარეთა თავთხელ შესართავებში ადვილად შედიან და ვაკე ადგილებში არც თუ დიდი გაჭირვებით ნაპირზე ამოათრევენ.

რედუტ-კალე დასავლური გაგებით არასდროს ყოფილა ქალაქი. ამის მიუხედავად ამ სანაპირო პუნქტის მნიშვნელობა დიდი იყო სამეგრელოში რუსული მფლობელობის დაწყებიდან 1831 წლამდე. 1821 წლის 8 ოქტომბრის უკაზით ტრანსკავკასიის პროვინციებმა მიიღეს ვაჭრობის სრული თავისუფლება ათი წლით. ეს დრო იყო აყვავების ხანა არა მარტო მთელი რუსული კოლხეთისთვის არამედ ქართლის (გრუზია) და რუსული სომხეთისთვისაც, რომლებიც მაშინ შემოსავლიან საქარავნო ვაჭრობას ეწეოდნენ სპარსეთთან, რამაც შემდგომ სხვა მიმართულება მიიღო.

ვისაც წაუკითხავს ტფილისში მყოფი ფრანგი კონსულის გამბას სამოგზაურო ნაშრომი, შეუძლია წარმოიდგინოს, რა ძნელია სომხებივით ნიჭიერ ხალხსაც კი რომ ასწავლო თავისივე საკუთარი სარგებლისთვის სხვა გზის არჩევა, ვიდრე რასაც მათი მამები ადგნენ. ძალიან დიდი გაჭირვებით შეძლეს ზოგიერთი სომეხი დიდვაჭრის დაყოლიება, რომ წასულიყვნენ ლაიფციგში მესაზე, რათა იქ შეეძინათ წინააზიისთვის საჭირო საქონელი. ბოლოს ზოგიერთმა ტფილისელმა სომეხმა გაბედა. მათ მოინახულეს ლაიფციგისა და ფრანკფურტის ბაზრობები და გაუკვირდათ საქონლის მდიდარი არჩევანი; შეისყიდეს იაფი მაუდი და ბამბის ქსოვილები, მანუფაქტურის ნაწარმი აღმოსავლური გემოვნების მიხედვით, ბოჰემური მინა და სხვა ნივთები საკმაოდ მაღალი ხარისხისა, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე თავრიზის ბაზარზე ფრანგულ საქონლად იყო ცნობილი. ეს ყოველივე ბროდისა და რაძივილოვის გავლით გაგზავნეს ოდესაში, საიდანაც სატრანსპორტო გემით რედუტ-კალეს მიაღწიეს. აქედან ტფილისისკენ გადაზიდვა მოხდა საზიდრებით, ნაწილობრივ საჰედრებით. გზა თითქმის სულ ვრცელ ვაკეზე გადიოდა და, გარდა ლიხის მთის მოკლე მონაკვეთისა, რომელიც იმერეთს ქართლისგან (გეორგია) გამოჰყოფს, ქარავანს არავითარი დაბრკოლება არ ჰქონია. ტფილისიდან ქარავნებმა ლაიფციგის საქონელი ერევნისა

და ნახიჭევანის გავლით ჩაიტანეს თავრიზში. გაყიდვამ პირველივე წელს ისეთი მოგება მოიტანა, რომ მომდევნო წელს ტფილისიდან ლაიფციგში მიმავალი სომეხი დიდვაჭრების რიცხვი გაორმაგდა და ვაჭრული საქმიანობის სული, რომელიც ამ ჭკვიან ხალხში მხოლოდ უბრალო წახალისებას საჭიროებს, საკმაოდ ფართოდ გაიშალა.

რედუტ-კალე, აქამდე პატარა, ვაჭრობისთვის თითქმის უცნობი ბუდე თორმეტიოდე ღარიბი ხის ქოხით, უცბად გადაიქცა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტად (ემპორიუმად) შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, როგორც ძველ დროს ფაზისი და დიოსკურია. მშენებლობის მწარმოებლები, ვაჭრები, მიკიტნები და ყველა სახის სპეკულანტები მრავლად დასახლდნენ აქ; ახალი მაღაზია-საწყობები სოკოებივით ამოვიდა ჭაობიანი მიწიდან. ახლო მდებარე ტყეების ამოუწურავი სიმდიდრე ყველა სახის საშენი ხე-ტყისა ახალი კოლონიისთვის განსაკუთრებით გამოსადეგი იყო. მცირე აზიის ნავსადგურებიდან წამოედინენ თურქი და ბერძენი მენავეები, რომელბიც თავისი მოქნილი და მსუბუქი ნავებით მღელვარე პონტოს და მის ბოროტ ხუმრობას საკმაოდ უშიშრად ეურჩებოდნენ და ნიჩბების საშუალებით ქარიშხალშიც კი შედიოდნენ ხობის შესართავში. თვით ოდესელი ექსპედიტორები ამ პატარა ნავებს უფრო ქირაობდნენ (ფრახტავდნენ), ვიდრე მათ სამიალქნიან გემებსა და ბრიგებს, რომლებიც ყოველწლიურად არც თუ მცირე რაოდენობით ტვირთიანად იძირება კოლხეთის სანაპიროსთან. შემოტანილი საქონლის ღირებულებამ თითქმის 2 მილიონი ვერცხლის მანეთი შეადგინა. კოლხური პროვინციები არასაკმაო გატანიდან პროგრესულ ვაჭრობაში ჩაებნენ. სხვადასხვა ადგილობრივი ნაწარმი გამოიყენეს სანაცვლო საქონელისთვის. სიმინდი, ფეტვი, გამხმარი ხილი, თამბაქო, ტყავეული, ცვილი, ღვინო, ყველაზე მეტად კი საუცხოო მეგრული საშენი ხე-ტყე გაემართა ოდესისკენ, იქ სარფიანად გასაღდა და აქამდე ასე ღარიბ კოლხურ სანაპირო მხარეში (მისი ერთადერთი გასატანი საგანი ადრე ლამაზი ქალები იყვნენ თურქული ჰარემებისათვის) ათწლიანი თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სწრაფად გაიზარდა კეთილდღეობა. ასევე ტფილისი და ერევანიც, რომელთა ქარვასლებიც მაშინ განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ, აგრეთვე ტრანსკავკასიის ყველა, ზღვასმოწყვეტილი შიდა ნაწილი, რომლებიც სპარსეთისკენ მიმავალ ქარავანთა მსვლელობას

ერთგვარად ეხებიან, ოდესასა და რედუტ-კალესთან ერთად ინაწილებდნენ მოგებას ამ შემოსავლიანი სატრანზიტო ვაჭრობიდან.

1831 წელს რუსულმა მთავრობამ ტფილისში გამოგზავნა კანცლერი პელჩინსკი, რომ გაეგოთ ვაჭრობის მდგომარეობა. ფინანსთა მინისტრის კანკრინის აზრით (იგი ტრანსკავკასიის პროვინციების მიერ მოპოვებულ მშვენიერ პრივილეგიას თავისუფალ ვაჭრობაში თავიდანვე შურის თვალით უყურებდა) დადგა შესაფერისი დრო, რომ ამ ქვეყანაში გაეტარებინათ რუსული საბაჟო სისტემა. თავისუფალი ვაჭრობა წყდებოდა; რუსული საბაჟო ხაზი გადაიწეოდა აჭარის ქედსა და არაქსამდე; სპარსეთს აიძულებდნენ საქონელზე მოთხოვნა შიდა რუსეთიდან დაეკმაყოფილებინა (რუსეთზე გავლით — გ.გ.). პიროვნებებმა, რომლებიც მოიწვიეს ტრანსკავკასიის აყვავებისათვის გადამწყვეტი კანონის განსასჯელად, მისცეს „ხო“ და „არა“... (რომ ჰკითხოთ პირადი ინტერესით). მარტო მოსკოველი მდიდარი ფაბრიკანტები არ იყვნენ, რომლებმაც წამოსწიეს დამღუპველი მოწოდება რუსული ამკრძალავი სისტემის შემოღების შესახებ ამ ქვეყანაში თავისუფალი ვაჭრობის მაგიერ. აგრეთვე ტფილისელმა ზოგმა მდიდარმა სომეხმა სპეკულანტმა, რომელთაც რუსული მანუფაქტურული ნაწარმიდან მნიშვნელოვანი მოგება მიეღოთ, შეუერთა ხმა ამ ყვირილს — რუსული საბაჟო სისტემის შემოღების თაობაზე. ამ ნაბიჯის შედეგები, რომელმაც მოსახლეობის გაღატაკება გამოიწვია, მხოლოდ ცოტამ თუ შეიგნო მთელი სისრულით.

გარდა კანცლერ პელჩინსკისა და ფინანსთა მინისტრ კანკრინისა, მაშინდელ სამოქალაქო გუბერნატორის ზავილეისკის სახელსაც, როგორც ამ დამღუპველი კანონის მთავარ გამტარებლისა, ქვეყნის წყევლა აწევთ. ამან ტფილისელი მდიდარი კაპიტალისტების მხარდაჭერით დააარსა აზიური სავაჭრო საზოგადოება, რომლის მიზანიც იყო რუსული მანუფაქტურის ნაწარმისათვის სპარსეთისკენ გაეკვლია გზა. თვით მას ამ საქმისთვის საკმაო თანხა მისცეს. გადაწყვეტილად ჩათვალეს, რომ სპარსეთი დაკმაყოფილდებოდა რუსული ნედლეულით, როგორც კი ინგლისური, გერმანული და ფრანგული საქონლის გატარებას შეუწყვეტდნენ ტრანსკავკასიაში. ტფილისში რუსი მოხელეები, სომეხი კაპიტალისტები სტ.-პეტერბურგის მთავრობასთან და მოსკოვის ფაბრიკანტებთან ერთად იზიარებდნენ

უცნაურ ილუზიას, რომ ვაჭრობას აიძულებდნენ განსაზღვრული მიმართულება მიეღო, ანდა დარჩენილიყო თავის ხელში. 1832 წელს თავისუფალი ვაჭრობა გააუქმეს კოლხური მოსახლეობისდა-გულის გასახეთქად, რომელთა გაღატაკება ნათლად ჩანდა. მაგრამ ტფილისსა და მოსკოვშიც მოჰყვა გულის გატეხა თავბრუდამხვევ იმედებს. სპარსულმა საქარავნო ვაჭრობამ ისევ ძველი გეზი აიღო — ტრაპეზუნტსა და ერზერუმზე გავლით. სამმა კონსტანტინოპოლელმა უმდიდრესმა ბერძნულმა გვარმა თავის ხელში აიღო ეს მომგებიანი ვაჭრობა, რასაც არაჩვეულებრივად შეუწყო ხელი ახლად დაარსებულმა ორთქლის გემის სამგზავრო ტრასამ ტრაპეზუნტსა და სტამბოლს შორის. ამ გვარებმა თავრიზში ფილიალები შექმნეს. საქონელი უმეტეს წილად ინგლისიდან მოჰქონდათ, ცოტა გერმანიიდან, მოსკოვურ ნაწარმზე კი ლაპარაკიც არ იყო. უბედო ტრანსკავკასიურმა პროვინციებმა სატრანზიტო ვაჭრობის მოგებასთან ერთად დაკარგეს თითქმის მთელი ექსპორტიც, რომელსაც უკვე, როგორც ჩვეულებრივ ტვირთს, ხეირი აღარ ჰქონდა. ჩემი ჩასვლისთვის რედუტ-კალე ისევ გაცარიელებული იყო. თვით ტრანსკავკასიის პროვინციების მოთხოვნა რუსულ მანუფაქტურულ ნაწარმზე უმნიშვნელოა და არაფრით არ ანაზღაურებს სატრანზიტო ვაჭრობის დანაკარგს. უახლეს ხანაში თავადმა ვორონცოვმა შეძლო თავისი გავლენიანი ხმით რუსული ამკრძალავი საბაჟო სისტემის შეჩერების მიღწევა. მაგრამ სპარსული ქარავანი ისევ რუსეთზე რომ გავიდეს, დღეს უკვე გვიან არის. თურქულმა მთავრობამ ამ ვაჭრობას მთელი ძალებით შეუწყო ხელი. ქარავნები დღეს დიდი უსაფრთხოებით მიემართებიან თურქულ სომხეთზე, თვით ერთ დროს ასე განთქმულ ქურდთა ქვეყანაზე თოფრაკალასა და ბაიაზეთს შორის. თურქი კავასები საკმარისნი არიან ამ მხარეთა ქურთი ყაჩაღური ბანდების თავდასხმის გასაფრთხობად.

რედუტ-კალეში ვერ ვნახეთ გემი ტრაპეზუნტისკენ გასამგზავრებლად. ამასთან სამხრეთ-დასავლეთიდან ქროდა ძლიერი პირქარი; პონტოს ტალღები, რომლებიც შორიდან მწვანე ველების ხნულებს ჰგავდნენ, ხოლო ნაპირთან ქაფის გვირგვინშედგმულ საფლავებს, ისეთი სიძლიერით ეხეთქებოდნენ ნაპირს, რომ მისი ხმაური და შრიალი, ასევე მოქცევისგან აქეთ-იქით აგორებული კენჭების ჭახუნი და ჩხრიალი ქარის ზუზუნში და ხარაჩოების ბრახუნშიც ისმოდა ბარაკებში.

ღამით ტალღების ეს ხმაური განსაკუთრებით საშინელი იყო. ეს იყო წივილი და კვნესა, თითქოს აგორებული საფლავის ბორცვებიდან იმ მიცვალებულთა ხმების ყვირილი, რომლებიც ბოროტმა ნაპირმა, ცივმა ზღვამ დამარხა. დიდი რუსული იმპერიის არცერთი ადგილი არაა ისე დამღუპველ-მომაკვდინებელი ჩრდილოელი მოსულებისათვის, როგორც სანაპიროს ეს ადგილი ხობისა და ფაზისის შესართავებთან. ივლის-აგვისტო-სექტემბერში ჩვეულებრივ იხოცება რუსული გარნიზონების მეოთხედი, რომელიც ამის გამო ძალზე შემცირებულია. სხვა ჯარისკაცები, რომლებიც მრავალწლიანი სამსახურისას სიკვდილს გადაურჩნენ, გვანან მოსიარულე მიცვალებულებს; ჩრდილოური ძალა გამოცლილი აქვთ კიდურებიდან, ისინი დარაჯობენ მოკანკალე ფეხებით, ძლივს მიათრევენ მუშკეტებს ზღვის ნაპირზე, რომელიც უნდა დაიცვან კონტრაბანდისტებისგან და მონებით მოვაჭრეთაგან. მცირე სამოქალაქო მოსახლეობა ნაკლებ ავადდება, ვიდრე გარნიზონი, რადგან ისინი ჭაობის ანაორთქლებისადმი ნაკლებ მიდრეკილნი არიან, ცხოვრობენ უფრო მოხერხებულად და უკეთეს საკვებს მიირთმევენ. მიუხედავად ამისა, მათაც ჰყავთ საკმაო კონტინგენტი იმ დიდი სასაფლაოს დასასახლებლად, რომელიც რედუტ-კალესგან თორმეტ ვერსზეა სამხრეთით. უფრო ლამაზ ადგილს მიცვალებულთა შესაკრებად ვერ მოიფიქრებდა კაცი. საფლავები გაფანტულად დგანან ულამაზეს ტყეში, მძლავრი ხეების ჩრდილში, ზღვის ნაპირის ახლოს, რომლის ხმაურა ტალღების ცემა მუდმივ გოდებასავით იჭრება ხეებსა და ბუჩქებს შორის სიცარიელეში და შეერთებული დაბალ სამგლოვიარო მუსიკასთან, მონოტონურია, მაგრამ მელოდიური. გზა ამ ლამაზი სასაფლაოსკენ აუწერლად მშვენიერია. ყველგან მრავლდება, ცდილობს, ცოცავს, ეხვევა და ერთმანეთს ეხლართება ძლიერი მცენარეული. ყველა სახის ხეხილია აქ, განსაკუთრებით ლეღვი, ალუბალი, ქლიავი, ვაშლი და უზარმაზარი კაკალი, რომელთა ნაყოფსაც ქარი მიწაზე ყრის, სადაც შეუჭმელად ლპება. კოპიტის, ცაცხვის, წიფლის და ნეკერჩხლის — სასაფლაოს ტყის ამ სქელტანიანი გოლიათების გვერდით გვხვდება აგრეთვე თხელტანიანი დაფნა, ტვია და გარეული ვარდი, რომლებიც საფლავის ბორცვებზე ხელუხლებლად იზრდებიან. გარეული ვაზი, ხვართქლა, სურო, წითელი ხენდრო და ასეულობით სხვა მხვიარა მცენარეული ბუნებრივი გირლიანდებივით შემორტყმიან ხის ჯვრებს — ესაა საალაპე

სამკაული, როგორსაც მებაღის ხელოვნება ევროპული დედაქალაქების სასაფლაოებზე მსგავსი სილამაზით ვერ შექმნის.

მაშინ როცა ჩემი თანმხლებნი წვიმიანი და ცივი ამინდის გამო ჩვენი ბერძენი სახლის პატრონის მშრალ და თბილ ბარაკებში ამჯობინებდნენ ყოფნას, მე ხან ფეხით, ხან ცხენით დავსეირნობდი და ექსკურსიებს ვაწყობდი შემოგარენში ერთი ახალგაზრდა მეგრელი ყმაწვილის თანხლებით, რომლის სახის ნაკვთები სწორი და დახვეწილი სილამაზით არაფრით ჩამორჩებოდა პარისს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელია რედუტ-კალეში ცხოვრობდა, ციებას გადაურჩა. ბოროტ ანაორთქლს, რაც რუსებისთვის მომაკვდინებელია, ყველა უცხოელზე დამღუპველად მოქმედებს და თვით ადგილობრივთა ჯანმრთელობასაც ყოველმხრივ ასამარებს, უდროოდ აბერებს და სიცოცხლის ძაფს გაცილებით ადრე უწყვეტს, ვიდრე მეზობელ ჯანსაღ მაღალმთიან მხარეში, ჯერ კიდევ ვერ განუდევნია ვარდისფერი ამ ახალგაზრდის ლოყებიდან, აგრეთვე არ შეუმცირებია ტვინის და კიდურების ძალა. თექვსმეტი წლის ახალგაზრდის სხეულმა ბოროტ მტერს აქამდე გაუძლო. ასეთი რამ სამეგრელოში არაა იშვიათი ყველაზე არაჯანსაღ მხარეებშიც; მაინც ოცი წლისთვის ჰავის მოქმედება უმრავლეს ინდივიდებზე ალბათ უკვე შესამჩნევი იქნება.

თავდაპირველად მოვინახულეთ გაშლილი ზღვის სანაპირო, სადაც პონტოს ქარიშხლის დიდებული თამაში ვიხილე. ნაპირზე ტალღებისგან დახვავებული რიყის ქვა, რომელსაც ტალღის დარტყმა არწევს, შედგებოდა ძალზე მრავალფეროვანი კრისტალური ქვის სახეობათაგან, უმეტესად კვერცხის სიდიდის, რადგან ზღვის მუდმივი მოძრაობა ქვებს ხახუნის შედეგად ხეხავს და ზომაში აპატარავებს. გრანიტი, სიენიტი, გაბრო, კვარცი, მარმარილო ყველანაირი სახეცვლილებით გვხვდება კენჭებში; მკვრივი კირი იშვიათი იყო. ყველა ეს ქვები კავკასიონიდანაა, საიდანაც ისინი კოლხეთის დაბლობზე ჩამოაქვთ სამხრეთ კალთებზე ჩამომავალ მდინარეებს. ყველაზე ხშირი და მრავალფეროვანია უამრავი სახის პორფირი.

როცა წვიმამ გადაიღო და შავი ქარიშხლის მაგიერ „თეთრმა" დაბერა (ასე უწოდებენ შავ ზღვაზე უღრუბლო ქარიშხალს), მოვაწყე ექსკურსიები ხობის მონასტრისა და ფაზისის შესართავისაკენ; შემდგომ ზუგდიდი მოვინახულე, სამეგრელოს დადიანის რეზიდენცია, რომელიც

მდებარეობს ოდიშის ლამაზ მხარეში. ეს ადგილები უკვე დაათვალიერა და აღწერა ჩემმა წინამორბედმა, განსაკუთრებით შარდენმა, დიუბუამ, კოხმა, პაროტმა; ამიტომ მე მხოლოდ ზოგი აღნიშვნით დავკმაყოფილდები. როცა მოგვიანებით გრიგალი ჩადგა, ზღვა ისე აღარ ღელავდა, ხოლო ვერცხლისფრად მოელვარე კავკასიონს ლურჯი და ნათელი ცა შემოადგა, ვიპოვეთ უკვე ნახსენები თურქული გემი, რომელსაც ჩვენ უნდა წავეყვანეთ კოლხურ ნავსადგურ ტრაპიზონტამდე; ჩვენ ორიოდეჯერ ჩამოვსხედით ლაზურ სანაპიროზე, სადაც დავათვალიერე მოგზაურთაგან ნაკლებად მონახულებული ქალაქი ბათუმი და ჭოროხის შესართავი; აგრეთვე ხანგრძლივი პირქარისას, რომელიც ჩვენ თურქ კაპიტანს სჭირდებოდა თავისი პატარა გემის ვაკე ნაპირზე ასათრევად, შევიძელი რამდენიმე ბოტანიკური ექსკურსიის მოწყობა ლაზურ გაუვალ ტყეებში.

სამეგრელოში არსადაა ისეთი სამოსახლო, რომელსაც ევროპული გაგებით სოფელი ეთქმოდეს. სახლები გაფანტულად დგანან ჭალებისა და მდელოების შუაგულში, რომლებიც გაჩეხილ ულრანში მზით განათებული ნათელი კუნძულებივით იმზირებიან ხეთა ზღვაში. სოფელი ხობის სახლებიც სიგრძეში იყვნენ გაფანტულნი. სოფლისგან მცირე მოშორებით მდინარის ნაპირზე, მშვენიერი ტყიანი გორაკის წვერზე დგას ამავე სახელის მონასტერი. ყველგან იგივე სიმდიდრეა მცენარეული სამყაროსი, რაც ქვეყანას მაღალი ქედის ხედის გამოკლებითაც ყოველთვის თანაბარ მხატვრულ სილამაზეს ანიჭებს და თვალი მისი ცქერით არ ილლება.

წიფლის, კოპიტის, მუხის გვერდით, რომლებიც გერმანული ტყის ბუნებას მოგვაგონებენ, მთის კალთებზე ყველაზე ხშირად აღიმართება ტკბილი წაბლის ხე, რომელიც მზიან ადგილას ისევე მაღალი იზრდება და ისეთივე ძლიერი გვირგვინი აქვს, როგორც ჭადარსა და მუხას, რომლებიც მას როკის, ტოტებისა და ფოთლების ხატოვანი ფორმით აღემატებიან. შროშანა, ძახველი თავისი პატარა ხერხისებრი ფოთლებით, მაყვალი მოღუნული ეკლებით, გრძლად წამოზრდილი მჭახე წითელი ფერის ტოტები და ღეროები, მბრწყინავი მწვანე ფერის გულიანი სურო; — ყველა ეს მხვიარა მცენარე, რომელთაც ეკუთვნიან ასევე მაჩიტა ისრისებური ფოთლებით, ველური სვია, კოწახურის ბუჩქი წითელი კენკრით და ბევრი სხვა ლიანის მსგავსად მზარდი მცენარეული,

ეყრდნობიან ხის ტანებს, ეხვევიან ზევითკენ ტოტებს და ტანს, ანდა იზრდებიან როგორც ნამდვილი პარაზიტები ძველ დამპალ და მკვდარ ტანებზე. ფაზისის სანაპიროს მცენარეულს იმეორებს ხობისა და ჭოროხის მიდამოები, ოღონდ ნაკლები სიდიადით. კოლხეთის მდინარეების ნაპირთა სილამაზე ჯერ კიდევ ძველ ბერძნებში იწვევდა გაკვირვებას... ჩემი ფრანგი თანამგზავრები, რომლებიც კიროსისა და დარიოსის გადამხმარ სამფლობელოს მწარე გამოცდილებით იცნობდნენ და ნოყიერ მწვანე კოლხურ სინამდვილესთან ხორასნის ქვიშიან უდაბნოთა შედარებაში სხვაობას ხედავდნენ, საკვირველებით მოჯადოებულნი ხშირად ხმამაღლა წამოიძახებდნენ ხოლმე.

ხობის მონასტერში ცხოვრობს წმ. ბასილის ორდენის რამდენიმე ქართველი ბერი, რომელთაც არქიმანდრიტი მეთაურობს. უწინ ეს იყო სამეგრელოს ექვს საეპისკოპოსოთაგან ერთი, რომლებიც შემდგომ სააბატოებად შეიცვალა. ამ სასულიერო სამყოფელს გარს მაღალი გალავანი ავლია ტრანსკავკასიის თითქმის ყველა მონასტრის მსგავსად; მონასტრის ეკლესიის მშენებლობის სახე და შიდა მორთულობა ნაკლებ მნიშვნელოვანია. სვეტების მარმარილოს კაპიტელები წარმოადგენენ სხვადასხვა სტილის ჭრელ ნარევს და უხეშადაა დამუშავებული. ხობის მონასტერი სამეგრელოს მბრძანებლისთვის არის წმინდა დენისი (Saint Denis). ვამეყ დადიანის შემდეგ დადიანის მმართველი გვარის ყველა პრინცის ნეშტს აქ მიუჩინეს ადგილი.

მონასტერში მცირე შესვენების შემდეგ შევკაზმეთ ცხენები და განვაგრძეთ გზა ზუგდიდისკენ. ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ჩეხნიას (Tschechnia?) ნაპირას მდებარე, რომელიც ჯუნისთან შეერთების შემდეგ ენგურში ჩაედინება. ზუგდიდი ძველთაგანვე იყო სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია; დღევანდელმა დადიანმა დავითმა, რომელიც რუსული სამსახურის პოლკოვნიკია და რომელიც თავისი პატივისა და უნიფორმისათვის, როგორც ეს ბოდენშტედტმა სამართლიანად შენიშნა, უსაშველოდ ზრუნავს, უახლოეს ხანში იქ ააშენა დიდებული საცხოვრებელი სახლი. ბუნებამ მთავრის საჯდომის გასალამაზებლად გაცილებით მეტი მოიმოქმედა, ვიდრე მეგრელმა მშენებელმა ოსტატებმა. მიდამო ყოველი მიმართულებით ლამაზია, მიწა საოცრად ნაყოფიერი. ბუნებრივად გამრავლებულ ხეებთან, ბუჩქებთან, მცოცავ და მხვიარა მცენარეულთან ერთად გვხვდება

მშვენიერი ნარგავები, ფეტვის ყანები, რომელსაც აქ ღომს უწოდებენ, და თურქული მარცვალი (სიმინდი-გ.გ.), რომლის ღერო 12 ფუტის სიმაღლეს აღწევს და ცხენიან მხედარს ფარავს. ორი-სამი ნაყოფი ტარო თითოეულ ღეროზე არაა იშვიათი.

ზუგდიდის ჩრდილოეთით, მისგან ახლოს, ძველი ქალაქის ნანგრევები, რომლის წარმოშობა და ისტორია სრულებით უცნობია. არცერთი წარწერა არ გვამცნობს მის სახელს. ოდიშის მხარე, სადაც დადიანის რეზიდენციაა, მდიდარია ძველი სასახლეების და ციხეების ნანგრევებით. ტრანსკავკასიის ყველა პროვინციებიდან, გურიისა და რიონის სანაპიროს გამოკლებით, არ არსებობს არცერთი მხარე ოდიშს რომ ჭარბობდეს ნაყოფიერებითა და სილამაზით. ზუგდიდსა და ხობზე უფრო ლამაზია მარტვილის მონასტრის მდებარეობა. დიუბუამ დეტალურად აღწერა ამ მონასტრის შენების სტილი და ღირსშესანიშნაობანი. ამ სწავლულის ჩასვლისას იქ იჯდა ეპისკოპოსი დავით ჭყონდიდელი თავადური გვარიდან, რომელიც მოგვიანებით გადააყენეს, რადგან ბრალად დასდეს მმართველი მთავრის დადიანის წაქეზება რუსეთის წინააღმდეგ და მისი ძმის გენერალ დადიანის მოწამვლა. მონასტრის სიმაღლიდან გადაგვეშალა მშვენიერი პანორამა, როგორსაც კაცი ვერ იფიქრებდა. მთელი მცენარეული სამყაროს სიუხვე ჩვენს ფერხთით იდო. ცა ისევ მოიწმინდა და ატმოსფერო, როგორც ჩვეულებრივ ხანგრძლივი სამხრეთული თავსხმის შემდეგ, უფრო სუფთა და გამჭვირვალე გახდა, ვიდრე ცხელი ზაფხულის თვეებში. მთელი სამეგრელო და იმერეთი ჩვენს წინ სურათივით იშლებოდა, რომელსაც ოქროსფრად მოელვარე ქედების ჯაჭვის ჩარჩო ეკვროდა. თვალსაწიერის არეში მოქცეული იყო მთელი დინება მშვენიერი კოლხური მდინარეების — ფაზისის, ხობის, ენგურის და ცხენისწყალის, რომელთა სათავესაც ქმნიან ფასის მთის მყინვარები; ეს კი იალბუზისა და ყაზბეგის შემდეგ კავკასიონის ყველაზე მაღალი მწვერვალია. ეს დიდებული თოვლიანი მთა თავისი ორი თეთრი წვერით კავკასიის ალპებზე აზიდულა ჩრდილოეთით... და როცა თვალი ადარებს მას იალბუზის თეთრ პირამიდას, არ იცი, რომელია ამ გოლიათებიდან უფრო დიდი. სამხრეთით და აღმოსავლეთით თვალი იკარგება სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის სწორ და დაბლობ მხარეებში, რომლებსაც ზოგჯერ დაბალი გორაკები კვეთენ. აჭარისა და ახალციხის ქედების თეთრი მწვერვალები ნათლად ჩანდა

სამხრეთით, მაშინ როცა დასავლეთით ცისფერი ნისლი ენგურისა და ფაზისის შესართავების თავზე მიუთითებდა შავი ზღვის ზედაპირის არსებობაზე. რაც უფრო ლამაზია კოლხური ლანდშაფტის წვრილმანები, რომლებიც მონასტრის მთის გადმოსახედიდან ახლო ბატონობს, მით უფრო გრანდიოზულია სურათი მთების ავანსცენისა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფონზე.

ღონიერი და სწრაფი მეგრული ცხენების დაკრული ჭენებით იმავე დღეს დავბრუნდით რედუტ-კალეში, სადაც სამი ფრანგი თურქ კაპიტანს ელაპარაკებოდა, რომელმაც თავისი გემის ტვირთი კარანტინისა და მაღალი მოქცევის მიუხედავად, ბედნიერად გადმოიტანა ხმელეთზე. თურქს სურდა მაშინვე გაბრუნებულიყო ტრაპეზუნტში, რადგან ის კარგად იცნობდა ვერაგ ნაპირს და პონტოზე ცურვის საშიშროებას ბუნიობის დროს. მან საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვა მგზავრობისთვის. ბერძენ სახლისპატრონს, ვისთანაც ჩვენ ვიდექით, შეშურდა ამ ურწმუნოს უეცარი მოგებისა და უკანა გზაზე, ქირავნობის შემთხვევაში, ის აპირებდა შეეთავაზებინა ეს საქმე თავისი თანამორწმუნისთვის, რომლის ჩამოსვლასაც ყოველდღე ელოდა. ჩვენ რომ მანამდე შეგვეცადა, ამ ბერძენმა ყველაფერი შესაძლებელი შემოგვთავაზა: მუქ შავ ფერებში გვიხატავდა საფრთხეს, რაც გველოდა ძველ თურქულ ორჩხომელზე მისი უვარგისი პერსონალით და უვიცი კაპიტნის მეთაურობით; გამოთქვამდა ეჭვს, რომ თურქი სადმე, რომელიმე განმარტოებულ ადგილას ლაზურ სანაპიროზე ყაჩაღ მთის მოსახლეებს ჩაუგდებდა ჩვენ თავს. მე და ჩემი თანამგზავრები ხანგრძლივი პრაქტიკით შეჩვეული ვიყავით ბერძნულ ტყუილებსა და ეშმაკობას, რომ ჩვენი მეპატრონის მონაყოლს დავყოლოდით. ამის მიუხედავად მისმა სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მამა ბენედეტოზე. კაპუცინელი ადამიანის ცუდი მცოდნე იყო (სისუსტისა და მშიშრობის გამო იოლად იჯერებდა). ზოგი მეგრელი, რომელიც ბერძენმა ჩაითრია შეთქმულებაში, უდასტურებდა მის შიშს; კაპუცინელი გახდა მათი არჩეული იარაღი, რომლის საშუალებითაც სურდათ ემოქმედათ ორივე ქალბატონის ისედაც საშინელებების სურათით ავსებულ ფანტაზიაზე. რუსმა ხელმძღვანელობამაც ყოველნაირი სიძნელეები შეგვიქმნა. ჩვენი ბარგი, ნაწერები წვრილად გასინჯეს, ჩვენი ფულიც კი დათვალეს სასაზღვრო მოხელის თანდასწრებით. ამ საზიზღარი ფორმალობის გასამართლებლად,

რაც მოგზაურს ძალზე უსარგებლოდ აღიზიანებს და აღშფოთებს, რედუტ-კალეს მოხელეები მიუთითებდნენ სხვადასხვა უკაზებზე, რომელთა მეტად მკაცრი შესრულება შეიძლებოდა მხოლოდ ვერცხლის მანეთით აგვეცილებინა.

სანამ ჩემი თანამგზავრები ბჭობდნენ და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, მე გავემართე ზღვის ნაპირის გასწვრივ ფოთისა და ფაზისის შესართავისკენ. გზა ნაწილობრივ გადიოდა მომაჯადოებელ კოლხურ ტყეებზე, რომლებიც პატარა წყვეტილი შუალედებით კვლავ ამოიზიდებოდა ნოყიერი მიწიდან. სადაც ზღვის წყალი და მდინარეები მიწას არ აჭაობებენ, ან ტბად არ აქცევენ, მცენარეული სამყარო ამ საოცარ ქვეყანაში იმდენად სავსეა ძალით, სიცოცხლით, სიუხვით და სიმკვირცხლით, როგორსაც ევროპელები ვერ წარმოიდგენდნენ. ამ ბედნიერი ცის ქვეშ მაშინ თითქოს სამი ყველაზე მშვენიერი წელიწადის დრო იყო გაერთიანებული. იმ ხეთა ფოთოლი, რომლებიც კოლხურსა და გერმანულ ფლორას საერთო აქვთ, თავისი ჭრელი და მრავალგვარი ფერებით შემოდგომას გვაგონებდა, მაშინ როცა ნახევრად მწიფე ხილით დამძიმებული ხეები, ისევე როგორც ოდნავ შეწითლებული მტევნები (ისინი სიმაღლის გამო სამეგრელოში უფრო გვიან მწიფდება, ვიდრე რაინის მხარეში) მოგვაგონებდნენ ზაფხულს; ხოლო მრავალი ბუჩქის სიმწვანე, რომელთაც ფოთოლი არ დაცვენოდათ, მრავალი ტყის ყვავილები (მათ შორის ჯერ კიდევ აყვავებული როდოდენდრონი და იელი), რომელთა ჩვეულებრივი ყვავილობის ხანა გაზაფხულზე მოდის, ღია წითელი ვარდები, მოალერსე-თბილი ჰაერი, ყოველივე ავიწყებდა მოხეტიალეს კალენდარს და გადაჰყავდა მაისის თვეში. რაც უფრო ვუახლოვდებოდი ფაზისის შესართავს და პალიასტომის ტბას, მით უფრო ფუფუნებაში იყვნენ მცოცავი, მხვიარა და პარაზიტი მცენარეები, რაც ფაზისის სურათს ამსგავსებდა მისისიპისა და ორინოკოსას, რომლებიც დიდმა ბუნების მხატვრებმა ჰუმბოლტმა და შატობრიანმა მოგვცეს. დაკიდულ და მოქანავე ფლორას პალიასტომზე ემატება აგრეთვე მოცურავეც. უამრავი ლამაზად გაფოთლილი ვარდი იყო ამოშვერილი წყლის ზედაპირზე.

სამსაათიანი სვლით მივაღწიე ფოთს და ფაზისის შესართავს. მოლურჯო მშრალი ნისლი იკრიბებოდა კოლხეთის მშვენიერი მხარის — გურიის უსასრულო ბაღების თავზე. სამწუხაროდ დავცხერდი

მხოლოდ შორიდან ჭვრეტას. იმის დასადგენად, თუ რამდენად მიმზიდველია ამ გურული ბუნებრივი პარკის სირინოზების მსგავსი ჯადო, რომელიც სამეგრელოსას სილამაზით უნდა აღემატებოდეს, ვერ გადამეწყვიტა შევსულიყავი ღრმად და თანაგზავრები, ბარგი და გამგზავრების მომენტი მიმეტოვებინა. ძველ ფოთში მეორე შესვენების შემდეგ, სადაც ჩემი ცხენი დავტოვე, ფეხით გავემართე მდინარის აღმა მის მარჯვენა ნაპირზე; რამდენიმე მილზე კორკის ქვემოთ მარცხენე ნაპირზე გდავედი. წყნარი და თბილი დღე, სანაპირო ტყის სასიამოვნო ჩურჩული, გუგულის ნაღვლიანი ძახილი ბებერი ჭადრის დამაბუნებული სხეულიდან ოცნებებსა და მოგონებებში გვხვდება. ტყის ბალახეული და ხოჭოები, რაც უნდა შემეგროვებინა, ხელუხლებელი დამრჩა...[1]

„უკვე დაბნელდება, ბატონო, სანამ ციხესთან მივალთ; თან დღეს არ დავნაყრებულვართ!" — ეს იყო ჩემი მეგზური და თარჯიმანი, რომელმაც ხელი შეუშალა ჰომეროსისეულ გახსენებებს. იგი მიცდიდა ბანაკში, დიდხანს ამაოდ მეძებდა სანაპირო ლაბირინთებში და ბოლოს აღმოაჩინა მწვანე სავარძელში და კითხვის პროცესში მეოცნებედ. პროზაული შიმშილის მშრალ ოინებს დაუთმო ოდისეას ქმნილებებმა. მაგრამ თვით ნიმფა კირკე „დიდი, ლამაზი და საყვარელი", როგორიც ჰომეროსმა დახატა, ვიხილე საღამოს, როცა ორსაათიანი ცურვის შემდეგ ფოთის ციხის ზემოთ ერთ ქოხთან ჩამოვსხდით. ეს იყო ერთი გურული მეთევზის ქალიშვილი, რომელსაც იქ აეგო ხის ფიცრული. გურული ნიმფა არ იყო მორთული „ვერცხლისფერ სამოსში ოქროთი გაბრწყინებული სარტყელით", არამედ ფერადი ნაჭრებით დაფარული, რომლებიც მშვენიერ ახალგაზრდულ სხეულს ეკვროდნენ და მხოლოდ სანახევროდ ფარავდნენ. სახე დაუფარავი ჰქონდა. უფრო ნატიფი ხაზები და მშვენიერი ტანი ამ ლამაზ ხალხში იშვიათად მინახავს. ჩემი მეგზურის მეშვეობით მეთევზეს ვკითხე, შეეძლო თუ არა ღამის სათევი მოეცა, რადგან არ მინდოდა ციხეში

[1] აქ ვტოვებთ ადგილს, როცა მან დაიწყო ოდისეას კითხვა (თან დაჰქონდა გოეთეს ფაუსტთან ერთად) და ოცნება ძველ აიაზე, აეტზე, კირკეზე და ა.შ. მიუთითებს,რომ დიუბუა ძველ აიას ხედავს სოფ. ნაქალაქევში.. გვ. 222-224 — გ. გ..

მოხვედრა. მეგობრულმა სიტყვამ და მბრწყინავმა ვერცხლის მანეთიანმა აქ ხმელეთზე უღარიბესი ადამიანიც სტუმართმოყვრულად განაწყო. მეთევზემ — ნაადრევად დაბერებულმა და ავადმყოფურმა კაცმა ზრდილობიანად მიმიპატიჟა. ლამაზი ქალიშვილი არ მორიდებია უცხოებს. როგორც ერთმა მენავემ მითხრა, მამა სილატაკის გამო სიამოვნებით გაყიდდა მას თურქეთში. მაგრამ ქალიშვილს ერჩია მშობლიური ხშირი ტყე ფაზისზე და საცოდავი მამისეული ქოხი, მდიდრულ საჰარამხანო ცხოვრებას სტამბოლში, რაც არ უნდა მიმზიდველად აღეწერათ ის. წინათ მამები ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას ქალიშვილთა მხრივ სამშობლოს სიყვარულს და მათ ნებით, ან ძალით უგდებდნენ ხელთ თურქ მონათმოვაჭრეებს. რუსული მფლობელობის დამყარების შემდეგ დრო და ჩვევები ერთგვარად შეიცვალნენ; ახლა ბავშვის სურვილის გარეშე სტამბოლში მათი გაყიდვა გულქვა მამებსაც იოლად აღარ შეუძლიათ რუსული სამართლის მკაცრი სასჯელის გამო. გურულმა ქალწულმა მომართვა გამხმარი ხილი, ფეტვის ფაფა და სიმინდის პური (ღომი და მჭადი — გ.გ.) და ჩამოისხა სასიამოვნო ღვინო (ამ მხარეში თვით მათხოვრის ნუგეში) არა „ვერცხლის დოქიდან" „ოქროს ფიალაში", როგორც კირკეს დროს, არამედ თიხის ქოთნიდან ხის სასმისში. ფუფუნების დრო ამ საბრალო ხალხისთვის დიდი ხანია გარდასულია. მეფე აიეტი და მისი სამეფო სახელითაც კი დაივიწყეს. ფაზისის შლამი და მხვიარა მცენარეული ფარავენ მისი დიდებული რეზიდენციის გამოფიტულ ნარჩენებს, ხოლო ოქროს საწმისი კოლხური ცხვრისა — დადიანების მიერ დიდი ხნის უკან ტყავიანად გამძრობილი, თვით რუსების ბატონობაშიც აღარ იზრდება... ადამიანის შეხედულებაში ანტიკური სილამაზე შემორჩენილია. მაგრამ ხალხი ამ სამოთხეში, რომელსაც სრული უფლება აქვს ისევე თავისუფლად იცხოვროს, როგორც ტყის ბუჩქმა, იხაროს სულიერად თავისი მოკლე არსებობის მანძილზე როგორც ყვავილმა, პეპელამ და ჩიტმა, ეს ხალხი მონაა, ღარიბად, გაჭირვებაში, საცოდავად ცხოვრობს ულამაზეს მიწაზე!

ღამეში გაეხვია ფაზისის ნაპირი. მეთევზის გოგომ მომიმზადა საწოლი არა როგორც კირკეს ბეჭითმა მოახლემ „მშვენიერი მბრწყინავი, ზემოდან ალისფერი წითელი ბალიშებით, ქვემოთ სელის ხალიჩებით",

არამედ სიმინდის გამხმარი ფოთლების მდარე ჩალით და ლერწმით. მე გავეხვიე ჩემს ვაცისთმიან ქურქში, რომელმაც კარგი სამსახური გამიწია შემოდგომის ღამის სუსხში. მოხუცი მეთევზე, ჩემი მეგზური და მენავეები ცეცხლთან შემომსხდარნი ფხიზლობდნენ. გურული ნიმფა, რომლის ტემპერამენტიც განსხვავებული ჩანდა ლამაზად დავარცხნილ, მელოდიურ კირკესგან, გაქრა და მეორე დილითაც აღარ მინახავს. ბუმბულსა და აბრეშუმს ის, რა თქმა უნდა, არ იყო შეჩვეული, მაგრამ თავის საწოლისთვის სიბნელეშიც კი რომ ცალი თვალით გაეხედა, ამას უკრძალავდა ზრდილობა. მიუხედავად უხეში ჩალისა, მალე ჩავიძინე, არც თუ ფარული შურით ითაკლი „ტურისტების" მიმართ, რომელთათვისაც ბედი გაცილებით მოწყალე იყო...

თურქეთის მიერ აშენებული რუსული ციხე ფოთი ფაზისის მარცხენა ნაპირზე არაფერს ღირსშესანიშნავს არ შეიცავს. მისგან მცირე მოშორებით არის გამაგრებული რომაული სასახლის ნანგრევები. ქალაქი ფაზისი, განთქმული ემპორიუმი კოლხურ სანაპიროზე, მდებარეობდა დელტაში, რომელსაც ქმნიან რიონი, პალიასტომის ტბა და იქიდან მდინარის კალაპოტისკენ გაყვანილი ვიწრო არხი. დიუბუამ ოთხკუთხა რომაული ციხის ნანგრევების აგურის ნატეხები აღმოაჩინა მცენარეულით დაფარულ ჭაობიან ნიადაგში და კოლხების ამ დიდი ემპორიუმის მდებარეობის შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაწერა. სანაპიროს მდებარეობა იმ დროიდან მოყოლებული არანაკლებ შეცვლილა აქ, ვიდრე სხვა სანაპირო ქალაქებთან, რომელთა ახლოსაც მდინარეები ერთვიან ზღვას. როგორც ძველ კართაგენში, აქაც ნაპირი ყველგან გაიზარდა; მდინარეთაგან მოტანილმა ნარიყმა მიწამ ზღვა უკან გააგდო. მსოფლიოს ცოტა მდინარეს მოაქვს იმდენი სილა, შლამი და მცენარეული მიწა, როგორც ყავისფერ რიონს. კოლხური ემპორიუმისგან არავითარი ნანგერვები არაა შემორჩენილი. რომაული ტაძრის პირდაპირ არის გრძელი კუნძული, რომელზეც მდგარა ტაძარი ციბელასი, რომლის ნანგრევები ჯერ კიდევ მოგზაურ შარდენს უნახავს. სხვა ნანგრევთა ნარჩენები რომ არსებობდეს მდინარის ნაპირებზე, არავითარ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს. მაგრამ თვით მონდომებულ ანტიკვარებსაც კი დაეკარგებათ ხალისი, ამ ნოტიო და უაღრესად არაჯანსაღ მიწაში ეძიონ ჩაძირული ნანგრევები, რომლებიც მხვიარა

მცენარეთა მწვანე ბადეებითაა დაფარული გაუვალი ტყის საფარქვეშ. ორნახევარი საუკუნეა დგას ფოთის ციხე, რომელიც ზედ ნაპირზე იყო აგებული. მას შემდეგ ზღვამ უკან დაიწია და მის გალავანს ალარ ასველებს. ამიტომ იძულებული გახდნენ აეგოთ პატარა სიმაგრე (Fort) ფაზისის შესართავის ახლოს. დიუბუა სამართლიანად ამტკიცებს, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ თურქული ციხეც დაიმარხება შლამსა და ჭაობში, როგორც ამჟამად რომაული სიმაგრე, და ბევრი მცდარად ჩათვლის, რომ ციხე ჩაიძირა, როგორც ამას ფიქრობენ ძველ ემპორიუმზე, რომლის ნანგრევებსაც ზოგიერთი მკვლევარი პალიასტომის მლაშე ფსკერზე ეძებდა.

ფოთი შეიძლება უფრო არაჯანსაღია, ვიდრე რედუტ-კალე. თურქები, რომელბიც 1829 წლამდე აქაურ გარნიზონს ქმნიდნენ, ცხელ წელიწადის დროს ადიოდნენ მაღლა მდებარე მხარეებში, რადგან კარგად იცნობდნენ ამ ნიადაგის ანაქროლის დამღუპველ გავლენას. რუსებმა, რომელბსაც ნაკლებად აწუხებთ ადამიანის სიცოცხლეზე ზრუნვა, იქ მუდმივი გარნიზონი ჩააყენეს; პატარა სამხედრო კოლონიაც კი ჰყავთ, რომლებიც ყოველ ათ წელიწადში ავი ჰაერის გამო მთლიანად ნადგურდება და ამიტომ ყოველთვის განახლებას საჭიროებს. ხშირად ადგენდა რუსული მთავრობა პროექტებს, რომ აქ დაეარსებინათ მნიშვნელოვანი სიმაგრე და დიდი სამხედრო და სავაჭრო ნავსადგური. მომაკვდინებელი ჰავა წინ აღუდგა ამ გეგმებს. პასკევიჩმა, როზენმა და მათმა მიმდევრებმა სცადეს ტყეთა გაჩეხვა, რათა განედევნათ ავი ანაქროლი ზღვის ქარისათვის თავისუფალი ქროლვის საშუალების მიცემით. ყველაფერი ამაოდ! ფოთი დღესაც იგივე ციების ბუდეა და ჯიუტად ეწინააღმდეგება ჰაერის გამაჯანსაღებლების ექსპერიმენტებს. დიუბუამ ქვეყნის მმართველ როზენს ურჩია ფაზისის კალაპოტი ისევ პალიასტომში ჩაეშვათ და ჭაობიანი ტბა თავისი გაფუჭებული წყლით, რომელსაც ყველაზე უფრო აბრალებენ ციებიანი ჰავის არსებობას, განიერი არხით ზღვასთან დაეკავშირებინათ; ეს ნიშნავდა მკვდარი წყლის გაცოცხლებას. ამისთვის საჭირო იყო კოლოსალური კაშხლების აგება ზღვაში, რათა ხელი შეეშალათ არხის შესართავის პონტოს ღელვით გამოწვეული ჩახერგვისათვის. მაშინ პალიასტომს და ფაზისის განიერ, ღრმა და წყნარ კალაპოტს შეეძლებოდათ თვით სამხედრო

ხომალდებისთვის მოხერხებული და სრულყოფილად დაცული სადგომი მიეცათ. ასეთ ნავსადგურს, კოლხური სამოთხით ზურგში და სპარსული სატრანზიტო ვაჭრობა, რაც რიონზე ცურვას მარანამდე საოცრად გააადვილებდა, ყოველივე ამას დიდი მომავალი ელოდა. ფაზისის ემპორიუმი ხელახლა აღსდგებოდა მტვრიდან. მაგრამ ასეთი უზარმაზარი სამუშაოები მოითხოვენ აურაცხელ ხარჯებს. თავად ვორონცოვს წამოუყენებია ამ ხაზით ახალი მოსაზრებანი. კოლხური ვაჭრობის აყვავება არაა იმპერატორის საზრუნავი, რომელიც თვლის რუსული სახაზინო ფულების უპირატესად დახარჯვას დიდი ყაზარმების შენებაზე, თავისი გვარდიის ბრწყინვალედ ჩაცმაზე და იმ მუდმივი სასაზღვრო არმიის შესანახად, რომელიც რუსულ მიწას დაიცავს დასავლური იდეების შემოჭრისგან და ალბათ ოდესღაც დემაგოგიურად არეულ ევროპაში „წესრიგის აღდგენას მოისურვებს".

# თავი X

## კოლხური გახსენებანი — სამეგრელოს დღევანდელი მდგომარეობა — ცურვით გამგზავრება ლაზისტანისკენ — ბათუმში შეჩერება — ლაზი ხალხი და იქაურ ხეობათა მთავრები (ბელადები) — უკანასკნელი თვალის შევლება კავკასიაზე

სანამ რუსეთის კოლხეთს სამუდამოდ დავემშვიდობებოდეთ, მოკლედ გადავავლოთ თვალი მის წარსულს. ჯერ კიდევ ძველ დროს მიიპყრო შავ ზღვაზე მცხოვრებმა კოლხმა ხალხმა ბერძენი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ყურადღება. თუმცა აკლდა დასაბუთება, მაგრამ საკმაო რაოდენობით არსებობდა შეხედულებები მათი წარმომავლობის შესახებ. ყველაზე გავრცელებულად ითვლებოდა, რომ კოლხები სეზოსტრიდების ეგვიპტური ახალშენია. ეს აზრი ჰეროდოტემ გამოსთქვა, რომელსაც სტრაბონი და დიოდორეც მიემხრნენ, რომ მათი ენა, ცხოვრების წესი და სახის წყობა ეგვიპტურის მსგავსია. სამწუხაროდ, მას ამ მტკიცების გასამაგრებლად გამორჩა შედარებითი ენობრივი მონაცემების მოტანა. ახალი ისტორიკოსების მეტი წილი ჰეროდოტეს ამ შეხედულებას ეთანხმება. კარლ რიხტერი კი თავის ევროპული ხალხების ისტორიის შესავალში სულის, მახვილგონიერების და განსწავლულობის მოხმობით ცდილობს დაასაბუთოს კოლხთა ინდური წარმოშობა. უძველესი ძეგლებიდან, რომელსაც გვთავაზობს ძველი გეოგრაფია, მითოლოგია, სიძველეთამცოდნეობა, არქიტექტურა და რელიგიური სისტემები, რიხტერი დაასკვნიდა, რომ ძველინდური მღვდლების კოლონიები ძველი ბუდას კულტით, რომლებიც შუა აზიიდან გამოვიდნენ ჯერ კიდევ ბერძენთა წინაისტორიულ ხანაში, უშუალოდ ან არაპირდაპირ დაიკავეს ქვეყნები

ფაზისზე, პონტოზე, თრაკიაში, ისტროსზე და დასავლეთ ევროპის მრავალი მხარე, თვით საბერძნეთი; მოახდინეს რელიგიური გავლენა მათზე და რომ ეს კავშირი არა მარტო აზიური ცნობებიდან მოდის, არამედ უპირატესად უძველესი ბერძნული და მცირეაზიური ისტორიული ფრაგმენტებიდან და ჰეროდოტეს მოთხრობებიდან სკვითების შესახებ მისი ისტორიის მეოთხე წიგნში რომაა დაცული. დიდი გეოგრაფის დამსახურებაა ჭკვიანური და მახვილი ჰიპოთეზებით (რომლებიც მის „შესავალშია" მოცემული) მრავალი ახალი ისტორიული გამოკვლევებისთვის სტიმულის მიცემა. როგორი ნაკლულია წყაროთა სიმცირის გამო დასავლეთ-ევროპული და პონტოს ხალხების წარმომავლობის მტკიცება; მაინც ცნობილია, რომ კულტურის პირველი ნათება ინდოეთიდან შეიჭრა შავი ზღვისაკენ და რომ უძველეს ევროპულ ხალხთა ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობის საყოველთაო დიდი წინსვლა გაცილებით ადრე შემოვიდა ევროპაში, ვიდრე მთელი ელინური კულტურა თრაკიისა და კიმერიელების ქვეყნიდან შემდგომი სვლით აქ შემოვიდოდა. ინდო-ევროპული ხალხების ისტორიის ამ ბნელში დამაკმაყოფილებელი ისტორიული ნათელი რომ შეიტანოს, დღევანდლამდე თვით ყველაზე მახვილგონიერთ და განათლებულთ არაფერი უთქვამთ... ყველაზე გონიერმა მკვლევარებმა თავისი ტვინი დაძაბეს, რათა გაერკვიათ და აეხსნათ ძველი მითები, თქმულება ოქროს საწმისზე, მიზანი არგონავტთა მოგზაურობის, ფრიქსესა და ჰელეს გაფრენა, მედეას და კირკეს ჯადოსნობა. მაგრამ ვერცერთმა გამოკვლევამ და დასკვნამ ვერ გადაჭრა საბოლოოდ კოლხური სიძველის გამოცანა.

ძალზე ყურადსაღებია ფაზისზე გაბატონებული კულტურის მაღალი ხარისხი, როცა არგომ მის შესართავთან ღუზა ჩაუშვა. მოგება, რომელიც არგონავტებმა ამ თავგადასავლიანი მოგზაურობიდან ნახეს, უეჭველია. უკვე ძველმა მწერლებმა სცადეს ოქროს საწმისზე მითის ახსნა სამხრეთ კავკასიის მდინარეთა ოქროთი სიმდიდრის აზრით... არგონავტთა შესახებ მთელი ისტორიიდან, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ-ნი დიუბუა, გამოდის, რომ მაშინ მშვიდობიანი კოლხები ავანტიურისტ ბერძნებს განათლებითა და ჰუმანურობით საკმაოდ აღემატებოდნენ. არა მარტო კავკასიონის მწვერვალები, არამედ

მთელი კოლხეთი, იბერია, ალბანეთი იყო წმინდა, მთელი უძველესი სამყაროს მიერ პატივდებული მხარე, საჯდომი მზიური მოდგმისა. კიმერიელთაგან განსხვავებით, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ და უცხოებს მკაცრად ექცეოდნენ, კოლხეთში ადამიანურად და სტუმართმოყვრულად ხვდებოდნენ მათ სანაპიროზე ჩამომხდართ. ასეთი კეთილმოსურნეობა სტუმრის მიმართ, ასევე მათი მზის კულტი, მათი სახელი მაგიურობაში მედეადან მოყოლებული, გადმოცემა მათი ფილოსოფოსის მარსიას შესახებ, მათი ქვის დაფები, რომლებზეც მოგზაურთათვის აღწერილი იყო ხალხები და გზები, ყოველივე საკმარისად ასაბუთებს კოლხების შეუდარებელ მაღალ კულტურას. როცა მოვაჭრე მილეთელებმა ამ სანაპიროზე თავისი კოლონიები დააარსეს, მათ დახვდათ აყვავების უკვე მაღალი დონე, როგორიც ელინებთან რამდენიმე საუკუნის შემდეგ წარმოიშვა.

ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ქართველი ხალხების ისტორიისა, როგორიცაა ქართლელები (გრუზიელები), იმერლები, მეგრელები, სვანები, გურულები და ლაზები, არის შრომა, რომელიც ძველმა ქართველმა მეფემ ვახტანგ V-მ[1] გამოსცა გელათის მონასტერსა და მცხეთის კათედრალურ ეკლესიაში მოძიებულ ქრონიკებზე დაყრდნობით. ერთმა ქართველმა გადათარგმნა ეს ისტორია რუსულად, ხოლო კლაპროტმა რუსული თარგმანი გადააგერმანულა. ყველა შემდგომი მკვლევარი და მოგზაური, რომელიც ტრანსკავკასიაზე წერს და ამ ქვეყნების და ხალხების უაღრესად დახლართულ ისტორიას თავის მკითხველს სრულად ან ფრაგმენტულად აწვდის, საკმაოდ ფართოდ და მიმზიდველად იყენებს, ან სულაც ძარცვავს კლაპროტისეულ თარგმანს, ისევე როგორც ურიცხვი ტურისტები თურქულ აღმოსავლეთში წასვლისას ჩვენი ცნობილი ჰამერ-პურგშტალის შრომებს. მე მათ მაგალითს არ მივბაძე. ჩემი მიზანია გარკვეული წვლილი შევიტანო ამ ქვეყნების ცოდნაში, ვიწრო ჩარჩოებში დავხატო კოლხეთის თანამედროვეობა, ბუნება და ხალხი და არა ისტორიული სურათი წარმოვადგინო, რომელიც არსებული მდიდარი მასალებით ძალზე ადვილად შეიძლება გადაღებულ იქნას...[2]

[1] უნდა იყოს ვახტანგ VI — გ. გ.

[2] ვტოვებთ ვაგნერის მიერ მოცემულ ისტორიულ ექსკურსს ქართული ქრონიკიდან თარგამოსიდან დაწყებული ალექსანდრე I-ის ჩათვლით. გვ. 234-238 — გ. გ.

სამსაუკუნოვანი დინასტიური ომები იშვიათად იცვლებოდა მშვიდობიანი პერიოდებით... გეორგია და ტრანსკავკასიის დასავლეთი ნაწილები, დასუსტებული შინაომებით, სულ უფრო და უფრო ვარდებოდნენ სპარსეთის გავლენის ქვეშ, ხოლო თურქები ფეხს იკიდებდნენ კოლხურ მხარეებში. დადიანი და გურიელი XVIII საუკუნის ბოლომდე უხდიდნენ თურქებს ყოველწლიურ ხარკს ფულითა და მონა-ქალებით. დადიანების დინასტიამ სამეგრელოში გაუძლო რუსეთის შემოტევას; გეორგია, იმერეთი და გურია კი მაშინვე მოექცნენ რუსეთის კვერთხის ქვეშ, თუმცა ამით მეგრელ მეზობლებზე უფრო უბედურები არ არიან.

სამეგრელო თავისი ლიანების ტყეებით, თავისი სამოთხისებური ცით და ლამაზი ადამიანებით — ღმერთის მიერ დალოცვილი ერთერთი კუთხე დედამიწისა — არაა ბედნიერი. თუკი თვალს გადავავლებთ მის ისტორიას, მისი მართვის სისტემას და ხალხის თანამედროვე მდგომარეობას, სინანულითა და შეძრწუნებით მოაცილებთ მზერას ამ კოლხურ ედემს. არც ანაორთქლები, არც მომაკვდინებელი გადამდები ავადმყოფობები.., არამედ მისი მფლობელების და ბატონების სულელური ტირანიაა ამ მხარის ყველაზე საშინელი მძევლები. ფეოდალური წყობა, რაც უხსოვარი დროიდან უდრეკი სიჯიუტით ბატონობს, ანადგურებს ამ ხალხს და ხელს უშლის ადამიანთა ყოველ მორალურ აღმაფრენას; მათ კეთილშობილ სახეზე განათლების უნარისა და სულიერი მიდრეკილებების ნიშანი ისეთი ხარისხით აწერიათ, როგორიც ინდო-ევროპული მოდგმის ხალხის არცერთ შტოს. საპყრობილეს, მონურ ხვედრს და გაჭირვებას, როგორც ამბობენ, ჩვევა ასატანს ხდის. მეგრელი ხალხი ფეოდალურ ჩაგვრას მიეჩვია და დღეს იშვიათად ისმის დრტვინვა; ამას მამა შვილს როგორც მემკვიდრეობით დაავადებას, ისე გადასცემდა. აქ მხოლოდ დასავლელების გრძნობები აჯანყდებოდნენ, როცა ხალხს საცოდავად და მშიერს დაინახავდა ამ უხვ მიწაზე. დასავლეთშიც კი ბედი არათანაბრადაა განაწილებული. მაგრამ ხალხს იმის თავისუფლება მაინც აქვს დარჩენილი, აირჩიონ ბატონი და მიწა, როცა თავს უბედურად იგრძნობს. სიმინდით სავსე გოდრები, მსუქანი ღომის მინდვრები სამეგრელოში ეკუთვნით არა იმათ, ვინც მას ხნავს

და თესავს. აზნაურს, თავადს, დადიანს მათგან მიაქვთ საუკეთესო, ხოლო როცა მთელი სიხარბე დაკმაყოფილდება, მაშინ იქვე ახლოს ჩნდებიან რუსი საბაჟოს მცველი, მესაზღვრე ჯარისკაცი, კაზაკი, რათა გლეხს ეს უკანასკნელიც წაართვან.

როგორც კავკასიის ადიღეელებში, როგორც ძველ გერმანელებში, სამეგრელოშიც არსებობს ოთხი წოდება: დადიანი, ანუ ხელმწიფე, რომელმაც მართალია 1804 წლიდან რუსეთის იმპერატორის სუვერენობა აღიარა და სამართლის, თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და სიკვდილის განგებაზე უარი თქვა, სხვა ყველაფერში შეუზღუდავი მპყრობელია თავისი პატარა სამფლობელოსი და თავის განაწამებ ქვეშევრდომებს სურვილისამებრ ბეგრავს. დადიანის შემდეგ დგანან მაღალი წარჩინებულები — მხარის თავადები, რომლებიც მნიშვნელოვან ქონებას ფლობენ და თავის მბრძანებელს ზოგჯერ უჯანყდებიან. საცოდავ გლეხებს უმოწყალოდ შეურაცხყოფენ, რასაც მათ ხშირად მბრძანებლის დესპოტური ხასიათი და ქედმაღლობა აყენებს (უმზადებს). მეგრელი გლეხის ბედი იმდენად განსხვავდება რუსი ყმა-გლეხის ხვედრისგან და ეგვიპტელი ფელახისგან, რამდენადაც ამ ქვეყანაში ფეოდალური ჩაგვრის უფრო მეტი მეთოდები ბატონობს. მასში შეიცნობა ტრადიციული სისტემა, რომელიც აქ ათასწლეულია რაც დამკვიდრებულა და ხალხს წესებში, ჩვევებსა და გონებში გადმოეცემა. მეგრელი ყმა-გლეხი აზნაურს, თავადსა და მთავარს უხდის თავისი სიმინდის, ფეტვის, ხილის და ღვინის მოსავლის გარკვეულ ნაწილს, განსაზღვრულ დღეებში შრომით ბეგარას უხდის და აძლევს ვაჟს ან ქალიშვილს ამალაში მოსამსახურედ. ყველა ეს გადასახადი ტრადიციულად გარკვევით დადგენილია. გლეხმა იცის, რომ მას უფლება აქვს სამუშაოთი და გადასახადებით თავის ბატონს იმაზე მეტი არ მისცეს, რასაც მისი წინაპრები ჩადიოდნენ. კოლხები ჩვეულებრივ ძველ წესებს, მემკვიდრეობით ჩვევებს ისევე პედანტურად და წმინდად იცავენ, როგორც ინდიელები. ის იმდენს აკეთებს, რასაც მისი მამა, არც მეტს, არც ნაკლებს. გლეხი, რომელიც თავის ბატონს ყანას უხნავს, მისთვის არც გალეწავს, არც თივას მოცელავს. ყოველ გლეხს აქვს თავისი ტრადიციული დავალება, რომელსაც ის უყოყმანოდ ასრულებს. თუ ბატონი მას მეტს მოთხოვს, ვიდრე ამ გლეხის მამას

უკეთებია, იგი უკიდურესად შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს და გაქცევაზე იწყებს ფიქრს. მთებისა და გაუვალი ტყეების სიახლოვე მეგრელი გლეხისათვის ერთგვარი გარანტიაა, რომ ბატონი მას იმაზე მეტს არ მოსთხოვს, რასაც ის ოდითგანაა დაჩვეული. თუკი თავადი ან აზნაური თავს ნებას მისცემს, რომ იძალადოს, რაც გლეხისთვის აუტანელია, მაშინ ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ თურქულ მხარეში გარბის და იქ მაჰმადიანდება. ქვეყნის ბუნება ხელს უწყობს ამ გაქცევას, თუნდაც მთელი ოჯახით. მაგრამ ასეთი შემთხვევები არაა ხშირი, რადგან მეგრელი, ისევე როგორც ყველა გაუნათლებელი ხალხი, უსაზღვრო სიყვარულითაა მიმაგრებული თავისი მამის მიწაზე.

ჩაგვრის ყველაზე საზიზღარი სახე, რასაც დადიანი თავის ქვეყანაში ეწევა, ესაა მისი დიდებული ნადირობა. მეგრელი მბრძანებელიც ჩვეულების კაცია, როგორც უბრალო გლეხი. მის მამა-პაპას სჭირდა ნადირობის ვნებათაღელვა და ასევეა დავით დადიანიც თავგადადებულ მონადირედ (ნიმროდად) ქცეული; იგი თავის სამფლობელოში ყველა მიმართულებით დახეტიალობს და ყველგან დასდევს ირემს, დათვს, აფთარს. გაუვალი წიფლის ტყეები ამ მხარეს ოდითგან უზრუნველყოფდა სანადირო სიმდიდრით. მართალია დავით დადიანს ბევრი სასახლეები და სახლები აქვს, მაგრამ ნადირობისას იგი ჩერდება აზნაურებთან და გლეხებთან, რადგან მისი მამა ლევანი და პაპა ვამეყი ასევე იქცეოდნენ. იგი თავისი მონადირეთა ჯგუფით მანამ არ ტოვებს გლეხის სახლს, სანამ საბრალო სახლის პატრონის უკანასკნელი ქათამი და ბოლო მჭადი არ შეიჭმება. შემდეგ ველური ნადირობა გრძელდება და, როგორც მოხეტიალე კალიების გუნდი, შეესევა სხვა აზნაურის ან გლეხის სახლ-კარს. მეგრელ გლეხს ყველაზე მეტად ეშინია ამ პერიოდული გაჩანაგებისა. ამის მიუხედავად, არ ჩივის, თუკი მისმა წინაპარმა ერთხელ მაინც განიცადა მსგავსი რამ. მე არ ვიცი ქვეყანა, სადაც ცხოვრება და საქმიანობა ასე სტაბილური იყოს, აზრი და საქმე ასე ერთფეროვანი. რამდენი რამ გვახსენდება ინდური კასტური წყობიდან.

მეზობელ იმერეთში საკუთარი მეფობის გაუქმების შემდეგ, რუსი გენერალ-მმართველის პირდაპირი ძალდატანებით გატარებულ იქნა ზოგი ცვლილება. იმერეთის მეფის ყმები რუსეთის სახაზინო გლეხებად

იქცნენ და იხდიან ძალზე მცირე გადასახდებს. თუკი სამართლიანი მთავარმართებელი დადგება ტრანსკავკასიის ხელისუფლების სათავეში და მისი მკაცრი მოთხოვნა ანდა ბედი ქუთაისში პატიოსან „ნაჩალნიკს" გამოგზავნის, იმერეთის სახაზინო გლეხი, მეგრელისგან განსხვავებით, ბედნიერი იქნება. ამასთან ზოგიერთი გარდაქმნა იქაც ძალზე არასულყოფილი დარჩა. იმერეთის აზნაურებს თავიანთი ფეოდალური უფლება შეუზღუდავად დაუტოვეს. რუსულ მთავრობას დაპყრობილ და ახალშექმნილ პროვინციებში, მართალია, აქვს ძალაუფლება, მაგრამ არასდროს ჰქონია სურვილი ჩარეულიყო ტრადიციულ ურთიერთობაში თავადს, აზნაურსა და გლეხებს შორის და გარდაექმნა ჯიუტი ფეოდალური წყობა. მან ამ თვალსაზრისით ტრანსკავკასიის ქვეყნებში გაცილებით ნაკლები გააკეთა, ვიდრე ძველ პოლონურ პროვინციებში. იგი ყოველთვის ეძებდა თავის დასაყრდენს ქვეყნის დიდებულებსა და აზნაურებში, ხალხში კი არასდროს. კავკასიურ ურთიერთობებზე საუბრისას ხშირად უთქვამს ჩემთვის გენერალ რაევსკის თავისი მთავრობის დაბრმავებაზე, რაც არ უმჯობესდება. ეს ჭკვიანი სამხედრო, რომელიც მცირე ხნით იყო კავკასიის სანაპიროს მთავარსარდალი, ამბობდა: რუსეთს არ გააჩნია სხვა არავითარი საშუალება ჩერქეზების ამბოხების დასაძლევად, თუ რუსული მთავრობა გადაჭრით არ დაუჭერს მხარს ჩაგრულ ხალხს ქედმაღალი აზნაურების წინააღმდეგ.

როცა მე ფოთიდან რედუტ-კალეში დავბრუნდი, ჩემი ფრანგი თანამგზავრები მზად დამხვდნენ. უნგრელიც ჩამოსულიყო ბარგითა და კოლექციებით, რომლებიც ტფილისიდან გამოვატანე ქარავნის მეთაურს. თურქ კაპიტანთან დადებულ იქნა შეთანხმება, დასრულდა მომაბეზრებელი რუსული სასაზღვრო ფორმალობანი და მებაჟეთა სიხარბე. ხუთი თურქითა და ერთი სომეხით გაძლიერებული ორჩხომელით შევცურდით შავ ზღვაში. მზე ნათლად და მხიარულად დაგვცქეროდა უღრუბლო ციდან. რადგან შტილი იდგა, ჩვენ თურქებს ნიჩბების მოსმა დასჭირდათ. დელფინები მოსდევდნენ და გარშემო ეცეკვებოდნენ პატარა გემს, გვიჩვენებდნენ თავის ხელოვნებას და ჩანდა, რომ მხიარული ხტუნვითა დ ცელქობით განცხრომაში თავს კარგად გრძნობდნენ. თურქმა კაპიტანმა ერთი-ორჯერ სცადა თავისი სიმარჯვე ჰარპუნით, მაგრამ უშედეგოდ. პონტოს მოცურავეების

მეგობრული განწყობა არ იყო ისე დიდი, რომ სურვილი ჰქონოდათ ახლოს ურთიერთობა დაემყარებინათ ჩვენი დოლბანდიანი მეთაურის–წვეტიან რკინასთან. არც ჩვენი მეზღვაურების თურქული ხორხისმიერი სიმღერა მოქმედებდა მათზე მიმზიდველად. დელფინებმა გვიჩვენეს, რომ ისინი ხმებსა და ტონებს კარგად არჩევდნენ და დამსახურებულად აქვთ თავში მეტი ტვინი, ვიდრე წყლის სხვა ბინადართ. ასე მივსრიალებდით ნიჩბების ტაქტში მუქმწვანე პონტოს ზედაპირზე და წინ ვხედავდით ლაზისტანის გაბრწყინვებულ მთებს, რომლებიც რუსული სასაზღვრო ციხის წმ. ნიკოლოზისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაპირზე აღიმართებოდნენ; ისინი ნაკლებ დიდებულია კავკასიონზე, მაგრამ უფრო მდიდრული დეკორაციები აქვთ ძირისკენ, ვიდრე სადმე ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე გვხვდებოდეს.

პირველ ლაზურ პუნქტს საზღვრის იქითა მხარეს ჰქვია ჩორუქ-სუ, ახლოს გამდინარე ერთი პატარა მდინარის სახელის მიხედვით. ის ეკუთვნის ძველ ახალციხის საფაშოს და ცოტა სახლებია მასში. ჩვენი ორჩხომელი დადგა რამდენიმე საჟენზე ვაკე ნაპირიდან. თურქმა მეზღვაურებმა ჩვენ ზურგზე აკიდებული გადმოგვიყვანეს ნაპირზე. თურქებისა და ლაზების ცნობისმოყვარეთა ჯგუფი შეიკრიბა ნაპირზე და ხმამაღლა იცინოდა, როცა კაპუცინელი მამა ბენედეტო ზორბა თურქს მხრებზე შემჯდარი, შიშით აკანკალებული, ნაპირზე გადმოჰყავდა; ყავისფერი ანაფორიდან იყურებოდნენ მისი შიშველი ფეხები. ჩვენმა თანამგზავრმა აბატმა ბიდალმა, რომელიც მხიარული კაცი და კარგი მხატვარიც იყო, მაშინვე ქაღალდზე გადაიტანა ეს ჯგუფი და შემდეგ უჩვენა კაპუცინელს, რომელმაც თავისი კარგი ხასიათის გამო გულიანად იცინა. ერთადერთი ევროპელი ცხოვრობდა ჩორუქ-სუში — ერთი იტალიელი ვაჭრის ნოქარი. მან მეგობრულად მიგვიპატიჟა და გაგვიმასინძლდა ჩაით. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე საათი დავრჩით; მოკლე შესვენება მე გამოვიყენე ბოტანიზირებული ექსკურსიისთვის ახლომდებარე ტყეში. ჩვენმა კაპიტანმა აქ ზოგი რამ მოიმარაგა და განვაგრძეთ ცურვა ბათუმისკენ. გემზე შვიდი მწევრისა და შავი ფინიის ყოფნა, რომელსაც ფრანგი ქალბატონი ხელში პატარა ბავშვივით ატატებულს მუდამ უალერსებდა, თურქ ეკიპაჟს აღშფოთების საბაბს აძლევდა: თურქებს, როგორც ცნობილია, ძაღლი უწმინდურ ცხოველად

მიაჩნიათ და ერიდებიან მასთან ყოველგვარ შეხებას. კაპიტნის კარგმა ბუნებამ შეძლო უკმაყოფილების თავიდან აცილება.

წყნარმა დასავლეთის ქარმა ჩაგვიყვანა ბათუმში, ლაზური სანაპიროს ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტში. ჩვენი პატარა გემი იქ ნაპირზე აათრიეს, რადგან ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ძლიერი ქარიშხალი იყო მოსალოდნელი. ინგლისელი კონსულის თეთრ პატარა სახლში სტუმართმოყვრულად მიგვიღეს. თუმცა ის თვით პირადად არ იმყოფებოდა, მაგრამ მის მსახურებს დავალებული ჰქონდათ ყველა გამვლელი ევროპელი მოგზაურისთვის მიეცათ თავშესაფარი. კონსულთან დამეგობრებულმა იტალიელმა ვაჭარმა, რომელსაც სურდა დაეფრახტა საშენი ხე-ტყით მშვენიერი სამიალქნიანი გემი, უკვე დიდი ხანია, რაც საკონსულოს შენობაში ბინა დაიდო; მან მეგობრულად მიგვიპატიჟა, რომ მასთან ერთად გაგვეზიარებინა მისი სუფრა. ჩვენ ეს დაპატიჟება ორჯერ არ გავამეორებინეთ; თავპატიჟის გარეშე მადიანად მივირთვით ხიზილალა, ირმის მწვადები და ცოცხალი ზღვის თევზები. ორმა ბოთლმა საუკეთესო გურულმა ღვინომ გაამხიარულა და აალაპარაკა ფრანგები და მამა ბენედეტო, რომელიც მთლად ბედნიერი იყო, მოულოდნელად თავისი თანამემამულე რომ ნახა.

იტალიელი ვაჭარი, რომელიც ხშირად სტუმრობდა ლაზურ სანაპიროს, აქედან წლების მანძილზე შემოსავლიან საექსპორტო ვაჭრობას ეწეოდა გემსაშენი ხე-ტყით, საკმაოდ კარგად იცნობდა ქვეყანას და ხალხს და ჩემს კითხვებზე მზა ცნობები მომაწოდა. ქვეყანა, თქვა მან, უსაზღვროდ ნაყოფიერია. თვით ლომბარდიის მსუყე ნიადაგიც კი, რომელსაც ალპების მცენარეული მიწა ანოყიერებს და წყლის სიუხვე არ აკლია, არც მეტ წლიურ მოსავალს იძლევა, არც უფრო მეტ მოგებას. ხალხი როგორც სამეგრელოში, იკვებება სიმინდით, ღომით და ტყიური ველური ხილით. მაღალ მთებში ჰყავთ საქონელი. ბათუმის საექსპორტო საქონელია ტყავეული, ცვილი, თაფლი და ყველაზე მეტად გემსაშენი ხე-ტყე, რაც მთის ძირას და ფერდებზე მუხის ტყეებში ულევი რაოდენობითაა და უმდიდრესი არჩევანია. ქალაქ ბათუმის მოსახლეობას მეტწილად შეადგენენ თურქები და ლაზები, რომლებთანაც ევროპელებისათვის ურთიერთობა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ბერძნებთან, სომხებთან და თვით რუსებთანაც.

სანამ რუსული იარაღი თურქთა ძალაუფლებას შეზღუდავდა, მათი სითავხედე და ქედმაღლობა, განსაკუთრებით მცირე აზიაში, ჭეშმარიტად აუტანელი იყო. როცა მოსკოვური იარაღის ბედმა მათი ხიამაყე დაამსხვრია, თურქები მეგობრული და შემგუებელი ადამიანები გახდნენ, რომელთა პირად სიქველეს აღმოსავლეთის ყველა მცოდნე გაცილებით მაღლა აფასებს, ვიდრე ყველა აღმოსავლელი ქრისტიანისას ერთად აღებულს. იტალიელი ვაჭარი თურქთა პატიოსნებას ვაჭრობასა და ცხოვრებისეულ საქმეში დიდად აქებდა; მაგრამ ამასთან დასძინა, რომ რუსული ქვემეხები იყო საჭირო, რომ მათი ფანატიკური ქედმაღლობის ეშმაკი გაეძევებინა და ევროპელებთან ურთიერთობაში ზრდილობიანი გაეხადა. ბათუმის მოსახლეობა ჯერაც გურულ-ლაზურ დიალექტზე ლაპარაკობს, რომელიც ქართულ ენასთან ერთი ძირისაა. ის ნაწილობრივ მომდინარეობს გურული რენეგატებისა და ლაზისტანის მაჰმადიანი მოსახლეობის ქორწინებითი შერევით.

ბათუმის რეიდი ალბათ საუკეთესოა და ყველაზე უხიფათო შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე. ღუზის ჩასაშვები კარგი გრუნტი უეჭველად ძალზე ვიწრო ფართს იკავებს და არ ეყოფა ფლოტილიას. მცირე რაოდენობის სავაჭრო გემები, რომლებიც აქ იდგნენ, სრულყოფილად იყვნენ დაცული ძლიერი ქარისგან, რომელიც ჩვენი ჩასვლის საღამოს სამხრეთ-დასავლეთიდან ამოვარდა. მაგრამ 500-მდე ნაბიჯზე ჩრდილოეთით ტალღები უკვე საკმაოდ ძლიერად ეხეთქებოდნენ ნაპირს და ყველა გემს საფრთხეში აგდებდნენ. ბათუმში სამდღიანი ყოფნისას ვნახეთ აჭარელთა მოდგმის ბევრი შეიარაღებული მთიელი, რომელიც სხვა ლაზური შტოებიდან არც ენით, არც გარეგნობით არ განსხვავდებიან. ისინი შემხვდნენ აგრეთვე ტყეებში ექსკურსიებისას, რომელსაც მარტოკა ვაწყობდი სანადირო თოფით. ლამაზი მამაკაცები მესალმებოდნენ სერიოზული სახეებით. მათი საქციელი ევროპელის მიმართ გამორიცხავს როგორც მტრულ ქედმაღლობას, ასევე სულმოკლე მლიქვნელობას. ქვეყანაში უსაფრთხოება ისე დიდია, რომ იტალიელი ვაჭარი რამდენჯერმე, მხოლოდ თავისი პოლონელი მსახურის თანხლებით, გაემგზავრა ტრაპეზუნტში ხმელეთით და მკვიდრებს არ შეუწუხებიათ. ყაჩაღური თავდასხმების შიშით კი არ დადიან ადგილობრივები იარაღასხმული, არამედ, რადგან მათ სისხლის აღება

ემუქრებათ. ეს ძველი ჩვევა ლაზებში უფრო ღრმადაა ფესვგამდგარი, ვიდრე სხვა რომელიმე კავკასიურ ხალხში. მე მიამბეს ამაზრზენი მაგალითები იმ საშინელ შედეგებზე, რომელიც მოჰყვა შურისძიების წყურვილის აღსრულებას, რასაც ლაზი ხალხი უკიდურესობამდე მისდევს. მთელმა გვარებმა და ნათესაობამ ამოხოცეს ურთიერთი; თვით ძუძუმწოვართა სისხლიც არ ებრალებათ მოწინააღმდეგეებს, რათა ძველი წესი შეისრულონ. თურქული მთავრობის ყოველი ცდა, რომ სისხლის აღება მკაცრად დაეთრგუნა, უშედეგოდ დასრულდა.

ლაზი ტომები (ხალხები) მართალია დიდი ხანია, რაც თურქი ფადიშაჰების უზენაესობას აღიარებენ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით; სინამდვილეში კი საკმაოდ დამოუკიდებელნი იყვნენ თავიანთი მკვიდრი ბელადების, დერებეიების ანუ ხევის ბატონების ხელქვეით. ტრაპეზუნტისა და ყარსის ფაშები უკანასკნელ დრომდე დაბადებით ლაზები იყვნენ; ისევე, როგორც ქურთული მხარეების — ბაიაზეთის, მუშის და ვანის ფაშები — დაბადებით ქურთები არიან. ცნობილი ტირანი აბდულა ფაშა ტრაპეზუნტელი ასეთივე დერებეი იყო და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გაბედა პორტამ ნამდვილი თურქისთვის გადაეცა ეს საფაშო. სტამბოლში ამ მთიელების შიდა ურთიერთობებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. პორტა კმაყოფილდებოდა მცირე ხარკით, რომლითაც დერებეიები ახალციხისა და ტრაპეზუნტის ფაშების საშუალებით ყოველწლიურად ავსებენ სულთნის კუთვნილ საგანძურს. მას შემდეგ, რაც რუსები მიუახლოვდნენ ლაზურ მხარეს და ბოლო საზავო ხელშეკრულებით ფოთი და ახალციხის საფაშოს ნაწილი დაისაკუთრეს, პორტამ რამდენჯერმე სცადა განემტკიცებინა თავისი ავტორიტეტი ლაზისტანში. გარდა ხარკისა, ნიზამისთვის რეკრუტი გაიყვანა და ხევების ბატონები აღას (Aja) ტიტულით თავიანთ ძალაუფლებასა და თანამდებობებში დაამტკიცა. ლაზისტანში არის თხუთმეტი ასეთი აღა (Ajans), რომლებსაც ჩვენ ჩამოვთვლით რიგის მიხედვით — დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ:

1 და 2. **ათინაში** მჯდომი ორი ხეობის ბატონიდან ერთს უკავია სანაპირო ზოლი ყველაზე დასავლეთის საზღვრიდან რიზასკენ, ე.წ. ქალწულის ციხე-კოშკამდე; მას ეკუთვნის იმ შემოსავლის ნახევარი, რასაც ათინა იღებს როგორც საბაზრო პუნქტი. მის განკარგულებაშია

ოთხი სოფელი: ჯემერი,მელიათი, სელეკი და ჯუმბათი; ამ უკანასკნელში არის ლაროსის ნანგრევები. ჩვეულებრივ რუკებზე მანძილი რიზადან ატინამდე (აბსოლუტური, ვიდრე შედარებითი) საკმაოდ დიდი და მცდარადაა ნაჩვენები. რიზა 8-10, ხოლო მისი უკიდურესი სოფელი მაჰავრეჰ(?) 4 საათის სავალზე უნდა მდებარეობდეს ატინადან; მაშინ როცა სიმაგრე ლაროსი მხოლოდ 1, სოფელი ჯემერი კი 3 საათის დაშორებაზეა მოცემული. მეორე ბატონი ატინადან ფლობს მხოლოდ ამ პუნქტს, როგორც ასეთს, და მას ეკუთვნის აგრეთვე უმნიშვნელო, 1/2 საათის სავალი სანაპირო ზოლი სუხა-დერეჰის იქითა მხარეს.

3. **ბულეპის** ხეობის ბატონი ფლობს მართალია პატარა, მაგრამ ძალიან ნაყოფიერ ქვედა მხარეს მდინარე მარმანატისას.

